ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ლიტერატურა

თათია გიგანი

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები

ფილოლოგიის დოქტორის **(Ph.D.)** აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

კახაბერ ლორია – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

რევაზ მიშველაძე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2010

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი ——————————————————— 3

2. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზის დასაწყისი და ესთეტიკური იდეალები——————— 6

3. „წითელყაბალახიანი საქართველო” და მწერლის პოლიტიკური ორიენტაცია ——————————— 27

4. კონსტანტინე გამსახურდიას ესსეჲ და ევროპული მოდერნისტული სკოლების ესთეტიკური პრინციპები ——————————————————— 59

5. „სამი აპოკალიფსური მხედარი” კონსტანტინე გამსახურდიას ესსეისტიკაში (გოეთე, ნაპოლეონი და ნიცშე) ——————————————————— 146

6. „აპოლიტიკოსის წერილები” (ევროპული პოლიტიკა და კულტურული ნაციონალიზაცია, მწერლის 10-20-იანი წლების კრიტიკულ წერილებში) —————— 165

7. კონსტანტინე გამსახურდია - ქართული სალიტერატურო ენის შესახებ ——————————177

8. დასკვნა ——————————————————193

9. ბიბლიოგრაფია ——————————————198

შესავალი

არიან მწრლები, რომელთა ინტელექტუალური გონი მარდიულ ღირებულებებზეა დაფუძვნებული. აპოკალიფსური ძვრების ეპოქაში მათი შემოქმედება სახელმწიფოებრიობის, თვითმყოფადობის ამსახველი ხდება. ასეთი მწერლები მხატვრული ენით გამოხატავენ თავიანთი ერის სასიცოცხლო ინტერესს. მათი კალმით იქმნება საუკუნის, ერისა და კაცობრიობის დასურათხატებული ისტორია, სადაც ყოველი ახალი თაობა საკუთარი წარსულისა და მომავლის ანარეკლს ხედავს.

ქართული მწერლობის, პუბლიცისტიკის ისტორიაში კონსტანტინე გამსახურდიას მნიშვნელობა, ადგილი და როლი თავად ეპოქამ განსაზღვრა. მისი შემართება, თვითმყოფადი ენა და მწერლობა უაღრესად ქართულია. „მისი გენია კი დასავლური ცივილიზაციის ცეცხლოვანი ეტლით მოძრაობდა თითქოს. იგი უჩვეულოდ აერთებდა დავით აღმაშენებლის პრაქტიკულ, მოქმედ სულისკვეთებას და გოეთეს მჭვრეტელ მოაზროვნე ბუნებას. მთელი მისი ცხოვრება ენგურის ტალღებთან ბრძოლას ჰგავდა. მან შეძლო სწორი ორიენტაციის განსაზღვრა, რაც ქართულ გენზე და მარადიულ ღირებულებებზე იყო დაფუძნებული. სწამდა, რომ დადგებოდა ქართული კულტურის რენესანსის ხანა, თავისუფლების იმპულსით ნასაზრდოები. [20]

საქართველოს უდიდესი ჭირისუფალი კონსტანტინე გამსახურდია მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდოსტატის ბასრი კალმით იბრძოდა ქართველი ერისათვის, საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის. ილია ჭავჭავაძის შემდეგ საქართველოს ისტორიაში კონსტანტინე გამსახურდიამ დამსახურებული ადგილი დაიმკვიდრა ერისათვის თავდადებულ მოღვაწეთა „ოლიმპზე". მისი შემოქმედება დროთა მდინარებას პირდაპირპროპორციულად ეხმიანება და მუდამ თანამედროვეა. მწერლის ლიტერატურულ-პუბლიცისტური კვლევები და ნაშრომები ისეთი მგრძნობელობით გამოირჩევა XXI საუკუნის საქართველოში, თითქოს დიდი მწერალი საქართველოს მაჯისცემას ისევაა მიყურადებული.

„სამშობლოს მამა" – მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ – ისე სჭირდება ქართულ მწერლობას, როგორც არასდროს. გამსახურდია წერდა: „ქართული ენის, ქართული ისტორიის, ქართველი ხალხის ზნეთა და ჩვევათა დიდი მცნობი, ჩვენი კულტურის თავდადებული მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძე იყო ნამდვილი

“Pater Patria”, რომელმაც თავისი ხალხის დიდი ენერგია და გაწამებული სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა მამულისადმი სიყვარულს, ამიტომაც იგი შერაცხილი ჰყავს ქართველ ერს, როგორც თავდადებული მამა-სამშობლოისა”. [18,507]

XX საუკუნის 20-იან წლებში ბ-ნ კონსტანტინემ კიდევ ერთხელ განსაზღვრა ქათველი მწერლის, პუბლიცისტის ჭეშმარიტი მოწოდება და გზა.: „მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულისა და სიტყვის მოჯამაგირე ყოფილა მუდამ. იგი აწმყოში და მომავალშიც ასე უნდა დარჩეს, რადგანაც მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პარტიის, ან რომელიმე მთავრობის. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანცია.” [35,120]

კ. გამსახურდიას მრავალ ესსესა თუ ლიტერატურულ წერილში გაბნეულია მოსაზრებანი ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა შესახებ, აღსავსე მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით, ობიექტურობითა და კვალიფიციური ანალიზით.

კონსტანტინე გამსახურდიას ესსეისტური შემოქმედების სიღრმისეული გაცნობისა და შესწავლის საპატიო მისია დიდ სიფრთხილესა და მოკრძალებას მოითხოვს. ამ დამოკიდებულებითა და განსაკუთრებული ინტერესით იწერებოდა წინამდებარე ნაშრომიც. მწერლის ინტელექტუალური სამყარო, იდეალები, მრწამსი და პოლიტიკური ორიენტაცია აისახა მის შემოქმედებაში.

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა მონოგრაფიულად არ არის შეწავლილი, თუმცა მწერლის შემოქმედების მკვლევართა მიერ გაანალიზებულია მწერლის პუბლიციტურ-ლიტერატურული წერილების მატიანე.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ: ს. სიგუას, , ელ. მაღრაძის, თ. კიკაჩეიშვილის, მ. ხელაის, მ. აბულაძის, დ. თევზაძის, რ. მიშველაძის რ. თვარაძის და სხვათა გამოკვლევები თუ ცალკეული პუბლიკაციები.

კრიტიკოსთა ერთმა ნაწილმა შექმნა გარკვეული სქემატური მოდელი, მწერლის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ნათლად და უკეთ წარმოსაჩენად. მირიან აბულაძემ თემატური ნიშნით გააერთიანა, გამსახურდიას, წერილები. პრ. სოსო სიგუამ ქრონოლოგიური პრინციპით განიხილა მწერლის პოლიტიკური ხასიათის სტატიები.

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური მემკვიდრეობა და კრიტიკული განვითარების გზა სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

- ✓ კ. გამსახურდიას ესთეტიკური მრწამსი ადრეულ კრიტიკულ-ესსეისტურ წერილებში;
- ✓ ლიტერატურულ-ესთეტიკურ საფუძველზე დაწერილი ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიები;
- ✓ ქართველ კლასიკოსებთან დამოკიდებულების საკითხები;
- ✓ პოლემიკური ხასიათის წერილები, (ეროვნული თემატიკა);
- ✓ გერმანული კულტურულ-ფილოსოფიური საკითხები მწერლის პუბლიცისტიკაში;
- ✓ მთარგმნელობითი ხელოვნებისადმი მიძღვნილი წერილები;
- ✓ წერილები ქართული სალიტერატურო ენის შესახე.

კონსტანტინე გამსახურდიას მთელი ეს კრიტიკული და ესსეისტური მემკვიდრეობა თავმოყრილია მწერლის თხზულებათა ათტომეულის VI-VIII ტომებში (1958-1967), ასევე ჟურნალ გაზეთებში: „ილიონი", „ლომისი", „ლიტერატურული გაზეთი", „პრომეთე", „ქართული სიტყვა", „ახალი ევროპა", „სოციალ-ფედერალისტი", „სახალხო ფურცელი", გაზ. „ტრიბუნა", გაზ. „იმერეთი", „სახალხო სიტყვა".

ნაშრომში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მწერლის ფილოსოფიური და ესთეტიკური პრინციპები. თემატური თვალსაზრისით დავალაგეთ კრიტიკული აზროვნების ცალკეული ეტაპები, სადაც სრულყოფილად წარმოჩინდა მწერალი, როგორც თეორეტიკოსი, კრიტიკოსი. გავაანალიზეთ მწერლის პუბლიცისტური წერილები, XX საუკუნის ეპოქალურ მოვლებთან მიმართებაში.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზის დასაწყისი და ესთეტიკური იდეალები

„ჩემი სამშობლო იყო ჩემი სახატე და დღესაც ვერავის დავანებებ პირველობას მისთვის ბრძოლაში.“
კ. გამსახურდია, 1968 წელი

კონსტანტინე გამსახურდია ენციკლოპედიურად განათლებული, ფილოსოფიურად მოაზროვნე და დიდად ერუდირებული პირონება იყო. მწერლის პუბლიცისტურ-კრიტიკული ნააზრევი ერთგვარ მატიანედ იქცა XXI საუკუნის საქართველოში, სადაც სრულიად ახლებურად წარმოჩინდა ქართული გენი, ჩვენი უძველესი ლიტერატურისა და კულტურის დიადი წარსული.

დიდმა კონსტანტინემ ეპოქალური მნიშვნელობის როლი შეასრულა XX საუკუნის ქართული მწერლობისა და გრანდიოზული ტეხილებით აღბეჭდილი სულიერი კულტურის ისტორიაში. ის იმ რჩეულთა შორის იყო, რომელთაც 1910-იანი წლებიდან ზოგადად ქართული კულტურა, კონკრეტულად კი ქართული მწერლობა ახალ უნივერსალურ სივრცეებს აზიარეს, საოცრად გაზარდეს და აამაღლეს მისი სააზროვნო დიაპაზონი. „ალბათ ამ კოლოსალური ძალთახმევით მიღწეული „ტროფების” სიმრავლემ თუ აღაფრთოვანა „დიონისოს ღიმილის” ავტორი, როცა მას „ქართული სულის რენესანსი უწოდა”. (გ. ბენაშვილი)

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ქართულ ლიტერატურაში, ილია ჭავჭავაძის შემდეგ, არავის გადაუტანია ისეთი მძაფრი პოლემიკური და ლიტერატურულ-ინტელექტუალური ბრძოლები, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას. იმავე ილია ჭავჭავაძის მსგავსად არავინ ამაღლებულა დიდების კვარცხლბეკზე ამ ბრძოლაში ისე გამარჯვებული, როგორც იგივე კონსტანტინე გამსახურდია.

„ კ. გამსახურდია სპეციალისტის დარად გაცნობილი მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას, ამავე დროს ევროპულ ფილოსოფიას და ხელოვნებას, თვლიდა, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი ეროვნული და ზოგადი ტრადიციების მეამბოხე შვილია. ვინც ელტვის საერთაშორისო მოდელების ან ფორმების შემოტანას და გააზრებას მძაფრად უნდა განიცდიდეს მშობლიურ ლიტერატურას, ერის მისწრაფებებს, ისტორიას. ეს ისეთი წინაპირობაა, რომლის

დაძლევა მხოლოდ ტალანტით შეუძლებელია. ნიჭიერი და განათლებული პიროვნება ინტუიციურად პოულობს კონკრეტულ მოდელებს, რომლებსაც ცოდნით სრულყოფს. მის ფსიქიკაში დალექილია წინაპართა გამოცდილება. ამ გენეტიკური ბირთვის გამჟღავნება გარემოსთან მიმართებაში ქმნის მწერალს". [51,11]

მართლაც, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული ქართულ სინამდვილეში არ არსებობდა დარგი ლიტერატურასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კონსტანტინეს კალამი რომ არ შეხებოდა. ილია მართლის გზის გამგრძელებელი, სიტყვით, კალმით და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხმლითა და ზარბაზნით" იბრძოდა ქართული სულისთვის. მწერალი ცხოვრების უკანასკნელ წლებში წერდა:

„მე მომესმოდა მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ ჩემს სულში ჩაძახილი - „იბრძოლე!" და მერე ის იყო წმინდა გიორგის ხატი ყელზე მეკიდა და ვიბრძოდი. ჩემი სამშობლო იყო ჩემი სახატე და დღესაც ვერავის დავანებებ პირველობას მისთვის ბრძოლაში. დღესაც გაოცებული ვარ, როგორ არ მომხვდა ამ ბრძოლების დროს ან შაშხანის ტყვია ან ზარბაზნის შრაპნელი, ან როგორ არ მომითავეს ხელი ჩემმა უბოროტესმა მტრებმა. უცნაურია ადამიანის ხვედრი და ბედი, ჩემი უსაყვარლესი მეგობრები, ვინც ჩემსავით იქნევდნენ ხმალსა და კალამს უკვე აღარ არიან ჩემს სიახლოვეს და მე რატომღაც გადამარჩინა ნემიზიდამ. ხანდახან მრცხვენია კიდეც მათი ლანდებისა, ვფიქრობ, ხომ არ ჰგონიათ მათ, რომ მე ვუღალატე მათ და ჩემს საფიცარ სამშობლოს"? [16,595] ეს იყო დიდოსტატის აღსარება, მისია, ალბათ განგების ძალით ბოძებული.

კ. გამსახურდიას პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებსა თუ ესსეებში აისახა XX საუკუნის კატაკლიზმებითა თუ რადიკალური ცვლილებებით აღსავსე დემონური ეპოქა. კონსტანტინე გამსახურდია საგაზეთო წერილების დიდი ოსტატი იყო. იგი აიძულებდა მკითხველს ახლოდან დაენახა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების რეალური მხარეები, გაეანალიზებინა და დასკვნებიც თავად გამოეტანა. მწერლის საგაზეთო სტატიები პოლიტიკური გზავნილებისა და საპროტესტო ნოტების ხასიათს ატარებდა, რომელიც ანგარიშგასაწევი იყო მკითხველისათვის. მისი პუბლიცისტურ-ანალიტიკური წერილები ეპოქალური მნიშვნელობის იყო და არის. ისინი აქტუალობას XXI საუკუნის საქართველოშიც ისეთივე სიმძაფრით ინარჩუნებენ, როგორც XX საუკუნეში.

წერილების სიღრმისეული შესწავლით დგინდება, რომ ავტორი მათზე მუშაობის დროს ქვეყნის მომავალის პერსპექტივებს განსაზღვრავდა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და რეალიზების პროცესებს მართავდა. მისი პუბლიცისტური ნაშრომები პოლემიკურ ხასიათს ატარებს და არ ექცევა სუბიექტივიზმის გავლენის ქვეშ. მწერლის აზროვნება არ სცილდება თანამედროვეობას და არ შემოიფარგლება ინფორმაციისა და ფაქტების შეჯერებით. წერილების გარკვეულ ნაწილზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი XXI საუკუნის საქართველოში დაიწერა და დღეს ჩვენში მიმდინარე მოვლენებზეა საუბარი.

როდის იწყება ქართული პუბლიცისტიკის ისტორია და ზოგადად რა არის პუბლიცისტიკა?

პუბლიცისტიკა თავისი არსით ფართომასშტაბური დატვირთვის სფეროა, რომელსაც მემატიანის როლიც ენიჭება. ნებისმიერი ქვეყნისა და ეპოქის პუბლიცისტიკა თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ მისი დანიშნულება და მნიშვნელობა ყველა თვალსაზრისით მაინც ისტორიულია. ქართული პუბლიცისტიკა ზოგადად ეპოქალური განვითარებით ხასიათდება. მასში მუდმივად აისახებოდა, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ასევე ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტები. ქართული მწერლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პუბლიცისტიკასთან. პუბლიცისტიკა ერთგვარი საარქივო წყაროა ქვეყნის ეპოქის მაჯისცემის ზუსტად განსაზღვრისათვის. მკვლევარი, რომელიც ამა თუ იმ პერიოდის მწერლის შემოქმედების საფუძვლიან შესწავლას შეუდგება, გვერდს ვერ აუვლის მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ქართველი მწერლები თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე პუბლიცისტიკას არ სწყდებოდნენ. კონსტანტინე გამსახურდია ფაქტობრივად ცხოვრობდა პუბლიცისტიკით. მისი საგაზეთო მოღვაწეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ყველაზე მკაფიოდ სწორედ ბეჭდვითი მედიის საშუალებით ყალიბდება.

კონსტანტინე გამსახურდიას კალამი - ახალ ფურცელს ქმნიდა ქართულ პუბლიცისტიკაში. მას გააჩნდა თავისებური სტილი. მისი სიტყვა იყო ზომიერი, მკაფიო და მრავლისმეტყველი. თუ თვალს გადავავლებთ XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან მოყოლებულ, მწერლის საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ ლიტერატურულ სტატიებს, დავინახავთ, რომ კონსტანტინე გამსახურდია იყო

საინტერესო პოლემისტი, პოლიტიკურად კარგად მომზადებული, ერკვეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სახავდა სამომავლო პერსპექტივებს. ამავდროულად იგი იყო - უდიდესი თეორეტიკოსიც. მწერლის პუბლიცისტურ, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში შეინიშნება სიტყვის, აზრის ექსპრესიულობა, ემოციურობა. კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტურ სტილს ახასიათებს დოკუმენტურობა, ფაქტობრივი სიზუსტე, თავშეკავებულობა, ოფიციალურობა, აბსტრაგირება, აზრის სიმარტივე. კარგად შერჩეული სათაურები მთელი წერილის შინაარსის ტოლფასია. მწერლის კრიტიკული თუ ლიტერატურული ხასითის წერილები გამოირჩევიან ორიგინალური და მრავლის მეტყველი სათაურებით. მაგ: „ვინ არის შოვინისტი?!", „ტროასეული ცხენი", „აპოლიტიკოსის წერილები", „ძმები ხართ თუ მტრები", „მაღლა ავსწიოთ ქართული კულტურის დროშა", „ერი თუ რასა"...

XIX საუკუნეში, ჩვენი ქვეყნის უმძიმეს პერიოდში, პუბლიცისტიკას დიდი როლი დაეკისრა. მას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედება უნდა მოეხდინა. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერცერთ მოღვაწეს, რომელსაც ისეთი კვალი დაეტოვებინოს ჩვენში ამ დარგის განვითარებაზე, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ მოახდინა. იგი იყო ფუძემდებელი ქართული პუბლიცისტიკისა და კრიტიკული აზროვნებისა. ამ სიტყვის ფართო და საუკეთესო გაგებით. ილიას პუბლიცისტური სიტყვის უდიდესი ძალა, აზრის ერთობ ნათლად გამოხატვაში მდგომარეობდა. განსაკუთრებით იჩინა თავი ილიას პუბლიცისტურმა შემართებამ რუსიფიკატორული პოლიტიკის ჟამს 80-90-იანი წლებში, როცა არამარტო ქართული ენა გამოაცხადეს კანონგარეშედ, არამედ საქართველოს ხსენებაც კი აკრძალური იყო. ამ მძიმე პერიოდში ამბობდა ილია გადამწყვეტ სიტყვას. არცერთი მხატვრული ქმნილება, რომ არ შეექმნა ილიას იგი მაინც დარჩებოდა ქართულ ლიტერატურაში, როგორც დიდი მწერალი, დიდი რეფორმატორი – ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

XIX საუკუნე ილიას დიდებული ეპოქა იყო, სადაც დაისახა ქართული ლიტერატურის მსოფლმხედველობის განვითარების უწყვეტი გზა. ქართველმა ხალხმა მიუხედავად 60-იანელთა თავგანწირული ბრძოლის მძიმე კულტურულ-პოლიტიკურ მემკვიდრეობას თავი ვერ დააღწია. ცარიზმს მტკიცედ ეპყრა ხელთ გუბერნიებად და ოლქებად გათიშული საქართველო. ძლივს ფეთქავდა ის ძარღვი, რომელიც ქართულ მწერლობას ევროპულ ლიტერატურასთან აკავშირებდა. იმ დროს როდესაც შარლ ბოდლერი ტკბებოდა შხამიანი

ყვავილების სურნელებით, პოლ ვერლენი თხზავდა სულის უნაზეს მუსიკას, ქართული ლექსი სინათლისკენ ზურგშექცევით იდგა. „თავისუფლების იდეისკენ რევოლუციურმა სწრაფვამ, მიზნის მოახლოებამ აამოძრავა მიძინებული სისხლი, მთვლემარე მასები". (ს. სიგუა)

ილიას შემდეგ მთელი თაობები გამოჩნდნენ ხელოვნებისა თუ პოლიტიკურ არენაზე. XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან დაიწყო კლასიკურის ურყოფა და თანამედროვე ევროპული კულტურის აპოლოგია. ეს მოვლენები ემთხვევა კ. გამსახურდიას სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდს. სოსო სიგუა მართებულად შენიშნავს, რომ კ. გამსახურდია ეგებ ჩაეძირა დეკადენტურ-მოდერნისტულ ხელოვნებას, რომ არ ჰქონოდა სამშობლოს, მშობლიური მიწის ფანატიკური სიყვარული. თუ მისი წინამორბედი ილია ჭავჭავაძე თერგდალეული იყო, ახალთაობამ, მათ შორის გამსახურდიამ, იხილა „რაინის", „ტემზის" ნაპირები. დასავლეთ ევროპა იქცა პოეტური სწრაფვის ახალ ორიენტირად. ბუნებრივად დადგა პრობლემა ნაციონალური ჰერმეტიზმის პრაქტიკული რღვევისა, რაც სხვადასხვა ნიშნით გამოიხატებოდა.

20-იანი წლების ლიტერატურულ სკოლათა და დაჯგუფებათა შორის განსაკუთრებით ოთხი გამოირჩეოდა: „ქართველი სიმბოლისტები" ანუ „ცისფერყანწელები", „აკადემიური ასოციაცია", „ფუტურისტები", „პროლეტარული მწერლობა."

სიმბოლიზმი ერთგვარი რეაქცია იყო პარნასელთა პოეზიაზე, რომელიც საფრანგეთში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. სიმბოლიზმის ესთეტიკა განავითარეს სტეფან გეორგემ და პოლ ვერლენმა. 1880-იანი წლებში ეს ესთეტიკა გამოიხატა ერთგვარ მანიფესტთა სერიაში და მან დიდი ყურადღება მიიპყრო. ედგარ ალან პოს პოეზია და შარლ ბოდლერის - "les Fluerse de Mal" – (ბოროტების ყვავილები), ქართველი სიბმოლისტების სახარებად იქცა. ყველაფერი კი ქუთაისში 1915 წელს დაიწყო, 1916 წელს კი უკვე გამოიცა ჟურნალი „ცისფერი ყანწები". თავდაპირველად ცისფერყანწელები 13 იყვნენ. მათი პოეტური ორდენი განიცდიდა ფრანგ სიმბოლისტთა შემოქმედების გავლენას. სიმბოლიზმმა მოიცვა ქართული ლიტერატურა და პოეზია. იგი წმინდა ფილოსოფიური კუთხითაც აღძრავდა ინტერესს. სიმბოლისტები მხატვრული სიტყვის მეშვეობით ცდილობდნენ ორიგინალური ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინებას. ჟურნალმა „ცისფერმა ყანწებმა" მეორე ნომრიდანვე შეწყვიტა არსებობა, მაგრამ მათი

ორდენი სიცოცხლეს განაგრძობდა ლიტერატურული სკოლის სხვა გამოცემებში: „მეოცნებე ნიამორები", „ბარიკადი", „ბახტრიონი".

აღსანიშნავია, რომ 1937 წლის რეპრესიების დროს „ცისფერყანწელებს" მთელი სისასტიკით გაუსწორდნენ. მანამდე საქართველოში არ არსებობდა ლიტერატურული სკოლა თავისი პროგრამით, მანიფესტით. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხოთ.

„ცისფერყანწელები" არ უარყოფდნენ, რომ სიმბოლიზმი უცხოეთიდან შემოვიდა, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში მზად იყო ნიადაგი მოდერნიზმისათვს. სიმბოლისტური პოეზია მათ „ქვეყნის პირობითობას" ნათლად შეაგრძნობინებდა და უღვიძებდა სურვილს „მახინჯი ნიღაბი გადაეხადათ მისი უთქმელი ზედაპირისათვის" და სამყაროსა თუ ადამიანური ყოფის უხილავ სიღრმეებს ჩასწვდომოდნენ. ახალი სკოლის გამოჩენას არაერთგვაროვნად შეხვდა მაშინდელი საზოგადოება. კიტა აბაშიძეს უთქვამს: „ჩვენს ლიტერატურაში ახალი მიმართულება გაჩნდა, რომელსაც საზოგადოების უმრავლესობა გულისწყრომით შეხვდა, მაგრამ ასეთია ყოველი ჭეშმარიტად ახალი მიმართულების ბედი. ილიასა და აკაკის სარბიელზე გამოსვლასაც ხომ ასევე შეხვდა მაშინდელი საზოგადოებაო". მანვე შეაქო და შეათამამა „მეამბოხე" პოეტები. ყანწელები კიტა აბაშიძითა და არჩილ ჯორჯაძით ამოსწურავდნენ ქართულ ესთეტიკურ კულტურას საქართველოში სიმბოლისტებამდე. ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბება იყო, მაგრამ მაშინდელ ვითარებას სამართლიანად გამოხატავდა.

„ცისფერყანწელები" დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობდნენ. ისინი სიხარულით შეხვდნენ 1918 წლის 26 მაისს და ტკივილით განიცადეს 1921 წლის ანექსია. უდიდესი ტკივილებით ჟღერს ტიციან ტაბიძის სტრიქონები: „მე-19 საუკუნის დასაწყისში ხდება უკანასკნელი ტეხილი ქართული პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელმაც განსაზღვრა მთელი შემდეგი ყოფნა. საქართველომ დაკარგა თავისი სახე, როგორც სახელმწიფომ. ამ დღიდან ყოველი დღე თითო ლურსმანს უმატებს მის კუბოს. თანდათან მტკიცდება რუსეთის გავლენა ქართულ სამოქალაქო ცხოვრებაზე. ძველი ქართული სული მძლავრობს, მაგრამ აღდგომის მაგიერ იფერფლება"...

ცისფერყანწელებს ევროპული ორიენტაცია ჰქონდათ. კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც ევროპულად განსწავლული მწერალს მიაჩნდა, რომ ერთადერთი სწორი გეზი - ევროპულ კუულტურას ჰქონდა აღებული. „არც ერთი

ეროვნების მწერალს არ აქვს მარტოოდენ ნაციონალური იდეები - წერდა გამსახურდია-საქმე ინტელექტუალურ მონელებშიაო". მწერლის მოსაზრებთ ინტელექტუალურად მომწიფებული ახალი თაობა და კულტირული პოლიტკა ეროვნულ ნიადაგს არ უნდა დაცილებულიყო. 20-იან წლებში ცისფერყანწელებსა და გამსახურდიას შორის ატეხილმა კამათმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. მწერალი აკრიტიკებდა სიმბოლისტების (ცისფერყანწელების) ესთეტიკურ პოზიციებს: „საქმე ის კი არაა, საიდან იღებს ადამიანი თავის იდეებს, არამედ საქმე ინტელექტუალურ მონელებაშია, რაც შეეხება ევროპით შეზარდოშებას, „ევროპით" ჯერ არავინ დამთვრალა ჩვენში. ერები სესხულობენ იდეებს ერთი მეორისაგან. ეს „სესხის აღება" კი არ არის საშიში არამედ ამ სესხის მოხმარებაშია საქმე." მწერლის მოსაზრებით ახალ თაობას „ნასესხები იდეები"-ეროვნული ტემპერამენტის მიხედვით უნდა გარდაექმნა, გადაეხარშა. აქედან გამომდინარე, გრ. რონაქიძესა და ზოგდად ცისფერყანწელებს იდეურ ჩიხში მოქცეუ მწერლებად მიიჩნევდა „გრ. რობაქიძის პირით კარგა ხანია საქართველოში გველაპარაკებოდნენ ნიცშე, ბალმონტი, ვაგნერი.. მაგრამ გრ. რობაქიძემ მათი იდეები ვერ მოინელა. ქართულ სინამდვილეში ვერ გაერკვა, ვერც მსოფლიოს დღევანდელ ვითარებაზე გვეუბნება რამეს-ო." ამავე თვალსაზრისით აკრიტიკებდა ტიციან ტაბესძეს. 1921წლის გაზ. სოციალისტ-ფედერალისტში №103 იბეჭდება სტატია „თქვენ უსწავლენო, ცრუ რუსთაველნო", სადაც ცისფერყანწელებს, მწვავე პოლემიკაში იწვევს: „ჩვენი დავა რობაქიძის ჯგუფთან არ ახალია, ტყუილა ფიქრობენ, რომ ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურ ნიადაგზე ვედავებით მათ, თეორია ხელოვნება-ხელოვნებისთვის არც ისე ახალია. ევროპაში მან მოსჭამა თავისი დრო. ხელოვნება ცხადია კანტისებური „საგანია თავისთავად", მაგრამ როცა თქვენ ამ საგანს ერის არსებობის საკითხს დაუპირისპირებთ, იგი მაშინ მეორე ხარისხოვან ფენომენად იქცევა. ჩვენი ლოზუნგია ყველაფერი საქართველოსთვის, რადგან თუ საქართველო არ იქნება, ქვეყანაზე ქვა ქვაზე ნუღარ დარჩენილა! [11]

როგორც ავღნიშნეთ კამათმა შემდგომში მეტად მწვავევ ხასიათ მიიღო კრიტიკული წერილების სახთ: „პოეზიის დღე" №102, წერილი რედაქციას №105, **J`acuse,** 1921, №104. მიუხედავას „შეცდომებისა" წერილებში ნათლად იკვეთება ქართველი მწერლების ესთეტიკა და იდეალები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტანტინე გამსახურდია ამ პოელმიკაში სწორ და ჯანსაღ ლიტერატურულ პოზიციაზე იდგა.

მეორე ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც „ფუტურიზმის" სახელით არის ცნობილი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ საქართველოში. „ფუტურიზმი" ევროპული ლიტერატურის წიაღში დაიბადა, რეალური ხელოვნების უარყოფის საფუძველზე. 1924 წელს საქართველოში დაარსდა პირველი ფუტურისტული ჟურნალი **(H_2SO_4).** სხვა ლიტერატურულ სკოლათაგან ფუტურისტული სკოლა ყველაზე რადიკალური იყო.

XX საუკუნის 20-იანი წლების „ბოლშევიკების უბეშიშეყუჟულ" მწერალთა ასოციაციაა „პროლეტარული მწერლობა". მასში გაერთიანებულნი იყნენ: სანდრო ეული, ალიო მოსაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე... გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს: „ქურა", „პროლემაფი", „ლიანდაგი", „პროლეტარული მწერლობა", ისინი აშკარად უპირისპირდებოდნენ სხვა ლიტერატურულ სკოლებს. განსაკუთრებით კი „აკადემიურ ასოციაციას."

„აკადემიური ასოციაცია", როგორც ლიტერატურული სკოლა, 1921 წელს ჩამოყალიბდა და ამ დროისათვის მის შემადგენლობაში ვხედავთ კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე აბაშელს, იოსებ გრიშაშვილს, ლეო ქიაჩელს, პავლე ინგოროყვას. კონსტანტინე გამსახურდია ლეო ქიაჩელთან და გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად რედაქტორობს „ლომისს" და „ილიონს.". „აკადემიური ასოციაცია" – ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა ერთგულებით გამოირჩეოდა. სხვადასხვა დროს გამოსცემდა ჟურნალ-გაზეთებს: „ხომალდი," „კავკასიონი", „ქართული სიტყვა".

„აკადემიურმა ასოციაციამ" 1930 წლამდე იარსება, 1931 წლის 17 მაისს კი ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს კ. გასახურდია, გ. ქიქოძესთან და პ. ინგოროყვასთან ერთად – როგორც რეაქციონერი, ნაციონალისტი და საბჭოთა ხელისუფლების „მტრული ელემენტი". „აკადემიური ასოციაციის" ეროვნული იდეები არაერთგზის იქცა ბოლშევიკური პრესის სამიზნედ. 1932 წელს, კ. გამსახურდიას პირობა დაადებინეს, რომ მომავალში გააცხოველებდა მუშაობას მშრომელთა მასებისა და საბჭოთა კავშირის ნდობის დამსახურების აღსადგენად.

პარტიის ცეკას, 1932 წლის აპრილის დადგენილებით ლიტერატურულმა სკოლებმა არსებობა ოფიციალურად შეწყვიტეს:

<u>Приложение к п.21 пр. №97 от 23 апреля 1932 г.</u>

О перестройке литературно-художественных организаций

1. ЦК констатирует, что за последние годы на основе значительных успехов социалистического строительства достигнут большой как количественный, так и качественный рост литературы и искусства.

Несколько лет тому назад, когда в литературе налицо было еще значительное влияние чуждых элементов, особенно оживившихся в первые годы нэпа, а кадры пролетарской литературы были еще слабы, партия всемерно помогала созданию и укреплению особых пролетарских организаций в области литературы и [других видов] искусства в целях укрепления позиций пролетарских *писателей и работников* искусства [и содействия росту кадров пролетарских писателей и художников]*.

В настоящее время, когда успели уже вырасти кадры пролетарской литетуры и искусства, выдвинулись новые писатели и художники с заводов, фабрик, колхозов, рамки существующихпролетарских литературно-художественных организаций (ВОАПП, РАПП,РАМП** и др.) становятся уже узкими и тормозят серьезный размах

[литературного и] художественного творчества.

Это обстоятельство создает опасность превращения этих 173 организаций *из средства* наибольшей мобилизации [действительно] советских писателей и художников вокруг задач социалистического строительства в средство культивирования кружковой замкнутости, отрыва [иногда] от политических задач современности и от значительных групп писателей и художников, сочувствующих социалистическому строительству [и готовых его поддержать].

Отсюда необходимость соответствующей перестройкилитературно-художественных организаций и расширения базы ихработы.

Исходя из этого, ЦК ВКП(б) постановляет:

1) ликвидировать ассоциацию пролетарских писателей (ВОАПП,РАПП);

2) объединить всех писателей, *поддерживающих платформу*

Советской [стоящих за политику советской] власти и стремящихся участвовать в социалистическом строительстве, в единый союзсоветских писателей с коммунистической фракцией в нем;

3) провести аналогичное *изменение по линии других видов искусства* [объединение музыкантов, композиторов, художников,архитекторов и т.п. организаций];

4) поручить Оргбюро разработать практические меры по проведению этого решения. [78]

შეიქმნა ერთიანი საბჭოთა მწერალთა კავშირი, რომლის პირველი ყრილობა 1934 წელს ჩატარდა. 1944 წელს კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, ხოლო 1965 წელს მიენიჭა რუსთაველის პრემია ტეტრალოგიისათვის „დავით აღმაშენებელი.”

ჯერ კიდევ XX საუუნის ათიან წლებში იწყება მწერლის ესთეტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. 1912 წელს კონსტანტინე გამსახურდია ენების შესწავლის მიზნით გერმანიაში მიემგზავრება. იგი კანტის სამშობლოში კონიგსბერგში ჩადის. მანამადე კი – პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, მაგრამ მალე იძულებულია დატოვოს უნივერსიტეტი. წასვლის მიზეზი აშკარად ნაციონალისტური განწყობილება და მცირე ერების წარმომადგენელთა მიმართ შოვინისტური ქედმაღლობა იყო, ხოლო საბაბი ნიკო მარის მიერ სემინარზე ილია ჭავჭავაძის უპატივცემულოდ მოხსენიება.

მწერალი კესინბერგისა და ლაიბციგის უნივერსიტეტებში ეზიარა ევროპულ ლიტერატურასა და ფილოსოფიას. მიუნხენში გაეცნო და დაუახლოვდა თომას მანს. როგორც თვითონ აღნიშნავდა, ნიცშეთი გატაცებამ მისცა ბიძგი გერმანული ენის შესწავლისა. „იმდენი ენერგია შევალიე ვუნდტის ფსიქოლოგიას, ერდმანის ლოგიკას, კანტის წმინდა გონების კრიტიკას, ამდენი ჯაფა რომ გამეღო სომხურს, არაბულს და ირანულს შევისწავლიდიო“ – იგონებდა მწერალი. სწორედ ლაიბციგში გაეღვიძა ინტერესი გოეტეს მიმართ. გოეტეს სემინარიაში მუშაობდა, სადაც შეისწავლა მისი არქივი. გოეთე მიაჩნდა მიბაძვის ღირსად, რადგან დიდი ხელოვანი იყო არამარტო მწერლობაში თვით ცხოვრებაშიც.

1919 წელს ამთავრებს ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტს, სადაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. აქტიურად მონაწილეობს ევროპაში ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში. მწერლისთვის გერმანია მეორე სამშობლოდ იქცა.

გერმანული კულტურა და მათი ძლიერი სული შეისისხლხორცა. გერმანია მიაჩნდა მომავლის ერად. გერმანოფილობას არც უარყოფდა. კანტი, გოეთე და ნიცშე – ევროპის „ინტელექტუალურ დირიჟორებად“ ესახებოდა. ხალხთა შორის ომის ძეგლის შემქმნელმა ერმა აღფრთოვანებაში მოიყვანა მწერალი.

შემოქმედებითი გზის ადრეულ ეტაპზე განიცდიდა ევროპის ლიტერატურული სკოლების და ფილოსოფიური მიმდინარეობების გავლენას, განსაკუთრებით კი ექსპრესიონიზმისას. ექსპრესიონიზმი, სხვა დეკადენტურ მიმდინარეობათაგან განსხვავებით, ცხოვრებასთან აქტიურ დამოკიდებულებას ქადაგებდა და თავისი კოსმიურობითა და რელიგიურ ფანატიზმთან კავშირით უფრო უახლოვდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ახალგაზრდა ტემპერამენტს და იმდრიოინდელ განწყობილებებს.

მწერლის ადრეული ლექსებისა და ნოველების თემატიკა ქართული ლიტერატურისათვისაც ახლებური იყო. გ. კანკავა შენიშნავს, რომ ნიცშეანელობა და ექსპრესიონიზმი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. მაგრამ კ. გამსახურდია ახერხებს მათ შეხამებას. კონსტანტინე გამსხურდიამ და გრ. რობაქიძემ ექსპრესიონისტული სკოლიდან ქართულ მწერლობაში მოიტანეს ეპოქის მძაფრი განცდა. მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიციის ეროვნული ენერგია („ზარები გრიგალში”, „ქოსაი გახუ”„ქალის რძე”, „ტაბუ”, „დიდი იოსები”).

კონსტანტინე გამსახურდიას, ექსპრესიონისტული გატაცება იგძნობა მწერლის ადრეულ ლექსებში: „მარია სტელა”, „მოველ სატანავ”. პროფესორი რევაზ მიშველაძე აღნიშნავს, რომ ალბათ ამ ლექსების დაწერიდან უნდა გასულიყო დიდი დრო, რომ მწერლის აზროვნებაში „მთვარის მოტაცების” ფილოსოფია მომწიფებულიყო. ქრისტესა და დიონისოს გზაზე ერთდოულად მოაზროვნე პოეტის ფიქრები, გაორებული ცხოვრება, რომელიც აირეკლა დიონისოს ღიმილში”, კარგად იკითხება ლექსებში „ქრისტე პარიზში” (1923) და „ფერად ფერადი” (1918).

XX საუკუნის, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში კონსტანტინე გამსახურდიამ უპირველესი რომანისტისა და უაღრესად ორიგინალური სტილის მწერლის სახელი დაიმკვიდრა. მან შექმნა ისტორიული რომანის თავისებური კონცეფცია. აგრეთვე აღსანიშნავია მისი წვლილი ქართული კლასიკური ნოველის შექმნაში. კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული

პუბლიცისტიკის არსენალს შესძინა სრულიად ახალი ჟანრი, აზროვნების ორიგინალური ფორმის, *ესსეის* სახით.

კონსტანტინე გამსახურდიას 20-იან წლებში შექმნილი ნაწარმოებები ერთგვარი გზაა ექსპრესიონიზმიდან რელიზმისაკენ. თითქმის არ არსებობს ლიტერატურული ჟანრი, რომლისთვისაც არ მიემართოს XX საუკუნის მწერლობის კლასიკოსს.

ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები, თავისი ეპოქის გამოძახილია და იმ ტკივილების მატარებელი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ქმნადობის პროცესში შემოქმედს. დრო თავად გამოარჩევს ხოლმე მხატვრულ ქმნილებებს და ყოველი ახალი საუკუნე ახლებურად კითხულობს მსოფლიო გონის მიერ შექმნილ ნაწარმოებებს. „მთვარის მოტაცებაში“, „დიონისოს ღიმილში”, „დიდოსტატის მარჯვენში“ გაცხადებულია ქართული სინამდვილე, ზოგადსაკაცობრიო იდეალები, შემზარავი საბჭოური სინამდვილის პროტესტი.

XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიამ კრიტიკულ-ესსეისტური ხასიათის წერილების გამოქვეყნება, კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური მემკვიდრეობა და კრიტიკული განვითარების გზა სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: კონსტანტინე გამსახურდიას ესთეტიკური მრწამსი ადრეულ კრიტიკულ-ესსეისტურ წერილებში, ლიტერატურულ ესთეტიკურ საფუზველზე დაწერილი ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიები, ქართველ კლასიკოსებთან დამოკიდებულების საკითხები, პოლემიკური წერილები, გერმანულ-კულტურულ-ფილოსოფიური საკითხები მწერლის პუბლიცისტიკაში, მთარგმნელობითი ხელოვნებისადმი მიძღვნილი წერილები, წერილები ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.

კ. გამსახურდიას ადრეულ კრიტიკულ ესსეისტურ წერილებში ვხედავთ ევროპული მოდერნისტული სკოლების ესთეტიკური პრინციპების ტენდენციებს („იმპრესიონზმი და ექსპრესიონიზმი”, „კრიტიკა და შემოქმედება“, „ფრიდრიხ ნიცშე”, „ახალი ევროპა”, „ვოლტ უიტანი,” „სტეფან გეორგე”, „თეატრი და ვაჟა-ფშაველა”, „ბენო ერდმანი”).

კულტურულ-ისტორიული მეთოდის მომარჯვებით, ბიოგრაფიული ელემენტებისა და ფსიქოლოგიზმის წინა პლანზე წამოწევით მწერალს შექმნილი აქვს ლიტერატურული პორტრეტები და მონოგრაფიები („დანტე ალიგიერი”,

„გოეტე”, „ლევ ტოლსტოი”, „ჯორჯ ბაირონი”, „ანატოლ ფრანსი”, „გოგოლი”, „თაომას მანი”, „აპოლოგია რუსთაველისა”, „ვაჟა-ფშაველა“)

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ცალკე საკითხად შეიძლება გამოიყოს კლასკოსებთან დამოკიდებულების საკითხი, ესსეები, თეორიული მსჯელობანი რომანის პრობლემების შესახებ, რეცენზიები და პოლემიკური წერილები, რომანებისათვის დართული ბოლოსიტყვაობები, მთარგმნელობითი ხელოვნებისადმი მიძღვნილი წერილები: „დაგვიანებული ბიბლიოგრაფია”, „ვეფხისტყაოსანს უკრაინული თარგმანი”, „თარგმანის ოსტატობისათვის”, „თარგმანი და ენის სიწმინდე”, „ფაუსტი”, „გოეტე”, „ჰამლეტი დანიის პრინცი” და სხვა...

კ. გამსახურდიას კრიტიკულ-ესსეისტურ შემოქმედებაში შესაძლოა დღესაც გვხვდებოდეს ზოგიერთი საკამათო პოსტულატი, მაგრამ ამ წერილების მთლიანი პათოსი ისე, როგორც მისი მხატვრული ნაწარმოებებისა ყოველთვის გამსჭვალული იყო ქართველი ხალხისა და ქართული მწერლობისადმი სიყვარულით. მისივე ფრაზით რომ ვთქვათ, „დღედაღამ ებრძოდა ქართულ სიტყვას. როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს”.

კ. გამსახურდიას შემოქმედების პირველი ეტაპისთვის, 1910-20-იან წლებში, დამახასიათებელია ერთგვარი საპროგრამო ხასიათის თეორიული წერილები. ამ შეხედულებათა გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მწერლის მსოფლმხედველობის, მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსისა და შემოქმედებითი ლაბირინთების შესაცნობად.

კ. გამსახურდია, სამწერლობო მოღვაწეობის გარიჟრაჟზე შემოქმედებად მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის შექმნას მიიჩნევდა. წერილში „კრიტიკა და შემოქმედება”, რომელიც 1922 წელს დაიწერა, მწერალი მსჯელობს კრიტიკოსისა და შემოქმედების ურთიერთმიმართების საკითხებზე. ავტორი, ერთგვარ ისტორიული მიმოხილვას გვთავაზობს ლიტერატურათმცოდნეობის დარგების შესახებ. კრიტიკასა და შემოქმედებას, სულიერი ცხოვრების, ორ სხვადასხა პოლარულ მხარედ მიიჩნევს, სადაც შემოქმედი ხატებით მეტყველია, ხოლო კრიტიკოსი – „ხელოვანის ირაციონალის ახსნას იწყებს” – და სწორედ ამიტომ იგი სცილდება ლიტერატურის ფარგალს და ფილოსოფიის სფეროში იჭრება. „კუნო ფიშერ სხვა არაფერია, თუ არა შექსპირზე მოაზროვნე ფილოსოფოსი – დასძენს მწერალი.

კ. გამსახურდია საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ლიტერატურის ისტორიკოსისა და ლიტერატურის კრიტიკოსის მოვალეობების, მათი ერთმანეთში გაიგივების საკითხებზე და მართებულად შენიშნავს: „კრიტიკოსი თანამედროვეობის თვალსაზრისზე დგას მუდამ. ლიტერატურის ისტორიკოსს თვალები უკუქცეული აქვს წარსულისაკენ. თანამედროვეობა მას იმდენად ეხება, რამდენადაც ყოველი თანამედროვეობა ბოლოსდაბოლოს ისტორიკოსს უნდა ჩაუვარდეს ხელში. ტრივიალური გაგებით ხელოვანი ის არის, ვინც რაიმეს ქმნის, კრიტიკოსი – ვინც უკანასკნელზე რაიმეს იტყვის". [იქვე]

მწერლის აზრით, წაიშალა ზღვარი ორ პოლარულობას – კრიტიკასა და შემოქმედებას შორის. იგი შეერთდა ერთ პიროვნებაში, „რადგან ჩვენი თანამედროვეობა გაცილებით მეტ მოთხოვნილებას უყენებს შემოქმედს, ვიდრე რომელიმე საუკუნეში". მწერალი ასკვნის, რომ სულ სხვაა თანამედროვე გაგებით კრიტიკა, რომლის ნიმუში ანატოლ ფრანსმა და თომას მანმა შექმნეს. ამ შემთხვევაში შემოქმედი მეორე შემოქმედის ქმნილებით ენთება და მასში თავისი სუბიექტური და ახალი შეაქვს. „პიროვნების შემოქმედების სფერო რთულდება და მდიდრდება სხვა იდეურ სამყაროსთან ფრთების შეხებით. ამგვარად იდება ხიდი ყოფნასა და სხვა ყოფნას შორის". [16,444]__აქედან გამომდინარე, ამ გზით იქცევა კრიტიკა ნამდვილ შემოქმედებად, ხელოვნებითი ნაწარმოების თანაბრად ღირებულ ჟანრად.

1922 წელს „ლომისში" იბეჭდება თეორიული ხასიათის წერილი „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი". ეს სტატია იმდენ სადავო დებულებას შეიცავს, რომ თავად მწერალს თავის რვატომეულში აღარ შეუტანია. წერილში ზღვარია წაშლილი ორ მიმდინარეობას შორის: „მეოცე საუკუნის პირველ ათეულში – ევროპაში ბატონობს იმპრესიონიზმი ანუ სვიმბოლიზმი" – წერს მწერალი. [16,418] ეს ორი მოდერნისტული ლიტერატურული მიმდინარეობა, იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი, თავისი ლიტერატურული პრინციპებით, ფილოსოფიური კონცეფციის თავისებურებებით, როგორც ვიცით სრულიად განსხვავებულია...

ცნობილია, რომ იმპრესონიზმი საფრანგეთში ჩაისახა 1874-1886 წლებში. პარიზში, იმპრესიონისტული გამოფენა მოეწყო, რაც გახდა აკადემიზმისაგან თანამედროვე ხელოვნების გამყოფი ზღვარი. იმპრესიონიზმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონე. ამ მიმდინარეობამ სახელწოდება მიიღო სწორედ მისი ნახატისაგან „შთაბეჭდილება. მზის ამოსვლა."

იმპრსიონისტების ტილოები ცვალებად ბუნებას, წამიერ სილამაზეს გადმოსცემდნენ. ისინი არ ეძებენ იდეალურ სილამაზეს, მარადიულობას, რაც კლასიკურ ხელოვნებაში მთავარი იყო. იმპრესიონისტები ცხოვრებას ფრაგმენტებად გამოსახავდნენ, ესკიზების, მინიატურების სახით.

სიმბოლიზმი XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. (საფრანგეთში – შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, პოლ ვერლენი, სტეფან მალარმე, გერმანიაში – გერჰარტ ჰაუტმანი, შტეფან გეორგე, ავსტრიაში – რაინერ მარია რილკე) სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელია ირეალური სინამდვილის ძიება, კამერულობა, მაქსიმალური ზრუნვა სიტყვაზე, მუსიკალურობის შექმნაზე, სიმბოლიზმი იყო სინამდვილის უარყოფა. მისმა წარმომადგენლებმა დიდი ამაგი დასდეს ლირიკული აზროვნების განვითარებას.

კონსტანტინე გამსახურდია იმპრესიონიზმსა და სიმბოლიზმს განიხილავს, როგორც ერთი მიმდინარეობის ორ სინონიმურ სახელწოდებას, აღნიშნავს, რომ ამ მიმდინარეობამ „გასული საუკუნის მიწურულში დაამარცხა რეალიზმი და ნატურალიზმი. რომელიც ასაზრდოებდა სპენსერის, ტენნის და ვუნდტის მექანიტურ ფილოსოფიას" [16,419] წერილში დასაბუთებულია ის მსოფლმხედველობითი სხვაობა, რომელიც არსებობდა რეალიზმ-ნატურალიზმსა და იმპრესიონიზმ-სიმბოლიზმს შორის.

კონსტანტინე გამსახურდიამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართულ პროზაში შემოსვლისას განსაზღვრული ხარკი გადაუხადა სიჭაბუკის ჟამინდელ გატაცებებს. „დეკადენტობა - ეს იყო ავადობა არა მარტო ჩემი, მთელი ჩემი და ჩემზე უფროსი თაობისა. ვინც ამ სენს თავი ვერ დაღწია, იგი შერჩა მოკლე ლექსებს და კურდღლის კუდის სიგრძე ნოველებს, რადგან სიმბოლიზმი საერთოდ უარყოფდა ეპიკას" [17,892] – წერს მწერალი თავისი ცხოვრების დასალიერში და იქვე გულწრფელად მიგვანიშნებს, თავისი ადრინდელი ნოველების „პორცელანის" და „ფოტოგრაფის" ლიტერატურულ წყაროებზე.

კ. გამსახურდია წერილში მსჯელობს XX საუკუნის უდუდესი ფილოსოფოსის ანრი ბერგსონის, ინტუიციური ესთეტიკის ფუძემდებლის და ამ მიმდინარეობის წარმოშობის საკითხებზე. როგორც ცნობილია, „ინტუიტივიზმი", როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა წარმოიშვა XIX–XX საუკუნეებში. მწერლის მტკიცებით ნიცშეს მოწაფე – ანრი ბერგსონი ხდება ახალი თაობების იდეური დირიჟორი, რომლის მოძღვრება ინტუიციური ძალის გამოცხადებაზე

ერთგვარი სახარება ხდება უახლოესი თაობებისათვის. ეს მოძღვრება, საგრძნობი ხდება საფრანგეთში ჯერ კიდევ 1910-1914 წლებში, როცა „რენესანსული მისტიურ-რელიგიური ტენდენცია შეიჭრა როგორც აზროვნებაში, ისე პოეზიაში. ბერგსონის მოძღვრების მიმდევრები ამ ახალ თაობას, რომელიც იბრძოდა ლიტერატურაში იმპრესიონისტულ-სიმბოლური სტილის წინააღმდეგ, გერმანიაში უწოდეს აქივისტები, ანუ ექსპრესიონისტები - [17,421] ასკვნის მწერალი.

კონსტანტინე გამსახურდია წერილის მეორე ნაწილში ექსპრესიონიზმს, როგორც ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას ახასიათებს სიმბოლიზმთან დაპირისპირების გზით. სიმბოლისტისათვის „მეობა" იყო საზომი სამყაროისა – წერს კ. გამსახურდია – ექსპრესიონისტისათვის კი – უკუღმა, კოსმოსია საზომი მეობისა. „სვომბოლიზმი" უარესად პასიურობას გულისხობდა, ექსპრესიონიზმი მოძრავი ყოფის ტრფიალს." [იქვე]

კონსტანტინე გამსახურდია ექსპრესიონიზმთან დაკავშირებულ საკითხებს დაუბრუნდა ცოტა მოგვიანებით 1923 წელს დაწერილ თეორიული ხასიათის წერილში „თეატრი და ექსპრესიონიზმი", რომელიც სრული სახით შეიტანა ესსეისტური წერილების კრებულში „ახალი ევროპა" 1928წ. ეს სტატია ხუთი საკითხისაგან შედგებოდა, ხოლო მოგვიანებით მას მეექვსეც დაუმატა „ქართული თეატრი" 1923წ.

„თეატრი და ექსპრესიონიზმში" პირველ საკითხად განხილულია, დრამატურგისა და თეატრალური ხელოვნების სათავეები. ავტორი განმარტავს, რომ თეატრი უძველესი ფენომენია, რომელიც სამ უმთავრეს ელემენტს მოიცავს: დრამატურგს, არტისტს, მაყურებელს. "არტისტი ის კაცია, რომელიც ქმნის, როცა მას უყურებენ, დრამატურგი მაშინ ქმნის, როცა მას არ უყურებენ, მაყურებელი ბრბო, საოცარი ქიმიური ჯამია, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტები". [16,639]

ავტორი საუბრობს შექსპირის გენიაზე, რომელსაც ანტიკური ტრაგედიის შუა საუკუნეებისა და რენესანსული თეატრალური ხელოვნების მემკვიდრედ მიიჩნევს.. შექსპირში მოხდა სინთეზი მთელი მის დრომდე არსებული თეატრალური გზებისა: „შექსპირი ამიტომაც ბურჯია დასავლეთის თეატრისა. შექსპირი იყო ყველა მისი მომდევნო საუკუნეების დრამატურგების და მსახიობების მასწავლებელი". იგი იყო , თავისი ეპოქის გენიალური მესიტყვე. სკეპტიკურ იერს ატარებს კ. გამსხურდიას ამავე სტატიაში მოყვანილი შემდეგი

მოსაზრება: „მისი შედევრები არც ისეთ გავლენას ახდენენ სცენაზე. ეს შექსპირის არათეატრალობით კი არ აიხსნება. დიდი მსახიობი ისევე იშვიათად იბადება, როგორც დიდი დიპლომატი. გენიოს პოეტს მხოლოდ კონგენიალური მსახიობი თუ განასახიერებს“. [16,637] მწერლის შეხედულებით თანამედროვეობა ფსიქოლოგურადაა დაშორებული შექსპირის ადამიანს, რომელზედაც წარმოიშვნენ შექსპირის გმირები. „ამით აიხსნება ჩვენსა და შექსპირს შორის არსებული უფსკრულის გაღრმავება”.[იქვე] ვერ დავეთანხმებით კ. გამსახირდიას თითქოს შექსპირის დრამატული პოეზია ნაკლებ გავლენას ახდენს მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებაზე. პირიქით, იშვიათია მსოფლიოში ისეთი თეატრი, რომ მის რეპერტუარში წამყვანი ადგილი არ ეჭიროს დიდი ინგლისელის დრამატურგიას. არსებობენ თეატრები, რომელთა სპექტაკლები მთლიანად ამ დრამატურგის ქმნილებებზეა აგებული.

კონსტანტინე გამსახურდია წერილის მეორე ნაწილში იხილავს რეჟისორის პრობლემას თეატრში. XX საუკუნის დასაწყისიდან (10-20წლებში) რეჟისორის ფუნქცია იმდენად გაიზარდა რომ იგი სცენაზე უბრალო ტექნიკური მსახურიდან გადაიქცა სპექტაკლის იდეურ და მხატვრულ ორგანიზატორად.. „დღევანდელ თეატრში პირველი სიტყვა პოეტს ეძლევა, უკანასკნელი – მსმენელს. – აღნიშნავს მწერალი – მაგრამ ყველაზე მაღლა დგას რეჟისორი – „პოეტის სიტყვის ძიძა” რეჟისორი ამკვიდრებს ჰარმონიას ამ მრავალ ერთიმეორისადმი კონტრასტულად განწყობილ შემოქმედთა და სტრიქონთა შორის”. [16,639]

მწერალს ასეთ რეჟისორად 20-იანი წლების ევროპაში მიაჩნია გერმანელი თეატრალური ხელოვნების რეფორმატორი მაქს რაინჰარტი, რომელიც ხელისუფლების სათავეში ფაშისტების მოსვლის შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა გერმანია. ევროპული თეატრის ისტორიაში სამ უმაღლეს მწვერვალად შექსპირს, ლესინგსა და მაქს რაინჰარტს მიიჩნევს.

XX საუკუნის შემდეგ, როგორც კ. გამსახურდია აღნიშნავს, ევროპული მწერლობა მოიცვა კრიზისმა, რომელიც დაძლეულ იქნა ათიან წლებში ექსპრესიონისტული ლიტერატურის წარმოშობით. ამ კრიზისის ნიადაგზე წარმოიშვა ის დიდი ლიტერატურული მიმდინარეობა რომელიც ექსპრესიონიზმის სახელით არის ცნობილი. „ექსპრესიონიზმი არც ლიტერატურული მოდაა, არც ესთეტიკური პოზა. იგი ახალი რელიგიაა, ევროპის უახლესი თაობისა”.

წერილში მოცემული განმარტებები ექსპრესიონიზმის შესახებ ჰიპოთეზური და სუბიექტურია, რადგან არ არის გათვალისწინებულები მისი ძირითადი ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნიშან-თვისებანი. მწერლის მოსაზრებით ექსპრესიონიზმის სათავეები მოცემულია შექსპირში, შტრინდბერგში, დიურიესა და მაისტერ ეკჰარტში. ექსპრესიონიზმი კი ყველა თავისი ნიშნით XX საუკუნის მოვლენაა და არავითარი ფილოსოფიური საფუძველი არ გააჩნია სხვა საუკუნეში. სტატიის ბოლოს კ. გამსახურდია განიხილავს ქართული თეატრის საკითხებს. მწერალი წინა პლანზე აყენებს თეატრში, რეჟისორის ფუნქციის გაზრდის აუცილებლობას. ხოლო ისეთ რეჟისორად, რომელიც ჩვენს თეატრს სულს ჩაბერავდა და გააცოცხლებდა კოტე მარჯანშვილს მიიჩნევს.

„წითელყაბალახიანი საქართველო” და მწერლის პოლიტიკური ორიენტაცია

არიან მწრლები, რომელთა ინტელექტუალური გონი მარდიულ ღირებულებებზეა დაფუძვნებული. აპოკალიფსური ძვრების ეპოქაში მათი შემოქმედება სახელმწიფოებრიობის, თვითმყოფადობის ამსახველი ხდება. ასეთი მწერლები მხატვრული ენით გამოხატავენ თავიანთი ერის სასიცოცხლო ინტერესს. მათი კალმით იქმნება საუკუნის, ერისა და კაცობრიობის დასურათხატებული ისტორია, სადაც ყოველი ახალი თაობა საკუთარი წარსულისა და მომავლის ანარეკლს ხედავს. „მწერალი არც ერთი მთავრობის არც ერთი პოლიტკური პარტიის მოჯამაგირე არ უნდა იყოს. მისი ხელის საქმეა ერისა და კულტურის სამსახური და არა რომელიმე პატიის ან რომელიმე მთავრობის. იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია ვითარცა მარადიული ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტაბცი”. [35,120] – ასე განსაზღვრა გლობალური კატაკლიზმების საუკუნეში, კონსტანტინე გამსახურდიამ ჭეშმარიტი შემოქმედის ამქვეყნიური მისია. მას მუდამ თან სდევდა სურვილი დიდი და განახლებული საქართველოს ხილვისა, „ისეთისა, რომელიც არც გუშინ ყოფილა არც დღეს არის, რომელიც უნდა იქნეს, თუ არსებობა გვიწერია.” [17,392] კონსტანტინესეული შეფასება მარად აქტუალური დარჩება სანამ, ქართული პუბლიცისტიკა, მწერლობა იარსებებს.

მწერალი სიტყვით, საქმით წარმოგვიჩენდა აუცილებლობას იმ ოქროს შუალედის პოვნისა, რომელიც გადის ერთის მხრივ მთავრობის და ხელისუფლების ბრმა მორჩილებასა და მეორეს მხრივ უკიდურეს ოპოზიციონერობას <u>შორის.</u> პირველს მივყავართ სრულ უინიციატივობამდე, როდესაც ხარ პოლიტიკური მოვლენების მხოლოდ სტატისტი, მეორე კი ზიანს აყენეს სუსტ და ახლადფეხადგმულ ქართულ სახელმწიფოს, ამიტომაც წერდა იგი 1918-1921 წლებთან მიმართებაში „გადაჭარბებული ოპოზიციონერული სული ასუსტებს ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციას და შეგნებას, ისიც ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ეთოსი ეგზომ სუსტია”[25]

საქართველოს დამოუკიდებლობა მის თვალწინ დაემხო. იგი შეესწრო თავადაზნაურთა კულტურის დაისს, რომელიც თავის რომანებში გამოიგლოვა, ქართული ზნეობის, ქართული ტრადიციების და ღირებულებების თანდათანობით ეროზიასთან ერთად. მწერლის პუბლიცისტურ წერილებში ნათლად ჩანს, თუ რისი შემძლეა ის ერი, რომლის ნებელობაც აზრი და გრძნობა თავისუფლების იმპულსითაა ნასაზრდოვები. მწერალი მთელი ცხოვრების მანძილზე უარყოფდა რბილკანიან, სევდიან ხალხს, რადგან მიაჩნდა, რომ გაიმარჯვებდნენ მხოლოდ ისინი, ვინც არწივის პერსპექტივით ზვერავდა მომავალს, ვისაც გააჩნდა ფოლადის ნერვები, გონების სიმახვილე და იგი ვინც, თვითონ მართავდა თავის ბედს.

XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ფურცლებზე რუსეთის კოლონიალიზმი და კომუნიზმის სისხლიანი ეპოქა აისახა. ქართული საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ დადგა ერად ყოფნის და არყოფნის საკითხი. ეს იყო ისტორიული კანონზომიერების აღკვეთის პერიოდი. ტერორმა და რეპრესიებმა დემონური ძალით დაიმონა ერები და პატივი აყარა მათ ეთნიურ ღირსებას. რეჟიმის უმთავრეს მიზანს საკუთარი იდეებისა და არსებობის გადარჩენა წარმოადგენდა. ქართული ინტელიგენცია იყო ერთადრეთი ძალა, რომელსაც უნდა განესაზღვრა საქართველოს მომავალი. სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში ეროვნულმა სულმა საკრალური მნიშვნელობა შეიძინა.

XX საუკუნის 20-იან წლებში მწერლები დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ. ეპოქის შინაარს მთლიანად განსაზღვრავდა ხელისუფალთა პოლიტიკა. ლიტერატურა, კრიტიკა პუბლიცისტიკა უფუნქციოდ დარჩა. ესთეტიკური იდეალები უკუაქციეს. ქართული ინტელექტუალური სამყარო პირისპირ დადგა საბჭოთა რეალობის წინაშე. „პოეტური ნაწარმოები უთუოდ წააგავს შიფრით ნაწერს" – წერდა გამსახურდია და მთელი მისი მხატვრული თუ პუბლიცისტური შემოქმედება ასეთივე შიფრია უმდიდრესი გამოცდილებისა, თუ როგორაა შესაძლებელი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ქართველობის და ჩვენი მეობის შენარჩუნება თანამედროვე სამყაროში.

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკისა და ესსეების მთელი სერიების უმთავრეს თემათა თემა საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალია, განსჯის საგანი – ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული ადამიანები. მის შემოქმედებაში მხოლოდ საქართველო კი არ ხდება ევროპული,

არამედ ევროპა ხდება ქართული. ევროპელი გმირები, ფილოსოფოსები, მწერლები და სახელმწიფო კაცები სრულიად ახალი ელფერით წარმოჩინდებიან.

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის თემა განუყოფელი საკითხია გამსახურდიას შემოქმედებისათვის. პუბლიცისტურ წერილებში, ერთმნიშვნელოვნად ვლინდება მწერლის დამოკიდებულება საბჭოთა წყობილებაში საქართველოს ადგილისა და როლის თაობაზე. საბჭოთა პერიოდში მოღვაწე კონსტანტინე გამსახურდია არაერთხელ გახდა რეპრესიების მსხვერპლი. ქართული მწერლობა, ხელოვნება „საბჭოური იდეალების" საშიშ გავლენას ვერ ასცდა. „ერთიან, ძმურ საბჭოთა ოჯახში" საქართველო საკუთარი ნების გარეშე „დასახლდა" და მის ბრჭყალებში ათეულობით წლები მოუწია ყოფნა.

1920 წლის 7 მაისის ხელშკრულება, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, ტაქტიკური მიზანმიმართული, მორიგი მზაკრული სვლა იყო. 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს აგენტურისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად სჭირდებოდა. მოსკოვი სამხედრო ინტერვენციის და ამიერკავკასიის უკანასკნელი რესპუბლიკის გასაბჭოებისათვის ემზადებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საქართველოსთვის მეტად ნეგატიური როლი შეასრულეს მაღალ თნამდებობებზე მყოფმა ქართველმა კომუნისტებმა „ფოლადის" სტალინმა, სერგო ორჯონიკიძემ და სხვ.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმია რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. ქართული ინტელიგენცია სათანადო ბრძოლისუნარიანობას ვერ გასწევდა და საკუთარ შეხედულებებს ვერ გაახმოვანებდა საჯაროდ. საქართველო „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად" გამოცხადდა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც აღიარებული იქნა, 1921 წლის 21 მაისის, ახალი ხელშეკრულებით და 1922 წლის კონსტიტუციით, თუმცა იურიდიული ფორმა არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ სინამდვილეს.

ლენინური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კომუნისტები აქტიურად შეუდგნენ მოწინააღმდეგე ძალთა დათრგუნვას და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას. ყოველივე ამან დამთრგუნველი გავლენა იქონია ქართველი ხალხის, ეროვნული ცნობიერების სიმტკიცეზე. გაუქმებულად გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები,

სახელმწიფო და არჩევითი ორგანოები. მასობრივად ხვრეტდნენ ან გადასახლებაში აგზავნიდნენ სისხლიანი რეჟიმის მოწინააღმდეგეებს. ათეიზმის დანერგვის მიზნით, კომუნისტები ანგრევდნენ ეკლესიებს, ხოცავდნენ სასულიერო პირებს, 1922-1923 წლებში საქართველოში არასრული მონაცემებით 1500 ეკლესია დაინგრა. ქართულ მართლმადიდებლობას უმძიმესი საფრთხე დაემუქრა.

1921-1924 წლებში საქართველოში დროდადრო მზადდებოდა ანტიკომუნისტური გამოსვლები. ისინი დაქსაქსულ ხასიათს ატარებდნენ და ხელისუფლება ადვილად ახერხებდა მათ ლოკალიზაციას. 1920-30-იან წლებში „კულტურული რევოლუცია“ დაიწყო, რაც 1940 წელს მეცნიერებათა აკადემიის შექმნით დასრულდა. მიუხედავად ამისა შემოქმედებით ინტელიგენციას, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს უკიდურესად შეეზღუდათ ინდივიდუალური აზროვნების შესაძლებლობანი. ყველაფერი დაუმორჩილეს კომუნისტურ დიქტატურას და იდეოლოგიას. XX საუკუნის 30-იან წლებში სტალინურმა სისტემამ დაიწყო რეპრესიები, რომელმაც მასობრივი ხასიათი 1937-1938 წლებში მიიღო. რეპრესირებულთა შორის იყვნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მათ შორის ქართული კულტურის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, მეცნიერ-ფილოსოფოსი გრიგოლ წერეთელი და სხვ.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის თავისთავად შემაძრწუნებელ ფაქტს მეტ ტრაგიკულობას ის სძენდა, რომ პოეტმა საბედისწერო ნაბიჯი სწორედ იმ წუთებში გადადგა, როდესაც პრეზიდიუმის სხდომაზე მისი „განაჩენი” გამოჰქონდათ. ასევე „ჯაშუშად” და „დივერსანტად” მიიჩნიეს მიხეილ ჯავახიშვილი და მწერალთა კავშირიდან გარიცხეს; საბოლოოდ კი ფიზიკურად გაანადგურეს.

„საქართველოს სსსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგამომძიებლო ნაწილის საქმე №10.817 შედგება 212 ფურცლისაგან და შეიცავს ტიციან ტაბიძის „მავნებლურ მოქმედებათა” ძიების პროცესს. პრ. სოსო სიგუას მოძიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ტიციან ტაბიძეს გრიგოლ რობაქიძესთან ერთად ბრალი ედებოდა „ფაშისტური ორგანიზაციის წევრობაში”. 15 დეკემბერს შედგა „სამეულის ოქმი” №67. როგორც ჩანს, დიდი ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძე 1937 წლის 15 დეკემბერს დახვრიტეს.

გროგოლ რობაქიძე საქართველოდან სამუდამოდ გადაიხვეწა და 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა ჟენევაში ლამის უპატრონოდ. იგი ბოლშევიზმის დემონურ ძალას ქედს არ უხრიდა და ქართველ მწერლებს მოუწოდებდა თავი დაეღწიათ პარტიის ცენზურისათვის. „არ ეკადრება გამსახურდიას და ლეონიძეს ბელადის ხოტბა და ვერც გრიშაშვილს მოვუწონებ ბერიაზე ლექსის გაშანშალებასო" – წერდა რობაქიძე.

კონსტანტინე გამსახურდია გარკვეული პერიოდით გადაასახლეს. „როცა მე გადამასახლეს – იგონებდა გამსახურდია* – შალვა დადიანი დადიოდა მთავრობასთან, ტალახი აუყენა ღოღობერიძეებს, ორჯონიკიძეს ეხვეწებოდა „მოგვეცი კონსტანტინეო". ერთხელ ბერიას სახლის კარიდან გამოვიდა. „მე გახარებული ვარ იმ გაოხრებულმა ძალიან გაქოო-მითხრა. მინდოდა მომეკლა, მაგრამ არაა ურიგო კაციო. მე მგონი უსინდისო არ უნდა იყოსო. ამიტომ არ მოვკლავ მაგასო – ასე მომიყვა".

კონსტანტინე გამსახურდია ჩამოყალიბებული ეროვნული და პოლიტიკურ-ესთეტიკური მრწამსით შეხვდა საქართველოს გასაბჭოებას. მან მიიღო „წითელყაბალახიანი საქართველო". საბჭოთა სისტემას, როგორც სახელმწიფოს ფორმას, ისევე როგორც დემოკრატიულ პარლამენტარიზმს მისაღებად მიიჩნევდა, რადგან „ფორმა კი არა არის მთავარი, არამედ ის შინაარსი, რომელსაც მთავრობა და ერი ჩადებს მათში-ო." მოჩვენებითი აღიარება გამსახურდიას წინდახედული პოლიტიკა იყო. რათქმაუნდა, მწერლის ასეთი პოზიცია არ ნიშნავადა ხელის აღებას საბჭოური წყობლების დამხობაზე, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქართველ მწერლებს სხვა ალტერნატივა არც ჰქონიათ.

კ. გამსახურდია ოკუპაციის პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთდად ქართული სახლმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის იწყებს ბრძოლას. ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე უმთავრესი საკითხებად მიჩნეული იქნა:

- ქართული ენისათვის სახელმწიფოებრივი ფუნქციის მინიჭება;
- რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენარჩუნება;

---

*გაზ. „ გრაალი" - №1, 1996წ

- ქართული წიგნის პროტექტორატი
- სუვერენული სახელმწიფოს უფლებების დაცვა.

ანექსირებულ საქართველოში კულტურული ბრძოლა უნდა გაძლიერებულიყო. მწერალი ქართული კულტურის ჰეგემონიას მოითხოვდა: „ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება. დღეს ყოველი ერი, ისეთი მძაფრი ჭიდილისა და ბრძოლის ფარვატერში შედის, რომ ვისაც თავისი კულტურის დროშის მაღლა აწევა არ შეუძლია, მას ისე გადაალაჯებენ როგორც უბრალო ეთნოგრაფიულ მასალას. ესმის ეს ქართველ ინტელიგენციას? ესმის თუ არა ეს ქართველ საზოგადოებრივ აზრს? –წერდა გამსახურდია. [17,375]

მწერალი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას „კულტურის საალყო წესების" დამკვიდრებაში, კულტურულ დიქტატურაში ხედავდა. კაცობრობის ისტორიული გამოცდილებიდან იცოდა, რომ ასპარეზი სულითა და ხორცით ძლიერი ერის ხვედრი იყო. სუსტები და უნიჭონი ვერავის შებრალებას ვერ დაიმსახურებდნენ, რადგან, როცა ერთი ერი მეორის პოლიტიკური გავლენის ზონაში ექცეოდა, პოლიტიკურ დამპყრობელს კულტურული მოჰყვებოდა, მხედარს მწერალი ენაცვლებადა. აქედან გამომდინარე – ქართულ ინტელიგენციას გაორკეცებული ძალით უნდა დაეჩქარებინა ქართველი ერის თვითცნობიერების პროცესი. ტოტალიტარული რეჟიმი ბრძოლას უცხადებდა თვისუფალ აზრს და საზოგადოებას „მწერალი მოჯამაგირის" ახალ ოდეოლოგიას სთავაზობდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1946-1948 წლებში მიღებული დადგენილებები თრგუნავდა შემოქმედების თავისუფლებას. პარტიის დირექტივებით იქმნებოდა ნაწარმოებები. 50-იან წლებში, გამსახურდიამ, პარტიის მძლავრი შეტევა განიცადა. მერაბ კოსტავა წერდა: „უამრავი მოშურნე ჰყოლია კ. გამსახურდიას ცხოვრების მანძილზე: უნიჭო მწერლები, კარიერისტი სულის გამყიდველი კრიტიკოსები, უსულგულო ცენზორები. მათ აცოფებდათ მისი შინაგან თავისუფლება და მოუსყიდაობა". (ლიტ. საქართველო, 1990წ)

კ. გამსახურდია მთელი ცხოვრების მანძილზე გაურბოდა უკანადევნებულ საბჭოთა სინამდვილეს, „ხანდახან უყრიდა მწერლური პურის ნატეხებს - „ბელადს", „ვაზის ყვავილობას", ნარკვევებს - რომ ბუნებრივ სიკვდილამდე მიეღწია და ქართველი ხალხისათვის დაეტოვებინა „დიონისოს ღიმილი", „მთვარის მოტაცება", „დიდოსტატის მატჯვენა", „დავით ღმშენებელი"... (ა.ბაქრაძე)

1921 წლის ანექსიის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ ქართველ მწერლებს ერთადერთი ფუნქცია დააკისრა: შეექმნათ პროლეტარული მწერლობა და შეეფასებინათ ეპოქალური მოვლენები „მწერალი მოჯამაგირის" პოზიციებიდან. 20-იანი წლების ქართული პრესიდან თუ უახლესი ლიტერატურის ისტორიიდან კარგად ჩანს, კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც პუბლიცისტის, მწერლის და საზოგადო მოღვაწის მრწამსი, უკომპრომისო ბრძოლა მარიონეტულ მთავრობასთან. მწერლის ერთადერთი მიზანი ეროვნული მთავრობის არჩევა და სუვერენობის აღდგენა იყო. რის გამოც, როგორც რეაქციონერი, ნაციონალისტი, შოვინისტი და საბჭოთა ხელისუფლების მტრული ელემენტი 1926 წელს გადაასახლეს, ხოლო 1931 წელს პ. ინგოროყვასთან, გ. ქიქოძესთან ერთად გარიცხეს მწერალთა კავშირის რიგებიდან.

სამეცნიერო ლიტერატურაში კონსტანტინე გამსახურდიას ოციანი წლების პუბლიცისტიკა ეროვნული პოზიციებიდან არის შეფასებული. მწერალი ილია მართლის გზის გაგრძელებაში ხედავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალს, რომელსაც ღირსეული ადგილი უნდა დაეკავებინა მსოფლიო პილიტიკის რუკაზე. 1921წლის საქართველოში ახალი ნიჰილისტური ერა იწყებოდა. სოციალიზმი ქმნიდა ცხოვრების ახალ კანონს, რომლის წინაშე იღუპებონდენ ან თავს იხრიდნენ: „ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე ქედის მოხრა ქართველი პოეტის ტრადიცია არასოდეს ყოფილაო – წერდა გამსახურდია, სწორედ ამიტომ „წითელყაბალახიანი საქართველოს" ტოტალიტარულმა რეჟიმმა ქართველი მწერლების ტრაგიკული „ეპოპეა" შექმნა.

ოციანი წლების პრესასა და სალიტერატურო კრიტიკაში არასწორად გაშუქდა კ. გამსახურდიას მოქალაქეობრივი მრწამსი. მაშინდელი იარლიყები უცვლელად მეორდებოდა 30-40-იან წლებშიც. კ. გამსახურდიას და „აკადემიური ასოციაციის" ბირთვს ელასტიურობასა და სიფრთხილეში ადანაშაულებდნენ. „წითელ საქართველოსთან თანამშრომლობა", დათმობებზე წასვლა, – რაც ერთი შეხედვით შეინიშნება მის პუბლიცისტურ წერილებში, მრავალ კითხვას ბადებს ჩვენი დროების მკითხველში.

გამსახურდიას პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში შეიძლება გამოვყოთ უკომპრომისო, პოლემიკური ხასიათის წერილები და მთავრობის პოლიტიკასთან მოჩვენებითი დაახლოებისა და ერთგულების პათოსით დაწერილი, თუ სხავადსხვა დროს მწერლის ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები. საკითხი შეიძლება ასეც დაისვას თანამშრომლობდა თუ არა კ. გამსახურდია საბჭოთა

მთავრობასთან? თუ ეს ასე იყო, როგორ აიხსნება მწერლის კონფლიქტი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსეთის კაციჭამიურ პოლიტიკასთან"?

კ. გამსახურდიასთვის უცხო არ იყო სოციალიზმის ცნება, იგი მას მიაჩნდა, როგორც „ექსპერიმენტი" სოციალურ სფეროში და რეალურ შესაძლებლობად ესახებოდა. ამასთან იგი მას „კულტურის ცენტრის" (დასავლეთ ევროპის) მოვლენად მიიჩნევდა..

„სოციალისტი უბრძანებს, სოციალისტი კანონებს უწერს ცხოვრებას, კალაპოტს უჩვენებს სტიქიებს – წერდა 1921 წელს „მოზაიკებში". ძნელია იმის ფორმულიერება, თუ როგორ წარმოედგინა მწერალს მაშინ სოციალიზმი, აშკარაა, რომ შექმნილ ვითარებაში ალტერნატივა არ ჰქონდა და იძულებული იყო აერჩია საბჭოურ საქართველოსთან თანამშრომლობის გზა.

კ. გამსახურდიას პუბლიცისტიკის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ 20-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა არ იყო სწორხაზოვანი, სტრატეგიული გეგმა ტაქტიკური თვალსაზრისით მრავალგვარი იყო. ბრძოლის შეურიგებელ ხასიათს ზოგჯერ ცვლიდა მთავრობის პოლიტიკასთან მოჩვენებითი დაახლოება, რაც აუცილებელი იყო რეპრესიების შესანელებლად, თავის მხრივ მთავრობაც დაინტერესებული იყო ბრძოლაში „ტაქტიკური მანევრებით". ეს იყო ერთგვარი დიქტატორული „თამაშის წესები", რომელსაც პერიოდულად ორივე მხარე იცავდა. გამსახურდია იძულებული იყო დროდადრო მიემართა ამ ტაქტიკური სვლებისთვის და ეთანამშრომლა „წითელყაბალახიან საქართველოსთან".

როცა ჩვენ ვსაუბრობთ კ. გამსახურდიას 20-იანი წლების პუბლიცისტიკაზე და ზოგადად მწერლის მოქალაქეობრივ მრწამსზე უნდა გავიხსენოთ 1921 წლის 8 მაისის გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში" გამოქვეყნებული ღია წერილი ვლადიმერ ლენინის მისამართით.

ეს არ არის რიგითი, პუბლიცისტური წერილი, როცა სტატიის გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი საუკუნეა გასული და მსოფლიო პოლიტიკა რადიკალური ცვლილებების ფაზაში შედის, „ღია წერილს ვლადიმერ ულიანოვისადმი" ისტორიული დოკუმენტის სტატუსი ენიჭება. იგი ერთგვარი დიპლომატიური გზავნილია რუსეთის იმდროინდელი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმათული, სადაც დიპლომატისათვის დამახასიათებელი სიზუსტე და ქვეტექსტები იკითხება. ვერ ვიტყვით, რომ კ. გამსახურდია ბოლომდე რადიკალური რჩება და არ შეინიშნება ერთგვარი რბილი ტონი, თუმცა

მსოფლიო დიქტატორის მისამართით გაგზავნილ ღია წერილში, რომელმაც პირველი სოციალისტური სახელმწიფო შექმნა, დიპლომატიური სიფრთხილე აუცილებელიც კი იყო.

წერილი იწერება რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ უმწვავეს პერიოდში. ეპიგრაფად ერთვის ნაპოლეონის სიტყვები, „მომავალი თაობები განგვიკითხავენ ჩვენ". გამსახურდია, საკმაოდ მწვავედ მიმოიხილავს 1738 წლიდან მოყოლებულ რუსეთის 100 წლოვან პოლიტიკას და მის შედეგებს, რამაც საქართველო 1921 წლამდე მიიყვანა. საგულისხმოა ის მინიშნებაც, რომელსაც „საუკუნის დემონის კრახზე" და ამ კრახის მიზეზებზე აკეთებს.

ნაპოლეონი და ლენინი – ორი მსოფლიო დიქტატორი. მწერალს მიაჩნია, რომ ისტორია მოითხოვს ამ ორი მსოფლიო კაცის ერთმანეთთან დაპირისპირებას და „საუკუნის დემონთა" პოილიტიკის კრახის საერთო მიზეზებზე საუბრობს.

კორსიკელის იმპერიის მარცხს კ. გამსახურდია, სწორედ რომ ნაციონალური შტრიხებისა და ეთნიურობის უარყოფაში ხედავს. დიდ სოციალისტს ამ შეცდომის გამეორებას არ ურჩევს:

„თქვენ ამბობთ: კომუნიზმს საზღვრები არ უნდა ექნეს. ნაპოლეონი: საფარანგეთის იმპერიას იქ უნდა ექნეს საზღვრები, სადაც მზე ამოდის და ჩადის. ორივე აბსოლუტური გენიები ხართ, ორი დიდი რევოლუციისა. ნაპოლეონის მსოფლიო ისტორიული ამოცანა ორი მთავარი მუხლით ამოიწურება, ინგლისის მსოფლიო ბატონობის დამხობა და ევროპის ერთი დიდი კონფიდერაციის მსოფლიო შექმნა.

ნაპოლეონი უარყოფდა ეთნიურ შტრიხებს. ბონაპარტეს ეწადა ევროპის რადიკალიზაცია, ხოლო თქვენ როგორც ევროპის ასე აზიის. თქვენ გაცილებით რადიკალური ხართ. ამ მიზნებში თქვენ უახლოვდებით თქვენ კორსიკელ ბონაპარტეს, მაგრამ მიზნების პარალელიზმი სრულიადაც არ გავალებთ ორივე ერთი და იმავე ფატალური შეცდომის მსხვერპლი გახდეთ.

ნუთუ დღეს ყველასათვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური ნიუანსების და შტრიხების წაშლა აწი აღარ შეიძლება?" [28]

წითელი რუსეთის პოლიტიკის მხილება 1921 წლის საქართველოში დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, მაგრამ როცა საქმე ეხებოდა საქართველოს სუვერენობის საბოლოო განადგურებას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მწერლისთვის კალამი ერთადერთი იარაღი იყო.

წერილში ცხადად არის წარმოდგენილი რუსეთის პოლიტიკური გეგმა, რომელსაც ყველა XX საუკუნის დამპყრობელი ტაქტიკურად იყენებდა ანექსირებულ სახლმწიფოზე. კომუნისტური მსოფლმხედველობა არ სცნობდა სახელმწიფოებრიობის ელემენტებს. საზღვარი ერთიან საბჭოთა რუკაზე საქართველოსთვის ცალკე არ გაივლებოდა. არასლავიანური ერები ამ დიდი იმპერიის „ბრწყინვალებაში" უნდა ჩანთქმულიყვნენ. ის, რაც „ძველმა რუსეთმა" ვერ შეძლო, „ახალ რუსეთს" პროლეტარიატის სახელით უნდა განეხორციელებინა. კ. გამსახურდია მეფის რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის განხილვისას, წითელი რუსეთის მოსალოდნელ შედეგებსა და მიღწეულ მიზნებზე მიგვანიშნებს: „ძველმა რუსეთმა 1783 წელის კონტრაქტის დარღვევიდან კიდევ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელშეუხებლად დატოვა ზოგიერთი ატრიბუტი ქართული სახელმიფოებრიობისა.

დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა არმიამ მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა როგორიცაა საზღვრები, რკინიგზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად აღარ არის. დღეს ჩვენი კავკასიელი მტერ-მოყვარე კომუნისტურ ნიღაბს ქვეშ საქვეყნოდ ღაღადებენ თბილისში, ჩვენი დედაქალაქის ამიერკავკასიის რეზიდენციად და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადების საჭიროებას." [იქვე]

წერილში საქართველოს სუვერენიტეტის საბოლოო განადგურების მზაკვრულ გეგმაზეა საუბარი. ბ-ნ კონსტანტინეს დიპლომატიური ტონი უმწვავეს საკითხებზე მსჯელობისას მკაცრდება. „ქართული ენა საქართველოში აღარ არის" – სწორედ აქ ხედავდა მწერალი, სოციალისტური ფილოსოფის „კარგად გათვლილ" პოლიტიკას და დიდ სოციალისტს ნაპოლეონის სიტყვებს შეახსნებდა: „მომავალი თაობები განგვიკითხავენ ჩვენო".

მწერალს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის ერთადერთ გარანტად თვით ქართველი ერის შეგნებაში არსებული თავისუფლებისათვის მებრძოლი სული მიაჩნდა. და ამიტომაც 1921 წლის საქართველოში მიმდინარე პროცესები, როგორც ქართველ პატრიოტს არ აშინებდა: „ვინ არ იცის რომ დღეს საქართველოში უფრო მეტი კომუნსტია, ვიდრე ტფილისელი კომპარტიის რეგისტრაციაში ირიცხება, მაგრამ ისინი როგორც ქართველი პატრიოტები ვერ ითანამშრომლებენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვენერობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული". წერილის დასასრულს

ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე მწერლის უმთავრესი სათქმელი იკითხება: „ყველაფერი შეიძლება წაართვა პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს. მერწმუნეთ ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეს არ მიეღწიოს როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები* და მაკ სვინები* საქართველოს არასოდეს გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა".[28]

„გეორგიევსკის ტრაქტატი", ირაკლი მეორისა და გარსევან ჭავჭავაძის დიპლომატიური გზა ერთადერთ შესაძლებელ პოლიტიკად არის წერილში შეფასებული. როგორი იყო შედეგები? გამსახურდიას ობიექტური შეფასებით რუსეთმა საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ორბიტიდან მოიშორა და „კაციჭამიური პოლიტიკით" დამოუკიდებლობა დააკარგვინა.

კონსტანტინე გამსახურდიას წერილს, კრემლი იმავე წელლს გაზ. „პრავდა გრუზიას"(№59) ფურცლებიდან გამოეხმაურა. ვინმე ს. პ. მწერალს შოვინიზმში ადანაშაულებდა. საპასუხოდ გაზ. სოციალისტ-ფედერალისტში (1921,№62), იბეჭდება კ.გამსახურდიას სტატია სათაურით „პასუხი", რომელსაც ეპიგრაფად გიორგი მერჩულეს სიტყვები ჰქონდა წამძრვარებული: „არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების". სტატიის ეპიგრაფი რუსეთის მზაკვრული ჩანაფიქრის საპასუხო რეპლიკა იყო. პრესის ფურცლებზე გაშლილი პოლემკა, კი დიდი პოლიტიკის ნაწილი, რაც მწერალს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული: „მე შოვინიზმი კი არ მალაპარაკებს, არამედ „თქმა მართლისა სამართლისა"–წერდა მწერალი, რაც შეეხება საქართველოს საზღვრებს დამოუკიდებე აფხაზეთთთან და ასე წარმოიდგინეთ დამოუკიდებე აჭარასთან, რომელსაც გვპირდება კიდეც ს.პ. ამაზე უნდა მოგახსენოთ... აფხაზეთში დიდი უმრავლესობა ქართველობაა და მე მიკვირს, რომ თქვენ ასე ერთის დაკვრით გინდათ ამ ქართველობის ბედი გადასწყვიტოთ.

კეზმენტი* - ირლანდიელი პატრიოტი რომელიც 1917 წელს გერმანიის წყალქვეშა ნავით შეეიჭრა ირლანდიაში და აჯანყება მოაწყო. იგი სიკვდილით დასაჯეს.

მაკ სვინი* - ირლანდიის ქალაქ კორკის ლორდ მერი-რომელმაც, 1920 წელს შიმშილით თავი მოიკლა საპყრობილეში.

რაც შეეხება აჭარას, ვერც აქ გაავლებს ვინმე საზღვარს, ჩვენ მუდამ გადავალაჯებთ ისეთ ხელოვნურ საზღვრებს, რომლის გადაღმა ჩვენი სისხლი და ხორცის თანაზიარი გვეგულებიან" [28]

„ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობს ტკივილები ქართველი ხალხისა" – წერდა გამსახურდია და მთელი მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული ნააზრევი ამ სიტყვების ირგვლივ ერთიადება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერლის ეს ფრაზა 10-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი პუბლიცისტური წერილების, ლიტერატურული პორტრეტებისა თუ ესსეების ეპიგრაფია.

ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში არსებობენ საგაზეთო სტატიები თუ კრიტიკული წერილები, რომლებიც დროისა და სივრცის მიღმა რჩებიან და ჩვენი დროების საქართველოს ირეკლავენ. 1921 წლის 25 მაისს კ. გამსახურდა დაწერს „სიტყვებს ქართველი ერისადმი" და მარადიული თემის ირგვლივ გააერთიანებს ერს, რომელიც ლეთარგიულ ძილს მისცემოდა „წითელ დემონთან" ბრძოლის დასაწყისში.

„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ!" – ასეთი იყო აკაკის სამართლიანი განაჩენი და დიდი კონსტანტინეც ამავე სიტყვებით ეგებება, 1921 წლის 26 მაისს, უცხო ერის ბატონობის ქვეშ „გართხმულ ქართველობას."(კ.გ)

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტური კალამი მკაცრია და საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს დღეს, კიდევ ერთხელ დააფიქრებს მკითხველს „რა ვიყავით რა ვართ ან რა უნდა შევიქნეთ."

„ქართველი ხალხი გარყვნა დემონსტრაციებმა, ქართველი ხალხი გადაეჩვია ბრძნულ სიჩუმეს. დემოკრატიული რესპუბლიკის 3 წლის არსებობამ ერთი მავნე ჩვეულება გააღვიძა ჩვენში, ეს იყო გადაჭარბებული სიყვარული დემონსტრაციებისა და დღესასწაულებისადმი".[25]

მწერლის მოსაზრებით საქართველოს ისტორიის პოლიტიკური კრახი, ქართველი ერის წაიღში იყო მუდამ საძიებელი. ყოველი ერი თვითონ ქმნის ბედს, „ყოველი ერი ღირსია თავისი ბედისა". რას გულისხმობს კ. გამსახურდია „ბრძნულ სიჩუმეში"? უმთავრეს ღირებულებას – სიბძნეს?! რომლის არ ქონის გამო მუდამ მეზობელში ვეძებდით მავანსა და მტერს და არა ქართულ სინამდვილეში, ქართულ ტემპერამენტში. ისტორიაში არც ერთი ერი არ

დაღუპულა ისე, რომ მისი დაღუპვის მიზეზი მარტო მისი ტემპერამენტის, მისი შინაგან ძალთა განწყობილების გარეშე ყოფილიყოს საძიებელი – განმარტავს მწერალი და საქართველოს ისტორიის საბედისწერო მოვლენებს შეგვახსენებს. ძველი საქართველო, რუსეთის მუხანათური ტრაქტატით დაეცა 1801 წელს. ტრაქტატი იყო კატასრიფის შედეგი, მთავარია, რა იყო მიზეზი? „ფეოდალური საქართველოს დაღუპვის მიზეზი იყო თვით ერის წიაღში არსებული შინაგანი ენერგიის ამოწურვა და დაშრეტა" – ვკითხულობთ წერილში.

ერთი მუჭა ერი, რომელიც ოდესღაც „წითელფესვებიან ოსმალოებს" უმკლავდებოდა 1921 წლის საქართველოში ღირსი იყო თავისუფლებისა და ცხოვრებისა. ამისთვის კი - მწერლის შეფასებით - საჭირო ოყო უფრო მეტი ჩაფიქრება და შეცდომების გათვალისწინება.

ავტორი ჩვენი უახლესი ისტორიიდან იმ პერიოდს შეგვახსენებს, როდესაც ქართველი დიპლომატები არაერთხელ განდობიან „მეგობრულად" ჩვენს მტრებს. მისივე თქმით, ქართველი ინტელიგენცია არ აღმოჩნდა იმ სიმაღლეზე, რომ მას შესძლებოდა თავის თავზე აეღო ერის „ბელადობის" საპატიო მისია. მწერალს არ აკმაყოფილებს არც *„მეოცდაათე წლების"* ქართული, ახალი პატრიოტიზმი, რომელსაც 1832 წლის „უდღეური დეკლარაცია მოჰყვა." არც თერდგალეულთა საგარეო პოლიტიკა და არც შემდეგი თაობის ქართველი ახალგაზრდობის კურსი, რომელსაც მოჰყვა ეროვნული ნიჰილიზმი. ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ხალხის, ეროვნული ძალების მობილიზაცია, რომელსაც ეროვნული სახელმწიფო უნდა აეშენებინა. სწორი ორიენტაციის არქონის გამო საქართველომ ვერ დაიმკვიდრა ადგილი, თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში – დასძენს მწერალი და არასწორი პოლიტიკის მიზეზებზე დაუფარავად საუბრობს. „არსად იმდენს არ წერენ და არ ლაპარაკობენ ორიენტაციაზე რამდენსაც ჩვენში. არსად იმდენი შეცდომა არ დაუშვიათ როგორც საქართველოში."[25]

ქართულ პოლიტიკაში, ვერ შეიქმნა ისეთი სახელმწიფოებრივი წყობა და ორიენტაცია, რომელიც მეზობელი სახელმწიფოს იერიშებს მოიგერიებდა. აქედან გამომდინარე მწერალს მართებულად მიაჩნია, რომ მომავალისთვის მაინც დაჩქარებულიყო ქართველი ერის თვითცნობიერების პროცესი. მწერლის მოსაზრებით, დემოკრატული სახელმწიფოს შენების გზაზე, „ფეტიში არ უნდა იქნეს არც პარლამენტარიზმში და არც საბჭოთა სისტემაში. არცერთი იდეა ერისათვის საფრთხეს არ შეიცავს, იდეები თავისთავდ სრულად უვნებელნი არიან, საქმე ის არის თუ ვის ხელშია იდეები, ვის წინააღმდეგ მიმართული და

როგორ მოიხმარს მას ამ იდეების მატარებელი“[25]. მიუხედავად შეცდომებისა და წინაპათა გადაცდომებისა – „26 მაისს ქართველმა ერმა დიდი ჭეშმარიტება უნდა დაიმახსოვროს. ის არის ღირსი ცხოვრებისა და თავისუფლებისა, ყოველ დღე ბრძოლით ვინც შეძლებს მის მოპოვებას.”[25] სტატიის დასასრული გამოირჩევა განსაკუთრებული ემოციით, რაც სრულიად გადამდებია და დააფიქრებს მკითხველს სამერმისოდ გააკეთოს სწორი დასკვნა. „ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველ დღე ბრძოლით უნდა მოიპოვო” – ავტორი ამ სიტყვებით ერს მუდმივი სიფხიზლისა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

1923 წლის, 30 დეკემბერს, ახალი წლის მიჯნაზე, კონსტანტინე გამსახურდია გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს” ფურცლებზე ქართველი ერის წინაშე შემაჯამებელი პუბლიცისტური წერილით გამოვიდა – „ტკივილებიდან იმედებისაკენ”, ამ რეფრენით შთაგონებული მწერალი მომავლის საქართველოზე იწყებს საუბარს.

წერილმა **”ANNO 1923”,** ჩვენი აზრით, ქართულ პუბლიცისტიკაში ისტორიული ადგილი დაიმკვიდრა თავისი მსოფლმხედველობითა და პოლიტიკური მნიშვნელობით. ქვეყნისათვის ყოველი ახალი წელი, ახალი ეტაპის დასაწყისია და დიდი მწერალი, როგორც ერის გამორჩეული შვილი გულგრილად და მხოლოდ ემოციით არ ეგებება ახალ წელთა ცვლას. წერილი „გარემოებათა საყვირია”, რომელმაც მიძინებული და მთვლემარე ერი უნდა გამოაღვიძოს, მარადიული სიფხიზლისთვის განაწყოს. მხოლოდ საამაყო წარსულით ერი თავს ვერ მოიწონებს. ქვეყანამ, სახელმწიფომ განვითარებისა და წინსვლისთვის უნდა იბრძოლოს „დღეს ყოველი ერი იმით ამაყობს, რაც ის არის; არა წელთა დაზიდულობა იძლევა წონას, არამედ შემოქმედების ხელმწიფეობა.”[16,453]

გამსახურდია უარყოფდა იმ პატრიოტიზმს, რომელიც მხოლოდ წარსულს ემყარებოდა, „წარჩინებული წინაპრების მანდატით იწონებდა თავს”. მწერალი ქართული ეროვნული ცნობიერების რადიკალური შეცვლის მომხრე იყო. წერილი საზოგადოების დასაფიქრებლად არის გამიზნული. დიდი კონსტანტინე ამჯერადაც არ ღალატობს თავის მისიას და ქართველი ერს „სამშვიდობოზე” გასასვლელად ამზადებს. მკითხველსაც თანამონაწილედ ხდის წელთა ცვალებადობის მიჯნაზე - შეცვალოს ქვეყანა უკეთესისკენ. მიაჩნია, რომ

გადარჩება ის ერი, რომელსაც აქვს „მავთულის ნერვები, არწივის პერსპექტივა და მაკიაველის გონებამახვილობა".

წერილის სათაურად გამოტანილი თარიღი - „1923" ოდნავადაც არ უკარგავს მას აქტუალობას. მასში მუდმივი თანამედროვეობის განცდაა ჩადებული, რომელიც მხოლოდ დიდ კონსტანტინესდარ მოღვაწეებს ხელეწიფებოდათ.

წინააღმდეგობათა ბარიერი მაღალი იყო, მაგრამ გამსახურდია ამით თავის მართლებას სრულიად მიუღებელად მიიჩნევდა: „დაბრკოლებანი იმისთვის არსებობენ, რომ კარგი მოჯირითეების ვაჟკაცობა გამოჩნდეს-ო". დიდი კონსტანტინე ქართველებს დაფიქრებისკენ მოუწოდებს, ოღონდ „დაფიქრდეს არა იმისთვის, რომ შეჩერდეს და უკან დაიხიოს", არამედ „ვეფხვისებური ნახტომი" გააკეთოს და ღირსეული ადგილი დაიმკვირდის „უნიჭიერეს და უძლიერესთა" შორის. ქართველობამ უნდა დაინახოს „დაღუპვის და წახდომის" მიზეზები. გამსახურდიას აზრით, ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ შეცდომები და არა „განზე თითის გაშვერით" ვიმართლოთ თავი. ეს ისტორიული ხასიათის წერილი სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებითაც არის საყურადღებო. გამსახურდიას მიაჩნდა, რომ ერის ცხოვრებაში დგებოდა ჟამი, როცა შინაგანი გარდატეხა აუცილებელი იყო: „1923 წელს ჩვენ უნდა უთხრათ ჩვენს თავს, ჩვენ ამიერიდან არც ხანგადასული ქალები ვართ, რომელნიც სასიძოების მოლოდინში არიან, შინაგანი გარდატეხა გვჭირდება ჩვენ დღეს. ყოველი მორალური გარდაქმნა, მხოლოდ შინაგანი ხასიათის უნდა იყოს." [იქვე] მორალური გარდაქმნის გარდაუვალობაზე, გამსახურდია ხმამაღლა საუბრობს და „სენტიმენტალური წუწუნი" ღიმილის მომგვრელად მიაჩნია. „დიდი საფრთხე და დიდი გასაჭირი უდიდესი მასწავლებელიაო" – ამბობს ავტორი და ამაში ქართველთა იმპულსის დანახვა სურს.

კონსტანტინე გამსახიურდიას, პოლტიკური ორიენტაცია ევროპისაკენ იყო მიმართული. სურვილი ჰქონდა, თავისი ქვეყანა ეხილა ევროპის მოწინავე, განვითარებულ ქვეყნებს შორის. ამისთვის კი ერის წინსვლა და ბრძოლა იყო საჭირო. „დრო მიფრინავს" დანანებით ამბობდა გამსახურდია, – „ძველებური ქართული ურმებით ვერასოდეს ვერ მივეწევით ფეხმალ დროის პეგასებს. ერები იბრძვიან და ჰქმნიან არა მარტო მიწაზე, მიწის ქვეშ, მიწის ზევით. იმ ერს, რომელიც მხოლოდ მიწის ზედაპირზე ახერხებს ორიენტაციას, დღეს არავინ გაუტოლდება, მას არავინ გაუყადრებს თავს." [იქვე]

განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა „ქართული სულის" ფენომენზე. იგი მკაცრად აკრიტიკებდა იმ თაობებს, რომელთაც ქართველი ერის „სადავეები ეპყრათ ხელში". მწერლის აზრით, ამ თაობებმა „ქართულ მიწაზე ორიენტაცია ვერ მოახერხეს". მათ ვერ იცნეს ქართული მიწა და „უცხო მიწამ ისინი უარჰყო". ინტელიგენციამ „ვერ დაასრულა განყენებული პრინციპების დოღი". მათ ავტორი ბრალს დებს ერის „დაძველებული იდეოლოგიის კარაბადინებით წამლობის" გამო. 1923 წელი ეროვნული „დეკლარაციის" წლად აქვს წარმოჩენილი. გასული წლების შედეგები აღშფოთებას იწვევს მწერალში და ქართული საზოგადოებრივი აზრის არარსებობაზე გულისტკივილით გვამცნობს. წელთა მდინარების შედეგები ავტორს სააშკარაოზე გამოაქვს და „ხელის გულზე" გვიდებს ქართველი ერის სატკივარს: „წაქცევაზეა ქართული თეატრი, ცხოვრებას და თანადართულობას ჩამორჩა ქართული ლიტერატურა, უპატრონოა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" [16,454]

გამსახურდია, განგაშის ზარებს არისხებს ახალ, 1923 წელს და „სრული ლეთარგიული ძილიდან" გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს ერს: „სრულ ლეთარგიულ ძილშია ქართული საზოგადოებრივი აზრი. უკეთ რომ ვთქვათ, არც არსებობს ასეთი რამ დღეს საქართველოში." [იქვე]

1923 წელს დაწერილი ეს „საახალწლო წერილი" ჩვენი დროების საქართველოსაც ეხმიანება. ქართულ რეალობაში ქართველი ერის „ერადყოფნის" აუცილებლობა ასე მწვავედ ისტორიულად არასოდეს დამდგარა. დიდი კონსტანტინეს ეს სახალხო მიმართვა ჩვენმა თაობამ ახლებურად უნდა გააცნობიეროს. „ახლა ყველაფრის მოგონების დროა" – დასძენს მწერალი და წარმოთქვამს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს, აქტუალურ ფრაზას: „საქართველოს ინტელექტუალურ სტომაქს განწმენდვა უნდა! ძლიერი ბალასტია მასში... განახლება უნდა ქართულ შემოქმედებას, დაფიქრება მართებს ქართველობას. ორგანული გარადატეხა ჩვენს ეროვნულ პიროვნებას. მცირერიცხოვანი ერი ყველაზე მძაფრად გრძნობს „ერადყოფნის" ოკუმენურ მისტერიას." [16,455]

ამ ისტორიულ წერილში ერთ უბრალო მილოცვასაც ვერ ვნახავთ. იგი ქართველი ერის ახლებური ცხოვრების დასაწყებად საჭირო სასტარტო განაცხადია.

კონსტანტინე გამსახურდია კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, უმთავრეს საკითხად ქართული

ენისათვის სახელმწიფოებრივი ფუნქციის მინიჭებას მოითხოვდა. მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან მას არაერთხელ გაუკეთებია მწვავე განაცხადები, ქართველი ენის სუვერენობის შენარჩუნების შესახებ.

ქართული მწერლობა, მისი აწმყო და მომავალი გამსახურდიას პუბლიცისტიკის უმთავრეს თემათაგანია. ქართულ საზოგადოებას ყოველთვის ახასიათებდა კეთილშობილება და სიყვარული ქართული კულტურისადმი. ასეთი დამოკიდებულებით მოითხოვა ყრილობის წარმართვა 1926 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა მწერალმა.

ამ მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი გამოსვლით კონსტანტინე გამსახურდიამ ქართულ მწერლობაში არსებული იმჟამინდელი მდგომარეობის რეალური სურათი წარმოაჩინა. მისი სიტყვა აზრის თავისუფალ გამოხატვას და სადაო საკითხების გადაჭრას ემსახურება. საბჭოთა მთავრობის პირობებში მწერალი ღიად, საჯაროდ, ყოველგვარი შეფარვითი ტექსტების გარეშე საუბრობს მთავრობასა და მწერლობას შორის არსებულ გართულებულ ურთიერთობებზე.

„ჩვენ არ გამოვდიოდით, როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში. როდესაც ზარბაზნები გრიალებენ, მუზები სდუმან, მაგრამ ჩვენც გვითქვამს „სიტყვანი სავარგონი.”[17,305] მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობასა და ქართულ მწერლობას შორის არაჯანსაღი „კონტაქტის” პირობებშიც კი სათქმელი უნდა ითქვას. „ფარისევლობა იქნებოდა ქართველი მწერლის მიერ, რომ სათქმელი არ გვეთქვა”. პოეტის სახელი მათ ავალებთ „პატრიოტიზმს და კეთილშობილებას”. სიტყვით გამოსვლისას, კონსტანტინე გამსახურდია, ყურადღებას ამახვილებს, მთავრობის მხრიდან ქართველ მწერალთა ნაწილის იგნორაციის ფაქტზე. მისი გამოსვლა გამსჭვალულია პრინციპით – „უნდა გითხრათ სიმართლე”. ასეთი პოზიციის გამჟღავნება საბჭოთა ეპოქაში სრულიად სენსაციური იყო, მაგრამ მწერალი მაღალი ტრიბუნიდან სიმართლის გახმოვანებას არ ერიდებოდა. „ჩვენ იმას ვერ შევხვდებით გულდამშვიდებით, რომ სამურზაყანოში ბავშვებს ქართულად არ ასწავლიდნენ და ამაზე ვერც ვერავის მოვერიდებით. გვეკითხებიან მოგვწონთ თუ არა „წითელყაბალახიანი” საქართველო.. ჩვენ გვიყვარს საქართველო. მას ვერ გავექცევით და აქ საყვედურები გადაჭარბებულია”. [17,306]

გამსახურდია ამ სიტყვაში მნიშვნელოვან პრობლემატიკას წამოსწევს, კომუნისტები აცხადებდნენ, რომ „ქარველი მწერლები დღევანდელ სინამდვილეს

ვერ ეხებიან” და მათ არ გააჩნიათ მთავარი თემა. ამ „ბრალდებას” კონსტანტინემ ერთი ნოველით უპასუხა სახელწოდებით „ზარები გრიგალში”. ამ ნოველის გამო მწერალს სამღვდლოების მხარდაჭერა დასწამეს. „ერთხელ ვარდინმა წამომაძახა: გამსახურდია თამარ დედოფლის პარტიისაო.” ამის საპასუხოდ მწერალი ჩვეული, მისთვის დამახასიათებელი, ერისკაცის პოზიციიდან ბრძანებს: „თამარს ჩვენ ვეტრფით, როგორც უმშვენიერეს ქართველ ქალს, საქართველოს კულტურის სიმბოლოს. მე ვაპირებ დავწერო ერთი ფანტასტიკური რომანი: „საქართველო ხუთი ათასი წლის შემდეგ”. მე მინდა გამოვიყვანო საქართველო ყველაზე ძლიერი, ყველაზე მდიდარი, ყველაზე მშვენიერი და განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე არსებულ საქართველოს თოფს ვესვრი?.”[იქვე] – ასეთი პარადოქსული კითხვა გაისმა მწერალთა ყრილობაზე, რაც მიზნად ისახავდა ეროვნულობის საკითხის წინ წამოწევას. მწერალი მოითხოვდა ქართული კულტურის ჰეგემონიას საქართველოში. მოთხოვნაში თითქოს არაფერია გაუგებარი და გადაჭარბებული, მაგრამ ეს ხდება 1926 წელს, საბჭოთა საქართველოში, როცა რუსული კრემლი „თამაშის წესებს” თავად განსაზღვრავდა. ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იმჟამინდელ ქართველ მწერლებს. გამსახურდია მთავრობის მიერ გაკეთებულ სიკეთესაც ხედავს, მაგრამ არ ერიდება თქვას: „დღევანდელ საქართველოში დეფექტებსაც ვამჩნევთო.”

ყრილობაზე მწერლის მიერ წარმოთქმული სიტყვა არის კონსტრუქციული გამოსვლის შესანიშნავი ნიმუში, რომელიც ორიენტირებულია საჯარო სიმართლეზე, ფაქტებზე დაყრდნობილი რეალობის ჩვენებაზე. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს კულტურა პრიორიტეტულობას კარგავდა, რაშიც მწერალი სერიოზულ სამომავლო საფრთხეს ხედავდა: „მის შემდეგ, რაც ტფილისში არსებობს საქართველოს მთავრობის რეზიდენცია და ამიერ კავკასიის მთავრობის რეზიდენცია, აქ იმართება დიდი შეჯიბრება სხვადასხვა კულტურათა შორის”.: „ქართული კულტურა თუ ძლიერია, უნდა გამარჯვებული გამოვიდეს ამ ჭიდილიდან.”[17,307]

ეროვნული საგანძურის შენარჩუნებისა და მისი პრიორიტეტად გამოცხადების სანუკვარი სურვილი მწერალს ყრილობაზე უკან დახევის უფლებას არ აძლევს. იგი სათანადოდ იყენებს მაღალ პოლიტიკურ ტრიბუნას და წარმოადგენს ქართული მწერლობის ინტერესების უბადლო დამცველს.

უფრო ადრე, 1918 წელს, ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „ჩვენ მომავალში ეროვნული სახელმწიფო თუ გვეღირსა, უნდა მოვითხოვოთ პროტექციონიზმი ქართული სიტყვისა, ქართული წიგნისა და ქართული თეატრისა.” ამავე მოთხოვნის დაყენება უწევს მწერალს 1926 წლის ყრილობაზეც და მთავრობის მიმართ წაყენებულ პრეტენზიას ბუნებრივი კონსტრუქციული ტაქტით დავით გურამიშვილის სიტყვებით აბოლოვებს: „ორიოდე სიტყვა „გასაგონი და სავარგონი” ჩვენც გაკადროთ, ამას მტრობად ნუ ჩაგვითვლით!”. [17,308]

კონსტანტინე გამსახურდია ქართული წიგნის იმჟამინდელ სავალალო მდგომარეობას ეხება: „ქართული წიგნები ობოლი ბავშვებივით შეკუჭული არიან ვიტრინის ერთ კუთხეში”. ამ სიტყვების შემდეგ დარბაზიდან ნასროლ რეპლიცას, „თუ არ წერთ, რა გამოვცეთ!” მწერალი მყისიერად პასუხობს: „ქართული სიტყვა ენერგიას ვერ შლიდა, მე არ ვამბობ, რომ ქართული კულტურის, ენის დაუძლურება მთავრობის ბრალი იყოს”. აქ მწერალი ქართველი ინტელეგენციის „დანაშაულზე” მიუთითებს – „ქართველი კაცი, როგორც კულტურტრეგერი ძლიერ სუსტია: ქართველი ინტელიგენტი არ არის თავისი სიტყვის, თავისი ლიტერატურის, თავისი კულტურის ფანატიკოსი”.[17,307]

ქართველ ერზე ფანატიზმამდე შეყვარებული მწერალი არსებულ „გაუგებრობაში” ორივე მხარეს ადანაშაულებს: როგორც მთავრობას, ისე მწერლობას. გამსახურდია მთავრობის საქმიანობას წერა-კითხვის გავრცელებაში პოზიტიურად აფასებს: „ამ ბრძოლაში ჩვენც თქვენთან ვართ-ო.” მაგრამ იქვე დასძენს: „ქართული კულტურა დღეს არ არის ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც უნდა იყვეს-ო.” ამის მიზეზს საერთო უნდობლობაში ხედავს. „ჩვენ ერთნაირად უნდობლობით ვუცქეროდით ერთმანეთს”. ეს იყო თამამი მხილება, რასაც რადიკალური გარდატეხა უნდა მოჰყოლოდა ქართული მწერლობისა და ხელისუფლების დამოკიდებულებაში.

1926 წელს წარმოთქმული სიტყვა მთლიანად დაცლილია „საბჭოთა ჰეგემონიისათვის” დამახასიათებელი მგზნებარე პათეტიკისაგან, სადაც არ არის სუბიექტური შეხედულებებისა და თვითრეკლამის არცერთი დეტალი. საბჭოური აუდიტორიის წინაშე მდგარი ორატორი სამ გვერდიან სიტყვაში დაატევს საქართველოს მწერალთა იმჟამინდელ ტკივილებს და ხელისუფლებისათვის გასათავლისწინებელ აუცილებელ მოთხოვნებს. მწერალი საკუთარი პოზიციის ღია დაფიქსირებით გამოხატავს ეროვნული მწერლობის იმჟამინდელ მთავარ

სათქმელს. სიტყვა კონსტრუქციულობის სახეს ინარჩუნებს. ამ გამოსვლას აქვს მიზანი და არ არის ვალდებულებაზე გათვლილი პროტოკოლური მოხსენება. ხელისუფლებისადმი ერთი შეხედვით „ზომიერი" კრიტიკა სინამდვილეში მწვავეა და კარგად გათვლილი ტაქტით არის გამოხატული. საბჭოთა ხელისუფლება ასეთ გამოსვლებს სერიოზულ დაპირისპირებად განიხილავდა. გამსახურდიას ჩვეული „სითამამე" არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი.

საბჭოთა საქართველოში გამსახურდია ხედავდა საფრთხეს, რომ ქართული მწერლობა „გერად" არ ყოფილიყო მიჩნეული. ეს საშიშროება მწერალს წიგნის მაღაზიებში ქართული წიგნის მდგომარეობით აქვს ახსნილი.

დასასრულს, მწერალი საქართველოს ხელისუფლების წინაშე გამოდის სამართლიანი მოთხოვნით: „ვინაიდან, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ქაღალდებს აწერია სიტყვა „საქართველო", „საქართველოში პრიმარული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართულ სიტყვას, ქართულ წიგნს.

მე მოგახსენებთ, საქართველოში ქართული კულტურის ჰეგემონიისთვის. ეს არის ჩვენი მოთხოვნა. საქართველოს ხელისუფლება უარს არ გვეტყვის. ქართული კულტურის სიყვარულს გაემთლიანებინოს საქართველოს გარღვეული გული". [17,308]

1932 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოსცა დადგენილება ნომრით „97",

Приложение к п.21 пр. №97 от 23 апреля 1932 г.

<u>О перестройке литературно-художественных организаций</u>

1. ЦК констатирует, что за последние годы на основе значительных успехов социалистического строительства достигнут большой как количественный, так и качественный рост литературы и искусства.

Несколько лет тому назад, когда в литературе налицо было еще значительное влияние чуждых элементов, особенно оживившихся в первые годы нэпа, а кадры пролетарской литературы были еще слабы, партия всемерно помогала созданию и укреплению особых пролетарских организаций в области литературы и [других видов] искусства в целях укрепления позиций пролетарских *писателей и работников* искусства [и содействия росту кадров пролетарских писателей и художников]*.

В настоящее время, когда успели уже вырасти кадры пролетарской литетуры и искусства, выдвинулись новые писатели и художники с заводов, фабрик, колхозов, рамки существующихпролетарских литературно-художественных организаций (ВОАПП, РАПП,РАМП** и др.) становятся уже узкими и тормозят серьезный размах

[литературного и] художественного творчества.

Это обстоятельство создает опасность превращения этих 173 организаций *из средства* наибольшей мобилизации [действительно] советских писателей и художников вокруг задач социалистического строительства в средство культивирования кружковой замкнутости, отрыва [иногда] от политических задач современности и от значительных групп писателей и художников, сочувствующих социалистическому строительству [и готовых его поддержать].

Отсюда необходимость соответствующей перестройкилитературно-художественных организаций и расширения базы ихработы.

Исходя из этого, ЦК ВКП(б) постановляет:

1) ликвидировать ассоциацию пролетарских писателей (ВОАПП,РАПП);

2) объединить всех писателей, *поддерживающих платформу Советской* [стоящих за политику советской] власти и стремящихся участвовать в социалистическом строительстве, в единый союзсоветских писателей с коммунистической фракцией в нем;

3) провести аналогичное *изменение по линии других видов искусства* [объединение музыкантов, композиторов, художников,архитекторов и т.п. организаций];

4) поручить Оргбюро разработать практические меры по проведению этого решения.[78]

დადგენილება მიზნად ისახავდა შემოქმედებით სფეროზე „კანონიერ” დიქტატურას. დადგენილების შესავალშივე ნათქვამია, რომ „მოისუსტებს პროლეტარული ლიტერატურა” შეიმჩნევა „უცხო ელემენტების” გავლენა, საბჭოთა კავშირის რეჟიმი „დიადი საბჭოეთის ერთიან ძმურ ოჯახში” შემავალ ყველა სფეროში „წესრიგის დამყარებას” შეუდგა და მას წარმატებით ახორციელებდა. გაჩნდა მცნება „პროლეტარული მწერლობის კადრები”.

ისტორიულ დოკუმენტში „პროტოკოლით” ყველა „დემოკრატიული” ნიუანსი იყო გათვალისწინებული.

შემოქმედებითი სამყარო ერთ უზენაეს მიზანს „სოციალისტურ მშენებლობას” უნდა მომსახურებოდა. ეს იყო თანამედროვეობის „პოლიტიკური ამოცანა”. პოლიტბიუროს განაჩენი განხილვას და „რეფერენდუმს” არ ექვემდებარებოდა. გადაწყდა გაფართოებულიყო „მათი სამუშაო ბაზა.”

ხსენებული დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა მწერალთა ყველა დაჯგუფება, სკოლები. „სოციალისტური მშენებლობა” გამოცხადებული იყო პრიორიტეტულ მიმართულებად და შესაბამისად ყველა მწერალი „ერთიანი პლატფორმის” გარშემო უნდა გაერთიანებულიყო. დადგენილება პირდაპირ ავალებდა მწერლებს საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერას და „სოციალისტურ მშენებლობაში” მონაწილეობის მიღებას. ეს იყო „პოლიტბიუროს” „გენერალური ცვლილებები,” რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა. 1932 წლის „პოლიტბიურომ” შექმნა „მისი უდიდებულესობა” „ერთიანი საბჭოთა მწერალთა კავშირი”.

ანალოგიური ცვლილებები განხორციელდა ხელოვნების ყველა სფეროში: კომპოზიტორები, არქიტექტორები და მხატვრები ერთი მიზნის გარშემო გააერთიანეს. ამოცანა ნათელი იყო - მათ ერთად უნდა აეშენებინათ ერთიანი სოციალისტური სახელმწიფო. ამავე დადგენილებით, „ორგბიუროს” დაევალა პრაქტიკული ზომების გატარება ამ გადაწყვეტილების უპირობო შესასრულებლად.

დადგენილების მიღებიდან რამდენიმე თვეში, კონსტანტინე გამსახურდია გამოდის მწერალთა სასახლეში სიტყვით და მიღებული რეზოლუციის გამო თავის მოსაზრებას საჯაროდ აფიქსირებს. შესავლის სახით, აუდიტორიას შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „კარგად ლაპარაკი გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე კარგად წერა.” მწერალი ასეთ განმარტებას შემთხვევით არ აკეთებს. ამ სასახლეში მისივე თქმით, იგი არაერთხელ გამოსულა თავდაცვის მიზნით. „მე იმედი მაქვს, ეს იქნება უკანასკნელი ჩემი თავდაცვა.”

წარმომადგენლობით შეკრებაზე 1932 წლის 28 დეკემბერს აზრის გამოხატვის ორიგინალურ ფორმას მიმართავს და მსმენელს ქართულ ლეგენდას შეახსენებს; „როცა ლომმა თავისი დაკარგული ბოკვერი გლეხის ოჯახში იპოვა ჰკითხა – რამ დაგაჩიავა ასე, „შენ ლომის ბოკვერი ხარ თუ კატაო?” პასუხად ლომმა მიიღო: „ლომის ბოკვერი ვიყავი, მაგრამ ადამიანებმა დამაჩიავესო.”[17,309]

ამ ანალოგის მოხმობით, გამსახურდია მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს „საცოდავი ადამიანების ხელში" „დიდმა იდეებმა." მისი თქმით, მთავარი ის კი არ არის რომ „ლომი ხარ" და ეს არის შენი უპირატესობა, არამედ, ის, რომ ლომად დარჩე ნებისმიერ შემთხვევაში. „ლომის დაჩიავება" ვერანაირმა ცვლილებამ ვერ უნდა შესძლოს. ეს არის მაღალი ტრიბუნიდან გამსახურდიას მთავარი სათქმელის დედააზრი.

საბჭოთა რეჟიმში მოღვაწე მწერალი „23 აპრილის რეზოლუციის" შესაძლო პოზიტიურ შედეგებზე საუბრობს მისი სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში. არ უნდა მომხდარიყო „ფორმულის მრუდედ გაგება." მწერლის აზრით, ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

გამსახურდია ჩვეული გულახდილობით მიუთითებს იმ „მავნე პოლიტიკაზე", რომელმაც საქართველოში პატივი აჰყარა ქართულ სიტყვას. მიღებული რეზოლუციის ფონზე, მწერალს სურს ჩვენში არსებული პრობლემების მხილების გზით, მივიღოთ ის პოზიტიური შედეგი, რაც ქართული მწერლობის ინტერესების სამსახურში იქნება. გასათვალისწინებელია, რომ პოლიტბიუროს ხსენებული დადგენილება განსჯის საგანი ვერ გახდებოდა და მას უპირობო შესრულების „მექანიზმი" იცავდა. მწერალს ეს რეალობა ზედმიწევნით კარგად აქვს გააზრებული. ამიტომ, გონიერ ადამიანს, „ზემოდან" წამოსული გენერალური „დავალება" ქართულ მწერლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელ საშუალებად უნდა გამოეყენებინა.

მწერალი პატრიოტული ტონალობით კი არ გმობს „კაბალურ დადგენილებას", არამედ, ქართველი მწერლების გამოფხიზლებით ცდილობს არსებული რეალობის შუქ-ჩრდილები გამოამზეუროს. ამით იგი „დაჩიავებული ლომის ბოკვერის" გადარჩენისკენ მოუწოდებს კოლეგებს. მისი აზრით, ეროვნული ცნობიერების ჩაკვლას ვერ გამოიწვევდა პოლიტბიუროს ახალი გადაწყვეტილება. ქართული ეროვნული მწერლობის გაძლიერება და განვითარება თვით ქართველთა ცნობიერებით უნდა ყოფილიყო მიღწეული. მათი მზაობა ნებისმიერი ახალი, თუნდაც თავსმოხვეული ცვლილებებისთვის უნდა ემყარებოდეს შინაგან ძლიერებას. მწერალთა კავშირი, რომელიც ხელისუფლებისგან ფინანსდებოდა, მისივე თქმით, არ უნდა გადაქცეულიყო „მჩქმეტავ ორგანოდ".

მწერალი შიგნით არსებული რეალობისათვის თვალის გასწორებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე პოლიტბიუროს მიერ დეკლარირებულ პარტიულ გარდაქმნებს. „გადაათვალიერეთ ჩვენი თეატრის პროგრამა, თქვენ ნახავთ, რომ აქ თარგმნილი ნაწარმოებები მეტია, ვიდრე ორიგინალური".. [17,311]

მას არ მიაჩნია, რომ რეზოლუციით ვინმეს წერა და შემოქმედება აეკრძალა. სახელისუფლებო ზეწოლის პირობებში მწერლის შემოქმედებითი პასუხისმგებლობა უნდა გაზრდილიყო და „შინაგანი გარდაქმნები" უნდა ყოფილიყო საპასუხო ნაბიჯი.

„საბჭოთა მწერალთა კავშირის" შექმნის გადაწყვეტილება გამსახურდიას დიდ ტრაგედიად სულაც არ მიაჩნია. მწერალთა ახალ „კავშირში" საყოველთაო გაერთიანება ვერანაირ შეზღუდვას ვერ დაუწესებს „ლომის ბოკვერს", თუ ის მართლა „ლომის ბოკვერია". მწერალი არ აპირებს გადადოს კალამი და მიეცეს ნიჰილიზმს. იგი გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს ხედავს „ღვინისმიერ კავშირში" და საილუსტრაციოდ მოჰყავს გერმანულ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი „ახალი საქართველო," სადაც ქართველი მწერლების ქეიფია აღწერილი და „ლოთების კარნავალთან" არის შედარებული: „ხშირად ჩამოდიან ჩვენში სტუმრები და რომ ჩამოვლენ, ნავთლუღში დახვდებიან ჩვენი მწერლები და შემდეგ ქეიფობენ. უნდა მოისპოს ღვინისმიერი კავშირი."[17,410]

პოლიტბიუროს მიერ ნაკარნახევი გარდაქმნის პარალელურად კოლეგებს ვითარების ქართულად „გარდაქმნას" სთავაზობს. „მე არავის არ ვეფერები" ბრძანებს კონსტანტინე გამსახურდია და მიუთითებს, რომ „პროლეტარულ მწერლობაშიც მოიპოვება არაერთი ნიჭიერი კრიტიკოსი." აქ კარგად ჩანს მწერლის პოზიცია ხსენებულ „დადგენილებასთან" დაკავშირებით. მას საილუსტრაციოდ თავისივე ლიტერატურული პრაქტიკა მოჰყავს. 1925 წელს მან გამოაქვეყნა „დიონისოს ღიმილი." „ეს მოფიქრებული მქონდა ოქტომბრის რევოლუციამდე". ამით მწერალი განმარტავს, რომ მისი შინაარსი არ არის სოციალისტური და რევოლუციური, მაგრამ დაბეჭდილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. მიუხედავად, ამ თემასთან დაკავშირებით ატეხილი ცნობილი აურზაურისა, მისივე თქმით, „სერიოზული კრიტიკა არ შეხებია." პირადი მაგალითის ჩვენებით მან მწერლებს ფაქტობრივად, შეახსენა, რომ ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია გენიალური ნაწარმოებების შექმნა. სწორად გათვლილი პოლიტიკით, ყველა „ცვლილების" გამოყენება შეიძლება ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ.

ამ საჯარო გამოსვლაში კონსტანტინე გამსახურდია ქართულ სინამდვილეში არსებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემას განიხილავს. ეს არის აფხაზეთის საკითხი. იგი ეხება ყველაზე მტკივნეულ თემას – ქართული ენის საკითხს აფხაზეთში. „მე დიდედიდან აფხაზის სისხლი მაქვს, მიყვარს აფხაზები და გმირებიც მყავს აფხაზები, მაგრამ ამას გარდა ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ აფხაზი, ჩერქეზი, ოსი ჩვენი მკვიდრი ძმები არიან."[17,312] გამსახურდიამ ამავე ყრილობაზე საჯაროდ გააკრიტიკა მეგრული წარმოშობის ორი გამომსვლელი, რომელთაც აფხაზეთის სახელით რუსულ ენაზე ისაუბრეს: „რაშია საქმე? აფხაზები არიან ესენი თუ ვინ არიან?" გამსახურიას სამართლიანი, ობიექტური კრიტიკა ეროვნულ ნიშანს არ სცილდება და არაფერი აქვს საერთო სუბიექტივიზმთან...

ქართველი კოლეგების და ხელისუფლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას მწერალი ბოლომდე ინარჩუნებს ობიექტურობას. მოსალოდნელი „საბჭოთა საფრთხის" გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ალტერნატიული ქმედებებისაკენ მოუწოდებს შემოქმედებით ინტელიგენციას. ამ მიზანს და ამ ჩანაფიქრს ემსახურება მაღალი ტრიბუნიდან ნათქვამი მწერლის სიტყვები: „მე არავის ვებრძვი!" „მე არავის არ ვეფერები!"

სიტყვის დასასრულს, კონსტანტინე გამსახურდია მიმდინარე ეპოქის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საუბრობს. იგი მიიჩნევს, რომ „23 აპრილი რეზოლუცია ხელს არ უშლის ქართულ მწერლობას განვითარდეს, მას შეუძლია სასიკეთოდ გამოიყენოს „ცვლილება" და საკუთარ თავში ეძებოს არსებული ნაკლოვანებების მიზეზები. თავად ქართველობა გაუფრთხილდეს მის მთავარ საგანძურს – ქართულ ენას. მწერლის აზრით, ხელისუფლებების გადაწყვეტილებები კი არ ანგრევს ეროვნულობას, არამედ „ეროვნული ძირის" დასუსტება იწვევს უკუშედეგებს: „ჩვენ ვუყრით საფუძველს ქართულ კულტურას, ქართულ ეკონომიკას და საჭიროა ფრთხილად მოვექცეთ ქართულ ენას, ქართულ კულტურას, 23 აპრილის დადგენილება ჩვენ საშუალებას გვაძლევს ამისას". [17,312]

1932 წლის 23 აპრილის რეზოლუციით თითქოს აღსდგა ნორმალური სიტუაცია და დასაბამი მიეცა ახალ ურთიერთობებს, ნამდვილად კი მაქსიმალურად დაითრგუნა შემოქმედებითი სული. ტერორმა და რეპრესიებმა ქართული ინტელიგენცია გადააჩვია თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე ფიქრს. კ. გამსახურდიამ ნამდვილი ომი გადაიხადა „რაპპელებისა" და მათი

რეციდივების წინააღმდეგ, საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის, ეთნიკური მრწამსის, მოქალაქეობრივი პოზიციის დასაცავად.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში – კულტურულ, შემოქმედებით მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართველ მწერლებს უნდა გაეორკეცებინათ კულტურული საქმიანობა, რადგან როგორც კონსტანტინე ამბობდა - მოუსვენარი დემონის ეპოქაში არცერთი იარაღი არაა ისე სანდო და უცილო, როგორც კულტურული: „ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო ოჯახში მუდამ ჟამს ჩვენს კულტურულ უპირატესობათ უნდა დაეყრდნოს, რადგან ყველა კოსმიურ ელემენტებს შორის უმკვიდრესი სუბსტანცი ეს ინდივიდუმისა და ერის სული გახლავთო” - წერდა გამსაურდა „მეტაფიზიკოსის დღიურებში”.

კონსტანტინე გამსახურდია არ კმაყოფილდებოდა კულტურის „საალყო წესებით” და გმობდა მწერალი მოჯამაგირის პოზიციას. უკომპრომისოდ იბრძოდა პრესაში, დისპუტებზე მწერალთა კავშირის სხდომებზე ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად. აკრიტიკებდა მწერალთა კავშირის მუშაობას, მწერალთა გამალებულ სწრაფვას აპარატისკენ. მოითხოვდა ისეთი კავშირის შექმნას, სადაც თანასწორუფლებიანობის პრინციპი იქნებოდა დაცული.

დიდი კონსტანტინე დიდი ლიტერატურის შექმნის მხარდამჭერი იყო. ყველაფერ დანარჩენს „ხილის სახვევ მაკულატურას” უწოდებდა. მისი აზრით, XX საუკუნის 30-იან წლებში ქართული მწერლობა მავნებლურ ტენდენციებს ამჟღავნებდა: „ერთნი თავიანთი უვიცობით და ეპიგონური ბუნების წყალობით მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის იდეური რეციდივებით ჰკვებავენ დღევანდელ მწერლობას. აქაც გამოირკვა, ბარე ორ „წამყვან” მწერალს უკან მიჰყავს ლიტერატურა. ხოლო მეორენი, უფრო უკულტურო და უნიჭონი ცდილობენ რუსეთის ლიტერატურის ბრმა მიმბაძველობით ქართული დუბლიკატების შექმნას.”[17,365]

მწერლის მოსაზრებით ისინი ვინც „ინტერნაციონალური კულტურის” შექმნის დევიზით გამოდიოდნენ სინამდვილეში უკან-უკან მიჰყავდათ მწერლობა. „ჩვენ ორიგინალური სიტყვა უნად ვუთხრათ, როგორც ჩვენს კავშირს, ისე მთელ ქვეყანას.” მწერალთა კავშირის ყრილობებზე იგი არაერთხელ გამოსულა ქართული ნაციონალური ლიტერატურის შექმნის მოთხოვნით. „მაღალა ავსწიოთ ქართული კულტურის დროშა” – ამ სიტყვებით მიმართა მწერალმა 1937 წელს ქართველ ინტელიგენციას და მოითხოვა ქართული ლიტერატურის მსოფლიო

ასპარეზზე გასვლის საკითხი, მწერალთა კავშირს, უმთავრეს მიზნად გაეხადა. „ქართველმა ხალხმა მსოფლიოს მისცა ძველი საქართველოს უბრწყინვალესი პოეტი რუსთაველი, რომელიც ჩვენი ხელისუფლების წყალობით დღეს ან ხვალ გამოვა მსოფლიო ასპარეზზე. ეს გვავალებს ყოველ ჩვენგანს, ჩვენს შეცდომებზე ავმაღლდეთ და უფრო მაღლა ავწიოთ ახალი, ქართული კულტურის დროშა.“ [17,374]

ბ-ნ კონსტანტინეს ლიტერატურა წარმოედგინა როგორც რჩეული ვაჟკაცების და რჩეული ცხენების დოღი, სადაც გამარჯვებული მხოლოდ ღირსეული უნდა გამხდარიყო. ასე თუ გავიდოდა ფონს ქართული წიგნი, ქართული ლიტერატურა. მწერალთა კავშირი, კრიტიკოსთა მოსყიდვით, ემსგავსებოდა ხელმარჯვეთა და ძლიერთა კავშირს „სუსტთა და უმწეოთა წინააღმდეგ.” მწერლის შეფასებით, სწორედ აქ იყო ბოროტებისა და ამაოების ბაზარი, რაც უნდა დაძლეულიყო.

„არც ერთი ქართული წიგნი თანამედროვე ქართველი მწერლისა ჯერ უცხოეთის ბაზარზე არ გამოსულა.” აცხადებს გამსახურდია, 1937 წელს წარმოთქმულ სიტყვაში და ამის მიზეზად „მწერალთა ბედოვლათობა” მიაჩნია. საკავშირო მწერალთა კავშირი მხოლოდ მოსკოველ მწერალთა მომსახურებას ეწეოდა. მწერალთა კავშირი ვერ ახერხებდა ქართული მწერლობა დაეყენებინა საკავშირო მწერლობის ყურადღების ცენტრში. ამის მიზეზად გამსახურდია არაერთ ფაქტორს ასახელებს: „ერთი და იგივე პირები დაჯირითობენ ტფილისსა და მოსკოვს შორის, მათი დამსახურებით „აქ ნათქვამი იქამდის ვერ აღწევს.” [17,367] დაუფარავად აცხადებდა, რომ „რაპპისა” და ტროცკიზმის სადისტურმა ლიტ. პოლიტიკამ წაშალა ხელოვნების ფორმები, გამოიწვია ჟანრების აღრევა. საბჭოთა წყობილებისა და რეჟიმის პირობებში ასეთი თამამი, ეროვნულობის ნიშნით გამორჩეული მწვავე გამოსვლა ისტორიული მნიშვნელობის დატვირთვას იძენდა.

მწერალი უმკაცრეს და ამავე დროს სამართლიან შეფასებას აძლევს თანამედროვე რომანებსა და ნოველებს: „საქართველოში უარესი ხდება, ყოველ მემუარს „რომანს” უწოდებენ.” არსებული ვითარების გათვალისწინებით, მას აუცილებელ პირობად მიაჩნია „კვალიფიკაციისა და ხარისხის მანდატი” მოეთხოვათ მწერლისთვის. სურდა, რომ ქართული კულტურის დონე ღირსეულ სიმაღლეზე ეხილა. ეს მოთხოვნა ეპოქამ მოიტანა და ბუნებრივია პატრიოტი მწერალი ეროვნულ ღირსებას განუხრელად დაიცავდა; „გაკოტრებული

აზნაურივით ყოველთვის სხვისგან კი არ უნდა ვინათხოვროთ და ვისესხოთ, არამედ სხვასაც ვასესხოთ და სხვასაც მივცეთ.” [17,368] გამსახურდია დადებიდათ აფასებდა იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ ქართული მუსიკა და ხალხური სიმღერა საბჭოთა კავშირში გაიტანა და ხელისუფების წინაშე აყენებდა ახალ მოთხოვნას: „საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო ბაზარზე გავიტანოთ ჩვენი კულტურის არტილერია, ჩვენი პროზა.”

კონსტანტინე გამსახურდია გვევლინება ქართული კულტურის გზამკვლევად მსოფლიოში. „დიდი ლიტერატურა შეუძლებელია დიდი სტილის პროზის გარეშეო” – წერდა მწერალი და მიაჩნდა, რომ მასებზე უდიდესი ზეგავლენის მოხდენა მხოლოდ პროზას შეეძლო. აკრიტიკებდა საქართველოს მწერალთა კავშირს, რომელიც ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა პროზას. ჟანრების გადაგვარების მიზეზად მწერალი, როგორც აღვნიშნეთ, ტროცკისტული და „რაპპული” კრიტიკის ჰეგემონიას ასახელებდა. შედეგად მისივე აზრით, „გაჩნდა აუარებელი ლიტერატურული სუროგატი, რომელსაც ჩვენი რედაქტორები ბეჭდავდნენ.”

გამსახურდია დიდ ყურადღებას უთმობდა ნიჭიერი მწერლების გამოვლენას და მათთვის გზის გაკაფვას. თუმცა, მოურიდებლად ამხელდა დამწყებ მწერლებს, რომელთაც „ტომები ხურჯინებივით” მოჰქონდათ რედაქციებში. რედაქტორებს სამართლიანობისაკენ მოუწოდებდა „ჯერ უნიჭოების გამომზეურებისთვის არავინ ჩამოუხრჩვიათ არც ჩვენში და არც სხვაგან-ო.” ლიტერატურული ესთეტის პოზიციიდან, ქართული მწერლობის მაღალი ხარისხის მიღწევის მოსურნე იყო. ბუნებრივია მომავალი თაობების განვითარება დაეფუძნებოდა იმ საგანძურს, რასაც ქართული მწერლობა შექმნიდა. ამიტომაც, ბ-ნ კონსტანტინე მიყურადებული იყო ქართული კულტურის ხვალინდელ დღეზე.

გამოსვლის დასასრულს, (1937წელს) დიდი მწერალი, მიმართავს კოლეგებს: „საგარეო და საშინაო მტერი საერთო ძალით დასაძლევია. ჩვენს შეცდომებზე ავმაღლდეთ და უფრო მაღლა ავწიოთ ქართული კულტურის დროშა და სახელი.”[17,374] კონსტანტინე გამსახურდია ნათლად ხედავდა, რომ „წითელყაბალახიანი საქართველოს“ პოლიტიკა მხოლოდ უბედურების სათავე ხდებოდა, საჭიროდ მიაჩნდა კულტურული ბრძოლა, ეროვნული სულის გადარჩენისათვის. მის შემოქმედებაში, ესსეებში, პუბლიცისტიკაში უპირველეს ადგილზე დადგა სამშობლო. მან დროულად იგრძნო აპოკალიფსური

კატასტროფის მოახლოება. მწერლის ტრიბუნიდან თუ საგაზეთო პუბლიკაციებიდან ააშკარავებდა საბჭოთა წყობილების ნამდვილ სახეს. მას ებრძოდნენ. კონსტანტინეს ნააზრევს საპირისპირო მიმართულებასაც აძლევდნენ. მისთვის მიუღებელი იყო ბოლშევიკების ავანტიურა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და მწერლის ობიექტური კალმით ებრძოდა მათი პროგრამის განხორციელებას.

XX საუკუნის ოციანი წლების ქართულ პოლიტიკაში თავი იჩინა სეპარატიზმის პრობლემამ. 1919 წელს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს განუყოფელ კუთხეს აჭარას ავტონომია მიანიჭა. კონსტანტინე გამსახურდია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ე.წ. „აჭარისტანის" დამოუკიდებლობას. ერთი წლით ადრე, 1918 წელს იგი იარაღით ხელში იცავდა აჭარას თურქ ასკერთა შემოსევისაგან. რუსული, შორს გამიზნული პოლიტიკის წყალობით, საქართველოს ანექსიის პირველსავე დღეებში ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა ასეთი ავტონომიებით ქმნიდა მტკიცე დასაყრდენს ანექსირებულ ქვეყანაში.

1921 წელს გაზეთ „სოცალისტ-ფედერალისტში" აქვეყნებს სტატიას: „ძმები ხართ თუ მტრები?" გაზეთის ფურცლებზე ვკითხულობ: „სამკაოდ უტაქტოდ დაწერილი რუსული „მემორანდუმი" გადავიკითხე და აღმოვაჩინე, რომ აჭარა თითქოს ჩვენი მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს. რომელსაც შემოსვლა უნდა რესპუბლიკის შემადგენლობაში. მემორანდუმში ერთი სიტყვაც არაა ნახსენები, რომ როგორც საქართველოში, ისე აჭარაში სახელმწიფოებრივი ენა ქართული უნდა იქნას." [32] მწერალმა უდიდესი ეროვნული საფრთხე დაინახა რუსეთის ამ პროვოკაციულ ქმედებაში და ერისკაცის ეროვნულმა თავმოყვარეობამაც არ დააყოვნა მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რეპრესიული „მანქანა" სრული სიმძლავრით მოქმედებდა. გამსახურდია რუსეთის ფარისევლურ პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებს. „რას ემყარება აჭარის ავტონომისტების „მემორანდუმი?" – სამართლიან კითხვას სვამს მწერალი. ამ საბედისწერო ფაქტის ახსნას გამსახურდია რელიგიოზურ მომენტზე დაყრდნობით ცდილობს. მისთვის გაუგებარი და მიუღებელი სინამდვილის წარმოჩენით სურს, მიიღოს პასუხი, რომელიც ახსნას მოუძებნის ამ „პარტიკულარულ ტენდენციას." მწერლის შეურიგებელი დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიებად დაქუცმაცების მიმართ, მის არაერთ წერილსა და პუბლიკაციაში გამოჩნდა. ბუნებრივია მწერლის ტრიბუნა საბჭოთა

საქართველოში არ იყო თავისუფალი: „ვინც ჩვენთან ყოფნას სხვასთან ყოფნას არჩევს, ვინც ძმობას სხვის ყმობას არჩევს, ის ჩვენი მტერი იქნება” - წერდა მწერალი.[იქვე] კონსტანტინე გამსახურდიასთვის აკრძალული თემები არ არსებობდა, თუმცა ის არასდროს არ გადადიოდა იმ ზღვარს, რასაც კრიტიკის ეთიკა ითვალისწინებდა.

მწერლის ეროვნული მსოფლმხედველობა ეფუძნებოდა საქართველოს ისტორიულ ფუნდამენტს. „არავის დაავიწყდეს რომ დედა საქართველოს აქვს იგივე ბუნებრივი უფლება დედისა, როელიც მედეას ჰქონდა. თავისი შვილების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გადაწყვეტის დროს მინიჭებული.” [32]

თუ თვალსა გადავავლებთ XX საუკუნს 20-იანი წლების ბეჭდვით მედიას დავინახავთ, რომ იქ სრულიად ანალოგიური XXI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური სიტუაციაა აღწერილი. ქართველი პუბლიცისტების მთავარი თემები იყო აფხაზეთი და იქ არსებული სეპარატიზმი. გამსახურდია მწვავედ აკრიტიკებდა აფხაზეთის ავტონომიური კომისარიატის შექმნას. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა” იყო შედეგი რუსეთის კარგად გათვლილი პოლიტიკისა.

1925 წელს სამეგრელოს სკოლებში ბავშვებს მეგრულ ენას ასწავლიდნენ და ზუგდიდის მაზრაში მეგრულენოვანი გაზეთიც კი გამოდიოდა. მეგრული ენის პროპაგანდას სათავეში ედგა ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანი, რომელიც პირდაპირ მითითებებს რუსეთიდან იღებდა. რუსული სეპარატისტული პოლიტიკის დამანგრეველ, ეროვნულობის სალიკვიდაციო გეგმას, მწერალი ეროვნულ სიფხიზლეს უპირისპირებდა. 1932 წელს ამ ფაქტთან დაკავშირებით, მწერალთა კავშირის ყრილობაზე მკაცრ განაცხადს აკეთებს: „ამხანაგ ჟვანიას მოქმედება „ყაზახიშ გაზეთის” ირგვლივ პირდაპირ კურიოზამდე მიდის. ის შეგნებულად გვერდს უვლის ქართულ ენას, მას უნდა ქართული ენის საზღვარი ხობი გახადოს. მე ჯვარში გახლდით. იქიდან ჩამოვიარე და არ შემხვედრია ერთი მეგრელი, რომელსაც ჩემი ქართული არ გაეგოს”[17,312] კონსტანტინე გამსახურდიას ჩარევით სამეგრელოში აიკრძალა მეგრულენოვანი გაზეთის გამოსვლა. ამის გამო მწერალმა არაერთი დაუმსახურებელი უმადური პასუხი მიიღო. მას „ქართველ ფაშისტსა” და „შავრაზმელ მეგრელს” უწოდებდნენ.

კ. გამსახურდიას 20–30-იანი წლების პუბლისტურ კრიტიკულ წერილებში აისახა ქვეყნის პოლიტიკური სინამდვილე. მწერლის ამ პერიოდის საგაზეთო

წერილები საქართველოს ისტორიის მატიანეა, თავისებური ქრონიკა, რომელიც გვეხმარება სინამდვილის კანონზომიერების ცნობაში.

ჯერ კიდევ 1917 წელს გამსახურდია გაზეთ „სახალხო საქმეში" იტყვის:

„დიდი სახელმწიფოები მხოლოდ დარღვევისა და დაშლის უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთი მცირე ერების ძალად მომწყვდევას, რომელთაც საკმაოდ ძლიერი კულტურული ტრადიციების გარდა სრულიად თავისებური ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეპოებათ". [14,2]

სხვა ერების თავისუფლება რუსულის პოლიტიკისათვის მიუღებელი იყო. აქედან გამომდინარე, გამსახურდია დაასკვნის: „ძველი რუსეთის უვარგისმა პოლიტიკამ დააყენა პოლონელები სეპარატიზმის გზაზე, რადგან რუსეთმა ვერ იწამა პოლონელი ერის თავისუფალი კულტურული თანამშრომლობა".[იქვე]

გამსახურდია აკრიტიკებდა რუსეთის „უვარგის პოლიტიკას" და მას რეალობისგან სრულიად მოწყვეტილად მიიჩნევდა. 1917 წლის საგაზეთო პუბლიკაციაში ავტორი ჩვენს ყურადღებას დოქტორ პელპიუსის სიტყვებს მიაპყრობს, რომელიც სიტყვით 1915 წელს რაიხსტაგში გამოვიდა: „ჩვენ სინამდვილეზე თვალს ვერ ავიხვევთ. გერმანიისა და რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს შორის ბინადრობს მთელი რიგი ისეთი ერებისა, რომელნიც საკმაოდ მაღალი კულტურის საფეხურზე დგანან. საკმაოდ ფესვმაგარი ნაციონალური იდეების მატარებლები არიან."[14,3] მწერლის მოსაზრებით რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ნებისმიერი ერს თვითგანვითარებისა და დამოუკიდებლობის უფლება უნდა ჰქონოდა. რეალობა კი სხვაგვარი იყო „ძველი რუსეთი, არარუს ერებს უყრიდა ბორკილებს. იმას კი ვერ ჰხედავდა რომ ამ გზით თვითვე ძირს უთხრიდა იმ შენობას, რომლის განმკვრივებისთვისაც ეგზომ მოწადინებული იყო". [იქვე]

„ველიკორუსების" ინიციატივით აგებული რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურა მშვენივრად დაახასიათა ერთმა გერმანელმა პროფესორმა მოკლე საგაზეთო წერილში: „ამ ვებერთელა ტერიტორიის ცენტრსა და განაპირებს თითქმის არაფერი აერთებს ტლანქი უხეში ძალის მეტი. პოლონეთში რუსულ სტილზე და რუსულ კულტურაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხოლო კავკასიაში „მოსკოვიტელებმა" ისდა მოახერხეს მათრახებისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის შემწეობით, აქა-იქ რუსული ჟარგონი შემოიღეს და თავლწარმტაც, წერწეტ ქართულ ტაძრებს ხახვის თავისებური გუმბათი წამოადგეს."[14,4]

ძველი და ახლი რუსეთის მთავრობა, საქართველოში, თვითდამკვიდრების უტიფარ პოლიტიკას აწარმოებდა. ქართველი მწერალი არ ცნობდა გაბატონებული ერების პრინციპებს. მისთვის, როგორც ერისკაცისთვის ეროვნული თავისუფლება, თავის თავში მოიცავდა ნაციონალური იდეალების ხორცშესხმას და მის მუდმივ განვითარებას. „დიდი და პატარა სახელმწიფოების" განზოგადება დიდ და პატარა ერებად, გამსახურდიას, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა. ეროვნული თვითშეგნების გზა ყველაზე მართებული გზა იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების რთულ პროცესში.

ბუნებრივია, მწერალი ვერასდროს შეეგუებოდა „ველიკორუსული" პოლიტიკის მიზანმიმართულ გეგმას. ჯერ კიდევ XX საკუნის 10-იან წლებში გრძნობდა აპოკალიფსური კატასტროფის მოახლოებას, რაც მცირე ერების დეგრადაციითა და საბოლოო განადგურებით დამთავრდებოდა. რუსეთის პოლიტიკის სოციალისტ მეთაურებს მოუწოდებდა ,არა რუსი ერების მიმართ წარმოებული „კაბალური" პოლიტიკური გეზი შეეცვალათ. „თუ არა რუსი ერებისადმი მიმართულმა პოლიტიკამ გეზი არ იცვალა, ნურავინ გაიოცებს, თუ უფლება აყრილმა ერმა, ციხის გალავნის გარეშე მდგომთა მოკავშირეობა არ ითაკილოს თავიანთი ეროვნული არსებობის უზრუნველსაყოფად. – ვკითხულობთ სტატიის დასასრულს. „სახალხო საქმეში"

დიდი მწერალი, პუბლიცისტის, ობიექტური კალმით იბრძოდა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ. საქართველოს ანექსიის დღიდან სიცოცხლის მიწურულამდე „ოპოზიციონერად დარჩა". დრო და დრო, შესაბამისად სინამდვილისა, ბრძოლის ტაქტიკას ცვლიდა, ამ პოლიტიკაზე იდგა ზეპირ თუ წერილობით დისკუსიებში, მისი მოღვაწეობის მანძილზე არ ყოფილა ქართველი ხალხის ცხოვრებაში არცერთი ისეთი მნიშვნელოვანი კულტურულ-ლიტერატურული და პოლიტიკურ საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენა, რომელსაც მწერალი პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ გამოხმაურებოდა თავისი ავტორიტეტული, გაბედული და ორატორული სიტყვით.

კონსტანტინე გამსაურდიას ესსე და ევროპული მოდერნისტული სკოლების ესთეტიკური პრინციპები

ესსე, ლირიკას ჰგავს, იგი უნდა განიცადო – „საგანი ისეთად უნდა აღწერო, როგორსაც იმ წუთში ხედავ" – წერდა მონტენი, XVI საუკუნის ფრანგი მოაზროვნე – ესსეს ჟანრის ფუძემდებელი.

„ვაჩვენებ არა იმას რაც სარწმუნოა, არამედ იმას რაც მწამს". ესსეისტი ისე ხატავს ყოველივეს, როგორც თვითონ აღიქვამს." მიშელ მონტენის ესსეს პირველი წიგნი, 1580 წელს გამოვიდა. წიგნის ბოლოსიტყვაში ფ. კოგან-ბერნშტეინი წერს :„Опыты Монтеня представляют собой произведение особого родаб не имеющее ничего обшего со специальным филологическими трактататом или сочинением на определенную социально-политическую тему. Избраанный Монтенем жанр является литературным новшеством и давал Монтену возможность совершенно свободно и непринуженна излагать свои мысли по лювому поводу" [75,413]

ესსეი წარმოადგენს ფიქრებისა და შთაბეჭდილებების, ჩანახატების, ციტატების თავისუფალ შერწყმას. მონტენის მიერ შერჩეული ჟანრი იყო ლიტერატურული სიახლე. იგი შესაძლებლობას აძლევდა ავტორს, სავსებით თავისუფლად და ძალდაუტანებლად გადმოეცა თავისი აზრი.

ფრენსის ბეკონმა აღნიშნა რომ, ესსე ახალი სიტყვაა, მაგრამ ძველი მოვლენა და მართლაც ესსეისტური სტილი და ესსეისტური თემა პლატონის დიალოგებში აისახა. პლატონის დიალოგებში ავტორი განიხილავს ამა თუ იმ ცნებას ან საგანს, გამოთქვამს აზრს, ეპაექრება თავის თავს და ეს განსჯა კი არ სრულდება, არამედ წყდება, რათა ავტორი ახალი თემის განსჯას შეუდგეს.

იქ, სადაც პირველ პლანზე ავტორის პიროვნება დგას და საგანზე მსჯელობისას ავტორი ინდივიდუალური „მეს" გამოვლენას ახდენს, უკვე ნათლად შეიძლება ესსეს ჩანასახის დანახვა.

რა არის ესსე - ლიტერატურული ჟანრი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს თანამედროვე ლიტერატურაშიც.?!

ესსე - ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის ჟანრია (essai ნიშნავს –ცდას, ნარკვევს) მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებს, სადაც გადმოცემულია ავტორის ინდივიდუალური შეხედულება, სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხზე.

ესსე შინაგანი სტრუქტურით ერთიანია, ესსეს ორიგინალურობას სწორედ მისი სტილი განსაზღვრავს. ესსე არის საშუალო ზომის თხზულება, რომელიც მსუბუქად და ზედაპირულად ეხება თემას.

ესსე, უჩვეულო სისტემაში მოყვანილი ნაწარმოებია. მას ხშირად ფილოსოფიური, ბიოგრაფიული, პუბლიცისტური ხასათი აქვს.

ესსეში თხრობა არათანმიმდევრულია, არამწყობრი სტილის მქონე. ბევრია ასოციაციური მსჯელობა, მას ყველაზე ნაკლებად ესაჭიროება გრძელი სიტყვები, მისი წარმმართველი პრინციპი არის ის, რომ სიამოვნება მოგანიჭოს.

ვირჯინია ვულფი, ცნობილი მწერალი და ესსეისტი წერდა:

„მხოლოდ სიამოვნების განცდის სურვილი გადმოგაღებინებს წიგნს თაროდან. ესსეში ყველაფერი ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. პირველი სიტყვიდან უნდა მოვიხიბლოთ და მხოლოდ ბოლო სიტყვაზე უნდა გამოვიღვიძოთ. შუაში კი უამრავი რამით უნდა შევიქციოთ თავი - გაოცებით, დაინტერესებით, აღშფოთებით, ესსე გარს უნდა შემოგვერტყას და თავისი საბურველი მთელს მსოფლიოს გადააწვდინოს. რომანს სიუჟეტი აქვს, ლექსს - რითმა, მაგრამ რა ხერხს უნდა მიმართოს ესსეისტმა? რათა ჩვენი ყურადღება მთლიანად დაიპყროს და ტრანსში ჩაგვაგდოს.მან უნდა იცოდეს – რაც ყველაზე არსებითია, თუ როგორ წეროს.

შესაძლოა იგი ღრმა მცოდნე იყოს, მაგრამ ეს ცოდნა ესსეში ისე უნდა ჩადოს მწერლური ჯადოსნობით, რომ არცერთი ფაქტი არ ამობურცოს, არც დოგმა დაარღვიოს.” [58]

ძნელია ზუსტი ფორმულირება თუ რა არის ესსე? ფილოსიფიური ნარკვევი თუ მხატვრული ჟანრი, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ესსეისტური კანონები ნაკლებად ემორჩილება მეცნიერულ პედანტიზმს და გამოწვლილვითი ანალიზის პრინციპებს. ამას ადასტურებს ესსეისტიკის მამამთავრის სიტყვებიც: „წიგნური ცოდნა სამკაულია და არა საფუძველი”.

ესსეს, ჟანრის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეებში ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში არსებობდა ესსეისტური ლიტერატურა. იაპონური – ძიუხიცუ, ჩინური – სუიბი. სადაც მთავარი როლი ავტორისეულ განსჯას ეკისრებოდა და გადმოგვცემდნენ მწერლის ემოციებს.

ესსეისტური ჟანრისათვის დამახასიათებელია თვითშემეცნება და თვითგამოსახვა. რის შესახებაც არ უნდა წერდეს ესსეისტი მასში უთუოდ წარმმართველი ადგილი პიროვნებისეულ შეხედულებებს უჭირავს. ესსეში

ძნელია სტრიქონთა გამაერთიანებელი აზრის პოვნა, მაგრამ ადვილია მათი განცდა.

ესსეს თვითშემეცნებითი ბუნება მისი სტილის სუბიექტურობა და ლირიკულობა, განაპირობებს მის მიმზიდველობას.

ინგლისელი ესსეისტი ალ სმიტი თხზულებაში „იმაზე თუ როგორ იწერება ესსე" – წერდა, რომ ესსე გულისხმობს არსებულ მდიდარ ლიტერატურას, ესსე ზედნაშენია და არა ფუნდამენტი, ესსე არის კომენტარი, ესსე ინტელექტუალური გონის ნაყოფია, იგი გულისხმობს მაღალ ლიტერატურულ ტრადიციებს.

ლესინგი ამბობდა – „აზრი დიალოგში მწიფდებაო." ესსეს შინაგანი დიალოგური ბუნების გამო, მკითხველი არ უნდა მოელოდეს ერთი ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტების პოვნას იგი თავს შემოქმედებითად თანასწორუფლებიან მოსაუბრედ უნდა აღიქვამდეს. ეტიმოლოგიურად ესსე ხომ რაღაც მსჯელობაზე მიუთითებს. ლიტერატორები აღნიშნავენ, რომ ყოველი ჭეშმარიტი ესსე – ექსპერიმენტია. არის შემთხვევები, როცა ესსეთა უმრავლესობა თავად ავტორის მიერ ძალიან იშვიათადაა ესსედ წოდებული. ისინი ხან ლიტერატურულ სტატიად, ხან კი, ჩანახატად არიან მონათლულნი. ზოგჯერ კი, ესსედ წოდებული თხზულება ესსე არაა.

როგორც აღვნიშნეთ ესსეს ჟანრის ფუძემდებლად მიჩნეულია მიშელ მონტენი. ამ ჟანრის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფრენსის ბეკონს, ინგლისელ პოეტსა და დრამატურგს ბენ ჯონსონს, რომელმაც პირველად გამოიყენა სიტყვა – „ესსეისტი" (***essayist*** – 1609 წწ.).

XVIII-XIX საუკუნეებში ესსე ერთ-ერთი წამყვანი ჟანრი ხდება ფრანგულ და ინგლისურ ჟურნალისტიკაში. იგი განვითარდა დიდროს, ვოლტერის, ლესინგის შემოქმედებაში. ესსეს ჟანრს მიმართავდნენ რომანტიკოსები და ფილოსოფოსები ესთეტიკურ-რომანტიული პოლემიკის დროს (ემერსონი, ჰაინე, ტორო).

XX საუკუნეში – ესსე, როგორც ლიტერატურული ჟანრი – განიცდის აღმავლობას: რომან როლანის, ბერნარდ შოუს, თომას მანის, ანდრე მორუას, შემოქმედებაში. რუსულ ლიტერატურაში ესსეს ჩანასახს ხედავენ ა. პუშკინის შემოქმედებაში: „მოგზაურობა მოსკოვიდან პეტერბურგში", ფ. დოსტოევსკის „მწერლის დღიურში", ა. გერცენის შემოქმედებაში.

ესსეისტური ლიტერატურა ჩვენში XX საუკუნის პირველი ნახევრიდან შეიქმნა, თუმცა მკვლევარები აღნიშნავენ, რომ კრიტიკული წერილის, თუ ეტიუდის ის ფორმა, რომელზედაც მონტენთან არის ლაპარაკი არ ყოფილა უცხო მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისთვის, ოღონდ ამ ჟანრის ნაწარმოებებს ესსეს სახელით არ მოიხსენიებდნენ. (არაერთი ესსეისტური ნაწარმოები, სტატია თუ ეტიუდი აქვთ დაწერილი ილიას, აკაკის...)

ესსეისტური ლიტერატურა, იქ იჩენს თავს, სადაც მეცნიერული კვლევის ტრადიცია არსებობს. ესსე გულისხმობს მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების მაღალ დონეს. იმისათვის, რომ ავტორმა ესსეისტური სტილისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქით შეძლოს ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობა, მას სინამდვილის შემეცნების, მეცნიერული კვლევის გარკვეული ჩვევაც უნდა უძღვოდეს წინ. არსებობს მოსაზრება, რომ ესსეისტური ჟანრის წარმოშობა მშვიდობიან პერიოდში არ ხდება, ამ ჟანრს ისტორიული ძვრებიც აძლევს ბიძგს.

* * *

ქარული ლიტერატურული ესსე, ევროპულ ესსესთან შედარებით ახალგაზრდაა. ქართული ლიტერატურათმცოდნეები ესსეისტური ელემენტების შემცველ თხზულებებად ასახელებენ ნ. გულამბერიძის *„საკითხავი სუეტი ცხოვლისა, კუართისა საუფლოისა კათოლიკე ეკლესიისა”,* სადაც ავტორი თავისუფლად განსჯის და ახასიათებს ქართველთა უარყოფით მხარეებს და თვალს უსწორებს საკუთარ ნაკლოვანებებს.აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესსეისტური თვითშემეცნება ძირეულად განსხვავდება იმ თვითშემეცნებისაგან, რომელსაც ქრისტიანულ ლიტერატურაში ვხვდებით, სადაც ავტორი თავის თავს ღმერთთან კავშირში მოიაზრებს.

XVI საუკუნიდან საქართველოში ესსეისტური ჟანრის განსავითარებლად ხელსაყრელი პირობები იქმნება. სწორედ ამ პერიოში ქართველებში თავი იჩინა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ. ამ ხანებში იწერება ფილოსოფიური და პოლიტიკური ტრაქტატები. ესსეისტური ჟანრის მსოფლმხედველობრივ წინამძღვრებს XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, კერძოდ რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც ხედავენ, რომელთაც თან სდევთ კითხვები ადამიანის რაობისა და დანიშნულების შესახებ. სრულიად კანონზომიერად ჟღერს XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ილიას კრიტიციზმი „მოყვარეს პირში უზრახე, მტერს პირს უკანაო”. აქ კარგად არის, გამოკვეთილი ის მსოფლმხედველობრივი

მრწამსი, რომელიც შემდგომ ესსეისტური ჟანრის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებად იქცა.

კიტა აბაშიძისა და არჩილ ჯორჯაძის შემოქმედებამ, მათმა წერილებმა დიდად განაპირობეს ქართველ ესსეისტ ავტორთა, თხზულებების შინაარსი და ფორმა. ქუთაისში, 1911-1913 წლებში გამოდიოდა გაზეთი „იმერეთი". მკვლევარები თვლიან, რომ ამ გაზეთში გამოქვეყნდა ესსეისტური ჟანრის თხზულება (1911 წელს ქვეყნდება კიტა აბაშიძის ესსე „ეკატერინე გაბაშვილისა") მცირე მოცულობის სტატიაში დახატულია ეკატერინეს სულიერი სამყარო, წარმოდგენილია მწერალი ქალის პორტრეტი.

XX საუკუნემ ახალი მსოფლხედვა, ახალი იდეალები მოიტანა. ქართულ მწერლობას ახალი ეპოქა უნდა დაეწყო და XIX საუკუნის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ღირსეული გამგრძელებელი ყოფილიყო.

XX საუკუნის პირველი ქართული ლიტერატურულ-ესსეისტური ნაწარმოებები კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძის, გრ. რობაქიძის კალამს ეკუთნის. მათმა გენიამ ადამიანის სულიერი სამყაროს იდუმალი სიღრმეების დახატვა სცადა. აწმყოს პრობლემებს და მომავლის იდეალებს შემოქმედებითი „მეს" პოზიციიდან მიუდგნენ და ეპოქის დახასიათების თვალსაზრისით საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. მათ შორის აღსანიშნავია გრ. რობაქიძის ესსეისტიკა, რომელიც მრავალფეროვნებითა და პრობლემათა მასშტაბურობით გამოირჩევა. მასში აისახა ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, მაგრამ უმთავრესად მწერლის ფიქრი და გონება მის მარად სათაყვანოს – საქართველოს, ქართულ გენს, დასტრიალებდა. ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად მის ესსეისტიკაში გამოყოფენ დიდი ადამიანის თემატიკას. მას შექმნილი აქვს შესანიშნავი ესსეები ქართული მწერლობის დიდოსტატებზე, ესსეები - XX საუკუნის დიქტატორებზე.

* * *

ქართულ „ესსეის" გამსახურდიამ სიბრძნე, ინდივიდუალიზმი და ინტელექტუალიზმი შესძინა. მასში შთაბეჭდილებებისა და იდეების თანწყობა სრულიად ახლებური სტილითა და მეთოდით არის წარმოჩენილი. ყოველი მისი ესსე სულიერების დეკლარაციასთან ერთად კონკრეტული იდეების ტაქტიანი შეთავაზებაც არის. მისი ესსეისტური თხზულებანი მდიდარია მრავალმხრივი ინფორმაციითა და ინდივიდუალური ფაქტობრივი ასპექტებით. მისი ესსე იკითხება, როგორც ნოველა, როგორც პოეტური ქმნილება, მხატვრული შედევრი,

ფერწერული ტილო. ეს კი ხელს არ უშლის მას მეცნიერული წიაღსვლებით მკითხველთან ერთად მივიდეს ლოგიკურ დასკვნამდე.

კ. გამსახურდია, როგორც ესსეისტი, ისეთივე დიდოსტატობით იპყრობს მკითხველის გონებას, როგორც ამას „მთვარის მოტაცებასა" და „დიდოსტატის მარჯვენაში" აკეთებს.

რატომ არის კითხვადი გამსახურდიას ესსეები? ალბათ, მის არაორდინალურობაში უნდა ვეძიოთ პასუხი ამ კითხვაზე. ის არ ჰგავს დოგმებით ან წესებით განსაზღვრულ და აღიარებულ ესსეებს. მასში წინამორბედთა რაიმე სახის გავლენაც კი არ შეიმჩნევა. კ. გამსახურდიას „*ესსეი*" – ახალი სიტყვაა და იგი მუდამ დარჩება ლიტერატურის მკვლევართა ინტერესის ამოუწურავ საგნად.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, კონსტანტინე გამსახურდიას ესსეების კლასიფიკაცია რომ მოვახდინოთ ვნახავთ, რომ თემატურად არ დარჩენილა არცერთი სფერო, რომელსაც ის არ შეხებია. მისი ნებისმიერი ესსეს მთავარი გმირი ადამიანია, პიროვნება, რომლის უმთავრესი ღირებულებებია სამშობლოსათვის თავგანწირვა, პროფესიონალიზმი და შემოქმედებითი სამყარო. ყველგან, სადაც კი მწერალი მოგზაურობს საკუთარ სამშობლოს ხედავს, მასზე ფიქრი, ერის სატკივარი და მომავალი აირეკლება ყველა მის ნაწარმოებში.

კ. გამსახურდიას ესსე აგებულია გულწრფელობის პრინციპზე. მისი მთავარი მიზანია, პედანტური სიზუსტით გადმოსცეს სათქმელი. სტრუქტურულად მრავალპლანიანი ესსეც კი ერთ, საერთო მიმართულებას ემყარება და მასში გავლებული უამრავი აზრობრივი პარალელი ოდნავადაც არ უკარგავს ესსეს შინაარსობრივ ინტერესს. პირიქით, გამსახურდიას ესსეს ფორმა, დატვირთვის მიუხედავად მსუბუქ ტონალობებზეა აგებული და გაუნელებელი ინტერესით იკითხება.

მწერალმა 1956-1959 წლებში ორ ტომად გამოსცა წერილების კრებული სახელწოდებით „კრიტიკა", რომელსაც ქვესათაურად ჰქონდა „ესსეი". შემდგომში ეს ნაშრომი შევიდა მწერლის თხზულებათა მეექვსე ტომში.

კონსტანტინე გამსახურდია „ესსეის" პირველი წიგნის ბოლოსიტყვაში წერს: „ესსეი – უპირველესად ცდას ნიშნავს, ესსეის ჟანრი ევროპულ მწერლობაში შემოიღო მონტენმა. დიდი წვლილი შეიტანეს ამ ჟანრის განვითარებაში კარლაილმა, ლორდ სტენჰოურმა, ამერიკელმა ესსეისტმა ვალდო ემერსონმა. კარგი ხნის სურვილი იყო ჩემი ამ ჟანრის ქართულ მეტყველებაში

გადმონერგვა. ავტორის მიზანი მიღწეული იქნება, თუ ეს შრომები განსაზღვრულ წვლილს შეიტანენ თანამედროვე ქართული კრიტიკული აზროვნების საქმეში.” [18,553]

კ. გამსხურდიამ ესსეს თავისებური სახესხვაობა შექმნა. მისმა გენიამ და თვითმყოფადობამ შვა ქართული ესსე. თავის თანამოკალმებთან ერთად, რომლებსაც კონსტანტინე გამსხურდია ესოდენ გულთბილად იხსენიებს თავის ესსეებში. მწერალმა უზარმაზარი ენერგია, კოლოსალური შრომა დახარჯა, რათა ღირსეულად აესახა წარსული და აწმყო თავისი ხალხისა. აესახა ეპოქა დიდი გარდატეხისა, გამოხმაურებოდა იმ მოლენებს, რომლებსაც ესოდენ არსებითი და სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც ჩვენი ერის ისე მთელი კაცობრიობის ისტორიისთვის. დიდმა განსწავლულობამ და უჩვეულო შემოქმედებითმა ფანტაზიამ შეაძლებინა მწერალს შესჭიდებოდა ისტორიულ ამოცანებს და ღირსეულად გადაეჭრა ისინი. კ. გამსახურდიას ლიტერატურული წერილებისათვის და ესსეებისთვის დამახასიათებელია ერთი თავისებურება. ამა თუ იმ მწერლის ანალიზისას ხაზს უსვამს იმ შტრიხებს, რაც თავად მისი პროფილისთვის არის დამახასიათებელი.

XX საუკუნის 20–30-იანი წლების ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, დიდი კონსტანტინე, ცდილობდა ქართველი მკითხველისთვის გაეცნო ევროპული და ამერიკული მწერლობის გამორჩეული სახეები.

1910-იანი წლებიდან, ბრწყინვალე ესსეებით ფართო „რეკლამირებას” უწევს ევროპული მოდერნის ისეთ პარადიგმებს, როგორიცაა ექსპრესიონიზმი თუ ნიცშეს ელინიზმი, ვაგნერის, სტეფან გეორგეს, რილკეს, თომას მანის, ესთეტიზმი.

კონსტანტინე გამსახურდია ანალიტიკოსის სიმძაფრით აღიქვამდა ევროპულ მხატვრულ ცნობიერებაში მიმდინარე პულსაციას, განიცდიდა და ცხოვრობდა ამ გამაოგნებელი ნოვაციებით. მწერლის ესსეისტური წერილების განხილვისას, თვალსაჩინო ხდება მისი ფილოსოფიურ-ესთეტიკური მრწამსი. ადრეულ კრიტიკულ-ესსეისტურ წერილებში იგრძნობა ევროპული მოდერნისტული სკოლების ესთეტიკური პრინციპების ტენდენციები.

მგლოვიარე ვირტუოზი – რაინერ მარია რილკე

XX საუკუნის 20-იან წლებში, კონსტანტინე გამსახურდია, შესანიშნავ ესსეებს უძღვნის გერმანული მოდერნისტული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: სტეფან გეორგეს (ჰენრიხ აბელესს - 1868-1933) და მეორე დიდი გერმანელ ლირიკოსს რაინერ მარია რილკეს (1875-1926)

რაინერ მარია რილკე, მელანქოლიური მეოცნებე, რომლისთვისაც უცხო იყო „სუპერგენიალური ჰეროლდიკის" ძიება, გერმანულ ლიტერატურაში, ლექსის უბადლო ოსტატად აღიარეს.

შტეფან ცვაიგი რილკეს გარდაცვალების ათი წლის თავზე წერდა: „ჭეშმარიტი პოეტი ჩვენს დროში იშვიათობა გახლავთ, უფრო იშვიათია ალბათ ჭეშმარიტად შემოქმედებითი არსებობა და ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ცხოვრებისა და შემოქმედების ამგვარი ჰარმონიულობა ეხილა ერთ პიროვნებაში თვალსაჩინოდ განხორციელებული – თავის თაობისა და მომდევნო თაობის წინაშეც ვალად ადევს გაისარჯოს ამ ზნეობრივი სასწაულისათვის. არიან პოეტები, რომლებიც ნიღაბს ატარებენ ამქვეყნიური შემოტევებისაგან თავდაცვის მიზნით, ისეთი პოეტებიც არიან, რომელთაც მუშაობაში გართულთ საკუთარი შემოქმედებისათვის შეუფარებიათ თავი. რილკესთვის არაფერი მსგავსი არ მომხდარა. მას გამოკვეთილი უბრალოება, სისადავე ჰქონდა მისი სულის სიმშვიდე – ხელშეუხებლობის აურას ქმნიდა მის ირგვლივ".[60] რილკეს შემოქმედების შეფასებისას ყველა ერთხმად აღიარებს მის უბრალოებას, სისადავეს. შემოქმედისა და მისი შემოქმედების იდენტურობას.

1929 წელს კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს წერილს სათაურით „რაინერ მარია რილკე". მცირე ესსეში გადმოცემულია პოეტისა და მისი ლირიკის ზოგადი დახასიათება. ამ ესსეში გამსახურდიას წმინდა ადამიანური გრძნობებისა და ემოციების უნიკალურ „დეკლარაციას" ვხედავთ.

ესსე იწყება რილკეს პორტრეტით: „ქედმოდრეკილი, მელანქოლიური, მეოცნებე... შავით შემოსილი პოეტი". რილკეს წარდგენისას გამსახურდია აქცენტს პოეტის თავმდაბლობასა და მოკრძალებაზე აკეთებს. მისი ბუნებისგან შორს იყო თანადროული მწერლების თვითრეკლამა, „სუპერგენიალური ჰეროლდიკის" ძიება. რილკეს შთამგონებლად, გამსახურდია, პოლ ვერლენს ასახელებს. „ევროპის უახლოეს პოეზიაში რილკე მიჩნეულია, როგორც სავსებით უბადლო ოსტატი ლექსისა". [18,364]

XX საუკუნის დასაწყისში, რილკეს ფემინისტურ პოეზიას ახალგაზრდობა ეწაფებოდა. გამსახურდიას აზრით, რილკეს ლექსების წიგნი „სიღარიბისა და სიკვდილისათვის" გამოხატავს „ბიოლოგიურ სიძულვილს ევროპის დიდი ქალაქების კაზემატების მტვრისა და აურზაურის მიმართ". რილკეს ერთ-ერთ დამსახურებად ავტორი მიიჩნევს გერმანული ლექსის ტექნიკის სრულყოფას. მან გერმანულ ლირიკას შეჰმატა „სითბო და ბუნებრიობა". „სავსებით ინდივიდუალური მეტყველება და იმპრესიონისტული, ოდნავ განყენებული პათეტიზმი მინორული ტონების სილბოთი შეამსუბუქა". [18,365]

გამსახურდია ზედმიწევნით კარგად იცნობს გერმანული პოეზიის შედევრებს და მისთვის ევროპული ლექსის აგებულებისა და შინაგანი მუსიკალურობის თავისებურებებზე მსჯელობა ისევე იოლია, როგორც ქართული ლიტერატურის საიდუმლოებებზე წერა. რილკეს მნიშვნელოვან დამსახურებად ავტორს მიჩნეული აქვს ფონეტიკურად გაწმენდილი ენა, რასაც ვერ ვიტყვით შილერის ლექსებზე, სადაც „ზემო-გერმანული უხეშობა" მრავლად არის წარმოდგენილი.

რილკემ, გერმანულ პროზაშიც ახალი გზები გახსნა. პოეტის პატარა ნოველამ, სახელწოდებით „კორნეტის ქრისტოფ რილკეს სიკვდილისა და სიყვარულის ამბავმა", დასავლეთის უახლეს პროზაში ახალი სიტყვა თქვა.

მწერლის საფუძვლიანი მტკიცებით რილკეს გენიამ თავი იჩინა გერმანული ენის სტიქიონის ვირტუოზულ დამორჩილებაში. მისი სტილისტური შესაძლებლობების ჯადოსნურ წვდომაში, რამაც განაპირობა ის სიძნელე, რაც თავს იჩენს მისი ლექსის თარგმნის პროცესში.

გერმანული ფაშიზმის* ეპოქას ცხადია, აღარ სჭირდებოდა ნაზხმიანი პოეზიის „სირენები". ასეთ ატმოსფეროში რილკეს ადგილს ვერ ხედავს გამსახურდია და მის შვეიცარიის მიყრუებულ სოფელში გადასვლას ამ მიზეზით ხსნის. „გაეცალა რაინერ მარია რილკე დიდ ცენტრებს. თაყვანისმცემლებმა და მეგობრებმა მუცოტის პატარა კოშკი აუშენეს". [18,365] ვირტუოზი რილკე თავს ანებებს ლექსების ბეჭდვას და „ყვავილნარებს უვლის".

* აქ ადგილი გვაქვს უნებლიე ანაქრონიზმთან, ხელისუფლების სათავეში ფაშისტები მოვიდენ 1933წ. ესსე კი დაწერილია 1929 წელს)

გამსახურდია იკვლევს რილკეს პოეზიის გერმანული ენის ფარგლებში დარჩენის მიზეზს. უმთავრეს მიზეზად მას მიაჩნია „წმინდა ლირიკა". მისივე თქმით,—„დიდი კატაკლიზმებით დანაღმულ საუკუნეში მარტოოდენ წმინდა ლირიკით არც ერთ დიდ პოეტს არ გაუმარჯვნია მსოფლიო მასშტაბით." [18,363]

რილკეს პოეტურ ნაკლოვანებად ავტორი „განდგომას" და „პროტესტს" უთვლის. „რილკემ გლოვის ძაძა ჩაიცვა და განუდგა კაპიტალისტური ევროპის ჟრიამულს". თუმცა, მისდამი განსაკუთრებული პატივისცემითა და თანაგრძნობით განმსჭვალული, რილკეს შემოქმედების მიმართ საქებარ სიტყვას არ იშურებს და მეოცნებე პოეტზე შთამბეჭდავ „ფერწერულ ტილოს" ქმნის. „გერმანული ლექსის ტექნიკა რილკემ მიიყვანა ისეთ მიჯნამდის, რომელიც ჯერ არცერთ თანამედროვეს არ გადაულახავს. სტეფან გეორგესა და ჰოფმანსტალისეური პოეტური ინსტრუმენტის სიფაქიზეს, რილკემ, დაურთო მომეტებული სიტფო და ბუნებრივობა, რილკემ შექმნა სავსებით ინდივიდუალური მეტყველება. გერმანულ პოეზიაში მან შემოიტანა ის უცნაური სილბო, რომელიც თან ახლავს ავსტრიულ დიალექტს და ფრანგულ ენას." [18,365] „ბარაბანის პოეზიის" (კ.გ.) ხანაში რაინერ მარია რილკე ყვავილნარს უვლიდა და პაწია ვენახის ყურძნის ღვინოს წურავდა. „განდგომილი პოეტი ორფეოსის სონეტებს წერდა" – ამბობს გამსახურდია და ამით ადამიანურად უთანაგრძნობს მარტოობაში მყოფ გენიოსს. პოლ ვერლენისა და მიქელანჯელოს სონეტების თარგმანში რილკე გრძელ ღამეებს ატარებდა. ერთერთ უკანასკნელ ლექსში წერდა რილკე:

„დაჰგელავს, გრიგალი წარმხოცი ყოვლისა
გრიგალი ტყესა და დროს აფორიაქებს" [18,365]

რილკეს მოულოდნელი გარდაცვალების გამო, გამსახურდია სამგლოვიარო ეპოლოგით ამთავრებს ესსეს. ამ ეპილოგიდან ნათლად ვხედავთ, თუ რა გულისტკივილს განიცდიდა გამსახურდია „უსახელო კაცივით" აღსრულებული შემოქმედის გამო. „არც სენსაციის მაძიებელი რეპორტიორები მოსულან. მსოფლიოს უდიდესმა აკადემიებმა უდიდესი და აურჩეველი წევრი დაჰკარგეს. არც თუ მახლობელნი დარჩენია მას ვინმე ამ ქვეყნად; არც არავის დაუტირნია."[18,367]

ესსე შექმნილია დიდი ერუდიციით და გემოვნებით. მელანქოლიური ტონი, რაც დამახასიათებელია მწერლის სხვა ესსეებისთვისაც, გერმანელ ლირიკოსს პოეზიის იდუმალი საბურველით მოსავს.

„იდუმალების მომღერალი” – სტეფან გეორგე

“იდუმალების მომღერალი” - სტეფან გეორგე, სამწერლობო ასპარეზზე XIX საუკუნის დასასრულს გამოვიდა. იგი წარმომადგენელი იყო დევიზისა: „ხელოვნება ხელოვნებისთვის”. სტეფან გეორგესა და მის თანამოაზრე გერმანელ მოდერნისტთა მხატვრული შემოქმედება, მათი ესთეტიკურ-ფილოსოფიური პრინციპები, ერთგვარი რეაქცია იყო ნატურალისტური მიმდინარეობისა გერმანიაში.

კონსტანტინე გამსახურდიამ, სტეფან გეორგეს ცხოვრებასა და შემოქმედებას მიუძღვნა ესსეისტური ხასიათის გამოკვლევა, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1928 წელს თავისი კრიტიკული წერილებისა და ესსეების კრებულში – „ახალი ევროპა”.

XIX საუკუნის 90-იან წლებში კარლ აუგუსტ კლაინის მიერ დაარსებულ ლიტერატურულ ორგანოში: „ხელოვნების ფურცლები” – გერმანული მოდერნისტული პოეზიის წარმომადგენლები აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს. უნდა შექმნილიყო ახალი სულიერი ხელოვნება, „ხელოვნება ხელოვნებისთვს“. „ხელოვნების ფურცლებზე“ ვკითხულობთ: „ჩვენს გუშინდელ ლიტერატურაში სჭარბობდა საზოგადოებრივი მორალი, ვალმოხდა, ტენდენცია, ახალი ხელოვნება უნდა იყოს სულიერი ხელოვნება... ლექსი ცნების გამომხატველი როდია, არამედ სულიერი განწყობილებისა”. [18,368]

ნაპრალი, რომელიც არსებობდა ეპოქასა და პოეტს შორის – გოეტეს მომდევნო თაობათა ხსოვნაში ყველაზე თვალსაჩინოდ ჰაინეს პოეზიაში გამოიხატა. გამსახურდიას მოსაზრებით, ჰაინრიხ ჰაინე, დანტესავით განიცდიდა თავისი დროის ეპოქას, თუმცა მაინც ვერ შექმნა ორიგინალური სტილი. მისი სტილი იყო უსტილობა და სწორედ ამ დროს, ნატურალისტური ენის „დაბრიყვების წინააღმდეგ” ილაშქრებს ნეორომანტიზმი გერმანულ ლიტერატურაში, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ – სტეფან გეორგე.

სტეფან გეორგე წერდა: „ერთ საუკუნეს ერთი ღმერთი ჰყავს და ერთიც მისი მახარობელი”.[18,370] კ. გამსახურდიას მოსაზრებით ყოველი დიდი ხელოვანი ახალი ენით მეტყველებდა, ყოველი დიდი პოეტი მუდამ ახალი ენის გენიოსი ყოფილა. სტეფან გეორგეც ახალი ენის მახარობელი იყო გერმანულ ლიტერატურაში: „გერმანულ ენაში ოპიცის დღეებიდან სამი დიდი გარდატეხა

მოხდა; ერთი ლუტერის, მეორე გოეტეს, შემდეგ გეორგეს სტილის სამიჯნოზე". [18,270]

კ. გამსახურდია სტეფან გეორგეს პოეზიას ირაციონალურს უწოდებს. მისი პოეტური ზრდის პროცესში სამ ელემენტს მიიჩნევს უმთავრესად: „სამმა ელემენტმა ითამაშა უდიდესი როლი ეს იყო: რაინი, ანტიკა, კათოლიციზმი. რაინი, როგორც ბუნება და ლანდშაფტი, ანტიკა, როგორც მსოფლმხედველობა და ესთეტიკა, კათოლიციზმი, როგორც რელიგია და ღმერთმსახურება". [18,374]

მწერლის მოსაზრებით, რაინის თვალწარმტაცმა ბუნებამ გახადა სტეფან გეორგე, „მეგობარი ველ-წალკოტისა". სტეფან გეორგეს, მიუხედავად ორთოდოქსური კათოლიციზმისა, წარმართული ანტიკის მემკვიდრედ აღიარებს. „გაღმერთება ხორციელობისა და განსხეულება ღმერთისა ამ ოპტიკის ქვეშ სჭვრეტს იგი, როგორც ანტიკურ ტრაგედიას ისე პლატონური იდეების მოძღვრებას... კათოლიკურია სტეფან გეორგეს ღრმა მისტიციზმი, მისი პათეტიკური სტილი და რიტორობა. ეს წმინდა კათოლიკური სათნოება აღბეჭდა გეორგემ გერმანულ ენაზე". [18,374]

გეორგე, რომელმაც გერმანულ ენაში დაამკვიდრა „ახალი ტექნიკა და სტილი", იდეურ ნოვატორად არის ავტორის მიერ მიჩნეული. „გეორგესთვის მწერლობა იდუმალი მღვდელმსახურებაა" – ამბობს გამსახურდია – და პოპულარობის მოსურნე პოეტებისაგან განასხვავებს მისი ადამიანური ცხოვრების ღირსეულ ბიოგრაფიას.

ახალგაზრდა გეორგეს განსხვავებული პოეტური სტილის თაობაზე გამსახურდია გოეთეს ახსენებს. „გოეტე მისთვის უმაღლესი წარმომადგენელი იყო ფორმამშვენიერი ენის კულტურისა". გოეთესთვის ბუნება შემოქმედების მასალა იყო, სტეფან გეორგე კი უფრო შორს გაიჭრა და აღიარა, რომ ბუნება სულისა და კულტურის მტერიაო. სტეფან გეორგესთვის ხელოვნება იყო ფენომენი, ყველა ფენომენზე უფრო მნიშვნელოვანი, „ერთადაერთი გამმართლებელი ცხოვრებისა და ადამიანობის მოდგმის არსებობის რაობა". [18,379]

კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ „ვირტუოზი გეორგე" ახერხებდა მოეძებნა სინთეტიური ხაზი ფრანგული სულის ელასტიურობასა და გერმანულ საფუძვლიანობას შორის. პოეტის დამსახურებად თვლის „ფრანგ-გერმანელთა დაუსრულებელ ჯიბრში" შემარიგებელი ტონის შეტანას. გეორგეს ლექსების ანალიზისას განსაკუთრებულ სიფაქიზეს იჩენს. მიაჩნია, რომ გამოთქმის

ბუნდოვანება მის პოეზიაში შაბლონისათვის თავის არიდებით აიხსნება. სტეფან გეორგე ბგერითი ტონების იშვიათი კომბინაციებით ხიბლავს: „მე არ მეგულება მეორე ევროპელი მწერალი, რომელიც უფრო ძნელად გასაგები იყოს, ვიდრე გეორგე". [18,380] სიმბოლური შიფრით დაწერილი მისი წიგნი „ვარსკვლავი კავშირისა" ფართო აუდიტორიისათვის ძნელად გასაგებია. თუმცა, გეორგეს გენიალურობას ეს ოდნავადაც არ ჩრდილავს.

გეორგე გასაოცარი დაკვირვებით ხმარობს ყოველ ხმოვანს. კ. გამსახურდია ხაზს უსვამს იმ ფაქტორს, რომ გეორგე მკაცრი მათემატიკური სიზუსტით აკავშირებს ალიტერაციას, ასონანსებსა და ბოლორითმებს. „გამოზომილია ყოველი დეტალი, ყოველი ხმოვანება, ყოველი ასო შეწყობილი, შეთანხმებულია, როგორც საუცხოო მოზაიკის ფერადი ქვები". გამსახურდია გამოყოფს გეორგეს ინტიმური სტილის მეტყველებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ყალბ პათეტიზმთან. ამასთან, დასაშვებად თვლის ლექსში მცირე დოზით ერთგვარი უტემპერამენტობის არსებობასაც.

გამსახურდია სიღრმისეულად წვდება გეორგეს ლირიკის სამყაროს და დაასკვნის: „ფენომენ ბუნებას უნდა დაუპირისპირდეს ფენომენი-ხელოვნება." აქ მწერალი პირველად გამოიყენებს ტერმინს „ხელოვნებისმიერი პოეზია". მისივე თქმით, ამ პოეზიის წარმომადგენლები იყვნენ პოეტი ესთეტიკოსი ოსკარ უაილდი, ბოდლერი, მალარმე...

სტეფან გეორგესა და ნოვალისის პოეზიაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ რომანტიკოსი ნოვალისის მსოფლიო ჭმუნვა ჰაეროვანია, გეორგეს რომანტიული მისტიკა კი – სასოწარკვეთილი, ნოვალისის ცისფერი ყვავილი გულისხმობს გათენებას, გეორგეს შავი ყვავილი გლოვაა ამ გაუხარელი ყოფისა, შავი ყვავილი ნირვანაა.

სტეფან გეორგეს შეგნებული ჰქონდა წინასწარმეტყველური მისია „ადამიანობის მოდგმის ცხოვრებაში". მას ჰქონდა მსოფლიო ტრაგიზმის შეგნება, მისი შემოქმედება ცხადყოფს, რომ ღრმად მისტიკური პოეტი სრულიად თვითმყოფადი იყო. გამსახურდიას მიაჩნია, რომ სტეფან გეორგე „მისანი და ნათელმხილველია". გეორგეს სიტყვებით: „უნდა დავიბრუნოთ განშორებული ღმერთი და ყოველი ადამიანი ღმერთს უნდა ეზიაროს." როგორც ეს ხილული ქვეყანა „დიდი ღმერთის სახელოსნოა. ისევე ადამიანის შემოქმედება იგივე ღმერთისპირის ჩენა უნდა იყოს." [18,381] ამიტომ შემოქმედება სტეფან გეორგეს ესმოდა, როგორც „ღმერთსახიერი ყოფნა". სტეფან გეორგეს გაცნობიერებული

ჰქონდა პოეტის მისტიკური მისია: „ნაპერწკალი ვარ მე წმინდა ცეცხლის და წმინდა ხმისა გამოძახილი".[29]

კ. გამსახურდია განიხილავს რა გერმანელი პოეტის კრებულს – „წელიწადი სულისა" და „მინანქრისებურ ხაზებსა და შტრიხებს შორის" – პოეტის მელონქოლიურ სულს აღმოაჩენს. პოეტის თვალს ელანდება მხოლოდ სიშვიდე და სინატიფე.

სტეფან გეორგესთვის კულტურა და ადამიანური ფანტაზია, უფრო დიდი მისტერიის შემცველი ხდება, ვიდრე ქაოტური მასალა სტრიქონებისა, იდუმალ ძალთაგან შემდგარი. გეორგეს ლექსებში თითქოს სრულდება: „ხელოვნებისმიერი პოეზია:

„ჩემს ნაზ ოცნებებს ერიდება ფრთებისა გაშლის

და ჩემ ნაზ სულში ცეცხლი ღვივის და ცეცხლი სტირის" [18,379]

„ჯერ ყოველივე გრძნობა ყოველივე ფსიქოლოგიური აფექტი უნდა გაცხრილულ იქნას, მას უნდა გააცალო ყოველი მიწიერი სიმძიმე! როდესაც იგი გაშიშვლებული გარითმული, განსახიერებილი იქნება ხელოვნების მიერ, მხოლოდ მაშინ ეძლევა სიტყვას გრძნობა"– წერდა სტეფან გეორგე. [29]

სტეფან გეორგეს ფენომენი ბოლომდე მაინც ამოუცნობი დარჩა. მისი პოეტური ენა კი უჩვეულო, მისტიური და მაღალმხატვრული ოსტატობის ნიმუშად რჩება ჩვენს თანამედროვეობაში.

„მარადიული სულის მეშვიდე ბეჭედი"
(ანატოლ ფრანსი)

ანატოლ ფრანსის პორტრეტი, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ყველაზე იდუმალი და სევდიანი შტრიხებით არის შექმნილი.

1924 წელს ფრანსუა ტიბოს (ანატოლ ფრასს) სამუდამოდ გამოეთხოვა სისხლისაგან დაცლილი ევროპა – პარიზი. „ერი რომელიც ჰსხდა ბნელსა იხილა ნათელი დიდ. ანატოლ ფრანსი იყო სინათლის ჩქერი, რომელიც თვალუწვდენელი ეთერისაკენ აიჭრა" [18,8]

1924 წელს, კონსტანტინე გამსახურდია უდიდესი ფრანგი პოეტის ანატოლ ფრანსის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აქვეყნებს ესსეს სახელწოდებით „ანატოლ ფრანს".

„რენესანსის ეპოქის” ამ უდიდესი მწერლის, პოეტის, ნოველისტის, რომანისტის, ისტორიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა კონსტანტინეს განსაკუთრებულ ემოციას და ფიქრს აღუძრავს. ესსე, ანატოლ ფრანსის ოჯახური პორტრეტისა და ბავშვობის აღწერით იწყება. მდინარე სენის ნაპირებზე დაბადებული პოეტი, ღრმა სიბერეში გარდაცვალებისას ერთადერთ სიტყვას წარმოთქვამს – „დედა”. ამ შესავლით გამსახურდია წარმოგვიდგენს უნაზესი სულიერებისა და გენიალური პოეტური მუზის დიდ ევროპელს.

„3 ოქტომბერს ღამის 11:25 წუთზე ანატოლ ფრანსმა წამოიძახა უკანასკნელად ის მაგიური სიტყვა, რომელიც ენის ადგმის უმალ პირზე აკერია დიდსა და პატარას: „ დედა”, შემდეგ მისი ხმა მოსწყდა ამ ქვეყანას.” [18,7]

ანატოლ ფრანსის პორტრეტის შესაქმნელად გამსახურდია მარტივ მეთოდს მიმართავს. პოეტის ბავშვობის ერთი ბანალური ეპიზოდით მისი სულიერი სამყაროს მთავარ ფაქტორზე მიგვანიშნებს: „13 წლის ბავშვი ხედავს თავის ამხანაგს, უბირს, ქუჩის მაწანწალას პერანგი არ აცვია. იგი დაუფიქრებლად მოპარავს დედას საკუთარ პერანგს და ფანჯრიდან გადაუგდებს ჩუმად”. [18,22]

ფრანსის ცხოვრების მთავარ მახასიათებლად, გამსახურდიას, პლასტიური მშვენიერების სიყვარული, ბერძნულ-წარმართული ესთეტობა, პოეტური გული, მოყვასის უანგარო სიყვარული მოაქვს. ავტორს მიაჩნია, რომ ფრანსის წარმართული პოეზიისა და დიდი ჰუმანიზმის ფუძე სწორედ აქ იკვეთება. კ. გამსახურდია ძალაზე დამყარებულ უფლებაზე საუბრობს „საოცარია ევროპა! გიგანტური ინდუსტრია სულის უზომო მექანიზაცია. კაპიტალიზმის მრავალმილიონიანი მონები. დიდი პოლიტიკის არაკაცთმოყვარე, ხანდახან ბარბაროსობამდის მისული პრინციპები”. [18,22] ევროპის ასეთ მუქ ფერებში წარმოჩენის მეთოდით გამსახურდია გვამცნობს, რომ სწორედ ამ ფონზე იზრდება ხშირად ისეთი „კაცთმოყვარეობის, სინათლის, სიმართლის, სიყვარულის მოციქულები, როგორიც იყო გოეტე, რომელ როლანი, ან ანატოლ ფრანსი”.

ფრანსუა ტიობოს პიროვნებას და მის ადგილს საფრანგეთის ისტორიაში კლემენსოს გვერდით განიხილავს. ჟორჟ ბენჟამენ კლემენსო (1844-1924) ფრანგი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ანატოლ ფანსის თანამედროვე და ვერსალის ზავის მონაწილე იყო. ადამიანი, რომელიც ახალ ფურცელს ჰქმნიდა მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე. იდეები თავისთავად არაფერს ნიშნავს და საქმე

იდეები კი არა არის – აცხადებს კ. გამსახურდია –უმთავრესი ამ იდეების გამოყენეებაა. „მაგალითად ანატოლ ფრანსი და კლემანსო კმარა.” ორივეს „შტანდარტზე” ეწერა ის დიდი კაცთმოყვარე ლოზუნგი, რომელიც საფრანგეთის ერმა შექმნა რევოლუციის დროს: თავისუფლება, ძმობა, ერთობა. „მაგრამ აქ განსხვავება იყო იდეების გამტარებელთა შორის, გარდა ამისა ანატოლ ფრანსი პოეზიის მაღალ კათედრალზე იდგა, კლემანსო – სახელმწიფო პიედესტალზე, საფრანგეთის მოხუცი მეფისტოფელი”[18,23]

1919 წლის ვერსალის ზავთან დაკავშირებით კ. გამსახურდია მცირე მინიშნებას აკეთებს „მოხუცი მეფისტოფელის სიტყვების” გამო: „ეს არ კმარა გერმანიამ კიდევ 20 მილიონი სული უნდა დაჰკარგოს” [18,24] მწერალი განმარტავს, რომ კლემანსო ზავს ხელს აწერდა და ბლოკადას უწყობდა გერმანიის ბავშვებს და იმ დროს ელოდა, როცა მისი უგანათლებულესი მეზობელი 20 მილიონ ადამიანს დაჰკარგავდა„ასე გახუნდება ყოველი მაღალი იდეა, როცა იგი სახაზინო გახდება, როცა მას დაქირავებული ხელებით „მოიყვანენ სისრულეში”[18,10]

ანატოლ ფრანსი კი პირველი მსოფლიო ომის დროს, მეორე დიდ ფარნგ მოაზროვნესთან, ფაციფისტურ მოძრაობის აქტიურ წევრთან, რომენ როლანთან ერთად წერდა: „ჩვენ მწერლები თავისუფლების მქადაგებლები ვართ, არც თუ რომელიმე მთავრობის მოჯამაგირენი”. [18,24]ასე ესმოდა კ. გამსახურდიასაც, მწერლისა და პოეტის წმინდა მოწოდება.

კლემანსოს თანამედროვე ანატოლ ფრანსს, გამსახურდია, ნაციონალური ლოზუნგის თანაავტორად ასახელებს, ეს ის ლოზუნგია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დროს საყოველთაოდ გახდა ცნობილი. მწერალი, ფრანსს ქართველ „კალანდის მეკვლეს” ადარებს, რომელიც ამ ლოზუნგით დადიოდა ევროპაში და ხალხს ანუგეშებდა. მიუხედავად იმისა, რომ კლემანსო და ფრანსი ერთი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, გამსახურდიას აზრით, „ანატოლ ფრანსი პოეზიის მაღალ კათედრაზე იდგა, კლემანსო – სახელმწიფოს პიედესტალზე. ერთს ზეთისხილის შტო და ჰარფა ეჭირა ხელში, მეორეს – ამოწვდილი მახვილი და ვერსალის საზავო ხელშეკრულება”.[18,25]

მწერალი, თავდაპირველად ანატოლ ფრანსის ადამიანურ პორტრეტს ქმნის, რომ შემდეგ თვალნათლივ დაგვანახოს გენიალური შემოქმედის თვალუწვდენელი სიმაღლეები. „საფრანგეთის მარადიული სულის მეშვიდე ბეჭედი”, როგორც მას გამსახურდია უწოდებს, „დოსტოევსკის ამქრიდან არის”.

მისი თქმით, გრაციოზული, სადა, გამჭვირვალე, ელასტიური, ტკბილმოუბარი ფრანსი „დიდი პოეტია და დიდი ფილოსოფოსი".

ფრანგულ აზროვნებაში ანტოლი ფრანსი ცნობილი იყო, როგორც უდიდესი კრიტიკოსი; „იგი კრიჭაში უდგას ოფიციოზის პოლიტიკანობას, ფანატიზმს". ფრანსი თავისი დამახასიათებელი ირონიით დოგმატურ მეცნიერებათა „მარადიულ ჭეშმარიტებებს" ეხმიანებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია უკანასკნელი საუკუნეების დიდი ევროპელებისაგან გამოაცალკევებს ფრანსს და მას „ნამდვილ ტემპერამენტიან ფრანგს" უწოდებს. მის სტილს იგი ადარებს პლატონის „ღვთაებრივი დიალოგების" სისადავეს. უნდა აღინიშნოს, რომ გამსახურდიასთვის, როგორც უდიდესი მოაზროვნისთვის ნიშანდობლივია სისადავისადმი მისეული დამოკიდებულება. „სადა" გამსახურდიას ცნებით გენიალურობის ტოლფასია. უბრალოების გენიალურობა, უნივერსალიზმი გამსახურდიას ესსეებში გამოკვეთილი თავისებურებაა, რომელსაც მწერლის ჯადოსნური კალამი არაერთხელ ეხება.

ფრანსის შემოქმედების შეგრძნება, ავტორის აზრით, მხოლოდ თარგმანებით, სრულიად შეუძლებელია. „ეთეროვანი მსუბუქი ენა, გამოთქმის მუსიკალურობა", ამ ეპითეტებით გვაცნობს ავტორი ფრანსის ხელწერას და სტილს. ხატოვანი შედარებისთვის მოყვანილია ფრანსის პოემა „კორინთის ქორწილები". სადაც მიწიერი და ღვთაებრივი სიყვარულის ბრძოლაა.

ანატოლ ფრანსის პროზა და ზღაპრები შემომქმედის, როგორც ერუდიტის ასპარეზია. მის ნაწარმოებებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ისჯება ხშირად კეთილშობილი განზრახვა სახელმწიფოს მოუხეშავი, ტლანქი კანონებისაგან. „კანონი უცოდინართათვის იწერება და არა კანონის მცოდნე დამნაშავეთათვის"- განმარტავს მწერალი.

გამსახურდიას აზრით, ანატოლ ფრანსის შემოქმედება ისევე, როგორც ცხოვრება განუყოფლად არის დაკავშირებული კეთილისა და ბოროტის ძიებასთან. მარადიულ კითხვაზე „რა არის კეთილი?" – ფრანსის პასუხი ორიგინალურია: „კეთილი, ბუნების შინაგანი ძახილისათვის წინააღმდეგობის გაწევაა და სხვა არაფერი." კითხვაზე – „რა არის კარგი?" – პასუხი აქაც მარტივია – „კარგი მშვენიერია და კეთილი". აქვე ავტორი განმარტავს, რომ ხშირად რაც პიროვნებისთვის კარგია და მშვენიერი, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ცუდია. ამ შემთხვევაში სოკრატესა და

ანატოლ ფრანსისებური განმარტება კარგისა და ავისა გამსახურდიას მინიშნებით, „გზაჯვარედინზე ეყრებიან სახაზინო სამართალსა და მართლსაჯულებას". [18,26]

ესსეს მომდევნო ნაწილი, ფრანსის რომანს „სილვესტერ ბონარის დანაშაულს" ეძღვნება. გამსახურდია თვლის, რომ ეს რომანი „უმშვენიერესი დაფნაა ფრანსის დიდების გვირგვინში". ავტორის აზრით, სილვესტერ ბონარი იგივე ფრანსია, ერუდიტი, ბრძენი. იგი სინთეზია თავისი საუკუნის ინტელიგენტური სიქველისა, სიმჭევრისა და ესთეტიზმისა. ავტობიოგრაფიულ რომანში გამსახურდია გამოყოფს ანატოლ ფრანსის ჰარმონიულ სტილსა და წერის მანერას. „იგი არ დასცინის ადამიანებს, იგი ტკბილად იღიმება ადამიანური კომედიის გამო". მას უილიამ შექსპირს ადარებს და მიიჩნევს, რომ შექსპირივით ისიც გულდაწყვეტილი ეუბნება ფილოსოფოსებს: „ცასა და სამყაროს შორის ბევრია ისეთი საიდუმლო, რაც თქვენს ფილოსოფიას არასოდეს დასიზმრებიაო". [18,27]

ნაზი, ფრანგულ-ბერძნული თავაზიანობის მიუხედავად, ანატოლ ფრანსს, გამსახურდია, უფრო „მოქადაგე" მწერლად მიიჩნევს. როგორც მქადაგებელს მას ფრიდრიხ ნიცშეს და დოსტოევსკის ადარებს.

გამსახურდიამ, ესსეში შეიტანა პორტრეტულ-ფერწერული შტრიხები. ეს მეთოდი იმდენად საილუსტრაციო ხასიათისაა, რომ მკითხველი იღებს დასურათხატებულ შემოქმედებით ტილოს. ანატოლ ფრანსი, როგორც ძველი ბერძენი, ქრისტიანობის მტერი იყო. ამავე დროს, იგი პავლე მოციქულია, განმარტავს მწერალი, რომელსაც ჰაგიოგრაფიაში უდგას ცალი ფეხი. (როგორც ცნობილია მან „ ჟანა დ'არკის" ისტორია დაწერა.) იდუმალი, ორსულოვანი, იჭვნეული ბუნების ანატოლ ფარნსი „ამბოხებული ანგელოზია და ამ ქვეყნად მარადმგლოვიარე სულის მატარებელი".

კ. გამსახურდიას აზრით, ფრანსი რომელიმე განსაზღვრული მიმართულების წარმომადგენელი არ არის, „ყოველი დიდი მწერალი იმდენ მასალას იძლევა, რომ ყოველი აზროვნების წარმომადგენელი მასში თავის მოაზრეს ხედავს".

წერილის მომდევნო ნაწილში ავტორი პარიზის ქუჩებში ფრანსთან შეხვედრას აღწერს: „მაჩვენეს ბავშვის სახიანი მოხუცი, დაკეცილი ქოლგა ეჭირა ხელში და კისერზე იისფერი შალი ჰქონდა შემოხვეული". ეს მეთოდიც

გამსახურდიას ესსეისტიკაში ტრადიციულია. პორტრეტული ხატის შექმნისას სადა მხატვრულ საშუალებებს იყენებს.

ევროპელ დიდ მწერალთა შორის ფრანსი ყველაზე მეტად დიდ სიმპატიას საფრანგეთის რევოლუციის მიმართ იჩენდა. ესსეში მოთხრობილია, თუ როგორი აღფრთოვანებული იყო ჰაინრიხ ჰაინე ამ რევოლუციით და გოეთემ როგორ გულგრილად მიიღო ეს ინფორმაცია. ფრანსი კი ღრმა სიბერემდე რადიკალური პოლიტიკის მიმდევარი იყო. „სოციალისტი ფრანსი პესიმისტურად შესცქერის ისტორიას" – ამბობს გამსახურდია. ამ ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ანატოლ ფრანსი, რომელიც ასე დაუვიწყარი ესთეტური სახით წარმოაჩინა მწერალმა, „საფრანგეთის შუაგულიდან ეთერისაკენ ავარდა და მშობელ ელემენტს შეუერთდა".

ესსე ორიგინალური დასასრულით გვამახსოვრებს თავს: „არც ანატოლ ფრანსის სიკვდილია დასაჯერებელი".[18.28]

თომას მანნ

ანატოლ ფრანსის დიდმნიშვნელოვან ფიგურას, გამსახურდიას, აზრით დაუპირისპირდა გერმანული სიტყვაკაზმული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი თომას მანნი. იგი ევროპაში გამოჩნდა არა მარტო თავისი დიდოსტატური ტექნიკით, არამედ დიდი ერუდიციით, პოლიტიკური მნიშვნელობით.

კონსტანტინე გამსახურდია 1948 წელს გამოქვეყნებულ ესსეში „თომას მანნ" ვრცელ ანალიზს უკეთებს მწერლის შემოქმედებით და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. თავისი ორიგინალური ხელწერით უდიდესი მსოფლიო მოაზროვნის დაუვიწყარ სახეს გვიცოცხლებს. თომას მანს კ. გამსახურდია ჯერ კიდევ გერმანიაში მოღვაწეობის დროს ეცნობა.

ესსეში დეტალურად განიხილავს თომას მანის ბიოგრაფიის იმ ეტაპებს, რომელმაც იგი სამწერლო ასპარეზამდე მიიყვანა. ესსეს ავტორი კვლევის მეთოდს მიმართავს და ანალიტიკური ძიების შედეგად დაასკვნის, რომ შემოქმედის იდუმალი ლაბირინთების ამბავი, ღრმა დაკვირვებას საჭიროებს. არსებითად არც ფსიქოლოგებმა, არც ლიტერატურის კრიტიკოსებმა არ იციან დანამდვილებით, რა შინაგანი საიდუმლო ინახება შემოქმედის გონებაში. ამის საილუსტრაციოდ თომას მანის პიროვნება მოჰყავს: „თომას მანი იმ ხელოვანთაგანია, რომელნიც დიდსა და ნაყოფიერ შემოქმედებასთან ერთად

თვითდაკვირვებას აწარმოებენ, როგორც საკუთარი ლაბორატორიიდან ისე სხვათა პრაქტიკის შესწავლის შედეგად გვიზიარებენ აზრს და გვაწვდიან ახალსა და ახალ იდეებს მომავალ თაობათა საგულისხმოდ. ასეთნი იყვნენ დავინჩი, გოეტე, ბალზაკი, ფლობერი, და ანატოლ ფრანსი.” [18,152]

გამსახურდია ესსეში, საუბრობს „თომას მანნის თეორიაზე”. მანის თეორიით, შემომქმედი „მხოლოდ დემონურობასთან წილნაყარია”, ხელოვანი არამც თუ რჩეულია, არამედ ამ ცხოვრებისაგან განდეგილიცაა: „ჩვენ მარტოხელანი ვართ, განმარტოებულნი, მეოცნებენი და ცხოვრებაში წილდაკარგულნი” – წერდა მანი.[18,153]

კ. გამსახურდიას მოსაზრებით ჭეშმარიტი ხელოვნებისკენ მიმავალი გზა რთულია და მას ერთი სიცოცხლე არ ჰყოფნის. „არც ერთი მწერალი დიდი არ გამხდარა არასდროს, თუ მას დიდი ინტელექტისმიერი მეტამორფოზების გზები არ აქვს გავლილი”. [18,156] ეს გზა გაიარა მანმა და ამ გზაზე გენიალური მოაზროვნეების, ნიცშესა და შოპენჰაუერის, ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

თომას მანის რომანებისა და ნოველების გმირებში გამსახურდია ხედავს რიჰარდ ვაგნერის მუსიკისა და შოპენჰაუერის ფილოსოფიის ტრაგიზმს. კონსტანტინე დაასკვნის, რომ მანისათვის შთაგონების წყაროდ იქცა ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობა მუსიკის სულიდან”. მისი გმირების მთელი გალერეა ამ ნიშნით არიან გაერთიანებულნი. მწერლის შეფასებით დეკადანსის დამღა ეტყობა მანის ნაწარმოებს „სიკვდილი ვენეციაში”. რენესანსის ეპოქის დრამას „ფიორენცას” ავტორის ესთეტიურ კრედოდ აღიარებს.

თომას მანის გმირები წილდაკარგულნი არაინ – აღნიშნავს მწერალი – ბედისაგან მუხთლად განწირულნი, სასოწარკვეთილნი და სვეგამწარებულნი, „სიკვდილს ისინი სთვლიან როგორც ყოფნის მიერ განმზადილ წამებისაგან განმათავისუფლებელს,” [18,157] რიჰარდ ვაგნერის მუსიკა და შოპენჰაუერის ფილოსოფიის ტრაგიზმი საცნაური ხდება თომას მანის გმირების ხასიათში.

კონსტანტინე გამსახურდია, ესსეში საფუძვლიანად აანალიზებს ევროპის ლიტერატურათა განვითარებას. ქართველი მწერლის დაკვირვებით, კარდინალური ცვლილება განიცადა პოეტისა და მწერლის ტიპმა. „შუა საუკუნეთა პოეტკაცი ამოდმომღერალი სუბიექტი იყო, იგი ფეოდალების, მეფეების ნასუფრალით იკვებებოდა” [18.151] მისივე თქმით იმ დროის მწერლები სახელმწიფო ცხოვრებაში ნაკლებად ერეოდნენ. მათ არავითარი სოციალური ფუნქცია არ ჰქონდათ. გამსახურდია ასეთი კატეგორიის მოღვაწეებს „კარის

პოეტებად" მოიხსენიებს. XVIII-XIX საუკუნეებში ვოლტერი, გოეთე, ჰიუგო და XX საუკუნეში ანატოლ ფრანსი უკვე ისეთი გავლენიანი პიროვნებები იყვნენ, რომელთაც მეფეები, პრეზიდენტები და პარლამენტარები უწევდნენ ანგარიშს.

ესსეში საუბარია 1914 წლის თომას მანის წერილის, „ ომის დროინდელი ფიქრების", შესხებ. განხილულია შრომა, „აპოლიტიკოსის შენიშვნები", სადაც თომას მანი ვნებიან პოლემისტად და დიდი მაშტაბის პუბლიცისტად მოგვევლინა.

გამსახურდია აკრიტიკებს მანისეულ განმარტებას კულტურის შესახებ და მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ცივილიზაცია ანტიურ ხალხებში მარტო ჩინელებს გააჩნდათ. აქ ვხვდებით კონსტანტინესეულ განმარტებას ცივილიზაციაზე: „საერთოდ ცივილიზაცია უფრო სახელმწიფო კეთილმოწყობის, გარეგანი ცხოვრების ამბავია. მსოფლიო ისტორიის რამდენიმე ათასეული წლების მანძილზე არც ერთ ერს არ შეძლებია დიდი კულტირული აღორძინების მწვერვალამდის მიღწევა, უკეთუ მას ცივილიზაცია არ გააჩნდა და უმთავრესი სახელმწიფო" [18.161]

გამსახურდიას აზრით, თავის ჰიპოთეზებში თომას მანიმ ორმაგი მარცხი განიცადა. „ცხოვრებამ არ გაამართლა მისი თეორიები". „ხელოვანის ხელში თეორია ერთგვარი ორლესული მახვილია, რომელზედაც იგი თავათ შეიჭრის ხოლმე ხელს, რადგან თეორია და პრაქტიკა ეთიშებიან ხანდახან ურთიერთს". [18.165]

გამსახურდიას ობიექტური და კვალიფიციური შეფასებები მის ესსეისტიკაში თვალნათლივ მოსჩანს. იგი, არასოდეს ეყრდნობა მხოლოდ ე.წ. „მეტრების" მოსაზრებებს და შეხედულებებს. მისი კალამი მუდმივად ობიექტურობაზეა ორიენტირებული. ამ მიმართულების უტყუარი დადასტურებაა ესსე „თომას მანნ". ესსე, უამრავ საინტერესო დებულებებს შეიცავს, სადაც საცნაური ხდება გერმანელი მოაზროვნისა და უდიდესი ქართველი რომანისტის ესთეტიკური იდეალები და მსოფლგანცდა.

მანჰეტენის შვილი - უოლტ უიტმენი

მანჰეტენის შვილის, უოლტ უიტმენის სახელი უცხო იყო XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული ლიტერატურული წრეებისათვის. 1914-1918 წლების

შემდეგ მსოფლიო გლოვით დაღლილ კაცობრიობას „ჯანსაღი სული და ჰანგი სჭირდებოდა“. სისხლისაგან დაცლილი ევროპის პესიმიზმი, რადიკალურად განსხვავებული ოპტიმისტური სულით უნდა დაძლეულიყო.

კონსტანტინე გამსახურდია, 1926 წელს, თარგმნის უოლტ უიტმენის ლექსებს და სწორედ ამ პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე ხსნის იმ ინტერესს, რომელიც დასავლეთ ევროპამ, ამ სკანდალური პოეტის მიმართ გამოიჩინა.

ბ-ნ კონსტანტინემ თავისი ნიჭის წყალობით ღვთაებრივად ააჟღერა „ამერიკული ლექსი” ქართულ ენაზე. უიტმენის პოეზიიდან თარგმნა ის ლექსები, რომელნიც მონათესავე აღმოჩნდა მისი პოეტური სულისა და მხატვრული სამყაროსთვის.

უიტმენის გამსახურდიასეული თარგმანი, ჩვენს თანამედროვეობაშიც კი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ქართველი მკითხველი ამერიკელ მწერალს 1921 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის თარგმანით ეცნობა. მწერალი უოლტ უიტმენს „მომავლის პოეტს” და „სიყვარულის მოციქულს“ უწოდებს. ეს პირველი დუელი იყო – განმარტავს მწერალი – „ქვეყანასა და პიროვნებას შორის, რომელიც სიკვდილით კი არა, სიყვარულით უნდა დამთავრებულიყო”

ვ. კოტეტიშვილის აზრით, უიტმენის პოეზია უფრო მომავალს ეკუთვნოდა. „იქ, სადღაც შორს ანათებდა მისი ბიბლიური შუბლი”. თარგმანს დართული ჰქონდა წინასიტყვაობა, სადაც განხილული იყო ამერიკელი პოეტის რამდენიმე ლექსი:

„მას, როგორც სიყვარულის მოციქულს, სილამაზე ყველგან ეჩვენება, უიტმენი უფრო მეტად მომავალს ეკუთვნის, ვიდრე აწმყოს. უიტმენის სიყვარული ძნელია, უფრო ძნელია მისი სიძულვილი.”[41.120]

უიტმენის პოეზიის პირველი თარგმანებით ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა პირველი მცდელობა შეეფასებინათ უიტმენის „მომავლის პოეზია”. კოტეტიშვილმა ქართულ ლიტერატურულ წრეებს წარუდგინა საინტერესო, განსხვავებულად მოაზროვნე, ამბიციური, თავდაჯერებული, თავზეხელაღებული ამერიკელი პოეტი. მან სწორად განსჭვრიტა უიტმენის მომავალი. იგი თანამედროვე სამყარომ მიიღო და აღიქვა.

„მე ვარ ღვთაება! – წერდა უიტმენი – როგორც შიგნით, ისე გარეთაც, ყველა წმინდაა რასაც კი მე მივეკარები” – ასეთი სკანდალური სტრიქონებით დაიპყრო უოლტ უიტმენმა ევროპა და შემდეგ მთელი მსოფლიო.

“Blade of grass” (ბალახის ფოთლები) უიტმენის, ლექსების კრებული – 1855 წელს მოევლინა ამერიკას და სწორედ აქედან დაიწყო წიგნის სკანდალური ისტორია.

1926 წელს, კონსტანტინე გამსახურდია, თარგმნის უოლტ უიტმენის ლექსებს. ამერიკის შვილს „ახალი რასის მქადაგებელსა და მოულოდნელობის პოეტს” უწოდებს.

და მაინც, ვინ იყო უოლტ უიტმენი და რატომ დაინტერესდა კონსტანტინე გამსახურდია ამ „თავზე ხელაღებული ამერიკელით”?

უოლტ უიტმენის პოეზიის ესთეტიკით შთაგონებულმა ქართველმა მწერალმა დაწერა ესსე „ვოლტ უიტმან,” რომლითაც „დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ შობილი „თავისუფალი ადამიანის” სულიერება გაგვაცნო. 35 წლის ბრუკლინელი ასოთამწყობის უიტმენის სახით დაგვანახა XX საუკუნის ამერიკული ნოვატორული პოეზიის ესთეტიკა. უიტმენი ქმნიდა ნაციონალურ პოეზიას, რომელიც ევროპული მიმბაძველობისაგან იყო თავისუფალი.

ამერიკელი ნოვატორის ესთეტიკა და მისი იდეალი – ძლიერი რასის ადამიანი – გამსახურდიას მსოფლმხედვეობას ეხმიანებოდა. XX საუკუნის 20-30 წლების საქართველოში, დემოკრატიის, „თავზეხელაღებული შვილის” იდეებმა აქტუალობა შეიძინა.

უოლტ უიტმენი – რიგითი ბრუკლინელი ამერიკელი – ანტიალკოჰოლურ რომანს, სასტუმროს ბინძურ ნომრებში წერდა. პირველი ლიტერატურული ცდა – კრახით დამთავრდა. იგი არც ელოდა იმ დიდებას, რომელიც XX საუკუნემ მოუტანა. უიტმენი უეცრად მოექცა მსოფლიოს ინტელექტუალური სამყაროს ყურადღების ცენტრში.

უიტმენი, პირველად ვალდო რაჰ ემერსონმა - XIX საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსმა აღიარა. ეს მოხდა მაშინ, როცა უიტმენის „ბალახის ფოთლებს” უცენზურო სიტყვებით ლანძღავდნენ. წიგნებს უკან უბრუნებდნენ და მოითხოვდნენ, რომ მისი ლექსები კოცონზე დაეწვათ.

XX საუკუნის დასაწყისში უიტმენი რუსულად პირველად კონსტანტინ ბალმონტმა თარგმნა. იმპერიის ცენზურამ ტირაჟი გაანადგურა. კორნეი ჩუკოვსკის „ჩემ უიტმანსაც” იგივე ბედი ეწია. მაიაკოვსკიმ უმალ მიაპყრო

ყურადღება მანჰეტენის იდუმალი შვილის სრულიად ახლებურ პოეზიას, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც „ადიდებულ მდინარეს წააგავდა.”

ყველაფერი კი, როგორც თავად უიტმენი წერდა, უეცრად 1853 წელს დაიწყო. მასში მოხდა უეცარი გარდასახვა და როგორც წინასწარმეტყველი, ისე მოევლინა ამერიკას, რომელსაც ამერიკის ყველაზე ნაციონალური წიგნი უნდა დაეწერა. უიტმენის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მან განიცადა სულიერი კრიზისი, რომლის გამოძახილიც იყო მისი პოეზია, ეს მოსაზრება საბოლოოდ მაინც არ არის დადასტურებული. ფაქტია, რომ 1844-1855 წლებში უიტმენის შემოქმედებით ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო.

უოლტ უიტმენმა მიზნად დაისახა, შეექმნა წიგნი, რომელშიც აისახებოდა ამერიკის სინამდვილეც და ილუზიაც. მას სწამდა, რომ ამერიკა თავად იყო პოემა, ჯერ კიდევ დაუწერელი, რომელიც უიტმენს უნდა დაეწერა.

„მე ვარ ახალი, ძლიერი რასსის მახარობელი.

ნეტავ თუ არის ამ ქვეყანაზე, სამარდაჟამო...

„იყავ მშვიდობით”?

ჰე, ამხანაგო ჩემი წიგნი,

არ არის წიგნი,

ვინც კი ოდესმე მას შეეხება -

კაცს შეეხება იგი ყოველთვის” – ვკითხულობთ კ. გამსახურდიას თარგმანში. [27,88]

„ბალახის ფოთლების” პირველი გამოცემა მეტად ორიგინალური დიზაინით გამოირჩეოდა. იგი სულ 800 ეგზემპლარი იყო. არ ჰყავდა რედაქტორი, გამომცემელი, ამიტომ მწერალმა იგი საკუთარი ხელით აკრიფა. ორიგინალურად გაფორმებულ გარეკანზე ეწერა:

„მე ვარ უოლტ უიტმენი, თავზეხელაღებული ამერიკელი და ჩემშია მოქცეული მთელი სამყარო.”

ნიუ-იორკმა არ მიიღო წიგნი – კრიტიკოსებმა, პუბლიცისტებმა, „ბალახის ფოთლები” ვულგარულ, ქედმაღლურ და ბინძურ ნაწარმოებად შეაფასეს. ზოგიერთმა წიგნის აკრძალვაც კი მოსთხოვა ხელისუფლებას. ერთადერთი, ვისაც წიგნის წარმატების სჯეროდა, უოლტ უიტმენი იყო. მისი აზრით, ედგარ პოს, ლონგ ფელოს, ფილოსოფოს - მორალისტის ემერსონის, ფენიმონ კუპერის შემოქმედება ევროპული კულტურისა და ლიტერატურის ზეგავლენას განიცდიდა

და მხოლოდ მას შეეძლო შეექმნა ნამდვილი ნაციონალური პოეზია, რომელშიც ამერიკული სული აისახებოდა.

უიტმენის სიცოცხლეში წიგნი ექვსჯერ გამოიცა. იგი მას მთელი ცხოვრება ქმნიდა. „ქება-დიდებას ვასხამ საკუთარ თავს და ვუმღერი საკუთარ თავს" – წერდა პოეტი. მორიგი წარუმატებელი გამოცემის შემდეგ, უოლტ უიტმენმა გადაწყვიტა, თვითრეკლამისათვის მიემართა. ყოველდღიურ ბრუკლინურ „თაიმსში", **"Democratic Reviw"-**ში დაიბეჭდა სკანდალური რეცენზიები:

„როგორც იქნა მოვიდა ამერიკის ნამდვილი მომღერალი, გვეყო საცოდავი მიმბაძველობა. დღეიდან ჩვენ ჩვენად ვიქცევით, დღეიდან ვიწყებთ ამაყ და ძლიერ სიტყვიერებას. შენ დროზე მოხველ პოეტო".[41,9]

თვითრეკლამამ უარყოფითი შედეგები გამოიღო. ამერიკული ლიტერატურული წრეები უიტმენის სითამამემ განარისხა. სწორედ ასეთ დროს უიტმენი იღებს ფილოსოფოს ემერსონის წერილს.

ვალდო რაჰ ემერსონის ყოველი სტატია, რეცენზია დიდი მოვლენა იყო ამერიკის საზოგადოებისათვის. ემერსონი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ბრმას არ შეეძლო, დაენახა, თუ როგორი უნიკალური შედევრი იყო „ბალახის ფოთლები." „ბედნიერი ვარ, რომ ვკითხულობ ამ წიგნს, რადგან ჭეშმარიტი პოეზია სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს" – წერდა ემერსონი. [84,20]

უოლტ უიტმენმა, 1856 წელს გამოცემულ „ბალახის ფითლების" შევსებულ გამოცემას ემერსონის წერილიც დაურთო. ლექსების კრებული ისევ უარყოფითად შეფასდა. 1857 წელს **"The London Critic"-**მა უიტმენის პოეზია, გესლიანი სიტყვებით შეაფასა.

კნუტ ჰამსუნმა, დიდმა ნორვეგიელმა მწერალმა, უოლტ უიტმენის პოეზიას „ველური სიტყვების საზეიმო თამაში უწოდა". მისი შეფასებით, უიტმენის თხზულებები ისე ჰგვანან პოეზიას, რამდენადაც გამრავლების ტაბულას და ამ ლექსების წასაკითხად სულ ცოტა ორჯერ მეტი შთაგონება მაინცაა საჭირო, ვიდრე იმისთვის რომ ისინი დაწერილიყო".

ჰამსუნი მიიჩნევდა, რომ ემერსონის წერილმა განაპირობა უიტმანის პოეზიის პოპულარობა და მისი პოეზიის წარმატება, თორემ იგი შეუმჩნეველი დარჩებოდა, რადგან „პოეტის ენა მძიმე და ბუნდოვანია."

ჰამსუნი, უოლტ უიტმენს „ველურს" უწოდებს და უჭირს, უიტმენის პოეზია ლიტერატურის რომელიმე ჟანრს მიაკუთვნოს:

„მაინც რა უნდა უოლტ უიტმენს? – კითხულობს იგი, – არავინ იცის, მე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს კაცი, რომელსაც ამდენი ეთქვას ისე, რომ არაფერი იყოს თქმული.” [68,22-23]

უიტმენის კრიტიკოსები ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ „ბალახის ფოთლების” ავტორის სახელი ამერიკის საზღვრებს გასცდებოდა და ამ ქედმაღლური ტონით შექმნილ კრებულს სხვადასხვა ენაზე თარგმნიდნენ.

უიტმენის პოეზია პირველად ინგლისში, კლასიკოს მწერალთა წრეში აღიარეს. უოლტ უიტმენმა შექმნა ახალი ლექსთწყობა და მისი პოეზია დაუკავშირდა ვერლიბრის წარმოშობის ისტორიას.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის, განსაკუთრებული ინტერესის საგანი აღმოჩნდა უიტმენის გამოჩენა პოეზიის სამყაროში. ქართველი მწერალი ამერიკელი შემოქმედის ნოვატორულ პოეტურ ფილოსოფიას ღრმად სწვდება. მისთვის უცხო არ იყო უიტმენის შემოქმედებითი ამბიციურობა, თუ ლექსთწყობის ორიგინალური ფორმები. იგი მწერლობაში ხომ მუდმივი განვითარების, განახლების მომხრე ოყო.

კ. გამსახურდია უოლტ უიტმენს „მოულოდნელობის პოეტს” უწოდებს. რომელმაც უარყო კანონიკური პოეტური ფორმები და არასტანდარული მხატვრული სახეებით თავისუფალი ლექსი შექმნა. უოლტ უიტმენი მიიჩნევდა, რომ მისი ლექსი ეს იყო ბუნებრივი, როგორც ამოსუნთქვა. „იგი წერდა ისე, როგორც მის ნიაღვარივით ბუნებას მოეპრიანებოდა.” – აღნიშნავს გამსახურდია.

უიტმენი სიცოცხლის ბოლომდე თავს მანჰეტენის შვილად თვლიდა, რომელმაც ვადაგასული დოგმები უარყო და ამერიკა „ახალი ძლიერი ადამიანის, მზისა და მიწის ყველა სიკეთეს აზიარა.”

გამსახურდიას, უიტმენის ახლებური, ესთეტიკური, ფილოსოფიური პოეტური სტილი მწერლის უმთავრეს ღირებულებად მიაჩნია. უიტმენის პოეზია შინაგანი სტრუქტურით, მსფლომხედველობით, მხატვრული სახეებით, მკვეთრად განსხვავდებოდა XIX საუკუნის პოეზიის სხვა ქმნილებებისაგან. პოეტი ქმნიდა ორიგინალურ მხატვრულ სახეებს, ცდილობდა ეჩვენებინა რაც შეიძლება მრავალფეროვანი ცხოვრებისეული სურათი.

გამსახურდიას აზრით, უიტმენის სასიყვარულო ლირიკაში, ფილოსოფიურ გააზრებასა და ყოველდღიურ ჩანახატებში იგრძნობა „მსოფლიო სივრცე”, რომლის ცენტრში დამოუკიდებელი, ძლიერი და თავისუფალი ადამიანი დგას. შეუძლებელია, აქ არ დავინახოთ კ. გამსახურდიას შემოქმედების ქვაკუთხედიც.

კ. გამსახურდია უოლტ უიტმენს, ახალი, ძლიერი თაობის მახარობლად მიჩნევს. თუ ოსვალდ შპენგლერმა მთელი ქვეყანა ორ ბანაკად დაყო: დიდი ქალაქი და მსოფლიო პროვინცია, უიტმენისათვის უდიდესი ქალაქი არის იქ სადაც დიდი ადამიანი დაიბადება._მწერალი, უიტმანის პოეზიაში „ადამიტური ძლიერების აპოლოგიას" ხედავს. უიტმენმა ათეული წლებით ნიცშეზე ადრე ამერიკული ჰიმნებით უმღერა ფოლადის თაობას. უიტმენის, მსოფლიო სულითა და ხორცით ძლიერების სამკვიდრებელი იყო. გამსახურდია სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე ხსნის უიტმენის პოეზიის მარადიულობას.

გამსახურდია სიღრმისეულად სწვდება უიტმენის მხატვრულ სამყაროს, პოეტიკას და განმარტავს, რომ უიტმენის პოეზიისთვის უცხო იყო ნოვალისის პესიმიზმი, ბოდლერის ან ვერლენის ნერვული ჰიპოხონდრია. უიტმენი განყენებულად დგას მსოფლიო პოეზიის გენიოსთა შორის. გამსახურდია მას – როგორც ახლი „თაობის მეკვლეს" – საგანგებოდ გამოარჩევს „რჩეულთა პოეზიაში".

უიტმანი წერდა „მე ღვთაება ვარ, როგორც შიგნით ისე გარეთაც" და ლექსში „ვით ადამი" თავს, კაცობრიობის პირველ საწყისს ადამს – ადარებს. კონსტანტინე გამსახურდია, ლექსში ვნებიანი, მსმელი, მჭამელი, ბუნების სასწაულით აღტყინებული ადამიანის მხატვრულ სახეებზე საუბრობს:

„უიტმენი აღტაცებულია ადამიანის სხეულით განმარტავს მწერალი – ასეთი ადამიანებისათვის ქმედობის ქურაში იტანჯებოდა დედამიწა. მათთვის მღერიან ცის მნათობები. ეთერის უსაზღვრო თვალუწვდენელ რეგიონებში. ამნაირი ადამიანის თავი მრავალი სასწაულის შემცველი მანქანაა, იდეებით, აღტაცებით, სიყვარულით, გმირობით სავსე".[18,385]

ახალი პოეტური აზროვნებითა და განსხვავებული იდეებით აღსავსე პოეტის იდუმალი სული გამსახურდიას მძაფრ ინტერესს იწვევს და მასში სამყაროს სუნთქვას გრძნობს. უიტმენის ლექსს „სამ სამყაროს" მწერალი შედევრად აღიარებს, ხოლო ხორციელის აპოლოგიას ხედავს შემდეგ პოემებში: „ოცდარვა ახალგაზრდა ბანაობს", „იცნობდი ერთ კაცს", „ვხედავ დედაკაცი შიშველი ცურავს".

კონსტანტინე გამსახურდია, უიტმენის პოეზიაში, მარადიულობის თემას აანალიზებს: სწორედ ამ მარადიულ წრებრუნვაში, სადაც ერთი ათასად იქცევა, და პირიქით, სიკვდილ-სიცოცხლის ღრმა მისტერიას ხედავს. ამ კუთხით განიხილავს ლექსებს: „მკითხავდა ბავშვი", „რაა ბალახი", „ქალაქი

მიცვალებულთა სახლში", სადაც მარადიულობის იდუმალი მისტერია მაღალმხატვრული პოეტური ენით არის გაცხადებული

კონსტანტინე გამსახურდია უიტმენის მხატვრულ ენას „ძლიერის გრძნობის ვულკანს უწოდებს", რომელიც ხანდახან მაღალტონიან დითირამბებს უახლოვდება. ესსეში განხილულია პოემა „მომეცი ელვარე, ბრწყინვალე მზე", სადაც პოეტი ისეთივე სიყვარულით უმღერის ქალწულებრივი სილამაზით აღსავსე ბუნებას, როგორც მოუსვენარ ჭუჭყიან მანჰეტენს:

„მომეცით მეტი სანახაობა
და მანჰატანის ვრცელი ქუჩები,
ო, ეგ ცხოვრება მრავალგვარი მოუსვენარი
ეგ არის ჩემთვის." [27,85]

უიტმენის პოეზიაში ბუნება და ადამიანი ჰარმონიაში თანაარსობენ, სადაც სამყარო სრულქმნილი და იდეალურია.უიტმენი უმღეროდა სულსა და ხორცს, ომსა და ზავს, მაგრამ უმთავრესი უიტმენის პოეზიაში თავისუფალი, ძლიერი ადამიანის კულტია:

„მე ვარ მირიად ჭაბუკების მახარობელი,
მათ უნდა ექნათ ტკბილი სისხლი, ძლიერი ნება და სილამაზე;
მე ვარ ახალი ძლიერი რასის მახარობელი."[იქვე, 86]

უიტმენის ლექსი „მშვიდობით," კ. გამსახურდიას ერთგვარ რექვიემად აქვს წარმოდგენილი, სადაც პოეტი, არამარტო ერთ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ სრულიად კაცობრიობას მიმართავს. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი ადამიანის აღსარება, სადაც სიკვდილი მატერიისგან გაყრად, ერთგვარ გარდასახვად არის აღქმული. ეს ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათის ელემენტებს ატარებს:

უიტმენის ფენომენალური ხედვები, უცხო და არატრადიციული ლექსთწყობის ფორმებით არის გადმოცემული. გამსახურდიას მძაფრ ინტერესს იწვევს, უიტმენის, პოეტური სახეები, ხატოვანი ფორმებით გადმოცემის სტილი. უიტმენის სიტყვის წიაღში იგრძნობოდა დღემდე უხილავი და გაუგონარი ტონალობა, სწრაფვა, რაღაც ახლისკენ, მუდმივი ძიება, რომელსაც შეეძლო დაეპყრო მარადიულობა, არყოფნაში სრული ტრიუმფით გადასვლისას პოეტი ხმამაღლა აცხადებს, რომ „იგი არის ახალი, ძლიერი რასის მახარობელი".

უიტმენი თანაბარი სიწრფელით უმღეროდა, როგორც სიყვარულს, ისე სიკვდილსაც, სწორედ ამ ჰარმონიულობამ განაპირობა გამსახურდიას აზრით,

უიტმენის პოეზიის მარადიულობა. მწერლისთვის, სიკვდილი წინასწარი დათქმული გარსის დასრულებაა, „სულის სხვად ქცევა ყოველი არსის უსაზღვროების მარადჟამობის წიაღში დაბრუნება".[18,388]

ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში უიტმენის პოეზია ჯერაც აუხსნელი უნიკალური მოვლენაა. ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები მის ლექსებს უთარგმნელს უწოდებენ. პოეტი, რომელიც აცხადებდა: „მე ვარ ღვთაება"! საბოლოოდ მსოფლიომ აღიარა. მისი ლექსი თანამედროვე პოეზიის სამყაროში თვითდამკვიდრების ამბიციით მოვიდა და დარჩა.

მისი მრავალპლანიანი პოეზია თავს უყრის ბიბლიური, ხალხური, ჟარგონული მეტყველების ელემენტებს. ყოველივე მთლიანობაში ერთ ჰარმონიულ, მისტიურ სიმფონიას ქმნის. მის ავტორს აქვს გაუნელებელი მოთხოვნა მოისმინონ მისი პოეზია, ჩასწვდნენ და გაიგონ მისი იდუმალება.

კონსტანტინე გამსახურდიამ შეიგრძნო უიტმენის პოეტური სამყარო, სწორად განჭვრიტა უიტმენის იდეალი – თავისუფალი ადამიანი. უდიდესი სიფრთხილით მოეკიდა ამერიკელი პოეტის შემოქმედების თარგმნას და „თავზეხელაღებული" ამერიკელის ჰუმანურ და სპეტაკ პოეზიას ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ჩვენს თანამდეროვეობაში.

იდუმალი ნორვეგიელები
(კნუტ ჰამსუნი და ჰენრიკ იბსენი)

XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი ნამდვილი ტრიუმფი იყო სკანდინავიური ქვეყნების ლიტერატურაში. ეს ტრიუმფი დაემთხვა ისტორიული და სოციალური განვითარებით მოტანილ ცვლილებებს, რომლებმაც განაპირობეს კიდეც აღმასვლა ლიტერატურაში.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში უდიდეს დასავლეთევროპულ ქვეყნებში კრიზისი იწყება, სკანდინავიურ ქვეყნებში კი დიდი გარდაქმნებია, ირღვევა პატრიარქატი. რაღაც დონეზე ამან განსაღვრა იმდროინდელი ლიტერატურის ხასიათიც: გმირების ზნეობრივი მაქსიმალიზმი, მხატვრული ინოვაციების მასშტაბურობა, ყურადღება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი პერსონაჟის, მისი ზნეობრივ-ფილოსოფიური ძიებების მიმართ, ღრმა ფსიქოლოგიზმი.

სწორედ 70-80-იან წლებში ქმნიან თავის საუკეთესო ნაწარმოებებს ჰენრიკ იბსენი და ავგუსტ სტრინდბერგი – სკანდინავიური თეატრის დიდი

რეფორმატორები, ევროპული „ახალი დრამის" უდიდესი წარმომადგენლები. სკანდინვიელი მწერლები, აქტიურად მუშაობდნენ, რომანის ჟანრშიც. მსჯელობს რა იმ პერიოდის ევროპული (სკანდინავიურისაც) რომანის „საოცარი აყვავების" მიზეზებზე, თ. მანი ხაზს უსვამს, რომ ეს აყვავება დროის სულთან ასე შეთანხმებული დემოკრატიზმითაა განპირობებული, თავისი ბუნებით ის თანამედროვე ცხოვრების გამოხატვისკენაა მოწოდებული. ეპოქის სული გამოიხატა ნორვეგიული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის კნუტ ჰამსუნის შემოქმედებაშიც.

„იბსენიზმის სენი", რომელმაც მოიცვა დასავლეთ ევროპა, კავკასიონის უღელტეხილს არ გადმოსცდენია, თუმცა ნორვეგიული ლიტერატურის ორი უდიდესი წარმომადგენლის კნუტ ჰამსუნისა და ჰენრიკ იბსენის სახელები ქართული საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი.

კონსტანტინე გასახურდიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, დიდ ნორვეგიელებზე შექნილ ესსეებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. „გასულ საუკუნეს სამი დიდი ინსპირატორი ჰყავდა – ფრიდრიხ ნიცშე, ჰენრიკ იბსენი და ლევ ტოლსტოი. ზოგი მწერალი სისოცხლეშივე კვდება, ზოგი თავისი სიკვდილით უკანასკნელ ბეჭედს ასვამს ხოლმე თავის ქმნილებებს – წერდა კ. გამსახურდია 1957 წელს. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ესსეში **"Pater Patria."**

ჰენრიკ იბსენი სწორედ ამ ადამიანთა რიგს განეკუთნება. მსოფლიომ აღიარა იგი როგორც – დრამატურგიის პატრიარქი. დიდ ნორვეგიელს კონსტანტინე გამსახურდია არაერთხელ მოიხსენიებს – ილია ჭავჭავაძის, ვიქტორ ჰიუგოს გვერდით. მიაჩნია რომ მათ სიცოცხლეშივე უდიდესი რეზონანსი გამოიწვიეს. თითოეული მათგანისთვის – თავისუფლება იყო პიროვნების უმაღლესი პოსტულატი.

მწერალი იბსენის „დოქტორ შტოკმანში" ხედავდა იმ იდეას, რომელსაც თავად მთელი ცხოვრება ემსახურებოდა: „ფარისევლობა თანამედროვე საზოგადოების ფუძეა და ამიტომაც „ხალხის მტერს" - დოქტორ შტოკმანს - ურჩევნია უმალ დაიქცეს მისი სამშობლო, ვიდრე ნახოს იგი ჭაობში აყვავებული" - წერს იგი 1931 წელს ესსეში „ჰენრიკ იბსენი".

იბსენის მსოფლიო აღიარება გამომდინარეობდა მისი უზადო ტალანტიდან. მან ასახა ეპოქის სული. ზოგადსაკაცობრიო იდეების გამო, იბსენის შემოქმედება ყველა ერისთვის მისაღები და გასაგები გახდა.მიუხედავად ამისა, იბსენი ბოლომდე ნაციონალურ მწერლად დარჩა, უპირველესად იგი ნორვეგიას

ეკუთნოდა. ჰამსუნი წერდა: „ Ибсен сделал больше, чем кто бы то ни было для того, чтобы литература маленькой Норвегии стала не менее заметной, чем величайшие из мировых литератур. Совершить это было под силу лишь такой могучей личности, как он “.[79]

იბსენს მსოფლიო აღიარება დრამებმა მოუტანა. XIX საუკუნის 70-80 წლებში მის დრამებში რომანტიული ელემენტები, სატირით იქნა დაძლეული. სწორედ აქედან დაიწყო იბსენის ნოვატორობა. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი იყო ღრმა ფსიქოლოგიზმი, ქვეტექსტები, პიესაში „თოჯინების სახლი” - იბსენი იყენებს ახალ მხატვრულ ტექნიკას - დისკუსიას. სწორედ „თოჯინების სახლმა” დაუდო საფუძველი – როგორც ბერნარდ შოუ აღნიშნავს – „ახალი დრამის” წარმოშობას. წიგნში „იბსენიზმის კვინტენსენცია” - ბერნარდ შოუ იბსენს ახალი დრამატურგიული სკოლის დამაარსებლად მიიჩნევს, რომელმაც მთელი ევროპა დაიპყრო.

„ახალი დარმის” დაარსებაში, ჰენრიკ იბსენთან ერთან დიდი წვლილი შეიტანეს კნუტ ჰამსუნმა, ემილ ზოლამ, ბერნარდ შოუმ. მან დასაბამი მისცა XX საუკუნის დრამატურგიის განვითარებას, ხოლო XIX საუკუნეში ახალი თემატიკა შემოიტნა: დასავლეთ ევროპის სცენებზე იდგმებოდა სპექტაკლები, რომელთა ძირითადი თემატიკა ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი სულიერი კრიზისის ჩვენება იყო. „ახალმა დრამამ” გამოიმუშვა ახალი ფსიქოლოგიურ- სოციალური ჟანრები, სასცენო ხელოვნების ესთეტიკა. ბერტოლდ ბრეხტის ეპიკური, ეგზისტენციალური და ექსპრესიონისტული დრამებიც „ახალი დრამის“ წარმოშობასთან არის დაკავშირებული.

იბსენის შემოქმედება ჩვენი საუკუნის გასამართლებას წააგავდა. ამ უზენაესი სასამართლოს მთავარ მსაჯულად კონსტანტინე გამსახურდია თეთფაფრიან ჰენრიკ იბსენს მიიჩნევს. მეამბოხე ნორვეგიელის შემოქმედებაში განსახიერდა როგორც XIX ისე XX საუკუნე. იგი ზნეობრივი რეფორმატორი იყო, რომელმაც მწერლის აზრით, რევოლუცია მოახდინა ადამიანის გონებაში. ჰენრიკ იბსენი ნორვეგიული ნაციონალური თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი, 1852-1857 წლებში, ქალაქ ბერგენში, პირველ ნორვეგიულ ნაციონალურ თეატრს ხელმძღვანელობდა. მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მუშაობდა სკანვდინავიურ საგებზე დაფუძნებულ ისტორიულ პიესებზე.

„ნებსით დევნილი” იბსენი შორიდან ეტრფოდა თავის ნორვეგიას და გულში იდუმალ გრძნობას ატარებდა: „პერ გინტით – ასწავლოს პატარა

ნორვეგიას სიდიადეზე ოცნება."სწორად განსაზღვრავს კ. გამსახურდია, პატარა ქვეყნისა და დიდი მწერლის ბედს, ჰენრიკ იბსენის ცხოვრებაზე საუბრისას. „ხომ, დიდი ბედნიერებაა პატარა ქვეყნისათვის დიდი მწერალი, ასეთივე დიდი უბედურებაა მწერლისთვის პატარა ერის შვილობა. თითქმის ყველა დიდი სკანდინავიელი მწერალი, გერმანიაში ან საფრანგეთში გაითქვამდა ჯერ სახელს და მხოლოდ ამის შემდეგ იწამებდა მას პატარა სამშობლო. 1863 წელს იბსენი გაექცა თავის უმადურ სამშობლოს და რომს გაემგზავრა. ნორვეგია იყო მისი სატრფო! ოცდაათი წლის განმავლობაში იდგმებოდა მისი დრამები მთელ ევროპაში. ბერლინი, მიუნჰენი, პარიზი ტაშს უკრავდა. იბსენი კი მისი საცოდავი პატარა ნორვეგიისკენ იყურებოდა. „პატარა ქვეყნის დიდი შვილი" – სწორედ ამ კუთხით წარმოაჩენს, მწერალი, იბსენის სიდიადეს, რომელსაც თავისი ინტელექტუალური აღნაგობით უნივერსალური სულის ადამიანად თვლის. იბსენი (ბრანდივით) აპოკალიფსურ ყალიბზე გამოჭრილ კაცად მიაჩნა, რომელმაც თავის იდეალს შესწირა ყველაფერი - შვილი, მეუღლე. კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ამ ტრაგიზმში ხედავს ძლერი ადამინის კულტს, ასეთი ადამიანები ატრიალებენ ისტორიის ჩარხს და ჰქმნიან სულიერ კულტურასო - განმარტავს იგი.

მწერალი იბსენის შემოქმედებაში ნიცშეანურ იდეებს ხედავს. ბრანდსა და ექიმ შტოკმანს ნიცშეანური ზეკაცობის იდეალებით მოწამლულ ხალხად თვლის, „მაგრამ ზარატრუსტა თუ უდაბნოში მიიწევდა, იბსენის გმირები - საკუთარ სულში შექმნილ უდაბნოდან, ადამიანებთან მიეშურებიან, რათა ახალი, მორჯულებული, გაწმენდილი ადამიანობის ცნებები უქადაგონ ხალხს."[18,392] მწერლის შეფასებით იბსენის გმირები ახალი სახარების მქადაგებლები არიან, რომლებიც „კელაპტარივით გზას უნათებენ ერს".

„ან ყველაფერი ან არაფერი" – ამ სიტყვებით გამოხატა მსოფლიო კაცმა ძლიერი პიროვნების სულიერი სამყარო. კონსტანტინე გამსახურდია განიხილავს ბრანდის, პერ გინტის – უბადლო ოსტატობით შესრულებულ მხატვრულ სახეებს და მწერლისა და პერსონაჟის იდენტურობაზე საუბრობს. მწერალი მიიჩნევს, რომ ჭერშმარიტი შემოქმედის სული, მის შემოქმედებაში უნდა გაცხადდეს.

კ. გამსახურდია იბსენის შემოქმედების პირველი პერიოდის ლოზუნგებად რომანტიკასა და ვიკინგობას მიიჩნევს. თავდაპირველად იბსენი ნაციონალური ეპოსის აღდგენას ცდილობდა „ხოლო შემდეგ მსოფლიო კაცი ვეღარ დაეტია ეროვნული პოეტის ფარგლებში...მან სიცოცხლეშივე მოასწროო დიდების

მწვერვალსათვის თვალის შევლება... იგი გოეტეს, შოპენჰაუერისა და ფრანგი დრამატურგების ჩრდილქვეშ გაიზარდა და არცერთ მათგანს არ ღირსებია სიცოცხლეშივე ასეთი დიდი ტრიუმფით შესვლა ევროპის კულტურულ ცენტრში როგორც იბსენს" [18,393]– განმარტავს მწერალი.

1850 წელს ქრისტიანინაში დაიდგა იბსენის პიესა „გოლიათთა ბორცვი". 1862 წელს ჰენრიკ იბსენმა შექმნა „სიყვარულის კომედია", რომელშიც ნორვეგიის სატირული სურათი ორიგინალური მხატვრული სახეებით გამოსახა. ისტორიულ დრამაში „ბრძოლა სამეფო ტახტისათვის" (1864) იბსენმა გადმოსცა გამარჯვება გმირისა, რომელიც პროგრესულ ისტორიულ მისიას ასრულებდა.

ნორვეგიული დრამატურგიის პატრიარქს – XIX საუკუნის 70-80-იან წლებში „მთელი ევროპის ფილისტერელებმა ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს". გამსახურდია იბსენის შემოქმედებითი ცხოვრების ამ ეტაპზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას.

ინგლისური გაზეთი **"Daily Telegrap"** – „ბესტიანურ ცინიკურ კოცებუას" უწოდებს იბსენს, - აღნიშნავს კ. ამსახურდია - და იქვე დასძენს, „კარგად შენიშნა ბერნარდ შოუმ მხოლოდ ჭკუათხელ იდიოტებს და ჭკუა ნაღრძობ ხალხს არ ესმოდათ იბსენის სიდიადის".[18.394]

იბსენის ესთეთიკა ძირეულადაა შეცვლილი პიესებში: „გარეული იხვი," „ქალი ზღვიდან", „როცა ჩვენ მკვდრები ვიღვიძებთ". მკვლევართა შეფასებით ამ პიესებში ცხოვრებისეული სურათები ფილოსოფიურ ჭრილშია განხილული.

იბსენის ზეგავლენა კავკასიონის უღელტეხილს არ გადმოსცდენია და არც ქართულ თეატრსა და აზროვნებაში შეუტანია რაიმე წვლილი. კონსტანტინე გამსახურდია არც საკუთარ თავს მიიჩნევდა იბსენიზმის სენით მოწამლულად, მხოლოდ „პერ გინტმა" დატოვა მასზე წარუშლელი კვალი, რომელიც დიდ სცენაზე 1919 წელს ნახა, რაინჰარტის მიერ დადგმული. „პერ გინტს" - გამსახურდია იბსენის შემოქმედების გვირგვინად მიჩნევს, რომელიც იბსენმა რომში „ნებითი დევნილობის დროს", 1863 დაწერა. ნაწარმოებში განსახიერდა იბსენის მსოფლმხედველობა და ზოგადსაკაცობრიო იდეალები.

ესსეს სტრუქტურიდან გამომდინარე კ. გამსახურდია „პერ გინტის" სიღრმისეულ შეფასებას არ აკეთებს. პერ გინტი, შლეგი ჭაბუკი, სიყმაწვილის ოცნებებს გადაყოლილი... ოცნებამ გაიტყუა – აღნიშნავს მწერალი, მაგრამ საბოლოოდ დაქანცული საყვარელ ნორვეგიას დაუბრუნდა. პერ გინტის უმთავრესი ცხოვრებისეული პრინციპია: „ან ყველაფერი ან არაფერი".

ნაწარმოების აქტუალობიდან გამომდინარე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ საკითხზე. „პერ გინტში" განსახიერდა პიროვნებისა და ინდივიდის ტრაგედია. მითოსური საბურველი და სახე-სიმბოლოები „პერ გინტს" იდუმალებით მოსავს. იბსენი ინტერესდება ადამიანის სულიერი სამყაროთი და ფსიქოლოგიზმით. ნაწარმოებში შერწყმულია სკანდინავიური ფოლკლორი და მწერლის ფანტაზია.

ნიკალაი ბერდიაევი, „პერ გინტის" ორიგინალურ შეფასებას იძლევა. მისი აზრით, იბსენმა, ამ ნაწარმოებით დაიმკვიდრა ადგილი, მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის. ნიკალაი ბერდიაევი ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავს ნაწარმოების სიუჟეტს და განსაკუთრებულ ყურადღებას ნაწარმოების ფინალსა და სოლვაიგზე ამახვილებს"

„„ В форму норвежской народной сказочности облечена мировая тема. „Пер Гюнта" нужно сравнивать по значению с гетевским „Фаустом". Это есть мировая трагедия индивидуальности и личной судьбы. И я не знаю в мировой литературе равного по силе изображения трагедии индивидуальности и личности.

Ибсен показывает, как самоутверждение индивидуума, всю жизнь желавшего быть „самим собой", ведет к разложению и гибели личности. Пер Гюнт всегда хотел быть „самим собой" и никогда самим собой не был, утверждал себя и утерял себя.

Пер Гюнт совершенно безличен, он утерял свою личность, никогда не был тем, для чего был создан Творцом. Пер стал троллем, т.е. довольным самим собой,

Но самое сильное в „Пер Гюнте" — образ Сольвейг, образ женской верности и жертвенной любви. Сольвейг всю жизнь оставалась верна Перу, всю жизнь ждала его, он хранился в ее сердце. И вот в час смерти потерявший свою личность Пер мог найти себе пристанище лишь в сердце Сольвейг, о которой забыл, в ее любви и верности. Пер сохранил самого себя, свою личность лишь в Сольвейг. Сольвейг есть вместе с тем и мать-заступница, последнее убежище человека, утерявшего себя и обреченного на гибель. В ней отражена святая и премудрая женственность Божьей Матери, Пресвятой Девы. "[69]

კ. გამსახურდიას შეფასებით იბსენისთვის ნორვეგია იყო მისი „დედკო და სატრფო-სოლვაიგ." მწერლის ნაციონალიზმში ხედავს ჭერშმარიტი შემოქმედის სახეს და მიიჩნევს, რომ სწორედ ამ გადაჭარბებულმა ნაციონალიზმმა

განსაზღვრა მისი ბედი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. იბსენიზმმა მოიცვა XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურა. თუმცა როგორც კ. გამსახურდია აღნიშნავს, მისი სტუდენტობის წლებშიც გერმანიაში არ იყო გადასული „იბსენიზმის სენი".

„1914 წლის მაისს პოლონეთზე გავლით მიუნხენს ჩავედი, მომეწონა მისი შესანიშნავი მუზეუმები, მხატვართა სალონები და საქვეყნოდ ცნობილი კაფე „სიმპლიცისიმუს" მხატვრებისა და მწერლების საყვარელი ყავახანა - იგონებს კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცში". გვიან გავიგე ამ კაფეში სტუმრობდნენ თურმე კნუტ ჰამსუნი და ჰენრიკ იბსენი. იქ მიჩვენეს მარმარილოს პატარა მაგიდა, რომელსაც მთელი საღამო უჯდა თურმე იბსენი." [16,108] მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე გამსახურდია იბსენიზმით მოწამლულად არ თვლიდა თავს, ადამიანის, პიროვნების თავისუფლების საკითხში დიდი ნორვეგიელისა და ქართველი მწერლის მსოფლმხედველობა გადაიკვეთა. ყველა ის წყეული საკითხი ესთეტიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური თუ სოციალური, რომელიც აწვალებდა XIX და XX საუკუნეს, იბსენის შემოქმედებაში განსახიერდა. „ასმა წელმა განვლო მისი დაბადების დღიდან მიუხედავად ამისა იგი დარჩება ადამიანის ხსოვნაში მარად ჭაბუკური იდეალების ალამდარი და დიდი რეფორმატორი".[18]

ჰერმან სტრუკის ნახატის აღწერით იწყება ჰენრიკ იბსენის შესანიშნავი ესსე, სადაც ნორვეგიის სევდიანი შვილი, ლომისებრ ფაფრიან კაცს მოგვაგონებს, რაშიც მეყსეულად მხილდება სკანდინავიური ხასიათი.

კ. გამსახურდიამ XX საუკუნის 20-იან წლებში, ქართველ მკითხველი, მეორე დიდი ნორვეგიელის, კნუტ ჰამსუნის იდუმალ და ემპირიულ სამყაროს აზიარა.

მაშინ, როცა კნუტ ჰამსუნი სამწერლობო ასპარეზზე გამოდის, სკანდინავიური ქვეყნების ლიტერატურაში ხდება რადიკალური გარდატეხა...

გ. ბრანდესი, რომლის შემოქმედებამ XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდი აღმავლობა განიცადა, 80-იან წლებში ღრმა კრიზისმა შეპყრო. ახალგაზრდა მწერალთა თაობა ნიცშეს ფილოსოფიურ-რელიგიურ შეხედულებებს იზიარებს. ბრანდესმა გერმანელ ფილოსოფოსს შესანიშნავი ესსე უძღვნა „არისტოკრატიული რადიკალიზმი". იგი ნიცშეს ფილოსოფიაში ახალ იდეებსა და ესთეტიკას ეძებს, რაც ასე აკლდა სკანდინავიურ ლიტერატურას.

კნუტ ჰამსუნი სწორედ ამ დროს გამოდის სამწერლობო ასპარეზზე. მან ლიტერატურულ წრეებს შესთავაზა ახალი ესთეტიკა. აქვეყნებს სტატიებს: „ნორვეგიული ლიტერატურა", „ფსიქოლოგიური ლიტერატურა", „თანამედროვე ლიტერატურა" (1891), სადაც აკრიტიკებს ნაციონალურ ლიტერატურას, რადგან მასში ვერ ხედავს ღრმა ფსიქოლოგიურ წიაღსვლებს, იგი მოითხოვს ფსიქოლოგიური ლიტერატურის შექმნას.

ჰამსუნის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ნიცშეანურმა იდეებმა. სწორედ მისი იდეებიდან გამომდინარე შეძლო ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათების შექმნა. ჰამსუნის „შიმშილმა" ახალი ეტაპი შექმნა ნორვეგიულ ლიტერატურაში, როგორც თავად წერდა - ეს იყო არა რომანი, არამედ ანალიზთა სერია, რომელშიც აისახა ადამიანის სულიერი მდგომარეობა. კრიტიკოსები ჰამსუნის ნერვულ ადამიანს, ადარებენ კაფკას, სარტრის და კამიუს პერსონაჟებს, რომლებიც განწირულნი არიან უაზრო, აფსურდული ცხოვერებისათვის, ეგუებიან თავიანთ ბედს, ჰამსუნის გმირი კი ბოლომდე ინარჩუნებს ღირსების გრძნობას, ბედს არ ემორჩილება და სურს „ფეხზე მდგომი მოკვდეს". ჰამსუნის შემოქმედება ახალი ფურცელია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. იგი იკვლევდა ადამიანის ქვეცნობიერ იდუმალ სამყაროს და მხატვრული კალმით ქმნიდა ახალ ტიპებს, ხასიათებს, ფსიქოლოგიურ ინდივიდებს.

კ. გამსახურდია სწამდა, რომ შემოქმედის სული, ესთეტიკა და ადამიანის სამკაული-პიროვნება, ხელოვანის შემოქმედებაში, მის „ფერადებში" უნდა ასახულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ უწოდებდა ხელოვანს „ჭეშმარიტების იდუმალ მოციქულს".

მწერლის ესსეისტიკაში არაერთი ხელოვანი თუ საზოგადო მოღვაწეა ამ კუთხით გამორჩეული – ილია, გოეთე, რილკე... დიდ ნორვეგიელს – კნუტ ჰამსუნსაც ამ თვალსაზრისით გამოარჩევს და „ციდან ჩამოვარდნილ მწერალს" უწოდებს: „მე არ ვიცი მისი ნამდვილი გვარი, მე მხოლოდ ჭაბუკობისას მიგემნია მისი სუნელოვანი რომანები. მეოცნებე ყრმას, სანდრო ყაზბეგის საყვარელ მთებში მომწყურებია წასვლა იქ რომანტიულ ელგუჯასა და მათიას სამშობლოს ნახვა, ვინაიდან მჯეროდა რომ ისინი მართლაც ცხოვრობდნენ, მჯეროდა რადგან ჭეშმარიტ ხელოვანს არ შეგიძლია არდაუჯერო. ჰოდა, არანაკლებ მინდოდა ნორვეგიის ცივი ფიორდების ნახვა, იმ ადგილებისა სადაც გლანი დითირამბებს უმღეროდა შემოქმედს და ტყის პანის მომაჯადოებელ

სალამურზე ნაღვლიანად იღიმებოდა – წერდა გამსახურდია 1923 წელს კნუტ ჰამსუნზე.

ჰამსუნის იდუმალებით მოცული სული გლანში და ნაგელში განსახიერდა. მწერალს სწამს გმირისა და პერსონაჟის იდენტობისა, რადგან ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი თავისი შემოქმედებით იძენს მარადიულობას. ჰამსუნის იდუმალების მოციქულები (გლანი, ნაგელი) „მწერლის ძვალია ძვალთაგანი და ხორცია ხორცთაგანი ჰამსუნი ნაგელის საოცარი ჟინითაა შეპყრობილი."

ჰამსუნის შემოქმედება ზღაპარია, რომლისაც გჯერა. კოსტანტინე გამსახურდია გლანს „რუბენსის მთვრალ სილენს ადარებს" ამ შედარებით ქმნის ახალ, იდუმალებით მოცულ ფერწერულ ტილოს, სადაც ჰამსუნის არა ამქვეყნიური გმირები თრობანარევი ტკბობითა და მომღიმარი სახეებით ნორვეგიის იდუმალ ბუნებაში იკარგებიან. ორიგინალურად შექმნილ ეტიუდში მწერლის ოსტატობა, კალამი – მხატვრის ფუნჯივით მოქნილი ხდება და იქმნება ახალი ხელოვნება, სადაც დრო არ არსებობს. ეს ის ხელოვნებაა რომელიც ისე გათრობს და ისე გაბრუებს როგორც „თვით სილენს ვაზის წვენი და გლანს-ტყის ბალახების სუნი".

კ. გამსახურდიასთვის დიდი ნორვეგიელი ის იდუმალი მწერალია, რომელიც ადამიანის სულის ყოველ ტკივილს ჩასწვდება, „სულის, რომელიც ისე იკლაკნება ტანჯვის კოცონზე, როგორც „მამა ლაოკოონში".

შემოქმედისათვის ძვირფასია, როგორც ცისკარი ჩვენი სულისა ისე მისი მწუხრი. აქ შეუძლებელია, არ დავინახოთ თვით კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ესთეტიკა. მის რომანებში იკვეთება ადამინის სულის იდუმალი ლაბირინთები, ექსტაზისა და სულიერი მწუხრის მომენტში დახატული ხასითები. ჭეშმარიტი ხელოვანი ხომ, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მარმარილოდან გამოჰკვეთს მიქელანჯელოსავით მოსეს, რომელსაც გაღვიძებაც კი შეუძლია, როცა მას შემოქმედი უბრძანებს, ფერთა ქაოსიდან გამოაკრთობს მონნა ლიზას ღვთაებრივ ღიმილს."

გამსახურია ჰამსუნის შემოქმედების ერთ უმნიშვნელოვანეს მხარეზე ამახვილებს ყურადრებას - ჰამსუნი ღრმად სწვდება გმირების ტანჯვის უფსკრულს, ჰამსუნის ყოველი სტრიქონი ტანჯვის ქურაშია ამოვლებული. იგი ძუნწია სიტყვაში – აღნიშნავს მწერალი და სწორედ აქ იკვეთება ძველ ელადაში შექმნილი კანონის ერთგულება „არც მეტი, არც ნაკლები". „არა მგონია რომ მოდერნულ ლიტერატურაში კიდევ იყოს ისეთი მწერალი, რომელსაც ისე

ჰქონდეს შეგნებული ეს პრინციპი, როგორც ჰამსუნს.” გამსახურდიას, ჰასუნის ყოველი სიტყვა ახალი სახის ნაწილად მიაჩნია. „არაფერი გაკეთდეს ზედმატი ან ნაკლები. ძველი ბერძნების ამ კანონს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მოაზროვნე კაცობრიობა. ჯერ არცერთ ნაციას არ ჩაუხედია ადამიანის ზღვა სულში, როგორც ძველ ბერძნებს. არცერთ ხალხს ისე გუნდრუკი არ უკმევია ჭეშმარიტებისათვის როგორც მათ”[16,449 ხელოვნების შეფასების ეს კრიტერიუმები –ყოველ დროს შემოქმედის ამოსავალი წერტილია. ჩვენი აზრით, როგორც კნუტ ჰამსუნს, ისე კონსტანტინე გამსახურდიასაც ხელოვნების ეს პრინციპი შესისხლხორცებული ჰქონდათ.

ჰამსუნის კალამი ქმნიდა დაუვიწყარ სურათებს. პერსონაჟის ხასათის გამოკვეთა უმნიშვნელო შტრიხებით შეეძლო. კ. გამსახურდია საილუსტრაციოდ ჰანკას პორტრეტს გვიჩვენებს: „ჰანკას - თითქმის შეუმჩნეველი ნაჩხვლეტი ჰქონდა ლოყაზე, მაგრამ, როცა იცინოდა ეს დიდდებოდა და მშვენიერ იერს აძლევდა მის სახე. ამის მეტი არაფერია ნათქვამი და სურათი უკვე მზადაა”.[იქვე]

კონსტანტინე გასახურდია თავად ითველება პორტრეტების უბადლო შემქმნელად, უტას, შორენას, თარაშისა და სავარსამიძის სახეები მაღალმხატვრული ოსტატობით აქვს შექმნილი. მის ტილოებში ფრესკული ხელოვნებაც კი საოცრად მეტყველია, რომ არაფერი ვთქვაეთ ქვაში გაცოცხლებულ სვეტიცხოველზე.

ეტიუდში კ. გამსახურდია ყაზბეგის სიყვარულის თავისებურებაზე საუბრობს, იქვე დასძენს, არანაკლებ საოცარიაო ჰამსუნის გმირების ტრფობა. არ არის ნახსენები, არც მათია, ონისე, ძიძია, მაგრამ მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ის სიგიჟის ნაპერწკალი, რომელსაც ტრაგიზმამდე მიჰყავს ეს გმირები. „ჩვენს წინ დგას ნაზ ვიქტორიას ჯიუტ ედვარდსა და ჟინიან ტერეზას სახეები - განა ეს სისხლიანი ისტორია არაა, რომელსაც ავტორი სამართლიანად უწოდებს „სიგიჟის ნაპერწკალს”, სიყარული - ხომ ღვთის სიტყვაა და სიცოცხლედ უღირს გლანის ევას, ონისესა და ძიძიას“.[16,450]

გლანი, ტარიელივთ გახელებული მიჯნურიაო - აღნიშნავს გამსახურდია და საუკუნეებით დაშორებული გმირების ირაციონალურ სამყაროს მარადიული თემის ირგვლივ აერთიანებს. გლანი, რომელიც ჩვენ დროში ცხოვრობდა, ისეთივე შეშლილია, როგორც საშუალო საუკუნეების პირმშო ტარიელი. „ისევ ვკითხულობ ამ სისხლით დაწერილ სტრიქონებს, ამ ბუმბერაზულ მაგრამ ჩუმ

ბრძოლას ადამიანის გულსა და ჟინს შორის, ვხედავ ამ პირგასისხლიანებულ ადამიანებს, რომელნიც „კლავენ იმას ვინც თვითონვე უყვართ" - აღნიშნავს მწერალი იდუმალი ესსეს დასასრულს.

კნუტ ჰამსუნმა, 1898 წელს იმოგზაურა რუსეთში, ირანში, კავკასიაში კერძოდ – საქართველოში. ამ მოგზაურობისაგან მიღებული შთაბეჭდილებები აისახა მის შემოქმედებაში კერძოდ „ზღაპრულ ქვეყანაში" და პიესაში „დედოფალი თამარი". კ. გამსახურდია 1931 წელს დაწერილ ნარკვევში „უკრაინის თემიდი" - კნუტ ჰამსუნის მიერ შექმნილ პიესას უარყოფით შეფასებას აძლევს. ამ შესანიშნავი და სიყვარულით აღსავსე ეტიუდის შემქმნელისაგან, უცნაურია, გაღიზიანებული ტონი დიდი ნორვეგიელის მისამართით, რასაც გარკვეული ახსნა მოეძებნება.

სამწუხაროა, რომ ეტიუდში კ. გამსახურდია არ საუბრობს კნუტ ჰამსუნის შემოქმედების მწვერვალის „შიმშილის" შესახებ. ნობელის პრემიის ლაურეატის ამ მოთხრობამ გადატრიალება მოახდინა არამარტო ნორვეგიულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც. ნაწარმოები ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს და იშვიათი ნიმუშია ამბივალენტური, შინაგანად წინააღმდეგობრივი უკიდურესად ზემგრძნობიარე ადამიანის სულიერი ცხოვრების ასახვისა.

1923 წელს მიუნხენში შესრულებული ეტიუდი „კნუტ ჰამსუნი" თავისი შინაგანი სტრუქტურით ესსეს ჟანრს უფრო განეკუთვნება, ვიდრე ეტუდისას. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, ესსეს დასასრულს მიწერილ ***P.S-ზე.*** **„სამწუხაროა, რომ მიხრწნილობაში გადამდგარი მოხუცი ჰამსუნი ფაშისტი კანიბალებისადმი სიმპატიით განიმსჭვალა".**

ცნობილია, რომ მწერალმა მინაწერი მეორე მსოფლიო ომის დროს გააკეთა. იყო თუ არა ჰამსუნი ფაშისტი, ან მართებულია თუ არა კითხვის ასეთი ინტერპრეტაციით დასმა? ამ საკითხის ირგვლივ დღესაც კამათობენ

2009 წელი ნორვეგიაში ჰამსუნის წლად გამოცხადდა. წელი ოსლოს ნაციონალურ თეატრში საზეიმოდ გაიხსნა. მსოფლიო პრესა ფართო მასშტაბებით აშუქებდა ამ მოვლენას. იბეჭდებოდა კრიტიკული სტატიებიც (ნორვეგიულ, რუსულ პრესაში) სადაც ჰამსუნის ფაშისტურ მიდრეკილებებზე საუბრობდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კნუტ ჰამსუნი, ოთხმოც წელს მიტანებული მოხუცი, სმენა- და მხედველობადაქვეითებული, 1946 წელს გაასამართლეს. ბრალს დებდნენ, კვისლინგის (ნორვეგის მინისტრ-პრეზიდენტი 1942-45) ნორვეგიული ფაშისტური პარტიის წევრობაზე და

ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში, რასაც ჰამსუნი კატეგორიულად უარყოფდა, თუმცა აღიარებდა, რომ იზიარებდა კვისლინგის იდეებს. „ჰამსუნის საქმის" - მასალებიდან ირკვევა, რომ 1940 წლიდან იგი ირიცხებოდა პარტიაში. პირადად იცნობდა ადოლფ ჰიტლერს. არსებობს მათი შეხვედრის ამსახველი დოკუმენტური მასალები. არსებობს აგერთვე სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც წერია, რომ ჰამსუნი 1942 წლიდან ავადმყოფობდა ათეროსკლეროზით, რის გამოც შესაძლოა ადვილად მოქცეულიყო სხვისი გავლენის ქვეშ. დაკარგული ჰქონდა მეტყველების უნარი. სასამართლომ გაითვალისწინა რა ყოველივე მხოლოდ ფულადი ჯარიმა გადაახდევინა მწერალს. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ჰამსუნს უყვარდა ნორვეგია და აღმერთებდა გერმანიას, გერმანულ კულტურას. სწორედ გერმანიამ აღიარა პირველად ჰამსუნი. გერმანიის სიძლიერეში ხედავდა ნორვეგიის მომავალს. კონსტანტინე გამსახურდიას გვიანდელი მინაწერიც სწორედ ამ ფაქტებიდან გამომდინარე შეიძლება ავხსნათ (საბჭოთა რეჟიმის პირობებში მწერლის ეს ნაბიჯი შეიძლება ერთგვარი თავდაცვაც იყო).

ჩვენი მიზანი არ არის ჰამსუნის პოლიტიკურ მრწამსზე საუბარი აქ უმთავრესია მისი, როგორც შემოქმედის გენიალურობა და აგრეთვე გამსახურდიას მოსაზრება გმირისა და პერსონაჟის იდენტობაზე. გამსახურდია წერდა: „მე არ ვიცი იგი სად დაიბადა, ხელთ არ მქონია მისი ბიოგრაფია, მაგრამ ვიცნობ გლანს, ვიცნობ ნაგელს" – და სწამდა, რომ პერსონაჟი ავტორის „ძვალია ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი". აქედან გამომდინარე, ზედმეტია საუბარი ჰამსუნის ფაშისტურ მიდრეკილებებზე. მწერლის გვიანდელ პოლიტიკურ მრწამსზე.

ოსვალდ შპენგლერი - „დასავლეთის დაისი"

კონსტანტინე გამსახურდიას, „მეტაფიზიკოსის დღიური" (1921-22წ.) ოსვალდ შპენგლერის (*Osvals Spengler, 1880-1936*) უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის ნაშრომს **"Der Untergang des Abendlandes"** (დასავლეთის დაღუპვას) ეძღნება, რომელიც 1918-22 წწ-ში გამოვიდა და იმთავითვე მიიპყრო ინტელექტუალთა ყურადღება. მწერალი, შპენგლერის

შრომას, „აპოკალიფსურ წინასწარმეტყველებას” უწოდებს და მის ირგვლივ, მთელ რიგ კულტურულ-ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობს.

გერმანელი ფილოსოფოსის, ესთეტიკას მსოფლიოს მასშტაბით გამოეხმაურნენ: ჰერმან ჰესსე (ქაოსის პერსპექტივა) იტალიელი ჯიან ბატისტა ვიკო, ავსტრიელი მეცნიერი – ოტტო ნეირატა, (ანტი-შპენგლერი).

გამსახურდია, შპენგლერის შემოქმედების სიძლიერეს მის ალოგიზმში ხედავს. მისი მეთოდი უმეთოდობაა „მისი წიგნი სუნთქავს ძლიერი გოეტესებური ინტუიციის ძალით. ეს არის დიდი ვიზიონერული ხილვა. ესქატოლოგიური ხილვა მსოფლიო წარღვნისა” [16.379] – ვკითხულობთ „მეტაფიზიკოსის დღიურში”.

შპენგლერმა მისტიციზმისაკენ მიაბრუნა ადამიანთა გონი. გამსახურდია ამის მიზეზს XX საუკუნის სკეპტიციზმში ხედავს, როცა ევროპულმა ნიჰილიზმმა გზა მისტიკას დაუთმო. მწერლის შეფასებით, შპენგლერის წიგნი პირველი ცდა იყო ისტორიის მსვლელობის „წინასწარი გაგებისა”, ფილოსოფოსს ეწადა მისწვდომოდა იმ ფორმებს, რომლებსაც მიიღებდა დასავლეთის კულტურა, რომელიც გამსახურდიას სიტყვებით, რომ ვთქვათ, „სრულყოფაში იყო განზრახული”.

შპენგლერი, რომელიც სკეპტიკურად შესცქეროდა დასავლეთის კულტურას, ფენომენალური ოსტატობით ქმნიდა ახალ თეორიას, ისტორიის განვითარების, კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ. „დასავლეთის დაღუპვა”, დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანიის სტუდენტურ წრეებში. პროფესურა, კი უარყოფით შეფასებას აძლევდა გერმანელი ფილოსოფოსის მოსაზრებებს და ახლგაზრდობის გარყვნაშიც კი სდებდა ბრალს. შპენგლერის არაორდინალურმა ესთეტიკამ, შეიძლება ითქვას, გადატრიალება მოახდინა ისტორიული ევოლუციის, პროგრესის, აბსოლუტური ღირებულებების სფეროში.

სანამ უშუალოდ კონსტანტინე გამსახურდიას წერილს განვიხილავდეთ, ცოტა რამ ვთქვათ გერმანელი ფილოსოფოსის და მისი შემოქმედების შესახებ.

ოსვალდ შპენგლერი, XIX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში იღებს განათლებას. აკადემიურ კარიერას იწყებს მიუნხენის უნივერსიტეტში. გარკვეული პერიოდი დაკავებულია პუბლიცისტიკით. 1933 წელს, როცა სათავეში ნაცისტები მოდიან, იგი სცილდება ყოველგვარ საქმიანობას. 1918 წელს გამოდის „დასავლეთის დაღუპვის” პირველი ტომი, ხოლო 1922 წელს – მეორე ტომი. შპენგლერის სხვა

ცნობილი შრომებია: „Der Mensh und die Technik“ (ადამიანი და ტექნიკა 1931), “Jahre der Entscheidungen” (1933). შპენგლერის ესთეტიკა განიცდის ა. შოპენჰაუერის, ფ. ნიცშეს, ა. ბერგსონის, გოეთეს გავლენას.

„დასავლეთის დაღუპვას” სენსაციური წარმატება ხვდა წილად. იგი მიჩნეულია, ევროპული ლიტერატურის გენიალურ ქმნილებად ნიცშეს მერე. „დასავლეთის დაღუპვას” ბრწყინვალედ შესრულებულ ესსესაც უწოდებენ. „ევროპის დაღუპვაში” აისახა ცხოვრების დრამა, დასავლეთ ევროპული კულტურის კატასტროფა. შპენგლერმა, შეიძლება ითქვას, იწინასწარმეტყველა თანამედროვე ეპოქის ზოგიერთი მოვლენა. ოსვალდ შპენგლერის მოსაზრებით დასავლეთ ევროპის კულტურა (ფაუსტური სული) დაღუპვისთვის იყო განწირული. შპენგლერის წიგნის ისტორიულ-კულტურული კონცეფციების გაგებისათვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ესმის ფილოსოფოსს „კულტურის” ფენომენი.

გერმანელი ფილოსოფოსი მსოფლიო ისტორიაში გამოყოფს რვა კულტურას, რომლებმაც მიაღწიეს „სიმწიფის” საფეხურს და დაიღუპნენ. ესსენია: ეგვიპტური, ინდური, ირანულ-ბაბილონური, ჩინური, ბიზანტიურ-არაბული (მაგიური), აპოლუნური (ბერძნულ-რომანული), ფაუსტური (დასავლეთ ევროპული), მაიას ტომების კულტურა. ისინი არსებობდნენ სხადასხვა დროსა და დედამიწის სხვადასხვა წერტილში, მიაღწიეს განვითარების გარკვეულ საფეხურს და საბოლოოდ ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობები, განადგურდნენ. შპენგლერის მოსაზრებით დაღუპული კულტურის ადგილას წარმოიქმნა – ცივილიზაცია, ამასვე უწინასწარმეტყველებდა დასავლეთ ევროპულ კუტურას.

შპენგლერი არაორდინალურ მოსაზრებებს გვთავაზობს კაცობრიობის განვითარების შესახებ. იგი უარყოფს, ევოლუციის საყოველთაოდ აღიარებულ სქემას, პერიოდიზაციას: უძველესი სამყარო, შუა საუკუნეები და თანამედროვე ეპოქა. გერმანელი ფილოსოფოსის მოსაზრებით სხვადასხვა დროს არსებული კულტურა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცოცხლობდა და როგორც ცოცხალი ორგანიზმი გადიოდა შემდეგ ფაზებს: ჩასახვის პერიოდი, აღორძინება და განადგურება. ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ დასავლეთ ევროპული კულტურა, როგორც განუმეორებელი და ახალი დროის ფენომენი, ჩაისახა IX საუკუნეში, აღორძინდა XV-XVIIს., XIX-დან კი დაიწყო მისი აღსასრული, დაისი. მაშ ასე, შპენგლერი გამოყოფდა გავნითარების შემდეგ ფაზებს: მითო-სიმბოლური

ადრინდელი კულტურა, მეტაფიზიკურ-რელიგიური კულტურა და გვიანდელი საბოლოო ეტაპი კულტურისა, რომელიც უკანასკნელი, გარდაუვალი საფეხურის გავლის შემდეგ ცივილიზაციად გადაიქცევა.

ყოველ კულტურას გააჩნდა საკუთარი სიმბოლო. ანტიკურისთვის ეს იყო „სხეული", დასავლეთ ევროპის კულტურისთვის – დაუდგრომელი „ფაუსტური სულის ადამიანი." შპენგლერის ნაშრომი იყო ერთგვარი ცდა მსოფლიო ესთეტიკისა და წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე წელში, მას ეხმიანება კონსტანტინე გამსახურდია „მეტაფიზიკოსის წერილით". „საქართველოში გერონტი ქიქოძეს გამოჰყავს ანალოგიური დასკვნანი. შპენგლერისათვის აღმოსავლეთ ევროპაში იშვება ახალი პოტენციები, გერონტი ქიქოძეს კი ჰგონია, რომ მცირე აზიაში ამოვა ახალი მზე კულტურისა. იგი სოციალისტების მოსვლას საქართველოში იტალიაში გაქცეულ სქოლასტიკოსებს ადარებს. მე კი მგონია, რომ ანალოგია სწორი არაა – დასძენს მწერალი."

გერმანელი ფილოსოფოსი ევროპულ კულტურას „ფაუსტურ კულტურას" და „ფაუსტურ სულს უწოდებდა". არ აღიარებდა მას, როგორც ერთადერთ პირველფენომენს, არამედ იგი იყო პირველფენომენი მრავალთა შორის. სწორედ ამიტომ გამსახურდიას მართებულად არ მიაჩნია გერმანელი ფილოსოფოსის მოსაზრება რომანულ-გერმანული კულტურის აღსასრულის შესახებ, რომელიც იდეურად მოკვდა და ადგილი უნდა დაუთმოს ახალ კულტურულ ფენომენს - რუსულ აზიატურს. რას ნიშნავს ეს ტერმინები კითხულობს მწერალი, „ჩვენ სრულიადაც არაფერს გვეუბნება სიტყვა რუსულ-აზიატური." აზია გეოგრფიულ მცნებად მიაჩნია და აქედან გამომდინარე, ჰინდუს, ოსმალს, რუსს, სპარსს მიჯნავს ერთმანეთისგან.

შპენგლერი თავის ნაშრომში, საბოლოოდ – ევროპული ცივილიზაციის ფაუსტური სულის, აღსასრულამდე მივიდა. კ. გამსახურდიას განმარტებით, ამ მოსაზრებას ფილოსოფოსი ისტორიის, ისტორიოგრაფიის, მომავლის ახლებური გაგებით ასაბუთებს. შპენგლერი, როგორც აღვნიშნეთ უაყოფდა განვთარების შემდეგ საფეხურებს: ანტიკა–შუა საუკუნე–ახალი დრო. შპენგლერმა შეცვალა ისტორიის შინაარსი და შესაბამისად შეიცვალა მისი სტრუქტურაც.

გამსახურდია განიხილავს რა შპენგლერის მოსაზრებას კულტურის განვითარების შესახებ, დაასკვნის, „თუ კულტურა ექვემდებარება განსაკუთებული ხმოვანების კანონს: ზრდა, განვითარება და მოხუცება, დაქვეითება და დაღუპვა, მაშინ ყოველივე სიკვდილში პოულობს დასასრულს და

როგორ უნდა შევამჩნიოთ ჩვენ კულტურის დასასრული?" პასუხს შპენგლერისეული ცივილიზაციის უმაღლეს გავნითარებაში პოულობს: კულტურა მიაღწევს გარკვეულ საფეხურს, დაქვეითდება და იქცევა ცივილიზაციად. ცივილზაცია კულტურის ენტროპიად უნდა მივიჩნიოთ, აღნიშნავს მწერალი, ცივილიზაციის ამაღლებით კულტურა ქვეითდება.

შპენგლერი, დასავლეთ ევროპულ კულტურას ანტიკას ადარებს. ცოცხალ კულტურას გარდაცვლილი ერების ცივლიზაციას უპირისპირებს. გამსახურდიას მოსაზრების ფილოსოფოსს სურს მეთოდური ჰომოლოგიების საშუალებით იწინასწარმეტყველოს გზა დასავლეთ ევროპის კულტურისა. შპენგლერთან უარყოფილია ყოველივე მემკვიდრეობა, მისთვის ანტიკა და დასავლეთ ევროპა, ეს ორი სრულიად დამოუკიდებელი ფენომენია. ანტიკა იღუპება და რამდენიმე საუკუნის შემდეგ „ინთება ევროპაში კოცონი ცივილიზაციისა, ასე რომ რაიმე იდეურ მემკვიდეობაზე ლაპარაკი არის ლეგენდა – გვეუბნება შპენგლერი. აქედან გამომდინარე კ. გამსაურდია ორ, „ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფენომენებს", ერთმანეთს ადარებს: ანტიკას აპოლონური სული აქვს, დასავლეთ ევროპას – ფაუსტური.

ნაშრომში იგრძნობა კ. გამსახურდიას სუბიექტური დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის, კერძოდ, გერმანული კულტურის მიმართ. მას ხიბლავს, ფაუსტური მოუსვენარი და ვნებაუშრეტი სული, რომელიც გარეშეუწერელ მარადისობაში როკავს. ფაუსტური სულისთვის ცხოვრება ბრძოლაა, აქედან გამომდინარე, გამსახურდია ერთმანეთს უპირისპირებს ანტიურ და ფაუსტურ-გერმანულ კულტურას: „თუ არ არის ბრძოლა და ბრძოლის წყურვილი, რომელიც ასე მოსჩანს ზარატუსტრაში, მაშინ იგი არ არის გერმანული. ანტიური სულისათვის ბედისწერა „მოირაა" ბრმა და წამიერი. ანტიურისთვის სიძლიერე არის მოთმინებაში". ნიცშემ ფაუსტურ კულტურაში, ახალი ა დ ა მ ი ა ნ ი ს კულტი შექმნა. ეწადა ახალი მაღალი ხარისხის ადამიანთა ჯიში წარმოეშვა, რომელიც თავის ძლიერ ნებისყოფას მთელი დედამიწის ბედის ხელში დასაჭერად მოიხმარდა. გამსახურდია, ამ ძლიერ და მშფოთვარე სულს, დიდი სტილის კულტურის ნაყოფად მიიჩნევს, რადგან მხოლოდ ასეთ კულტურას შეეძლო მთელი დედამიწის გადაკეთება, ადამიანობის ბედისწერის ხელში ჩაგდება.

წერილის მეორე თავში „ინტელექტუალური რევოლუცია" კ. გამსახურდია საუბრობს პირველი მსოფლიო ომის შედეგებზე, როცა ევროპულმა ერებმა

სისხლით შეღება ჰააგაში აგებული თეთრი სასახლე, როცა გაგიჟებულმა მსოფლიომ, გონება განდევნა მოაზროვნე ადამიანთა წრიდან. დღესაც ევროპის ერები ვერ გამორკვეულან იმ საშინელებიდან, რომელიც გაიმართა მთელ ევროპაში „ერთი ჯადოსნური კაპელამისტერის ხელის აქნევაზე" – განმარტავს მწერალი.

შპენგლერის „დასავლეთის დაღუპვას", რომელიც გამოცხადება იყო ნაომარ ევროპულ კულტურულ წრეებისათვის, კონსტანტინე გამსახურდია გალური გენიის, ანრი ბარბიუსის წიგნს უპირისპირებს (შუქი უფსკრულიდან, 1920წ.) მწერლის ყურადღების ცენტრში ექცევა ანრი ბარბიუსის შრომის ერთ-ერთი თავი: „გონების ამბოხი, ინტელექტუალური რევოლიცია".

ანრი ბარბიუსი, ფრანგული კომუნისტური პარტიის წევრად აირჩიეს 1923წელს. მისი რომანი ***"Le Feu"*** (ცეცხლი), პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ იყო მიმართული. ანრი ბარბიუსი აღიარებდა სოციალიზმს და სტალინის მოღვაწეობასაც. მის კალამს ეკუთვნის „სტალინი", რომელიც 1935 წელს გამოიცა. 1933 წელს არჩეული იქნა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის ***(CCCP)*** წევრად, ანრი ბარბიუსის მოსაზრებით ჰარმონიული მსოფლიოს წყობილების „ცისკარი" აღმოსავლეთიდან – მოსკოვიდან მოდიოდა. ამ თვალსაზრისს გამსახურდია სკეპტიკურად უყურებს. ზოგადად კი მაღალ შეფასებას აძლევს ანრი ბარბიუსის შემოქმედებას და პიროვნებას. ანრი ბარბიუსი სოციალიზმის მქადაგებელი იყო და აქტიურ პროპაგანდასაც უწევდა მის განვითარებას საბჭოთა კავშირში... აქედან გამომდინარე, შეუძლებელია გამსახურდია მისი იდეების გამზიარებელი ყოფილიყო, მწერალი მხოლოდ ანრი ბარბიუსის „გონებისკენ" შემობრუნების თეორიას აღიარებს, „გონების ნაპერწკალი უნდა ენთოს, რომ ჩვენ წინ შიშველი პირუთვნელი ინსტიქტებით დანისლული უფსკრული იცნოს ადამიანობამ. არაფერი არაა ამ ქვეყანაზე ისე თვალწარმტაცი როგორიცაა თვით შეცნობილ გრძნობათა ღელვა და გონების სხივით გამთბარი სიყვარული" [16,376]

ანრი ბარბიუსის ამ იდეებს, კ. გამსახურდია ზარატუსტრას მაღალი ჯიშის ადამიანის თავიდან გამოსულ იდეებად მიიჩნევს და საფიქრებელია, რომ სწორედ აქ იკვეთება მათი ესთეტიკა. გონება უნდა ამბოხდეს უგუნურობისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ – დასძენს მწერალი. გონების ამბოხი – კონსტანტინეს შეფასებით ერთადერთი გზაა, რომელმაც უნდა დალეწოს „საზოგადოებრივი ცხოვრების უსამართლობის ხუნდები... დღეს ყველა გრძნობს

არსებული რეჟიმის გულქვაობას, აბსურდულ ტერორიზმს”[16,377] – სწორედ აქედან გამომდინერე, მომხრეა რევოლუციისა, რომელიც ადამიანის თავში უნდა მოხდეს, რადგან „ადამიანის თავი უსაკვირველესი ქარხანაა ახალი და დიდი იდეებისა”.

მეტაფიზიკოსის მესამე თავში, რომელსაც „ოსვალდ შპენგლერი” ეწოდება, მოცემულია გერმანელი ფილოსოფოსის – ***“Der Untergang des Abendlandes” (***დასავლეთის დაღუპვის) მცირე რეზიუმე. მწერლის მცდელობაა პასუხები გასცეს შპენგლერის წიგნში წამოჭრილ საკითხებს: არსებობს, თუ არა მეტაფიზიკური სტრუქტურა ისტორიული ადამიანობისა, დღემდე არსებული კულტურები ექვემდებარებოდნენ თუ არა კანონს: – შობისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა.

დასკვნით ნაწილში მწერალი აღნიშნავს, რომ შპენგლერი თავიდან ბოლომდე გოეთესეული ფენომენითაა შეპყრობილი. შპენგლერის ინტერპრეტაციისთვის საჭიროა მისი ისტორიზმის გაგება, რადგან მისი ფილოსოფიური ნაშრომი, ისტორიულ-ფილოსოფიური აპერცეპიის მოძებნას ითხოვს. იგი ილაშქრებს ძველი სასკოლო ისტორიზმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ისტორია წარმოედგინათ მეფეებისა და ომების უთავბოლო დაუსრულებელ სტატისტიკად. შპენგლერის მოსაზრებით კი კულტურები ცოცხალი ორგანიზმებია, ხოლო ისტორია – ამ კულტურათა ავტობიოგრაფია.

„მითოს მოკლებული დრო”

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ომის დემონთან დამარცხებული კაცობრიობა სულიერმა კრიზისმა მოიცვა. დაიწყო დაუსრულებელი ევროპული კრიზისი, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა, მეცნიერება ხელოვნება. ამ მოვლენას XX საუკუნის ვერც მწერალი და ვერც მკითხველი გვერდს ვერ აუვლიდა.

კონსტანტინე გამსახურდია, 1924 წელს აქვეყნებს ესსეს – „ახალი ევროპა”, სადაც კაცობრიობის სულიერი კატასტროფის მიზეზებზე საუბრობს. ფრიდრიხ ნიცშემ პირველმა იწინასწარმეტყველა ევროპული კრიზისი, მაგრამ თანამედროვეებმა გიჟად შერაცხეს. ამ კრიზისის კონტურები XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ხელშესახები გახდა.

კაცობრიობის წინაშე იქმნებოდა – ახალი ერა, რომლის ერთადერთ ეპიტაფიად გამსახურდიას - „მითოს მოკლებული დრო” მიაჩნია. XX საუკუნის თავისუფალი ადამიანი მარტო დარჩა, ყველაფერი კი რენესანსის ეპოქიდან დაიწყო.

კ. გამსახურდია ევროპული კატასტროფის, სულიერი კრიზისის საწყისს რენესანსის ეპოქაში ხედავს. რენესანსმა ადამიანი თეოლოგიის არტახებიდან გაათავისუფლა, „გაათავისუფლა და მარტო დატოვა, ვინ იტყვის ასეთი გათავისუფლება უფრო მძიმეა, თუ მარტოობის ტრაგედია”?[21,3] რენესანსამდე ადამიანი ღმერთთან თანაზიარი იყო. ეკლესია იყო სულიერების ურყევი კერა, თანაზიარობის მოგვი, ყველაფერი მას ექვემდებარებოდა - განმარტავს მწერალი.

რენესანსის ეპოქამ კი მოიტანა აღზევება ადამიანისა. ემფაზა ადამიანის მოთავსება სამყაროს ცენტრში. ეს იდეა სხვადასხვა მოდუსითა და ინტენსივობით მუშავდებოდა ევროპული რენესანსის სამივე დიდი ინტელექტუალური მოძრაობის -ჰუმანიზმის, პლატონიზმის, არისტოტელიზმის მიერ. ადამინის კონცეფციამ ფიზიკური და მორალური სრულქმნილების იდეალი მოიტანა.

ადამიანური ლოგიკა იმთავითვე ღვთაებრივი დოგმატიკის გადამოწმებას შეუდგა. ამან კი ადამიანი რწმენას, ღვთაებრივ ნებას დაუპირისპირა. თეოლოგისაგან თავისუფალ ადამს - ხელში შერჩა „უფლება მარადიული ადამისა“ და სწორედ აქედან დაიწყო, როგორც კ. გამსახურდია შემდგომ იტყვის, „ინდივიდულიზმი, დაუსრულებელი ევროპული კრიზისი.” საერთო ფონდი თანამედროვე ევროპისა კ. გამსახურდიას მოსაზრებით ასე გამოიყურებოდა: მეცნიერებაში რელატივიზმი, ხელოვნებაში ფუტურიზმი, დადაიზმი ყალბი ცივილიზაცია უსულო მექანიზაცია... „უკანასკნელმა ომებმა და რევოლუციებმა ყველა დაარწმუნა, რომ ასე არ შეიძლება, რომ ახალი უნდა იშვას. ცხადია თანამედროვე ევროპის მწვავე ტკივილები ახალი იდეალების წარმოქმნით უნდა იქნას გამოსყიდული“ [21,4] - ვკითხულობთ ესსეში.

„ახალი ევროპა” ოთხი ესსესაგან შედგება: (მითოს მოკლებული დრო, ლათინიზმი და გერმანიზმი, სიმბოლიზმის კატასტროფა, ფრანგი ექსპრესიონისტები, პოლ კლოდელი და მორის ბარესი)

ესსეებში წამოჭრილია ის პრობლემატიკა, რის წინაშეც იდგა მაშინდელი ინტელექტუალური გონი.

ესსეში „ახალი ადამი", (რომელიც ესსეთა ციკლის ბოლო ესსეა) მწერალი ევროპული სულიერი კრიზისის მიზეზებსა და შედეგებზე საუბრობს. ევროპული კრიზისი – ეს არ იყო არც სტილის, არც იდეური გაკოტრების კრიზისი, ეპოქამ, XX საუკუნემ, მითოსს მოკლებულმა დრომ, მოიტანა სულიერი კატასტროფა. XX საუკუნე რადიკალური გარდატეხის ფაზაში შედიოდა. როგორც ქრისტიანული ერის პირველ ათასწლეულში.

ფრიდრიხ შილერმა მე-18 საუკუნეში თითქოსდა იწინასწარმეტყველა ევროპის სულიერი კონფლიქტების მოახლოება „ჩვენი საუკუნე – წერდა იგი – სწორედ მარიონეტივით ქანაობს სიმახინჯესა და ველურობის სამანებს შორის". განა იგივე არ ითქმის ახალ ევროპაზე? - კითხულობს გამსახურდია. ევროპაზე რომელმაც, „პრაქტიკული ანგარების იდეალებით აღტკინებულმა" გზად ყველაფერი გაანადგურა.

მწერალი პრობლემას მთელი სიმწვავით წარმოგვიდგენს: „ერთი ვიკითხოთ მოეძებნება კი ახალ ევროპას უნრუჰს დიტრიხივით (XX საუკუნის გერმანელი პოეტი) მიწიერ და ზეციერ ვნებების შემთავსებელი გული? აქვს თუ არა ახალი ევროპის პოეზიას იმდენი სულიერი ძალა, რომელიც თანამედროვე მექანიკურ ცივილიზაციის ინფერნოს ისევ ღმერთებით და მარტვილებით დაასახლებს? მოეპოვება თუ არა თანამედროვე ევროპას ახალი სულობით აღვსილობა მარტვილის ჯიუტობით რომ იტყოდეს: ჩვენი სარწმუნოება ჩვენი მტკიცე სიმაგრე? - კითხულობს მწერალი და იქვე ჰამლეტისეური მერყეობით პასუხობს: თუ ჰო, მაშინ მითოს მოკლებული დრო დაძლეული იქნება".[21,4]

XX საუკუნის პოეზია და, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დანტესავით განაწამები კაცობრიობა სულიერი ძალებისაგან იყო დაცლილი და არ მოეპოვებოდა ის ზეციური ვნებების შემთავსებელი გული, რომლისკენაც ასე ისწრაფვოდა მაშინდელი ინტელექტუალური მსოფლიო. ახალ სიტყვას, ახალ პოეზიას, კაცობრიობა სამოთხის „დაუნჯებულ ბჭეებში" უნდა შეეყვანა.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის საუკუნის დასასრულამდე – დემონური ეპოქა ახალი სულობისა და ღმერთების სამკვიდრებელი ვერ გახდა.

კ. გამსახურდიას მოსაზრებთ – ექსპრესიონისტების უახლესმა თაობამ სწორედ შეიგნო ევროპული კრიზისის მითოსს მოკლებული დროის მიზეზები, რომელიც ახალი ჰუმანურობით, ახალი ეთოსით, ახალი ადამიანით უნდა დაძლეულიყო.

XX საუკუნის გერმანელი ექსპრესიონისტი პოეტის, ნოველისტის ფრიც ფონ უნრუჰის ტრაგედიაზე საუბრისას, მწერალი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს საუკუნის ფრაზაზე: „მოიტათ ახალი ადამიანი". „ახალი ადამიანი" – ისმოდა სცენიდან, პოეზიიდან კათედრიდან და ახალი თაობა ციდან ჩამოდიოდა. ტრაგედიის გმირები ჰამლეტისებური ტკივილებით სნეულდებოდნენ. უნდა აფეთქებულიყო ძველი მიწა და იდეალები.

თანამედროვე ცივილიზაცია, (XX საუკუნის) თანამედროვე სულობა უფსკრულის ნაპირზე მოელოდა ახალ ღმერთს, ახალ იდეებს, ისევე როგორც უფსკრულის პირას ღმერთის მომლოდინე – ფსიხე, რომლის მხატვრულ სახეში, კ. გამსახურდიამ - მითოსს მოკლებული დროის სულობა დაინახა. „ღმერთი კი... ღმერთი მოვა, ხმობა უნდა ღმერთს!" – აცხადებდა მწერალი.

ესსეში, რომელსაც „ლათინიზმი და გერმანიზმი" ეწოდება, წამოჭრილია ის პრობლემატიკა, რომელიც მწერალს უმწვავეს საკითხად მიაჩნია „ევროპის კულტურათა არსებობის პირველი დღეებიდან". კერძოდ დაპირისპირება „მისტიციზმსა და ნათელ რაციონალიზმს, გერმანელობასა და ფრანგობას" ლათინიზმსა და გერმანიზმს" შორის.

მწერალი შეპირისპირების გზით ახასიათებს ფრანგ და გერმანელ ხალხებს, მათ გენიას, მისიას... კ. გამსახურდია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მსოფლიოს ინტელექტუალურ დირიჟორად გერმანიას მიიჩნევდა.

რევოლუციისა და ომის დემონს, მწერლის შეფასებით, მუდამ თან სდევდა „დაუცხრომელი ძიების დემონი", რომელიც ხელოვნებაში შეიჭრა. გერმანიამ უდიდესი გავლენა მოახდინა საფრანგეთზე, როგორც ლიტერატურაში ისე სოციალურ ცხოვრებაში. მწერალი სამყაროს ცენტრში მისტიურ გერმანიას ხედავს, რომლის ინტელექტუალური განშტოებაა დანარჩენი მსოფლიო.

მე-18 საუკუნეში ინგლისური სანიშნოებით მოდიოდა ევროპის კულტურა. მიუხედავად ამისა ევროპულ კულტურას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, მუსიკას მუდამ გერმანია მიუძღოდაო წინ – განმარტავს მწერალი.

გოეთემ, ნიცშემ, ლუთერმა, კანტმა – ინტელექტუალური ძუძუ აწოვეს დანარჩენ მსოფლიოს, გერმანია იძლეოდა ახალ იდეებს. (მწერლის ეს პათოსი დამახასიათებელია გერმანულ ფილოსოფიაზე შექმნილი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილებისთვის, რომელებსაც 1916-1924 წლებში ქმნიდა.)

ერთადერთი დარგი ხელოვნებისა, რომელშიც მწერალი, საფრანგეთის უპირატესობას ხედავს – მხატვრობაა (საერთოდ პლასტიური ხელოვნება). ბრძოლა გერმანიზმსა და ლათინიზმს შორის მთავარ ასპექტად მიაჩნია ევროპული კულტურის განვითრებაში დანტედან მოყოლებული XX საუკუნემდე.

ესსეში მწერალს გაიდეალებული ჰყავს გერმანული ერი. „გერმანელი იდეალისტია, ფრანგი – იდეოლოგი. გერმანელი ბუნებით მისტკოსია, ფრანგი – რაციონალისტი". [21]გერმანული ტიტანიზმი, რომელმაც კაცობრიობას გოეთეს და კანტის ფილოსოფია უანდერძა, მწერლის მოსაზრებით, საფრანგეთისთვის და ალბათ მთელი სამყაროსთვისაც – ბოლომდე მაინც გაუგებარი რჩება, რადგან ფრანგისთვის საერთოდ გაუგებარია სულიერი მარტვილობანი და ძიებანი დოქტორ ფაუსტისა. ფრანგი უფსკრულებს და სიბნელეს ერიდება, რადგან მისი ხალხური ნატურელი მარჩხია, „მაჩვენეთ თუნდაც ერთი ეგზომ აღტკინებული ბობოქარი მსოფლიო ისტორიული სტიქიონი საფრანგეთში, როგორც ლუთერი".[21]]

მწერალი ორიგინალური მხატვრული ხერხებით უპირისპირებს ორი უდიდესი ერის (გერმანიისა და საფრანგეთის) ინტელექტუალურ და სულიერ მონაპოვარს, სადაც კიდევ ერთხელ იკვეთება მწერლის გერმანოფილობა.

„გერმანელი მუდამ კოსმიური პრობლემის ბორბალზეა დაბმული, გერმანელების სულიერი ტრაგიზმი ექსპანსიურობით განისაზღვრება. უფსკრულების თავზე ზარატუსტრას, დაკოდილი არწივების ქროლვა ბეთჰოვენისეული „ყელს მოგეხვევით მილიონებო" [92] აი, რა არის გერმანელობა!

ფრანგულ ხელოვნებას, შინაარსით და ფორმით, ნაციონალურ მოვლენად მიიჩნევს, გერმანულს კი ფორმით – ნაციონალურად, შინაარსით კოსმიურად, რადგან ფრანგული „სულობა მუდამ ნაციონალური არტახებითაა შებოქვილი, გერმანელობა მუდამ კოსმიურ მერიდიანებს უმიზნებს... ფრანგული სული ლირიულია, გერმანული - ემპირიული"

მწერალი განიხილავს საფრანგეთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს, 1789-1799 წლის რევოლუციას, (რომელმაც გარდამტეხი როლი ითამაშა დასავლეთის ცივილიზაციასა და ევროპის ისტორიაში.) და მას პიროვნების ამბოხს უწოდებს სახელმწიფოს და საზოგადოებას შორის. საფრანგეთის რევოლუციონერების მაქსიმილიან რობერსპიერისა (რევოლუციის წინამძღოლი და „იაკობინთა" ლიდერი) და ჟან პოლ მარატის რევოლუციური ტრიადები

უასაკო გიმნაზიელის მონოლოგებად მიაჩნია ლუთერისა და ნიცშეს ამბოხებასთან, რადგან გერმანელისთვის პიროვნება მუდამ „ზვარაკია სახელმწიფოს, ღმერთის, ეთიური იდეალის ტრაპეზზე".

გერმანული რასსის ინტელექტუალურ უპირატესობას მწერალი, კანტის ფილოსოფიაში ხედავს. ემანუელ კანტმა შექმნა მოვალეობის აპოლოგია და ეს მოვალეობის ფილოსოფია არავის ისე არ ესმის, როგორც გერმანელ ერს. გერმანელობა – გამსახურდიას ცოცხალ, ცალკე მდგომ, მისტიურ მოდგმად აქვს აღქმული. გერმანული მესიანიზმის სათვეს არაგერნმანელი დანტედან იწყებს.

გერმანელი მარადიულ ღმერთთან მორკინე იაკობია - განმარტავს მწერალი, მის ფანტაზიას მუდამ ბიბლიური კარიბჭე სჭირია, რომ ღმერთი ციდან ჩამოიყვანოს, ღმერთს ებრძოლოს მიწაზე და თვით ეწამოს „ღმერთის წამებით". კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ღმერთთან ბრძოლით ხსნის ფაუსტის სულიერ კატასტროფას, ღმერთთან ბრძოლამ დაუბნელა მზე ნიცშეს და ჰოლდერლინს. რელიგიურ მომენტს, უმთავრესად მიიჩნევს გერმანული ხელოვნების შესწავლისას, რადგან ხელოვნებას, მუდამ რელიგიის მომიჯნედ გულისხმობდნენ ნიცშე და ვაგნერი, გოეტე და ჰოლდერლინი.

* * *

ესსეს მეორე თავში, კ. გამსახურდია საუბრობს ლიტერატურული სკოლის – სიმბოლიზმისა და მისი ფილოსოფიური ესთეტიკის შესახებ.

სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული სკოლა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასწყისში აღმოცენდა. კ. გამსახურდია ფრანგ პოეტებს: არტურ რემბოს, შტეფან მალარმეს, შარლ ბოდლერს „სიმბოლიზმის მთავარსარდლებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ სიმბოლისტებმა მთელი თავისი ძალა ახალი ფორმის ძიებას შეალიეს. ბოლოს კი პოეზია რითმის „აკრობატობამდის მიიყვანეს".[92] სიბმოლსტებს სურდათ გაუგონარი რევოლუცია მოეხდინათ პოეზიაში, რომელიც მწერლის შეფასებით „გაუგონარი ბანკროტით, სიმბოლიზმის კატასტროფით" დამთავრდა. სიმბოლიზმმა მოიცვა მთელი მსოფლიო. მიუხედავად სისხლის აღრევისა, აღნიშნავს მწერალი, სიმბოლოზმს ფრანგული დამღა ჰქონდა.

კ. გამსახურდია სიმბოლიზმის რეაქციას 1891 წლით ათარიღებს და მიიჩნევს, რომ სიმბოლიზმი, როგორც კულტურული ფილოსოფია პოზიტივების, პარნასისტებისა და ნატურალისტების დაპირისპირება იყო. 1883 წელს ჟან

მორეასმა „ფიგაროში” გამოაქვეყნა „სიმბოლიზმის მანიფესტი”, სადაც ამ სკოლის ძირითადი დებულებები გამოკვეთა. მან პოეზია სამყაროს უმაღლეს, სინთეზურ შემეცნებად გამოაცხადა, პოეტი კი მოვლენათა და იდეათა მესაიდუმლედ. პოლ ვერლენის, შტეფან მალარმეს, შარლ ბოდლერის, არტურ რემბოსა და სხვათა შემოქმედებაში, წერილებსა თუ ჩანაწერებში კი თანდათან უფრო ნათლად წარმოჩინდა სიმბოლისტური პოეზიის ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისება. ურთულესი სტილი, გაუგებარი ენა, „მე”-ს შემეცნება...

მწერალი მოგვითხრობს ლიტერატურული სკოლის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ნიშნებზე, თუმცა არ ასახელებს სიმბოლიზმის კრახის კონკრეტულ მიზეზებს ევროპულ მწერლობაში. ყურადღებას ამახვილებს რომანული სკოლის მანიფესტზე, რომელიც ჟან მორეასმა 1891 წელს დააარსა და აღნიშნავს, რომ მან მოახერხა ბერძნულ და ლათინურ კულტურათა დაახლოება ფრანგულ სულთან. ჟან მორეასი ცდილობდა აეღორძინებინა კლასიკური ტრადიციები, ამ მოსაზრებით მის ირგვლივ გაერთიანდნენ: მორის დე პლესი, რაიმონ დელა ტელედი, ერნესტ რაიმონი, შარლ მორასი. მწერლის მოსაზრებით ეს პოეტები ლექსის რესტავრაციას შეუდგნენ: მათი უმთავრესი მიზანი იყო: „უარყოფა თავისუფალი ლექსისა, მათემატიკური ჰარმონიის აღდგენა ლექსის სტრუქტურაში“.[92] გამსახურდია რამდენიმე შტრიხით ეხება მორეასის პოეზიას. მის ლექსებში ბერძნულ სისადავეს, ჰარმონიას და ძველ ლათინურ გრაციას ხედავს. „მორეასის პოეტური ხატები გამჭვირვალე და რჩეულია, როგორც „ბერძნული კრისტალის ვაზები, მისი ლექსი ლაღია და უზადო”.

ესსეში საუბარია XX საუკუნის სამ ევროპელ პოეტ ქალზე, რომლებმაც მისტიური, სევდაგადაკრული პოეზიით, საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს პოეზიის უკვდავ კვარლცხლბეკზე. ესენი იყვნენ შვედი სელმა ლაგერდოფი (ქალი, რომელმაც პირველმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში-1909წწ), გერმანელი რიკარდა ჰუხი და ფრანგი ლა კონტეს ანნა დე ნოელი. „გამოაკელით ეს სამი ქალი მსოფლიო ლიტერატურას და მაშინ უნებლიეთ უნდა დავეთანხმოთ ანტიფემინისტებს, რომ ქალისთვის აქტიური შემოქმედება მიუწვდომელია – განმარტავს მწერალი...

ესსეს მომდევნოო თავში „ფრანგი ექსპრესიონისტები” მწერალი ავანგარდული მოძრაობის, ექსპრესიონიზმის, შესახებ საუბრობს, რომელიც XIX საუკუნის დასასსრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ლიტერატურათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ ექსპრესიონიზმმა განვითარება ჰპოვა

ჩრდილოეთ ევროპაში, კერძოდ გერმანიაში. მწერლის მოსაზრებით კი ექსპრესიონიზმი არ არის ნაციონალური გერმანული მოვლენა და უკანასკნელი ათეული წლების „ევროპის მისტიურ-რელიგიური გრძნობის რენესანსზე" საუბრობს. მწერლის შეხედულებით, საფრანგეთში ანრი ბერგსონმა, XX საუკუნის უდიდესმა ფილოსოფოსმა, დაამსხვრია რაციონალიზმის ციტადელი, ხოლო გერმანიაში „მოაზროვნეთა ლეგიონები" იბრძოდნენ ამ მიმართულებით. მათ გერმანია მისტიკის სამშობლოდ აქციეს. XX საუკუნის „მისტიური რენესანსი" შუა საუკუნეებში, მისტიკებისა და თეოლოგების სამშობლოში-გერმანიაში უნდა დაწყებულიყო – აცხადებს მწერალი.

ესსეში საუბარია პარიზული ლიტერატურული კლუბის ***" l Abbage"*** (აბატების) შესახებ რომელიც 1906 წელს დაარსდა და მასში გაერთიანებული იყვნენ XX საუკუნის დამწყები ახალგაზრდა ფრანგი მწერლები: შარლ ვილდრაკი, რენე არკოსი, ჟორჟ დიუჰამელი. მწერლები იკრიბებოდნენ მიტოვებულ სააბატოში და სწორედ აქედან წარმოიშვა სახელწოდებაც **"l Abbage".A**ამ ჯგუფს მოგვიანებით შემოუერთდა ჟიულ რომენი, თავისი ცნობილი წიგნით **"la vie unanime"** გაერთიანების წევრებს გააჩნდათ საკუთარი ტიპოგრაფია. კლუბმა იარსება 2 წელი და მატერიალური პირობების არ ქონის გამო დაიშალა. იგი ვერ ჩამოყალიბდა როგორც ლიტერატურული სკოლა, თუმცა ჟ. რომენის წიგნი **"la vie unanime".** გადაიქცა ერთგავრ მანიფესტად ფრანგ პოტთა კლუბის წევრებისათვის. კონსტანტინე გამსახურდია, შარლ ვილდრაკის პოეზიას სასოწარკვეთილ ამღერებას უწოდებს „ომით განადგურებულ ევროპაზე და **"l Abbage"-**კლუბის წევრთა მსოფლმხედველობის შესახებ მცირე განმარტებას იძლევა: „რენე არკო ახალ ეთიურ იდეალებს ქადაგებს, დარბოს პოეზიას ოკეანის ხომალდებისა და ბენზინის სუნი ასდის. ვალერი დარბო ევროპული კოსმოპოლიტიზმის პოეტია. „სამყარო ვითარცა გაფართოებული სამშობლო" – აქ იგი გოეტეს კოსმოპოლიტიზმს უკავშირდება, ვალერი დარბო უმღერის ევროპული დიდი ცივილიზაციის მწუხრსა და ცისკარს."

ნარკვევის მეხუთე ესსე ეხება ცნობილ ფრანგ მწერლებს: პოლ კლოდელს და მორის ბარეს. XX საუკუნის ფრანგი პოეტსა და ესსეისტს, უდიდეს საზოგადო მოღვაწეს პოლ კლოდელს, გამსახურდია „ახალი საფრანგეთის სიამაყეს" უწოდებს. მისი პოეზია, რომელიც მეფურ მარტოობაში იბადებოდა მისტიური იყო, ამიტომაც გამსახურდია კლოდელს კათოლიკური მისტიციზმის პირმშოდ წარმოგვიდგენს და მის ადგილს თანამედროვე ფრანგ რომანისტებს

შორის ხედავს. გამსახურდია პოლ კლოდელისა და მორის ბარესის იდეოლოგიურ სიახლოვეზე საუბრობს და პოლ კლოდელს საფრანგეთის რეაქციის სულის ჩამდგმელად მოიხსენებს. კლოდელის რელიგიური მსოფლმხედველობა, მწერლის აზრით, განსახიერდა მის ხუთ ოდაში. იგი კათოლიკურ მეტაფიზიკას ქადაგებს. „პოეზიაში თუ პოლ კლოდელი მეთაურობს ანაბაზისს ალიგჰიერ დანტესაკენ, პროზაულ ლიტერატურაში მორის ბარესსი ხელმძღვანელობს ამ უკუქცევას".[21] გამსახურდია ფრანგული სულიერების აღორძინებას იტალიური რენესანსის საფუძვლებში ხედავს. ამიტომაც, გასაგებია ამ ორი გიგანტის დანტესკენ სწრაფვა. „დანტეში მორის ბარესი ხედავს უდიდეს მიჯნას, რომელიც მერმისშიაც უნდა იქნეს." მორის ბარესი და ანატოლ ფრანსი თანამედროვე საფრანგეთის იდეურ ინსპირატორებად მიაჩნია. გამსახურდია მათ გერმანულ-ლათინური კულტურის სათავეებთან ხედავს. ზოგადად გერმანული კულტურა გამსახურდიასთვის არის სათავე მსოფლიო კულტურისა, ავტორი გერმანიას შეჰყურებს, როგორც მესიას.

ესსეთა ციკლი „ახალი ევროპა" საინტერესოა მწერლის ფილოსოფიურ-ესთეტიკური თვალსაზრისის შესაცნობად. ავტორი განიხლავს XX საუკუნის ლიტერატულ სკოლათა მსოფლმხეველობას და მათ ესთეტიკურ პრინციპებს.

***

კონსტანტინე გამსახურდია მუდამ დიდ ინტერესსა და პროფესიულ გულისხმიერებას იჩენდა ევროპელი მწერლების მიმართ. მაგრამ მისი განსაკუთრებული გატაცებისა და შესწავლის საგანი, მუდამ იყო ქართული მწერლობა, კულტურა. მწერლის ესსეისტიკის გაანალიზებისას დადგინდა, რომ გამსახურდიას კვლევის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი ამა თუ იმ მწერლის ღირსება-თავისებურებათა გარკვევასთან ერთად აყენებს ზოგადი ხასიათის კარდინალურ პრობლემებს. ქართველი მწერლების შემოქმედების საფუძვლიანი შესწვლით მასში გამოვლენილი მხატვრული დიდოსტატობის გამოკვეთით გამსახურდია სავსებით ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართველ მწერალთა (ცურტაველიდან მოყოლებული) ოსტატობის მაღალი დონე იმის დადასტურებაა, რომ მათ წინ უძღვოდათ დიდი სამწერლობო ტრადიციები. გამსახურდიას მოსაზრებით, ქართულმა ბელეტრისტიკამ დიდი გზა განვლო მეხუთე საუკუნემდე. ცურტაველის გენიალური ქმნილება ეროვნული საგანძურის დაგვირგვინების მაღალი საფეხური იყო. რევაზ ბარამიძის მოსაზრებით,

სავსებით დამაჯერებლად ჟღერს გამსახურდიას მეცნიერული თეზისები. „რა დასაჯერებელია ცურტაველს ყოველივე წინამორბედის გარეშე, კალმის ერთი მოსმით შეექმნას ისეთი შედევრი პროზისა, როგორიცაა წმინდა „შუშანიკის წამება“. ქართული ალფაბეტისა და ქართული მწერლობის სათავენი V საუკუნეზე უფრო ადრიან ეპოქაში უნდა ვეძებოთ“. ეს უდავო ჭეშმარიტება მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად საბოლოოდ დადასტურდა. სწორედ რომ ცურტაველამდე ჩაეყარა საფუძველი ქართულ მაღალმხატვრულ მწერლობას, რომლის გენეტიკური გაგრძელება იყო რუსთაველი, საბა ორბელიანი, ვაჟა და ილია...

მწერლის შეფასებით ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლები არაფრით ჰგავდა იტალიურს, ბიზანტიურს, ფრანგულს, ასე რომ, ბოკაჩიოზე ადრე ვხვდებით გიორგი მერჩულესთან ბოკაჩიოსებურ მოტივებს. გამსახურდიას ესსეისტურ მემკვიდრეობაში ილია, ვაჟას განუმეორებელი გენია, რუსთაველი, საბა ორბელიანი, ბარათაშვილი, მსოფლიო ცივილიზაციის ასპექტში ჰყავს წარმოჩენილი.

„ილია–მოსე”

კონსტანტინე გამსახურდიამ, მრავალი ესსე თუ ლიტერატურული წერილი მიუძღვნა ქართველ და უცხოელ კლასიკოსებს, აღსავსე მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით, ობიექტურობითა და კვალიფიციური ანალიზით.

და მაშინ, როცა ქართულ ინტელიგენციას უიმედობა და სასოწარკვეთა დაეუფლა, როდესაც აღარ ჩანდა ერის გადარჩენის გზა, გამსახურდიამ დაწერა ესსე „ილია ჭავჭავაძე”, მის მონოლითურ პიროვნებაზე და ქართველ ერს ილიას გზა - გზა ხსნისა კიდევ ერთხელ დაანახა.

ილიას სახელს უცნაური ფენომენი ახლავს თან, მასზე წარსულ დროში საუბარი ძნელია. ეპოქა შობს გენიალურ ადამიანებს, რომლებიც საუკუნეებს ქმნიან. ასეთი პიროვნება ქართველი ერის წიაღიდან იშვა და ერის „კანონიკე” შექმნა. იმავე ერმა ამ ღმერთკაცს შუბლი ტყვიით განუგმირა, მაგრამ უკვდავება ხომ მარადიულია, მარადიულია – ილია მართალიც.

XIX საუკუნის ფრაზას, „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო”, რომელმაც თავის თავში მოიცვა საქართველოს ტრაგიკული,

მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ჰამლეტისებური მერყეობით ისევ ახსენებდნენ, ილიას გზის გამგრძელებლები - წერდა კონსტანტინე გამსახურდია, 1922 წლის ანექსირებულ სქართველოში. სამშობლოსათვის შეწირული ილიას სიცოცხლე, კონსტანტინესათვის, შთაგონების მარადიული წყარო იყო. გამსახურდიას პანაშვიდიც გაუმართავს მთაწმინდაზე, ილიას ნატანჯი სულის მოსახსენიებლად. მას ყველაზე უფრო ილიას პიროვნებაში ერის წინამძღოლი ხიბლავდა. წინამძღოლობა კი ხშირად მსხვერპლად შეწირვასთან არის გაიგივებული: „არის რაღაც საშინელი მოირა ამ გარემოებაში რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ასეთი იყო მოსე, ასეთი იყო ბუდა, ასეთი იყო ქრისტე და ქრისტიანული სარწმუნოება.

მე არ ვიცი ჩვენ წინ წავედით თუ უკან ილიას შემდეგ ამაზე სხვებმა თქვან, ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი ფიქრი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანებელს დასტრიალებდა თავზე დღენიადაგ". [17,389-391]

ილიამ იმთავითვე მიაგნო ამ მაგიურ ფორმულას, რომელშიც 30 წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვია ქართული ინტელიგენცია – წერდა გამსახურდია 1922 წელს. ილია რომ არა, XIX საუკუნე სრულიად სხვაგვარად წარიმართებოდა. საქართველოს ისტორიის საბედისწერო გარდატეხის შემდეგ, XIX საუკუნეში, პირველად მოხდა ქართულ მწერლობასა და აზროვნებაში საკაცობრიო ჰორიზონტების დამკვიდრება – ეს მოხდა ილიას შემოქმედების წყალობით. გამსახურდიას შეფასებით, ილია, თითქმის 50 წელი მიუძღვებოდა ქართველ ერს, როგორც მოსე – ებრაელებს აღთქმული მიწისკენ. მას გააჩნდა ღვთიური მისია, ეტვირთა ქართველი ერის საპატიო ტვირთი. „ილია მართალი" თავს მოვალედ თვლიდა ეროვნულ ნიადაგზე შეექმნა და განევითარებინა ქართული სახელმწიფოებრიობა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა. მისი მართალი აზრი, მწარე და დაუფარავი სიტყვა გონიერებაზე იყო დაფუძნებული. „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო" – ასეთი დაუძლეველი სიტყვებით შემოვიდა ილია საქართველოში და სწორედ აქ ხედავს კონსტანტინე დიდ ანალოგს – „ილია მოსე", „აქ არის გზააბნეული ერის ვულკანურ მასასთან მიყვანა აქედან უნდა გაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა." [16,391]

გამსახურდიამ შეძლო ილიას ფენომენის ისეთ „ჩარჩოში" მოქცევა, რომელსაც საზღვარი და მასშტაბი არ გააჩნია. მისი სიდიადე ყოველგვარი

ტრაფარეტებისა და სტანდარტების გარეშე შეაფასა და ქართულ ცნობიერებაში დაამკვიდრა ეროვნულობის მძაფრი განცდის აუცილებლობა.

”PATER-PATRIA” - „ერისმთავარი”, „დიდი მოგვი” და „კანონიზატორი” ქართული სიტყვისა - ასე აფასებს კ. გამსახურდია ილიას გენიას და ცდილობს ამ ფენომენის ახსნას, რომელმაც „გმირული სიკვდილით გამოისყიდა ჩვენი სიბინძურე და სივაგლახე, იგი იყო ჭეშმარიტად „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი”. (18,503)

„ილია–მოსე! მიქელანჯელოს გრანიტის ბლოკზე მჯდარი“ – ამ დაუვიწყარი, ბიბლიური და ესთეტიკური პასაჟებით გვამახსოვრებს დიდი კონსტანტინე, ილიაზე შექმნილ ესსეს, რომელიც ქართულმა ინტელექტუალურმა გონმა დიდიხანია, შედევრად აღიარა. „ხასიათის უდიდეს კრისტალიზაციად მოსე ითვლება ყოველ დროში, მოქელანჯელოს მოსე, გრანიტის ბლოკზე მჯდარი. ერთი მისი შემოხედვა ხორცშესხმული მრისხანებაა... ილია ჭავჭავაძეშიც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ხოლმე თავის ურყევი ნებისყოფის ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდ კაცს, რომ ის დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო!” [18,389]

გოეთე წერდა: „პიროვნება უდიდესი ბედნიერება არისო” და კონსტანტინე გამსახურდიამაც თავის ესსეისტიკაში ილია სწორედ ამ „ხასიათიანი პიროვნებით გამოარჩია.” ილია თავისი პიროვნებით ადამიანურ ბუნებაზე მაღლა იდგა. მას ჰქონდა ის, რაც „მის საუკუნეში არამც თუ არცერთ ქართველ მწერალს, არც ერთ ქართველს არ ჰქონია, ეს იყო პიროვნება!” – ვკითხულობთ ესსეში „ილია ჭავჭავაძე.”

კონსტანტინე გამსახურდიასთვის ილიას ფენომენი, ამოუცნობია, რადგან ილია იყო „მნათე იმ დიდი სამრეკლოსი”, რომელსაც ქართული მწერლობა ეწოდება. ამგვარი ადამიანები შორეულ ეპოქებში „ეროვნებებს აფუძნებენ და ალფაბიტებს გამოიგონებენ ხოლმე, ზოგს ერის ბელადი ერქვა, ზოგს წინასწარმეტყველი”. [იქვე] 1922 წელს საზოგადოებას, როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა ძლიერი სიტყვა და ილიასეული ძლიერი საქმე, ამიტომაც უნებურად ვიხედებითო უკან – წერდა მწერალი – „ჩვენ ისევ გვინდა მრისხანე შემოხედვა ერის ბელადისა, ჩვენ კიდევ გვინდა ვულკანურ მასასთან მიყვანა.” [18,394]

წიწამურის ტრაგედიაში, კ. გამსახურდია, ილიასდროინდელ საზოგადოებას ადანაშაულებს. დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზაზე ილიას, „უგუნური ბაიყუშები „რეაქციონერსა და რეტროგრადს ეძახდნენ". გველებივით სისინებდნენ წიწამურის ავტორები. „ბაზალეთის ტბად დადგებოდა ის მელანი, რომელიც დახარჯეს ილიას წინააღმდეგ ბრძოლაში – აცხადებს კონსტანტინე – „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე" გაჰკიოდნენ ისინი. „არცერთ მწერალს არ უბრძოლია სირეგვენის წინააღმდეგ, რამდენიც დიდმა ილიამ იბრძოლა". [18,504] გონების დაბნელების მაგალითები უხვად იყო იმდროინდელ საქართველოში. ილიას წინააღმდეგ მიმართული კარგად ორგანიზებული გეგმა, 1907 წლის 30 აგვისტოს დასრულდა, მანამდე კი ქართულ პრესაში ილიას მისამართით ცილისმწამებლური სტატიები იბეჭდებოდა. ეს ოყო მიზანმიმართული და უსამართლო ბრძოლა, რომლის ანალოგი არ ახსოვს ლიტერატურის ისტორიას. „ყოველი დროის ცილისმწამებლებმა კარგად იცოდნენ, თუ გინდა ადამიანი უზომოდ დასაჯო, მას ისეთი რამ უნდა დააბრალო რის წინააღმდეგაც იგი თავად იბრძოდა. ქრისტეს მთელი მოძღვრება მიწიერი მეუფების წინააღმდეგ იყო მიმართული. ებრაელებმა კი პირიქით, მას ეგ დააბრალეს ურიათა მეფობას აპირებდაო" [18,509] – კონსტანტინე გამსახურდიას შეფასებით ასეთი ბედი ხვდა ილიას, ასეთი იყო საქართველოს ხვედრი.

ილიას ფენომენი ჩანდა ყველგან და ყველაფერში. ამიტომაც უწოდა დიდმა კონსტანტინემ ილიას – „ დიქტატორი"! „ილია საქართველოს დიქტატორი იყო" – დიქტატორი ბანკში, დიქტატორი ლიტერატურაში, დიქტატორი სტამბაში. ფუნდამენტურობა იყო ძირითადი თვისება მისი ხასიათისა. ყველაფერი თავისი სიჯიუტით გაჰქონდა – წერს ესსეს ავტორი და დასძენს, რომ მხოლოდ ასეთ ჯიუტებს შეუქმნიათ მუდამ დიდი ღირებულებანიო.

კონსტანტინე გამსახურდია არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას ილიას მარტოობაზე.

რატომ იყო ილია მარტო?

ილიას სიმარტოვე მისი ტიტანური ბუნებიდან გამომდინარეობდა. ყოველი დიდი ადამიანი, რომელიც თავისთავში ატარებს საუკუნის, ეპოქის სიმძიმეს, ბრძოლის ველზე ყოველთვის მარტო რჩება. ილიას მარტოობა, „პირდაპირ გულის მომკვლელი ამბავი იყო. ეს გამწარებული დიდი კაცი ლომივით ბრდღვინავდა და გააფთრებული ებრძოდა „თავის ერში დამკვიდრებულ გაუგონარ დაბნელებას გონებისას." [18,507] ილია, ნახევარი საუკუნე, მარტო

ებრძოდა, ეროვნული „ნიჰილიზმის საშინელ ურჩხულს.“ გამსახურდია მიიჩნევს, რომ ლიტერატურის წინ წაყვანას ერთი კაცი არასოდეს ყოფნის. ილია თავად აღიარებდა, რომ თანამებრძოლები არ ჩანდნენ მის გვერდით. სხვა ვინ იყო ილიას იმჟამინდელ საქართველოში ვინც თანამებრძოლად გამოსდგომოდა მას? - იკითხავს კონსტანტინე ესსეში **”PATER PATRIAE”.** „დიდი ვაჟა ჯერაც ჭაბუკი იყო... ისე დატვირთული თავისი გრანდიოზული პოემების წერით, ვერც იგი გამოადგებოდა თანამშრომლად მარტოხელა ილიას... არც აკაკი წერეთელი თავისი ტალანტისა და ასეთივე პოპულარობის მიუხედავათ, ვერ იყო მაინცდამაინც გულმამაცი მებრძოლი. რაც ასე ესაჭიროებოდა ლიტერატურის სარდალს.” [იქვე]

კონსტანტინე გამსახურდია ილიას თანამებრძოლად საუკუნის პუბლიცისტს, კრიტიკოსს და უდიდეს ქართველ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს ასახელებს. მისივე თქმით, „ილიას მხარის დამშვენება ამ საქმეში შეეძლო ერთ კაცს იმ საუკუნეში, სახელდობრ ნიკო ნიკოლაძეს. კ. გამსახურდია, 80 წლის ნიკო ნიკლაძეს პარიზში 1923 წელს ორჯერ შეხვდა და ამ ბუმბერაზმა პიროვნებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ესსეში **”PATER-PATRIA” _** ვკითხულობთ: „ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ეს იყო ინგლისის თუ ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ბერგსონის „ელან ვიტალის” მოძღვრება, მასონების მოძრაობა ევროპაში. მისი გამობრძმედილი ინტელექტი, პირველხარისხოვანი ევროპელი დიდი მწერლის, ან მეცნიერის სიმაღლეზე იდგა. როცა საქართველოს კულტურისა და ქართველი ხალხის მომავალი ბედის გამო ჩამოვუგდებდი სიტყვას, დარბაისლურად, თავდაჭერილად, მაგრამ მაინც არ ჰმალავდა თავის გულგატეხილობასა და სკეპტიციზმს.”[18.509]

ესსეში ვრცლად არაფერია ნათქვამი ნიკო ნიკოლაძის, ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ. კ. გამსახურდიასთვის მხოლოდ დაპირისპირების შედეგია სამწუხარო. XIX საუკუნის სამმა დიდმა ქართველმა „საბანკო საქმეების გამო კინკლაობას შეალიეს თავიანთი ენერგიის მოზრდილი ნაწილი, ამიტომაც წამოსცდა ბრძოლებისა და ტანჯვისაგან გამწარებულ პოეტს:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
ყველა ყრუი, ყველა ცრუი,

ამაყი და მანკიერი.“

მიუხედავად მარტოობისა, ილიას გაუტეხელი ხასათი ბოლომდე შერჩა. იგი თავისი პიროვნებით, მოღვაწეობით - იყო ერთგვარი იმპულსი ბრძოლისა და შემოქმედებისა. საოცარი ბედი ერგო მაინც ილიას – აღნიშნავს მწერალი – ყოველი გმირი ბოლოს და ბოლოს უნდა დამარცხდეს. მას მოუხდა, საქართველოში. ისტორიული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა. „ამ ბრძოლაში დავაუკაცდა ილია, ამ ბრძოლაში მოხუცდა იგი.“

ესსეში, **“PATER PATRIA”** ბ-ნ კონსტანტინე, ახალსა და ძველ თაობას შორის გამართულ ცხარე კამათზე მსჯელობს. გრიგოლ ორბელიანმა „ოქროს ჯაჭვი არჩიაო თავისუფლებას“ – დასძენს მწერალი. თუმცა მამათა და შვილთა ბრძოლის სახელით მონათლულ დაპირისპირებას „კენწლაობად” აფასებს, სადაც უფრო დარბაისლური და დელიკატური „ბურთივით მრგვალი ლიბერალი” – ილია იყო.

„ერთადერთი, ვინც ამ ბრძოლად ღირდა, ეს იყო შესანიშნავი პოეტი გრიგოლ ორბელიანი”, რომელსაც, მწერლის აზრით, ილიას მიმართ ლიტერატურისა და ენის საკითხებში იდეური ბრძოლის ნამდვილი საბაბი არც კი ჰქონდაო. „სიტყვამაღალი მოძღვარი” და „ქართული ენის მეუფე” – ასეთი სიტყვებით გააცილა ილიამ უკანასკნელ გზაზე გრიგოლ ორბელიანი.

კ. გამსახურდია ამ ორ უდიდეს პიროვნებას შოთა რუსთაველისა და იაკობ ცურტაველის გზის გამგრძელებლად თვლის. მათ შორის არსებული უთანხმოება მდგომარეობისა და ტემპერამენტის სხვადასხვაობიდან წარმომდგარი ფაქტორებით აქვს ახსნილი, სადაც ერთ მომენტს მნიშვნელოვნად მიიჩნევს: „საერთოდ ცნობილია, ცუდი შვილები ხშირად შეებრძოლებიან კარგ მამებს, მაგრამ მთელს მსოფლიო პოეზიაში უბრწყინვალესი შედევრებია მიძღვნილი კარგი მამებისადმი, კარგი შვილების თავგამოდებული სიყვარულისადმი.“ „გრიგოლ ორელიანი რომელიც ოცნებობდა ორთავებიანი არწივის ჭანგებისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის იმდენი ორდენები და პატივი მიანიჭა ნიკოლოზ პირველმა, მას უკვე სიბერეში გადამდგარს, ილუზია წამოესახა, თითქოს ქართველი ხალხის ისტორიული მისიის გაგრძელება იქნებოდა ცარისტული იმპერიალიზმისათვს ხმლით მიშველება. გრ. ორბელიანი საკმაოდ ბუნდოვნად ერკვეოდა იმჟამინდელ პოლიტიკაში”.[18.510]

გრიგოლ ორბელიანი ძლიერ უხეშად მოექცა ახალ თაობას, მაგრამ მას, როგორც პოეტს, – მწერლის განმარტებით – არამც და არამც არ ეკადრებოდა

აკაკი წერეთლისაგან ეპითეტი „ხარაბუზა ღენერალი". გრიგოლ ორბელიანისა და ილიას ურთიერთობა გაზეთ „მოამბის" დაარსებიდან დაიწყო, რაშიც ახალგაზრდა პოეტს გრ. ორბელიანმა დახმარება გაუწია. კ. გამსახურდია ესსეში, 1883 წლის 26 მარტს, გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე, ილიას მიერ წარმოთქმულ სიტყვაზეც მიგვანიშნებს, რომელიც კიდევ ერთი მაგალითია ორი დიდი ქართველის ღირსეული ურთიერთობისა.

1883 წელის 26 მარტი:

„აჰა, ჩვენ წინაშე მდებარეა საუკუნოდ განსვენებული კაცი... იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელი. იგი იყო სულითა წრფელი მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილი... არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდმო მადლით ცხებული", რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთმოქმედი ძლიერება. იგი სასწაულთმოქმედი ძლიერება თვითონ სატყვასაც საქმედ ჰქმნის. ერთი იმათგანი ერთი იმ რჩეულთაგანი ერთი იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი, ვისაც დღესა ვსტირით და ამიტომაც მისი სიტყვა თვითონ საქმეა „ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ვერარას არგებს მამულსაო" – სთქვი შენ. ჩვენ მაგას შენზედ ვიტყვით".[61]

კ. გამსახურდია აღნიშავს, რომ ილიას გრიგოლ ორბელიანისგან გადმოეცა პათეტიური შემართება ქართული ისტორიის დიდი გმირების აპოლოგიაში. ილიას ლექსებს, გრიგილ ორბელიანისეული ძველ ქართული, დარბაისლური ინტონაცია გასდევს („განდეგილს", „აჩრდილს", „დიმიტრი თავდადებულს").

კონსტანტინე გამსახურდიას თვასაზრისით, ილია თავის სულში ატარებდა ტრაგედიის ყველა ელემენტს. მისი ცხოვრების ფინალი პირდაპირი შედეგი არ ყოფილა მისი ცხოვრების და ბრძოლის ტრაგიკული კვანძისა. ილიამ თავისი გონით შექმნა მთელი ეპოქა, წიწამურში დაღვრილი სისხლით კი მთელი საუკუნე აქცია ტრაგედიად.

კონსტანტინე გამსახურდიას ესსეისტიკაში ილიას ფენომენს მისტიური საბურველი მოსავს. ქართულ ცნობიერებაში ალბათ არ დასახელდება მოღვაწე, რომელსაც დროისთვის საუკუნეებით გაესწროს და მარად თანამედროვედ დარჩენილიყოს. „პირველი მისი პოეტური ამოკვნესა მამულით დაიწყო და უკანასკნელადაც მისი ლირის სიმები სამშობლოს საგალობლად ააჟღერა". – წერდა კიტა აბაშიძე.

ილიამ სიჭაბუკეშივე განსაზღვრა თავისი ამქვეყნიური მისია და სიცოცხლეშივე მოიხვეჭა უდიდესი რეზონანსი. ბ-ნ კონსტანტინე ილიას ღვთისმიერ ხელდასმულ პიროვნებად მიიჩნევდა. „მე მომესმოდა მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ ჩემს სულში ჩაძახილი – „იბრძოლე" – წერდა ცხოვრების დასალიერს დიდოსტატი.

კ. გამსახურდია ესსეში "PATER PATRIA"-" შემოქმედების და საერთოდ ქართული, მსოფლიო მწერლობის ზოგად შეფასებას იძლევა. მისი აზრით ორმა წიგნმა განსაზღვრა – მსოფლიო ლიტერატურის განვითარება. ეს იყო ბიბლია და არაბული ეპოსი. „ათას ერთი ღამის", „ღვთაებრივი კომედიისა" და გოეტეს „ფაუსტის" სათავეები ბიბლიიდან მოდიან. „ევროპელმა ხალხმა მხოლოდ XVI–XVII საუკუნეში იგემეს ბიბლიის ამ უბრწყინვალესი წიგნის თარგმანი თავიანთ ენაზე. ჩვენ ეს ბედნიერება გაგვაჩნდა ჩვენი დიდი მთარგმნელებისა და თეოლოგების მეოხებით ჯერ კიდევ VII–VIII საუკუნეებში". (18,512) ამიტომაც ქართულ ენას შემორჩა უძველესი ოქროს ფონდი.

კ. გამსახურდია XIX საუკუნის ქართული მწერლობის მეტყველებას ეთნოგრაფიულ-დიალექტური ნირის მატარებლად მიიჩნევს, „ეს ტენდენცია მხარს უქცევდა იმ ძველქართულ ინტონაციას მეტყველებისას, რომელიც ახასიათებდა გენერალურ ხაზს ქართული ენისას" ამ გეზის პირდაპირ გამგრძელებლებად ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს და ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევს.

კ. გამსახურდიას აზრით, კრიტიკოსს გარდა დიდი განათლებისა და გემოვნებისა ესაჭიროება კაიკაცობა და ადამიანის სიყვარული. ილია სწორედ ასეთი იყო მზრუნველი მამა ახალი თაობისა და თანამედროვეთა მიმართ ობიექტური. ნ ბართაშვილის ტალანტი, ვაჟას გენია და ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭი – ილიამ შეიცნო პირველად.

კ. გამსახურდია ილიას შემოქმედების შეფასებისას, „მგზავრის წერილებს" ქართული ლიტერატურის შედევრად აღიარებს, „რუსეთის იმპერიის პილიტიკას და მის ხელისუფლებას უმძაფრესი პასკვილები მიუძღვნეს გოგოლმა, პუშკინმა და ლევ ტოლსტოიმ"–წერს კონსტანტინე 1962 წელს „ერისმთავარში", მრავალი მწერალი წამოეპოტინა ნარკვევების ჟანრს, მაგრამ ნამდვილი ნაკრკვევი მსოფლიო მწერლობაში დაწერეს გოეტემ, ჰაინემ და ილია ჭავჭავაძემ. „მე დღესაც მხიბლავს მისი „მგზავრის წერილები". ილია განიცდიდა თავის სამშობლოს მონობას, მან სევდა დაკარგულ მოხევეს წარმოათქმევინა უდიდესი

პრინციპი ჩვენი საუკუნისა და ამ საქმისთვის ბრძოლას მსხვერპად შეეწირა კიდეც.”

კ. გამსახურდია, მყინვარისა და თერგის მხატვრული სახეების შედარებაში, ილიას სიდიადესა და გენიალურობას ხედავს. მოძრაობა ხომ თანამედროვე გაგებითაც იმპულსია კულტურისა - განმარტავს მწერალი, ცივილიზაციისა და შემოქმედებისა. ილია თერგს ირჩევს, რადგან მასში ხედავს არამარტო საქართველოს, კაცობრიობის მომავალს და სწორედ ამიტომაა ილია, თანამედროვე საქართველოს მესიტყვე და წინასწარმეტყველი.

კონსტანტინე, მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივში” ხედავს დიდ იმედს, ჰარმონიას იმ საქართველოსი „რომელიც არც გუშინ ყოფილა არც დღეს არის, რომელიც უნდა იქნეს, თუ არსებობა გვიწერია.”[16,392] ქართველი ქალების მხატვრულ გალერიაში ოთარაანთ ქვრივის სახე განსაკუთრებული ბრწყინვალებითაა შემოსილი. ქართველი ქალი, როგორც ბალავარი ქართული ოჯახისა და ჩვენი ნაციისა, ეს არის ამ მოთხრობის თავკიდური. [18,513]

ქართული ისტორიის პოეტიზირების შესანიშნავი ნიმუშია ილიას „დიმიტრი თავდადებული”, რომელშიც, კ. გამსახურდიას აზრით, ილიამ ქვეშეცნეულად უმღერა საკუთარ თავდადებას და პარაბოლური ენით გვამცნო, რომ ნამდვილი თავდადება მამულისათვის საკუთარი სიცოცხლისა და სისხლის გაღების საფასად ხდება... ამიტომაც სასწორზე შეაგდო ილიამ თავისი პირადი ცხოვრება. გამსახურდიასთვის ილია სათაყვანებელი სიწმინდე იყო, ამიტომაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მე პირადად რუსთველის შემდეგ არავისგან იმდენი შთაგონება არ მიმიღია, როგორც ილიასგანო”. გამსახურდია ილიას და რუსთაველს იაზრებდა არ როგორც დიდ მწერლებს, არამედ როგორც ეროვნული საუკეთესო თვისებების სრულყოფილად გამოვლინებას.

აპოლოგია რუსთაველისა

კონსტანტინე გამსახურდიას რუსთველოლოგიური ძიებანი საგანგებო კვლევას ითხოვს. მის შესახებ მსჯელობა ვერ ამოიწუება ამ თემაში. რუსთველის შესახებ მოსაზრებები გამოთქმული აქვს, არა მარტო რუსთველისადმი მიძღვნილ ესსეებში, არამედ უამრავ სხვა კრიტიკულ წერილში.

„არცერთ სახლს ამშვენებს მისი სახელის მემორიული დაფა, არც რომელიმე აკადემიის წევრად აურჩევიათ იგი ოდესმე, არც თუ დაფნითა და

მუხის ფოთლებით შეუმკიათ მისთვის შუბლი თანამედროვეთ"; [18,117] ამ წანამძღვარით, ამ უბრალო, მაგრამ ამავდროულად ორიგინალური შესავლით იწყებს გენიალური კონსტანტინე „ქართული პოეზიის იგავმიუწვდომელი ორფეოსის, ბრძენთა შორის მოძღვართ-მოძღვარის" შოთა რუსთაველის აპოლოგიის წერას. რუსთველის უკვდავი ქმნილების გამსახურდიასეული მოკლე ანოტაცია ასე იკითხება: „უპირატესი თავკიდური ქართული პოეტური კულტურისა, მომდევნო თაობათა პოეტებისათვის გარდაუვალი ბარიერი, ენათმეცნიერთათვის თავსამტვრევი საგანი, ისტორიკოსთათვის გამოუცნობელი მეტეორიტი". [18,118]

გამსახურია ყველაზე სადა, მაგრამ არაორდინალური ეპითეტების გამოყენებით ქმნის რუსთაველის პორტრეტს. ავტორი განსაკუთრებული სიყვარულითა და სიამაყით ქმნის დაუვიწყარ პოეტურ ტილოს რუსთაველზე: „მისმა ჯადოსნურმა არფამ საწერად დასვა ქედმოდრეკილი გადამწერლები, მიმბაძველთა მთელი თაობანი ფეხზე დააყენა, მანვე აამღერა რაინდი და პოეტი, მწყემსი და გლეხი, მეომარი და მიჯნური და ეს ხმა საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით შეერწყა ხალხისას და ამიტომაც იკარგება ხშირად სამანი მასსა და ხალხურ პოეზიას შორის".[18,117]

ამ ერთ აბზაცში დატეული კონსტანტინესეული შეფასება „ვეფხისტყაოსნის" ავტორისადმი, რუსთველოლოგიაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დგას. ჩემი აზრით, ანალოგიური ესსე რუსთაველზე არ დაწერილა.

„სამკაული პატარძლებისათვის", „დიდაქტიკური ფილოსოფიის შეგონება", „კაცობრიული კულტურის სალარო," „სიტყვიერი კულტურის უბადლო სარკე", „ადამიანური ვნებების აპოლოგია", „სტროფების ჯადოსნური კრიალოსანი", „დიდი შემკრები ქართული მეტყველებისა" – ასეთია გამსახურდიას შეფასებათა მცირე ჩამონათვალი ურთულესის უმარტივესი საშუალებით გადმოცემის შესახებ. რუსთაველი „უდიდეს სიბრძნეს უმარტივესი სიტყვით გვასწავლის" – აცხადებს გამსახურდია და ამით ლეგენდადქცეულ პოეტს საკადრის ადგილს მიუჩენს მსოფლიო პოეზიის ოლიმპზე.

მწერლის შეფასებით „გეოგრაფიული ორიენტაციის მიხედვით რუსთაველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამანზე დგას". რუსთაველის „მსოფლშეგრძნობას" აღმოსავლურს უწოდებს. „ხოლო ფორმათქმნაში და თქმის ტემპერამენტში იგი ძველ ბერძენ დიდოსტატებს უფრო გვაგონებს".

მწერლის დაკვირვებით ვეფხისტყაოსანში გაერთიანებულია ყველა დიალექტი, რადგან იგი გამოხატავს იმ დროის ერთიანი საქართველოს სალიტერატურო ენას. გამსახურდიას რწმენით რუსთაველის სიდიადე გამოვლინდა არა მარტო მის ღრმა აზროვნებასა და სიტყვის ოსტატობაში, არამედ იმაშიც, რომ იგი საყოველთაო სახალხო კუთვნილებაა: „რუსთაველმა აამღერა რაინდი და პოეტი და ეს ხმა საუკუნეთა მანძილზე შეერწყა ხალხისას და ამიტომაც იკარება ხშირად სამანი მას და ხალხურ პოეზიას შორის.”

„ქართული ენის მაღალი კანონმდებელი”, როგორც კონსტანტინე რუსთაველზე ბრძანებს, ახერხებს მისი სიტყვა იყოს რითმული და მეტყველება აფორისტული. „უაღრესი მსოფლიო მნიშვნელობის კაცი” ქმნის მსოფლიოს დიდ პოემათა შორის ყველაზე „ტანმორჩილ „ვეფხისტყაოსანს”, რომელიც რომანული ქარგის მათემატიკური კანონზომიერებით გადმოსცემს სათქმელს. გამსახურდია ესსეში მიზნად არ ისახავს პოემის შინაარსობრივ და ტექსტურ ანალიზს, მეცნიერულ წიაღსვლებს. ესსეს მიზანია გაცხადდეს შოთა რუსთაველის გენია, ქართული სულიერი კულტურის ფესვებიდან ამოზრდილი მარადიული სული, მსოფლიო მასშტაბის მოვლენათა მოვლენა. გამსახურდია ესსეისტისათვის დამახასიათებელი ლაკონურობით ქმნის ოდას რუსთაველზე.

„რუსთაველის გენიამ შეჰქმნა ისეთი უაღრესად ხალხური ფორმა ლექსისა, რომელიც ზედმიწევნით იდეალურია როგორც უხმოდ საკითხავად, ისე წარსათქმელად და სასიმღეროდ”. მუსიკალურობის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანის” ჟღერადობას გამსახურდია მკვეთრად განასხვავებს ჰომეროსის, ვირგილიუსისა და დანტეს პოემების ხმოვანებისაგან. მათი განმასხვავებელი ნიშნები რუსთაველის პოემის მაღალი და დაბალი შაირის ურთიერთმონაცვლეობაშია. რაც გამორიცხავს მონოტორულ რიტმს. კონსტანტინე მიიჩნევს, რომ გოეთემ თავის „ფაუსტში” სწორედ ეს გაითვალისწინა და „დიდ პოემებს ნაირნაირი რითმული ინსტრუმენტი შეაშველა”.

რუსთველის შემდეგ ერთი საუკუნით გვიან, „დანტემ იხმარა ბოლორითმოვანი ლექსი დიდი პოემის დასაწერად”. გამსახურდია შედარებას ახდენს დანტეს სამსტრიქონიან ლექსსა და ხალხურ ქართულ შაირთან მისადაგებულ რუსთველის ლექსს შორის. დანტეს კომედიას ფაბულურ მაგისტრალს მოკლებულს უწოდებს და სიუჟეტური ქარგის ნაკლებ ხარისხიანობაზე საუბრობს. დანტეს პოემის დინამიურობის საწყისად

გამსახურდია მუსიკალურობას ასახელებს, ხოლო ჰომეროსი და რუსთაველი ფაბულური ქარგის მიმდევრებად მიაჩნია.

გამსახურდია ესსეში რუსთველის გენიის ერთ-ერთ გამოხატულებად ქართული პოეზიის ეპიკისაკენ წაყვანას მიიჩნევს. „ნაციონალური მწერლობა მხოლოდ მაშინ იქცევა ლიტერატურად, როცა იგი ეპოსის თავკიდურებს დაემყარება. თავისთავად ლიტერატურა ეპოსიდან იწყება მხოლოდ". გამსახურდია პარალელებს ავლებს „ილიადას", „ოდისეას", „შაჰნამეს" ავტორებსა და „ვეფხისტყაოსნის" ავტორს შორის. ხსენებულ პოემებში ხალხების და მათი კულტურების ომებსა და ყოფას გვიხატავენ. „ვეფხისტყაოსანში" მისი „თანადროული მსოფლიოს, იმ საუკუნის ყოფის, ეთიკისა და მსოფლმხედველობათა ურთიერთთან შერკინების ამბავია" მოთხრობილი.

„პოეზია რუსთაველისათვის რითმების თვითმიზნური თამაში როდია, არამედ ერთ-ერთი დარგი სიბრძნისა". გამსახურდიას აზრით, ამ მხრივ იგი პირდაპირ ეხმიანება პლატონს. ესსეს ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ რუსთაველი პოემის შესავალშივე ემიჯნება ყოველივე წრეგადასულ, ბანალურ ეროტიზმს. ამ მიმართულებით სერიოზული ზეგავლენა განიცადეს „გვიანი რენესანსის რესპუბლიკებმა."(კ.გ) მათ ხელოვნებაში თავს იჩენდა „ორგიასტული სულისკვეთება". რუსთველი ნამდვილი „მიჯნურობის" მეხოტბეა.

რუსთველის მსოფლმხედველობისა და მთელი პოემის არქიტექტონიკის შესაცნობად გამსახურდია დასავლეთის კულტურის ზემოქმედების ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას. „რუსთაველის ხანა ემთხვევა ადრიან რენესანსის ეპოქას ე.წ. „ქრისტიანი ხალხების" ისტორიაში." ცნობილია, რომ რენესანსი შეეხო არა მარტო პოეზიას და მხატვრობას, არამედ აზროვნების, ყოფის, სოციალური ცხოვრების ყოველნაირ გამოვლინებას.

რენესანსის თემაზე მსჯელობისას გამსახურდია დეტალურად განიხილავს მის მახასიათებელ ნიშნებს და დაასკვნის: „რენესანსი განასახიერებდა არა მარტო დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩიოს ლიტერატურულ ქმნილებებსა და იტალიური ფრესკის მხატვრობას, არამედ მისი იდეური ფლუიდები გადაწვდენია საქართველოს საეკლესიო მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას."[18,119] რენესანსი გამსახურდიას აზრით, მარტო არისტოკრატიული მოძრაობა არ იყო, მას უაღრესად დემოკრატიულ მიმდინარეობად მიიჩნევს. „რენესანსმა გააღვიძა

ხელოვნებაში ბუნებრიობის, რეალიზმის და თავისუფლების იმპულსი". რენესანსის განსაკუთრებულ დამსახურებად მიაჩნია ადამიანის, პიროვნების ამაღლება „სიქველის ხარისხამდე". სიქველე, გმირობა, სახელის მოხვეჭა, მეგობრობისა და ქალისადმი პატივისცემის კულტი – ეს მოწოდებები გასდევს „ვეფხისტყაოსანს" თავიდან ბოლომდე. გამსახურდია ადამიანისა თავისუფლების მომღერლად ასახელებს რენესანსს.

და მაინც რა იყო რუსთაველის მთავარი აპოლოგია, რასაც გამსახურდიას ესსე ეძღვნება? ირკვევა, რომ რუსთაველმა „შემოაბრუნა ქართული მწერლობის *ტიმონი* ქრისტიანული ჰაგიოგრაფიის მკვდარი სქემებიდან ადამიანური ვნებების აპოლოგიისაკენ, ქრისტიანული დოგმატიზმის სიბნელიდან ჰუმანიზმის მოტივებისაკენ."

რუსთაველის გენია კარდინალურად განსხვავდება როგორც ანტიური, ისე დასავლური პოეტების მსოფლშეგრძნებისაგან. გამსახურდია შედარებას ახდენს ჰომეროსისა და რუსთაველის გმირებს შორის და დაასკვნის, რომ რუსთაველის გმირები გაღმერთებულნი არ არიან, არამედ ისინი ადამიანური ვნებებით არიან აღჭურვილნი. გამსახურდია პარალელს ავლებს ჰომეროსის მშვენიერ ელენესა და ნესტანს შორის. ელენე „ღვთაებასთან წილნაყარია". „ჰომეროსი თავის „ოდისეაში" თვით მეღორესაც „ღვთაებრივს" უწოდებს". ჰომეროსისა და დანტეს გმირთა გალერიის შედარებისას, რუსთველის გმირებს განსაკუთრებული სიფაქიზით ახასიათებს: „თავისი კოსმოგენიით, პოეტური მეტყველებითა და სახეთა კომპლექსით რუსთაველი გაცილებით ახლო დგას ჩვენს ეპოქასთან, ვიდრე რენესანსის პოეზიის თავკაცნი".ავტორის შეხედულებით, რუსთაველისათვის უცნობია მისტიციზმის ფერები, რითაც იგი გამოირჩევა მსოფლიოს დიდოსტატთა შორის.

გამსახურდია რუსთაველის აპოლოგიაზე წერას ამთავრებს „ლეგენდადქცეული პოეტის" შედარებით სებასტიან ბახის მუსიკასთან: „მისი ომახიანი ხმა მრავალი საუკუნის ბნელით გარემოცული, დაუცხრომლად დვრინავდა ქართველი ხალხის გულში. ხან მწყემსის სტვირიდან ლაღობდა იგი, ხან გლეხური დარბაზების თაღებს ქვეშ გვრგვინავდა და გლახაკების ფანდურის ჩხაკუნშიაც ისე მოისმოდა, როგორც სებასტიან ბახის მუსიკა, ორგელის ჯადოსნურ სალამურებიდან განცხადებული".[18,132]

„სადა გენიოსი” - ვაჟა-ფშაველა

რუსთველის და ზოგადად ქართული მაღალმხატვრული მწერლობის გენეტიკური გაგრძელება იყო ვაჟას სპეტაკი თვითმყოფადი და ამოუცნობი გენია. მშობლიური მწერლობის თვითმყოფადობა მუდამ იყო გამსახურდიას დაკვირვებისა და შესწავლის მიზანი

1933 წელს გამსახურდია აქვეყნებს ესსეს ვაჟა-ფშაველაზე. ამ პატარა წერილში სავსებით შეძლო ავტორმა ბუმბერაზი პოეტის მიმართ მისი დამოკიდებულებისა და ზოგადი შეფასების დატევა. აქ არ არის პოეტის გენიალური შემოქმედების, ან მისი ცხოვრების კვლევის მცდელობა. ამ წერილში ვეცნობით გამსახურდიას ერთგვარ მეტაფორულ „დასკვნას” იმ პოეტზე, რომელიც „მყინვარწვერთა დიდი ოჯახიდანაა”.

წერილის დასაწყისში გამსახურდია ვაჟას პორტრეტზე საუბარს მეტაფორული თხრობით იწყებს. ეს არ არის განპირობებული ორიგინალური წერის რაიმე მანერით, პირიქით, ჩემი აზრით, ავტორმა „მყინვარწვერთა ოჯახის” ბინადარი ასე დაინახა და დაგვანახა კიდეც „პირიქითა ხევსურეთში, მუცოს ციხის სანახებში ერთი უზარმაზარი ლოდი იცავს ხეობის ყელს. გაღმა და გამოღმა ყარყუმის მოსასხამით მოსილი მყინვარები ცას მიბჯენიან. გაღმაც უფსკრული ახლავს ამ ლოდს და გამოღმაც”.[18,42]

პეიზაჟის ხატოვანი აღწერით ავტორი მუცოს ხეობაში გვამოგზაურებს და თანამონაწილედ გვაქცევს იმ სანახებისა, რომელმაც ვაჟა-ფშაველას პორტრეტთან უნდა მიგვიყვანოს.

ვაჟა-ფშაველას გამოჩენა ქართულ მწერლობაში ისეთივე მოულოდნელობასთან აქვს შედარებული ავტორს, როგორც გრანიტის უშველებელი მასივის დანახვა ასეთ გასაოცარ ადგილზე. „გარშემო კლდეების ფონი ქვიშისფერია, ზოგან გნოლისფერი. ხოლო ეს ლოდი ძერასფერია ზედმიწევნით ძერასფერი”. ამ ფერწერული ტილოს შექმნით ავტორი ვაჟა-ფშაველას ორიგინალურ, უიშვიათეს პორტრეტს ქმნის, რომლის ანალოგი ფაქტობრივად არავის შეუქმნია. მთის ეს არნახული ზვავი ერთი მხრიდან „მამალ აქლემს” შეადარა, ხოლო მეორე მხრიდან „ფრთიან ლომს”. ამ სახით ავტორი ვაჟას განუმეორებლობაზე წერს და მარტივად, როგორც ახალ აღმოჩენას გვამცნობს: „მარტოა ვაჟა-ფშაველა”.

გამსახურდია ქართული ენის სინთეტიკური ერთიანობის ნაყოფად რუსთაველს მიიჩნევს. მისი აზრით, რუსთაველი იმ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტის გადაღმა იდგა. მაშინ ქართული სიტყვა ქართული დიალექტებით არ იყო გამიჯნული და გამსახურდიას თქმით, „ერთობლიობის მწვერვალამდის იყო ასული". მწერალი ამბობს, რომ გიორგი მერჩულე, დავით გურამიშვილი, რუსთაველი, საბა ორბელიანი, „მთლიანი საქართველოს მესიტყვენი იყვნენ". ვაჟა-ფშაველას კი ხევსურულისა და ფშაურის მემკვიდრეობა ერგო წილად" და „ჩვენ გაგვხადა ამ მემკვიდრეობის თანაზიარი".

ვაჟა-ფშაველას მოსვლა ქართულ ლიტერატურაში უდიდესი და არნახული მოვლენა იყო. გამსახურდია ამ მოვლენას მსოფლიო ლიტერატურაში „იშვიათ შემთხვევას" უწოდებს და მას გამარჯვებით მოსულ პოეტად აღიარებს. მისი თქმით, ფშაველა „ორი ტომის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე დაგროვილი მარაგით" მოვიდა და გაიმარჯვა. მწერალს ანალოგები მოჰყავს დასავლური ლიტერატურიდან და ასკვნის, რომ „ჯერ არც ერთი დიალექტის მესიტყვეს არ გაუმარჯვნია ასე". მაგალითად, მას მოჰყავს გენიალური დანტე. „მან ტოსკანური დიალექტი მოახვია თავზე იტალიურს". დანტე იტალიური კულტურის პირმშო იყო. გამსახურდიას მიაჩნია, რომ ქართულ ხალხურ პოეზიასთან წილნაყარ ვაჟა-ფშაველას ქართული ლიტერატურისთვის თავს არ მოუხვევია ფშავ-ხევსურული დიალექტი. გამსახურდია აღიარებს, რომ ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა ჯერაც შეუსწავლელია. „ვაჟა ქართული ენის დაღარიბებისა და დაშრეტის ეპოქაში მოვარდა ჩვენს მწერლობაში, ეს მართლაც მობუბუნე ხარი მთიდან ბარად გადმოხვეწილი". [18,48]

ესსეს შემდეგი ნაწილი ეთმობა XIX საუკუნის მწერლობაზე საუბარს. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქართული ენა დაკნინებულია, „დაიშრიტა ქართული ლექსიკონი, სოფლად გლეხობა თუ ლაპარაკობდა კიდევ ქართულად, ქალაქში კი მუშა ხალხი თუ მეტყველებდა ამ ენაზე". ეს ის პერიოდია, როცა ქალაქურ მეტყველებაში ფეხი მოიკიდა ბარბარიზმებმა და ენობრივი სიწმინდისათვის აღარავინ ზრუნავდა. ამ პროცესს გამსახურდია „ენააღრეულ მეტყველებას" უწოდებს და ამაში ბრალს „გადაგვარებულ ჩინოვნიკებს" დებს. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს „აღრეული ბაზრული ქართული" გაისმოდა იმ დროინდელ სცენაზე, ნაწილობრივ პრესასა და ლიტერატურაშიც. მწერალი სიამაყით აღნიშნავს, რომ ქართული ენის

გადაგვარების საშიშროების დროს „მოვიდა ვაჟა და თან მოიტანა ძლიერი ტალღა ხალხური მეტყველებისა". ვაჟა-ფშაველამ შესძლო და გაამდიდრა ქართული პოეზია ახალი მოტივებით. აქ საუბარია ვაჟას დამსახურებაზე არა მარტო „სავსებით უჩვეულო" ახალი მოტივების დამკვიდრებაში, არამედ ქართულ მწერლობასა და პოეზიაში სრულიად „ახალი სამყაროს" შექმნაში.

გამსახურდიას მოსაზრებით ილია ჭავჭავაძე, საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და აკაკი წერეთელი „დიდ აზნაურთა მწიგნობრულმა კულტურამ" წარმოშვა. ვაჟა კი ხალხური სათავეების „უშუალო განშტოებაა, მისი პოეზია ანკარაა და აუმღვრეველი, როგორც ფშავის რაკრაკა წყაროები, შავი არაგვის უბის გამვსები". [18,50]

ავტორი მისი ხელწერისთვის დამახასიათებელი ოსტატობით წარმოაჩენს ვაჟა-ფშაველას გმირულ პათოსს. იგი ხოტბას ასხამს „გულმამაცი ჩანგოსანის ნამღერს" და ხევსურების უძველეს ლეგენდებში გადამხდარი ამბების ჰეროიკას ძველი გოტებისა და ვიკინგების გმირულ ბალადებს ადარებს. როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, გამსახურდია ამ ესსეში ვაჟას შემოქმედების კულტურულ-ისტორიულ გამოკვლევას არ აკეთებს. ჩვენი აზრით, ეს ავტორის თავმდაბლობით შეიძლება აიხსნას. ვინაიდან, მისივე თქმით, „ვაჟა ფშაველა ჯერ კიდევ შეუსწავლელია". დიდი კონსტანტინე ფშაველ პოეტს „თვალუწვდენი დიამეტრისა და პოეტური მსოფლშეცნობის" შემოქმედს უწოდებს. მისი აზრით, ვაჟას შემოქმედებას საგანგებო მონოგრაფიები უნდა მიეძღვნას.

ესსეს მოდევნო ნაწილში ავტორი ვაჟას დემოკრატიულობაზე საუბრობს. მას ილიაზე, აკაკიზე მეტ დემოკრატად მიიჩნევს და ამით ერთგვარ ახსნას უძებნის „ვაჟას განმარტოებას ქართული სიტყვის დიდოსტატთა ოჯახში". ვაჟა-ფშაველა, რომელიც ხალხური ანიმიზმის ნიადაგზე წარმოიშვა გამსახურდიას შედარებული ჰყავს გოეთესთან. ვაჟა ფშაველას გენიალობას გამსახურდია პოეტის „გენიოსური სისადავით" ხსნის. „ვაჟას პოეზიის ქარაგმული მეტყველება ბუნებრივი პათოსით მოსავს პოეზიის მისიის შარავანდს". აქ საგულისხმოა, რომ გამსახურდია ერთ მთლიანობაში განიხილავს ვაჟა-ფშაველას თავისებურ იდეურ სამყაროს და ხალხური წყაროების სინთეზს. მწერალი ვაჟას „პოლიტიკურ რომანტიკოსს" უწოდებს და ამით ევროპელი რომანტიკოსებისაგან სრულიად განასხვავებს. ავტორის აზრით, ვაჟას პოლიტიკური რომანტიზმი უმეტესად „თავისუფლების მოტრფიალე თემური წყობილების ფუძეს ემყარებოდა". [18,45]

გამსახურდია ამბობს: „ჩვენთვის მიუღებელია დღეს ვაჟას რომანტიზმი, მისი პანთეისტური ანიმიზმი". აქ ავტორი გულისხმობს ვაჟას იდეურ სამყაროს, რომელიც უძველესი საუკუნის გამოძახილი იყო და რომელიც ამის გამო ახალი თაობის შესაძლო კრიტიკას დაიმსახურებდა. თუმცა, ვაჟას განუმეორებელი ალეგორიული აზროვნება ასეთი კრიტიკისათვის, რათქმაუნდა, არ იყო განწირული. „პოლიტიკურადაც მკაფიოდ გვამცნობდა ვაჟა ალეგორიული ყორნებისადმი ზიზღს"-ამბობს გამსახურდია და ამით კიდევ ერთხელ ადასტურებს ვაჟას ახალი იდეური აზროვნების ოსტატობას.

წერილის დასასრულს გამსახურდია იმდროინდელი ქართველი მწერლების მძიმე სოციალურ მდგომარეობას ეხმიანება და ვაჟა-ვშაველას გაუსაძლისი ცხოვრების გამო უდიდეს გულისტკივილს გამოთქვამს. „სადა გენიოსის" ნაადრევი სიკვდილის მიზეზად გამსახურდია "ქართველი მწერლის გაუხარელ სვეს" ასახელებს: „იმ დროს, როცა ქართველი აზნაურები ცალკერძ მონარქისტულ ბანკეტებზე ღრეობდნენ, ცალკერძ დავით ერისთავის სამშობლოში ბუტაფორიული ხმლების წკრიალით ერთობოდნენ, ვაჟა მოკვდა, როგორც უსახელო და უპატრონო". [18,46]

ამ პატარა ესსედან ნათლად ჩანს გამსახურდიას მარადიული მისია, რაც მხოლოდ ეროვნულ ინტერესებზე იყო დაფუძნებული.

"In memiriam Saba Orbeliani"

კ. გამსახურდია, როგორც გენიალურობის მუდმივი მაძიებელი ცდილობდა ქართულ ეროვნულ საგანძურში უყურადღებოდ არ დარჩენილიყო ჭეშმარიტი ფასეულობები და მომავალი თაობებისათვის გადაეცა რეალური სურათი უკვდავებასთან წილნაყარ შემოქმედებზე. მათგან კი ყველაზე სევდიან გენიოსზე, რომელსაც საბა ორბელიანი ერქვა. სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 290 წლის თავზე გამსახურდია აქვეყნებს ესსეს საბა ორბელიანზე – ***"In memiriam Saba Orbeliani"***

საგულისხმოა, რომ ავტორი განსაკუთრებული მოკრძალებით საუბრობს საბა ორბელიანზე, როგორც „ქართლის მხცოვან პოეტზე". ავტორის თავმდაბლობით გამორჩეულ ამ ესსეში ნათლად ჩანს კონსტანტინეს პატრიოტული სული, რომელიც ეთაყვანება საბას პიროვნებას. „მცირე

სტრიქონების დაწერის ნება მივეცი ჩემ თავს” ბრძანებს კონსტანტინე. იქვე დასძენს- „ოღონდ ერთი მობოდიშებით”

მწერლის მოსაზრებით საბა ორბელიანი განმანათლებლური დიდი სკოლის ტიპური წარმომდგენელია. ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის არაკთა კრებულის სათაურის გააზრება დიდხანს იწვევდა მეცნიერთა ცილობას. გამსახურდია მისთვის ჩვეული სტილითა და კატეგორიულობით წერდა: „მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელსაც ეგზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდესო. მრავალი მეცნიერული გამოკვლევა მიეძღვნა საბას არაკთა წყაროების კვლევას, ხოლო კ. გამსახურდიამ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა ეს პრობლემა.

მხცოვან პოეტზე სიყვარულით და პატივისცემით დაწერილ წერილს ეპიგრაფად ვახტანგ VI-ის სევდიანი სტრიქონები უძღვის: „ვიარე ყოველი ქვეყანა, სიგრძე, სივრცე და განი და... ვერ ვპოვე რა მისი მეტი, დავკარე ძმანი დანი და.”[18,165]

გამსახურდია მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაზე საუბრისას „მაღალ სარანგად” შოთა რუსთაველს ასახელებს. შუასაუკუნეთა სქოლასტიციზმის ფონზე უნიკალურ ფენომენად არის მიჩნეული იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე. ახალგაზრდა საბა ორბელიანის პორტრეტს ავტორი ორიგინალური ფორმით აცოცხლებს:

„პირმშვენიერი, ახოვანი, ჭაბუკი ფეხმორთხმული უზის საწერ მაგიდას. თავზე მაღალი ფაფახი ახურავს, ყვრიმალების არეებში ქუდიდან გადმოღვრილი კულულები მოუჩანს”. [18,167] ჭაბუკი საბას ინტელექტით გამორჩეული გარეგნობის აღწერით ავტორი შესანიშნავად ახერხებს შექმნას დაუვიწყარი ფერწერული ტილო ვერსალიდან იმედგაცრუებულად დაბრუნებული „ქართლის ელჩისა”.

გამსახურდია საუბრობს ბიბლიის როლზე ქრისტიანულ ერთა მწერლობის განვითარებაში. მისივე თქმით ათონის ლიტერატურულმა სკოლამ ქართული ენა და კულტურა, მარადიულობას აზიარა. მწერალი იძლევა XVII–XVIII საუკუნეების ისტორიულ-პოლიტიკურ მიმოხილვას. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ისტორიულ მოვლენაზე, როდესაც ვახტანგ VI საქართველოს დესპანად აგზავნის საბა ორბელიანს. თავისი უნივერსალური განსწავლულობით საბა ფრანგ ენციკლოპედისტებს მოაგონებს მწერალს. იგი უდიდეს შეფასებას აძლევს მის გენიალურ ქმნილებებს.

„ჩვენს ეპოქაში, როცა მრავალი ენათმეცნიერი და დიდად განსწავლული ფილოლოგი მოგვეპოვება, როცა ხელმისაწვდენია უდიდესი ენციკლოპედიები, და სიტყვირება, მრავალ ენაზე შედგენილი, ვერც ერთმა ქართველმა მეცნიერმა ვერ შეძლო ისეთი რამე შეექმნა რაიც საბას ლექსიკონს შეცვლიდა”[18,178] ამ შეფასებიდან ნათლად ჩანს გამსახურდიას დამოკიდებულება ერის მნიშვნელოვან სატკივართან დაკავშირებით საბას ლექსიკონი XXI საუკუნის საქართველოში ლიტერატორთა, მკვლევართა და ენის სპეციალისტთა სახელმძღვანელოდ იქცა.

საბა ორბელიანის მოკრძალებისა და თავმოდრეკილების მომასწავლებლად მიიჩნევს ლექსიკონის წინასიტყვაობაში შემონახულ ტექსტს: „ვიცი მრავალნი საბასრელად დასდებენ შრომათა ამათ ჩემთა, მათ თუმცა წერილნი უყვარან, მრავალნი სხვანი წერილნი არიან საღმრთონი და საერონი და რომელნიც ენებოსთ იგი იკითხონ, ხოლო ესე ჩემებრ უცებთათვის დაუტევონ.”[18,179]საბა ორბელიანის თავმდაბლობა მეორე დიდ ენციკოლპედისტს ვოლტერს აგონებს. „მე არ მოვსულვარ ბრძენთათვის, არამედ უმეცარ ხალხთათვის, რომელსაც მაქვს პატივი ვეკუთვნოდე თავად.”[იქვე]

სულხან-საბას გენიალური „სიბრძნე სიცრუისა” გამსახურდიას ქართული აზროვნების ისტორიაში თვალსაჩინო ნიმუშად მიაჩნია: „სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფელი.” სათაურშივეა ის დიდი სიბრძნე აცხადებული, რომლის ანალოგი არ იცის მსოფლო ნოველისტიკამ – განმარტავს მწერალი.

კონსტანტინე გამსახურდიას ესსეისტიკაში არ დარჩენილა ჩვენი მწერლობის წარმომადგენელი, რომლის პიროვნების შემოქმედების შესახებ არ ჩამოეყალიბებინოს თავისი შეხედულება. XX საუკუნის ქართველ მოაზროვნეებზე შექმნილი „ოქროს ფონდი” ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის საგანძურია.

„ვნებიანი ჰამლეტი”
(ივანე ჯავახიშვილი)

XX საუკუნის „ხელ ხვავიანი მეკვლე” და „ვნებიანი ჰამლეტი” – ასე უწოდა კონსტანტინე გამსახურდიამ დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელს ბატონ ივანე ჯავახიშვილს. მან იკისრა ყველაზე „დიდი ტვირთი გუთნისდედობა” და აწმყო გაამდიდრა წარსულის ცონდით, მეცნიერების რანგზე აიყვანა ისტორია საქართველოსი.

„დასკვნაში აუჩქარებელი, ჰიპოტეზაში -ზომიერი, ეპითეტების გაცემაში-მომჭირნე, დაკვირვებული ლინგვისტი, მუდამ დარბაისლურად მოაზროვნეა”[133] დიდი ქართველი ისტორიკოსის ხასიათი და პიროვნული თვისებები ავტორს მთავარ მახასიათებელ ღერძად მიაჩნია. „ფოლადისებური ნებისყოფის ნაყოფი” უწოდა გამსახურდიამ დიდი ივანეს კოლოსალურ შრომებს, პალეოგრაფიულ გამოკვლევებს...

„ინტელექტუალური რაინდი” ამ სახელით დაამკვიდრა გამსახურდიამ ივანე ჯავახიშვილი თავის ესსეისტიკაში. მისი უცნაური გულმოდგინება, ქართული კულტურისადმი თავდავიწყებული სიყვარული XX საუკუნის უდიდესი ქართველ რომანისტს დიდ კონსტანტინეს ათქმევინებს: „იგი მომაგონებს კლარჯეთელ დიდ მშენებლებს, გრიგოლ ხანძთელს და გიორგი მთაწმინდელს. ჩვენ ბრწყინვალე მემატიანეებს და ჰაგიოგრაფებს. ქართველი ტაძრების ხუროთმოძღვრებს, სიტყვისა და ფერწერის დიდოსტატებს”.[18,134]

ქართველი ერის ისტორიის მრავალტომეული ნაშრომის ავტორი მთელი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნებისთვის. იგი საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი ილია მართლის გზის გამგრძელებელი. მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა „ცრუმეტყველ” მეცნიერებს, „რომელნიც საქვეყნოდ გაწკეპლა ჩვენმა მარადის დაუვიწყარმა ილია ჭავჭავაძემ” - ვკითხულობთ ესსეში.

ესსე დაწერილია 1940 წელს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების წელს, პოლიტიკურად უმძიმეს პერიოდში, როცა „მეცნიერული ობიექტივობის საფარველით შენიღბული მეცნიერები, შუბლზე ატყობდნენ ამა ქვეყნის ძლიერთა, თუ რომელი თეორია იქნებოდა ხელსაყრელი და ამის მიხედვით-„ქვასაც კი ასწავლიდნენ ცრუმეტყველაბასო” - წერს კონსტანტინე. ასეთ პერიოდში იქმნებოდა ივანე ჯავახიშვილის, უნიკალური შრომები, რომელიც

ქართველი ერის გონისა და ზნეობის სიმბოლოდ იქცა. ისტორია გვკარნახობს, რომ ერისკაცები თავიანთ ეპოქაში, სიკვდილამდე „პიედესტალზე" არავის აჰყავს. ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი და ადგილი ერის წინაშე ისტორიამ თავად განსაზღვრა. ჭეშმარიტი მამულიშვილობა თავად გაიგნებს გზას ისტორიის უმადურ ლაბირინთებში და ასე მოხდა ივანე ჯავახიშვილის შემთხვევაშიც. XXI საუკუნის საქართველო დიდი ივანეს საამაყო სახელს თაობებს გადასცემს და უკვდავებასთან თანაზიარება უსასრულოდ გრძელდება.

„კალმისებრი გმირობა ისევე საჭირო იყო, როგორც ხმლისმიერი". ასე იბრძოდა ბრძენი ილია, ასე იბრძოდა ივანე ჯავახიშვილი. ესსეში გაცოცხლებულია ქართველი ერის ისტორია, სადაც ვლინდება გამსახურდიას პათოსი და უმთავრესი სათქმელი – ენის, მამულის, სარწმუნოების ერთგულება.

„მთლიან ციხედ იქცა საქართველო" – ბრძანებს კონსტანტინე, მაგრამ თავდაცვისათვის თავგამოდებული ბრძოლის ცეცხლში, მან შეძლო მსოფლიო კულტურისთვის მიეცა: მერჩულე და რუსთაველი, ბექა ოპიზარი, გიორგი მთაწმინდელი, ჩვენი შესანიშნავი ხუროთმოძღვრება, თვალის მომჭრელი ფერწერა. ბრწყინვალე მემეტიანენი და მდიდარი ფოლკლორი. დაუცხრომელი წალეკვის მიუხედავად „ჩვენი კულტურის ნამუსრევმა მაინც აღავსეს ვ. ბატონიშვილის, ნიკო მარის, მარი ბროსეს, ივანე ჯავახიშვილის ტომები."[18,136]

მწერლობა კონსტანტინე გამსახურდიასთვის ცხოვრება და ბედისწერა იყო. ქართველი მწერლის გენიალური შემოქმედება მისი ცხოვრების პირდაპირი ანარეკლი იყო. იგი სიღრმისეულად ეწაფებოდა სიცოცხლის არსს და გამუდმებით სწავლობდა ცხოვრებას. მისთვის მწერლობა, პოეზია, ხელოვნება, მუსიკა ცხოვრების წარმმართველი ძალა იყო. მას შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერი ეროვნებისა და ქვეყნის დიდ შემოქმედზე ისეთივე აღფრთოვანებითა და სიყვარულით დაეწერა, როგორც მშობლიური ქვეყნის შემოქმედზე. ეს იყო მისი, როგორც ადამიანის განუმეორებელი ხელწერა, ეს იყო მისი ცხოვრების სტილი. ყველა სფეროში, სადაც ჭეშმარიტი შედევრი იბადებოდა, დიდოსტატის კალამი არ დააყოვნებდა. მწერლის ფიქრი და გონი მას დასტრიალებს. იგი აღფრთოვანებაში მოჰყავს მწერლობის, ხელოვნების, პოეზიის, მუსიკის შედევრისტებს. მწერლის უბადლო გემოვნება ნათლად მოსჩანს მის ესსეისტიკაშიც, სადაც პირადი დამოკიდებულების გარდა ზოგადსაკაცობრიო იდეალებიდან გამომდინარე ახდენს აზრისა და ემოციის დეკლარირებას.

„სიტყვის ჯადოსნები"
(რუსული ლიტერატურის კლასიკოსები)

1952-1953 წლებში კონსტანტინე გამსახურდიას ყურადღების ცენტრში რუსი კლასიკოსები ექცევიან. „პოეზია სხვა არაფერია – წერდა გამსახურდია, თუ არა საკუთარი სულის პრიზმაში გატარებული და ამ გზით გაშუქებული გარესამყარო. ჭეშმარიტი ხელოვანი სწორედ ამ გზას ირჩევს მარადიული ქმნილების შესაქმნელად. ასე ქმნიდნენ ქანდაკებას, ფერწერულ ტილოებს და მის უდიდებულესობას მწერლობას." თავად კონსტანტინე გამსახურდიას გენიალური რომანები მისივე სულიერების „პრიზმაში" იბადებოდა და უერთდებოდა უკვდავებას.

1921 წელს მთელს ევროპაში აღინიშნა ფ. დოსტოევსკის დაბადების ასი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ქართულ პრესაში დაიწერდა ტ. ტაბიძის, ა. არსენიშვილის, ნ. მიწიშვილის წერილები. აღსანიშნავია, რომ დოსტოევსკის საიუბილეოდ კონსტანტინე გამსახურდიამაც დაწერა წერილი „თეოდორ დოსტოევსკი" მაგრამ მხოლოდ 1928 წელს კრებულ „ახალ ევროპაში გამოქვეყნდა".

მწერალი რუს კლასიკოსს მარად ადამიანურ და დემონურ ელემენტებს შორის მარად მებრძოლ გენიად მიიჩნევს, ხოლო მის გმირებს დემონურისა და ადამიანურს შორის მდგარ ადამიანებად. დოსტოევსკიში იგი ხედავს საუკუნის ტკივილს. „მისი მაღალი შუბლი არწივისებური აზრების საბუდარია. რამდენი რამ ჰქონდა მას სათქმელი და რა ცოტა რამ სთქვა შედარებით. „ქვეყანაც იმიტომ იტანჯება ასე უღმერთოდ, რადგან ნაგრძობი მუდამ საჭიროებს ნათქვამს." (ახალი ევროპა 1928წ)

დოსტოევსკის ტანჯვას ის ადარებს იესოს ტანჯვას. მწერალი მიიჩნევს, რომ, სადაც მოიხსენიება ნიცშეს წმინდა სახელი იქ უნდა მოიხსენიებოდეს „დოსტოევსკი", რადგან ნიცშე მას უწოდებდა ერთადერთ ფსიქოლოგს, რომელმაც ცოტა რამ მასწავლაო.

მწერლის დღიურის გაცნობისას კ. გამსახუდია მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი იდეები არაფრით გამოირჩევიან პურიშკევიჩის და შულგინის იდეებისაგან. ყოველივე გამომდინარეობს იქიდან, რომ მწერალი აკრიტიკებს დოსტოევსკის

„პანსლავიზმს“.მას საერთოდ მიაჩნია, რომ სლავიანობა როგორც კულტურულ-ისტორიული კატეგორია აბსურდია.

დოსტოევსკი გამსახურდიას აინტერესებს არა როგორც „რომანსიერი” (შექსპირსა და დანტესთან შედარებით მას „ბლუყუნა გენიოსს” უწოდებს და მისი რომანები უფრო ჟურნალიზმად ეჩვენება.), არამედ მას აინტერესსებს დოსტოევსკი როგორც კოსმიური პრობლემის წამომჭრელი და რელიგიური გენიოსი, მისანი.

კონსტანტინე გამსახურდია აფასებს იმ ახალ სულსა და სამყაროს, იმ ახალი იდეების მქადაგებელ დოსტოევსკის რომელიც „მსოფლიო მეტამორფოზის მახარობელია”. ესსეში ვკითხულობთ: „ჩვენ გვიყვარს ის როგორც ადამიანებს და როგორც ქართველებს, თუმცა პანქართველიზმი და პანსლავიზმი შეუთვისებელი მცებებია.

დიდ ადამიანებს ხშირად დიდი შეცდომებიც ჰშვენის, შვენის მაგრამ ეს არ ამართლებს მათ, მისი პანსლავიზმი ისეთივე აბსურდი იყო, როგორც მთელი მისი კულტურ-ფილოსოფია. მას გულწრფელად სჯეროდა რომ სლავიანელები ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ, რადგან ისინი ყველაზე წინ მიდიან. ევროპის დიდ ცივილიზაციაზე და კულტურაზე მას ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მან ვაგონის ფანჯრიდან დაათვალიერა გერმანია... და უკვე მზად იყო ზღაპარი „კბილ ჩამღვრძალ ევროპის შესახებ”

მას არ უნდოდა ანგარიში გაეწია იმ დიდ არტისტულ და ეთიურ კულტურისათვის რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყვნენ დანტე და გოეთე, შექსპირი და მიქელანჯელო. [16.388]

რუსული კლასიკური მწერლობის – „სიტყვის ჯადოსნებად” ქართველი მწერალი ლევ ტოლსტოის, გოგოლსა და ალექსანდრე პუშკინს მიიჩნევს, სწორედ მათ ჩაყარეს ის ბალავარი, რასაც თანამედროვე რუსული მწერლობა ეწოდება. სწორედ გოგოლმა წარმოთქვა „ტარას ბულბაში” სამშობლოსათვის თავგანწირვის ქებათა ქება. ლევ ტოლსტოიმ კი ადამიანის იდუმალ სამყაროს გვაზიარა. რუსული კლასიკური მწერლობის მაგალითზე გამსახურდია ზოგადად მწერლის ფუნქციას განსაზღვრავს. დიდი მწერლის „ტვირთიც” დიდი, მძიმე და საპასუხისმგებლოა. არ არსებობს მწერლობა-მწერლობისათვის. არ არსებობს დიდი და პატარა ჟანრი. მწერლის აზრით, პროზა და პოეზია შემოქმედების პროცესში ერთმანეთისგან განუყოფელია. რუსული კლასიკოსების

შემოქმედებაზე საუბრისას პროზისა და პოეზიის წარმომადგენლებს „ადამიანთა გულის მესაიდუმლოებს” უწოდებს.

მწერლის მოსაზრებით, რომანის და ნოველის ჟანრი, მხოლოდ XIX საუკუნეში აღწევს თავის განვითრების ზენიტს. მისივე თქმით, რომანმა შემოიმტკიცა ლირიკის უშუალო შემართება, დრამისაგან დიალოგების ლაპიდარობა, აითვისა ბუნებისმეტყველების მიღწევანი და ამგვარად შეიქმნა ტოლსტოის, ბალზაკის, ჰიუგოს რომანები. გამსახურდია ნიკოლოზ გოგოლს უფაქიზეს ლირიკოსად გამოარჩევს მსოფლიო ლიტერატურაში. „მისი შემოქმედება ეს არის „კოსმიური„ სიმძაფრით გახმიანებული პოეზია მაღალი რანგისა. გოგოლი ტრაგიკულ სიმძაფრეს განგებ ჩქმალავდა და გასაოცარი სკულპტურულობით წამოწევდა –კოსმიურს”.[18,263]

მწერალი მიიჩნევს, რომ გოგოლი დახელოვნებული იყო ბუნებისა და მასში მოქცეული ტიპაჟების განსახიერებაში. მისივე თქმით, „გოგოლი ღრმადაა შესული რუსული ენის ლაბირინთებში. იგი მეხოტბეა თავისი ქვეყნისა”. მისი შემოქმედების ბრწყინვალე გროტესკად აღიარებს ნოველას „ცხვირი,” რომლის „ბადალი თითზე ჩამოსათვლელია მთელ მსოფლიო ლიტერატურაში”. რუსი მწერლის შემოქმედების განხილვისას ავტორისათვის მთავარია ადამიანი-პიროვნება, მისი სულიერების წვდომის უნარი. „გოგოლი ადამიანის გულის მესაიდულმეა და თავისი დროის ვნებათა უდიდესი მემატიანე”.

„ლევ ტოლსტოის შემოქმედება ზღვას მოგვაგონებს, ზღვასავით ვრცელია იგი მასავით ღრმა” ბრძანებს მწერალი. ლევ ტოლსტოის შემოქმედების ძირითად ასპექტებზე საუბარს გამსახურდია თავის ესსეისტიკაში მრავალგზის დაუბრუნდება. რუსი მწერლის გენიალურ ქმნილებებში დახატული პეიზაჟები, განუმეორებელი ჰუმანიზმი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ქართველ მწერალზე: „ზღვა ისეთი სავსებით დაიპყრობს ხოლმე მჭვრეტელის სულს, ასე გეგონება არაფერი გარეშე არ არსებობსო ამ ქვეყნად”. კონსტანტინე გამსახურდია „მოუსვენარ გენიოსს” უწოდებს ტოლსტოის. გენიოსების ცხოვრებისეული ხვედრი ისტორიულად მწარე და დაუნდობელია. კონსტანტინე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „თავისი შრომითა და შთაგონებით აღსავსე ცხოვრება დაასრულა, როგორც უსამშობლო ბოგანომ”.

რუსულ კლასიკურ მწერლობაში ლევ ტოლსტოიმ უბადლო „პეიზაჟისტის” ადგილი დაიმკვიდრა. მან მსოფლიო დონის რომანებით რუსულ პროზას სახელი გაუთქვა. გამსახურდიას აზრით: „ტოლსტოი დეტალების შენიშვნისა და

აღნუსხვის განსაკუთრებულ უნარს იჩენდა. ტოლსტოი ისე სკულპტურულად, ისე რელიეფურად გამოსახავს ყოველ თავის გმირს, რომ ისინი წარუხოცელ ტვიფარს ტოვებენ მკითხველის მეხსიერებაში" .[18,284]. ასეთი დიდოსტატები გამსახურდიას პიროვნებაში დამსახურებულ ინტერესსა და დამოკიდებულებას იმსახურებდნენ

„ომისა და მშვიდობის" ავტორი ხელაღებით ენდობა მეტყველების მომნუსხველ ჯადოს და არც არასოდეს უმტყუნია მისთვის ამ ალღოს" - ბრძანებს გამსახურდია. ავტორი მიუთითებს მკითხველის „მოჯადოების" საოცარ უნარზე და მისით გამოწვეულ აღფრთოვანებას „ხელოვანის ძალის სიჭარბეს" უწოდებს. „მკითხველი გატაცებული მიჰყვება თხრობას, რომელიც ისეთი სტიქიური სისავსით მიმდინარებს, როგორც დაუცხრომელი მიმოქცევა ზღვისა"

„სიტყვის ჯადოსნები" რუსულ კლასიკურ მწერლობაში, გამსახურდიას აზრით, აღიარებული დიდოსტატები არიან. ლევ ტოლსტოის „კავკასიური მოთხრობები" კონსტანტინეს „კავკასიის ბუნებისა და მკვიდრთა ხასიათებში ჩაწვდომის უბადლო ნიმუშებად" მიაჩნია. ლევ ტოლსტოის, როგორც „დიდი ჰუმანისტის" მსოფლმხედველობა და გასაოცარი უნარი ბრწყინვალედ გამოჩნდა „ჰაჯი მურატში." „ჩემს ხსოვნაში, მთელი კულტურული კაცობრიობის ხსოვნაში ლევ ტოსტოი დარჩება, როგორც თავისი ეპოქის გზის გამნათებელი უდიდესი ჰუმანისტი და ხელოვნების ჩაუქრობელი კანდელი".[18,291]

მხატვრის ფუნჯი
(ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე)

კონსტანტინე გამსახურდიას ესსეისტიკაში ხელოვნების თემა ისეთივე პრიორიტეტულია, როგორც მწერლობა. თავად დიდოსტატი მოკრძალებულად ბრძანებდა, რომ კარგი ნახატის ცუდისგან გარჩევაც კი არ შეეძლო. დიდი მხატვრები კი მას „ფერით მესიტყვეს" უწოდებდნენ. მხატვრობაზე შექმნილი ესსეები გამსახურდიას შემოქმედების სამკაულია.

ფერთა სიუხვით, XX საუკუნის „კალმის დიდოსტატი" მხატვრებსაც კი აოცებდა. კონსტანტინესსეული შუქ–ჩრდილები, იდუმალ მხატვრულ სამყაროს ქმნიდა და თვით ქვაში გაცოცხლებულ, ღვთაებრივ ქმნილებას – მარადიულობის საბურველში ხვევდა.

ლადო გუდიაშვილი, XX საუკინის ფუნჯის დიდოსტატი წერდა: „მე ერთხელ ჩემმა ყრმობის მეგობარმა კონსტანტინემ „ფერთა ბულბული„ მიწოდა, სანაცვლოდ უნდა მივუზღო მას - „დიდოსტატი“, ჩემის აზრით, ფერთა ენციკლოპედიაა, ხოლო მისი – ავტორი ჩვენი თანამედროვეობის დიდი მხატვარი... კონსტანტინეს ხელოვნების ჟანრთაგან ყველაზე მეტად ფერწერა უყვარს - ეს არის მწერლის გულწრფელი აღიარება, და რად ღირს სხვადასხვა ფერით განათებული სვეტიცხოველი... მგონი აქაც მაჯობა ფერით მესიტყვემ”[34]

გამსახურდიას რომანების ფერწერა, მისი პეიზაჟებისა და პორტრეტების წარმოსახვითი მხატვრობა, მხოლოდ სულით ხელოვანი ადამიანის გონებას შეეძლო შეექმნა. ორი დიდი ქართველი ხელოვანის – ლადო გუდიაშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შეხვედრის ადგილად 1923 წელს მარადიული ქალაქი - პარიზი იქცა. „ჩუმი და სევდიანი ლადო“ – ასე იგონებს კ. გამსახურდია XX საუკუნის საუკეთესო ქართველ მხატვარს – ლადო გუდიაშვილს, რომლის „ფუნჯი და ფანქარი“ მრავალსაუკუნოვან მოვლენათა ამსახველია, ამიტომაც რთულია მისი შემოქმედების ლაბირინთი და „ფერადების ორკესტრი“.

გამსახურდია ლადო გუდიაშვილის ფერწერის „საიდუმლოს“ „ფერწერული ხატით“ გვიმჟღავნებს: „ფერადების ამ უცნაურსა და ზეაღმტაც ორკესტრში, რომელიც განცხადებულია მის გრანდიოზულ ტილოებზე, გუდიაშვილი მოსჩანს, როგორც ფერთა სიმფონიის, ხასიათების გაშიფვრისა და გამოძერწვის უბადლო ოსტატი“. გუდიაშვილის მხატვრული ტილოების ნახვით მიღებული შთაბეჭდილებები იმდენად მაღალი და განუმეორებელია, რომ ზეაღმატებულის საჩვენებლად იყენებს მისეულ ხატოვან სახეებს: „გუდიაშვილის ფერადები, ნამრუდის, ზღვისგულის, დანისლული მთის ფერები, ან ფერადები ტერაკოტისა და სინგურისა, - ეს ყოველივე ისე ჭარბადაა გამოყენებული მის ტილოებზე, როგორც ტიციანისა და ვერონეზეს წითელი“.[18.531]

ქართული მხატვრული, ფერწერული ტექნიკისა და გრაფიკის მაღალ ხარისხში აყვანა შესაძლებელი გახდა სწორედ გუდიაშვილის ქმნილებებით. მწერლის შეფასებით, ისინი თამამად ამოუდგებიან გვერდით მსოფლიო მხატვრობის უდიდეს მოღვაწეებს... „ზეაღმტაცი ფერადებით გაკეთებულია მისი – „ქართველი მანდილოსნები ლოჟაში“, „ცეკვა ციბრუტი“, „სერაფიტას გასეირნება“, „თამარ“.

„ბეთჰოვენის, შოპენისა და ფალიაშვილის მუსიკის ბგერები ზღვათა ქუხილიდან, ალვების შრიალიდან და იმ ხმებიდან არიან ამოკრეფილნი, რომელნიც შეყვარებულს, მშობელსა და მომაკვდავ ადამიანებს დასცდებათ ხოლმე ბაგიდან“ – წერდა გამსახურდია. მაგალითისთვის მწერალს მოყვანილი აქვს დელაკრუას ცნობილი სენტენცია: „ბუნება ლექსიკონია ჩვენთვის, მასში სიტყვებს ვეძებთ ჩვენ“. კონსტანტინე ბუნებას მარტო ბგერების ლექსიკონად არ მიიჩნევს: „იგი აურაცხელი ფერადების ლექსიკონიც არის და ამ ფერადების სალაროს გასაღებს პოულობენ არა ბუნების მეასლეები, არამედ გუდიაშვილის დარი მხატვრები“.[18,532]

„ფერით მესიტყვე“ დიდოსტატი ნამდვილი ხელოვანისაგან მკვეთრად გამიჯნავდა „ბუნების მეასლეებს“. „ბუნების ლექსიკონიდან“ მწერლის აზრით, მხოლოდ გუდიაშვილისდარ ხელოვანს შეეძლო უკვდავი ნიმუშების შექმნა. ლადო გუდიაშვილის პარიზული პერიოდის ტილოების შეფასებისას გამხასურდია მხატვრის განსხვავებულ „მანერიანობაზე“ საუბრობს. „კინტოებს“ და „ნიამორებს“ პირწმინდა გროტესკებად მიიჩნევს. მხატვრის გენიას კი – „ფერთა სიმფონიის“ დამკვიდრებაში ხედავს.

ზეგავლენისაგან არავინ არის დაზღვეული და შემოქმედის „ფეხზე დადგომამდე“ საჭიროც კია ზეგავლენა: „დამოწაფების გარეშე არავინ გამხდარა ოდესმე ოსტატი“. მწერალს ჭაბუკი გუდიაშვილი „გადაჭარბებულად მანერიანი“ ეჩვენება. თუმცა, ამ ნაკლს „მოცილებულს“ და „განვლილ ეტაპს“ უწოდებს.

მწერლის აზრით, უნივერსალურობა არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც „ერთგვარი კოსმოპოლიტიზმი“. წერილში გამიჯნულია წერისა და ხატვის ნაციონალური მანერა: „იგი არც კოსმოპოლიტური უნდა იყოს და არც ვიწროდ ნაციონალური, ეთნოგრაფიული“. ამ კონტექსტში განიხილება გუდიაშვილის ფერწერული ტილოები: „სერაფიტას გასეირნება“ და „თამარი“, „ვაჟა-ფშაველა ჩონგურით ხელში“, „ბექა და ბეშქენი“, „გურამიშვილის სიკვდილი“, „ოქროს ვერძის გატაცება“ და სხვა. „თამარის“ სახის შექმნას მწერალმა დიდოსტატობის გარდა „დიდი მხატვრული სითამამე“ უწოდა.

გამსახურდიას აზრით, გუდიაშვილმა ტრადიციებს გადაუხვია და შექმნა თამარის „უჩვეულო შთაგონებით გასხივოსნებული სახე“. „სათნოდ ხელაპყრობილ თამარს პალასათანასეული მრისხანება მიანიჭა მის სახეს და ხმლით აღჭურვა იგი, როგორც თავისი ხალხის თავისუფლების გულმამაცი ქომაგი“. მისივე თქმით, ასეთ მეომარ ქალად ადიდებს მას ქართული ხალხური

პოეზია: „თამარ მეფე და ხონთქარი მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა“. [18,533] გამსახურდიას აზრით, დიდი ხელოვანი ტრადიციის მონა არ უნდა იყოს, არამედ მისი გამგრძელებელი და გამაძლიერებელი.

ამ წერილში მწერალი გუდიაშვილს ახასიათებს, როგორც „ქართული ისტორიის, ქართული მითოლოგიისა და ხალხურობის ლაბირინთებში შეჭრილ“ ხელოვანს: „ხალისიანი ფერებით, დიდი გემოვნებითა და ზომიერებით გამოხატავს ადამიანურ ვნებებს, ადამიანის სხეულის სილამაზეს“. მისი ქალები მწერალს მოაგონებენ რაფაელისა და რუბენსის ქალებს. „სავსებით განსაცვიფრებელია მისი კიბეზე ჩამომავალი ანგელოზი, ქაშვეთის ფრესკაზე გამოხატული. ეს ყოველივე ზეადმტაცი ოსანაა, ცხოვრებისა და სილამაზისადმი აღვლენილი“.[18,534]

ამავე წერილში საუბარია ლადო გუდიაშვილის 1957 წლის ექსპოზიციის გახსნაზე. საბჭოთა მთავრობას სურდა გამოფენა არ შემდგარიყო, მაგრამ იგი შედგა. გამოფენაზე გუდიაშვილის 835 ნახატი იყო გამოტანილი. მისმა ტილოებმა „საბჭოთა ესთეტიკურ“ სამყაროსთან ზღვარი გაავლეს.

1956 წლის აგვისტოში კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს ესსეს „დავით კაკაბაძე“. ქართველი მხატვრის ნამუშევრებითა და მისი ერუდიციით აღფრთოვანებული მწერალი წერს: „ახალ ეპოქაში ორმა შესანიშნავმა დიოსკურმა ჩვენი მხატვრობისამ, ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ, კვლავ მოგვაგონეს თავიანთი დიდი წინამორბედების ჯადოსნური ფუნჯის ძალა და დაამშვენეს ჩვენი ქვეყანა თავიანთი განსაცვიფრებელი ტალანტით“.[18,484] გამსახურდიას მხატვრობის თემატიკაზე შექმნილი ესსეები ფორმითა და ხატოვანი ენით მართლაც დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებებს ჰგავს. ამით ნათლად ჩანს, რომ დიდოსტატისათვის არ არსებობს დიდი და პატარა მნიშვნელობის თემა.

ამ ესსეში კონსტანტინე საუბრობს დავით კაკაბაძის მიერ 1924 წელს პარიზში გამოცემულ დეკლარაციულ წერილზე, სადაც მხატვარი ამბობს:

„საზოგადოდ, დღევანდელ ძიებათა მიზანია ახალი ფორმების შექმნა და მათი საბოლოო განმტკიცება ხელოვნებაში“. მწერალი მიიჩნევს, რომ მოდური მიმართულებანი „ჩვენი დროის ყოველ ოსტატს აწვალებდა“. მწერალი ქართული მხატვრობის არაჯეროვან შეფასებაზე მიგვანიშნებს. მისი თქმით, „ჩვენი ძველი მხატვრობის ისტორია სათანადო დონეზე არ არის შესწავლილი და შეფასებული. ქართული მხატვრობა, „უცნობი ხმელეთია“ და საჭიროებს

მეცნიერულ შესწავლას. ქართული მხატვრობა, რაც „ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალს გადაურჩა, ეგეც აღურიცხველია ჯერაც“. [18,486]

გამსახურდია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს უძველეს ტაძრებზე „თქეშისა და მოუვლელობისაგან ამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე განადგურებული ფრესკების“ აღდგენას და შენარჩუნებას. იგი გულისტკივილით წერს, რომ „საკმარისია, ნახოს უცნობმა ჩვენი ტაძრების თვალებდათხრილი მადონები, ფრთებდაფხრეწილი ანგელოზები და გახუნებული საიდუმლო სერობანი, რომ მიხვდეს, თუ როგორი უნიკალური შედევრები დაუღუპავს ჟამთა სიავეს“.[18,488]

ყოველ ეპოქას აქვს თავისი პრიორიტეტები და თავისი შეცდომები. მწერალი შემოქმედის მთავარ დანიშნულებად ისტორიულ ფასეულობათა შენარჩუნებას მიიჩნევს. ლადო გუდიაშვილმა და დავით კაკაბაძემ დიდი ტალანტის მეოხებით შეახსენეს ქართველ ხალხს თავისი შორეული წარსულის ფრესკების დიდოსტატები, ჩვენი უსახელოდ გადასული დიდი მხატვრები უმემკვიდროდ რომ არ გადაგებულან. ესსეში აქცენტები გადატანილია მხატვრების არა მარტო ნიჭიერებასა და შექმნილი ნამუშევრების ფასეულობებზე, არამედ შემოქმედი ადამიანის დანიშნულებაზე, ქვეყნისა და საკუთარი ერის წინაშე. მის მიერ გაკეთებულ შეფასებებში ვერ აღმოვაჩენთ სუბიექტივიზმის ვერცერთ ნიშანს.

გამსახურდია თავის დამსახურებულ ადგილს მიუჩენს ქართული პორტრეტული მხატვრობის ტრადიციების განახლების საქმეში შეტანილი წვლილისთვის ორ ნიჭიერ მანდილოსანს ქეთევან მაღალაშვილს და ელენე ახვლედიანს. მას მიაჩნია, რომ „ეს ოთხი მაღალნიჭიერი მხატვარი თამამად დაამშვენებს ყოველ დროში, რომელიც გნებავთ, დიდი ერის ფერწერულ კულტურას“. ამ მიუკერძოებელი შეფასებებიდან ნათლად იკვეთება დიდი მწერლის წმინდა ადამიანური სისუფთავე, მისი, როგორც მამულიშვილის, პოზიციები, რომელიც ყოველი დროისა და ეპოქის მთავარი მოთხოვნაა.

გამსახურდია საგანგებო ყურადღებას უთმობს ქართულ პორტრეტულ ფერწერას. მისი თქმით, ამ ჟანრს გაცილებით უფრო დიდი ტრადიციები ჰქონდა ვიდრე პეიზაჟურს. აქაც მწერალი ქართული ტრადიციების საფუძვლების მნიშვნელობიდან ამოდის და აქცენტს ქართველი ხალხის „უჩვეულო ფიზიკური სილამაზის“ ფაქტორზე აკეთებს. სამაგალითოდ მოჰყავს არაქართველი მოგზაურის არქანჯელო ლამბერტის ცნობილი შეფასებები.

მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ტაძრების კედლებზე გამოსახული ფრესკების ოსტატებს მათივე თანამედროვე ადამიანები ჰყავდათ პროტოტიპებად. მწერალი სიამაყით აღნიშნავს, რომ ამ მხრივ „ქართველი ხალხი უხვსა და ძვირფას მასალას აწვდიდა მხატვარს – პორტრეტისტს“. სახვითი ხელოვნების საქმეში მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ნივთობრივ ფაქტურას“. „საბერძნეთისა და იტალიის მარმარილოს ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფიდიასის და მიქელანჯელოს ქმნილებების წარმატებაში“. ამ აზრის პარალელურად გამსახურდია უმთავრესად „ადამიანურ ფაქტორს“ მიიჩნევს. ეს უფრო „ახლობელია შემოქმედისათვის, ვიდრე ბუნებისმიერი“. „როცა ლეონარდო მონა ლიზას ხატავდა, მისი სუნთქვა ესმოდა და მისი ბაგის ოდნავ შეტოკებასაც თავათ ჭვრეტდა“.[18.487]

მხატვრისათვის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებად გამსახურდია „ბუნების ენის“ ზედმიწევნით ცოდნას ასახელებს. ბუნების შეცნობა ურთულეს საქმედ წარმოუდგენია, რომელსაც უიშვიათესი უნარი გააჩნდა შეეცნო ბუნების ყველაზე საიდუმლოებით მოცული მოვლენებიც კი. „ბუნება გაცილებით უფრო დიდი ინკოგნიტოა ადამიანისთვის, ვიდრე მისივე თვისტომი, შეუვალი, ძნელად შესაცნობი და ძნელად ჩასაწვდომი“. მწერალი არ არის მომხრე შემოქმედმა მთლიანად ახსნას სათქმელი და ბოლომდე გადმოსცეს ემოცია. მისი აზრით, „დიდი მხატვარი ბოლომდე არ გეუბნება სათქმელს და მის ნიშნებაში მჭვრეტელი სდებს ნებისმიერ რემინსცენციებს და ათასგვარ ემოციებს აღძრავს იგი მჭვრეტელთა გულში“.

საინტერესო და არაორდინალურია დიდოსტატის მიერ შექმნილი შეფასების „ფორმულა“ მხატვრობაზე.

„მხატვრობა, ისევე როგორც პოეზია, განსულებაა უსულოსი, უსაზღვროებისათვის მზღვარის დადება, ქაოსური ფერებისაგან ფერთა სიმფონიის შექმნა, წარმავალის, ეფემერულის გაუკვდავება“. ასევე დიდ ინტერესს იწვევს ბუნების მარადიულად ამოუცნობობის აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ბუნებასთან აქტიურ ურთიერთობაშია - „იღებს წიაღისეულს მიწიდან, მდინარეებს კალაპოტს უკეთებს, ლომებს და ვეფხვებს ბადეებში იჭერს, მას ჰგონია, ბუნება ყმად მყავსო ქცეული“, მაგრამ ეს ასე არ არის. ბუნების საიდუმლო ამოუცნობია და „საბოლოო გათვისტომება მხოლოდ ხელოვანს ძალუძს“.[18,493]

ესსეში ცალსახად გატარებულია აზრი, რომ ყველაფერს რასაც შემოქმედი ქმნის „ხანგრძლივი ჭვრეტა ესაჭიროება“. ჭეშმარიტი ხელოვნება ფასეულობათა ფასეულობებზეა დაფუძნებული. ამ ნიშნით გამოარჩია დიდი ქართველი მხატვრები ავტორმა და მათი შემოქმედების უკვდავების სათავეც ამოხსნა.

გამსახურდია ამბობს: „ოდესმე დაიწერება უახლესი დროის ქართული ფერწერის ისტორია, დავით კაკაბაძე ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ამ საქმეში“. ლადო გუდიშვილისა და დავით კაკაბაძის შემოქმედების თაყვანისმცემელ მწერალს მიაჩნია, რომ დიდ აღიარებას მოუტანს საქართველოს ჩვენი მხატვრობის საერთაშორისო არენაზე გატანა. დიდოსტატმა კონსტანტინემ წინასწარ განჭვრიტა, რომ ქართული მხატვრობა მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელს.

XXI საუკუნის პირველივე ათწლეულში, 2008 წლის 19 დეკემბერს, სახელგანთქმულ „კრისტის” აუქციონზე ლადო გუდიაშვილის 1919 წელს შესრულებული ტილოს ასლი ექსპერტებმა ნახევარ მილიონ ფუნტ სტერლინგად შეაფასეს. ეს იყო სენსაცია. გენიოსი ქართველი მხატვრის უნიკალური შემოქმედების მომავალი ბედი კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ კიდევ ნახევარ საუკუნეზე ადრე განჭვრიტა.

კონსტანტინე გასახურდია, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი საოცრად ფართო ინტერესებისა და დიაპაზონის მკვლევარ იყო. მას მშობლიურ მწერლობასთან ერთად შესწავლილი და გამოკვლეული აქვს, ევროპული, რუსული, ამერიკული და აღმოსავლური ლიტერატურა. მის მიერ ამ სფეროში შექმნილი მეცნიერული მემკვიდრეობა გაოცებასა და აღიარებას იწვევს.

მწერალი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა სხვადასხვა დროის მწერლობისა და მწერლების მიმართ. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის წარმომადგენლებს არაერთი ესსე თუ კრიტიკული წერილი მიუძღვნა, მაგრამ მისი განსაკუთრებული გატაცებისა და შესწავლის საგანი მუდამ იყო მშობლიური მწერლობა. არ დარჩენილა ჩვენი მწერლობის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედების შესახებ კონსტანტინე გამსახურდიას არ ჩამოეყალიბებინოს თავისი შეხედულება. ეს იქნება რუსთაველი თუ საბა ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა, ჰიმნოგრაფები თუ მემატიანეები, ფუნჯის დიდოსტატები ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე. ჩვენი წარსულის დიდ მკვლევარებს

ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძეს, სიმონ ჯანაშიას საგანგებო წერილები მიუძღვნა. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ლიტერატურული ესსეებისა თუ ეტიუდებისა, რომელიც ესოდენ ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობით მემკვიდრეობას.

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მკვლევარის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ იგი ევროპელ, ქართველ მწერლებსა და მწერლობას იხილავს მსოფლიო ცივილიზაციის ასპექტში და კიდევ უფრო გამოკვეთს ამა თუ იმ ძეგლის ნიშანდობლივ თავისებურებას. ასე აქვს მას წარმოჩენილი რუსთაველი, გოეტე, ილია, დანტე, იბსენი, სულხან-საბა და სხვა მწერლები.

მწერალი, შემოქმედებითად ითვისებდა მსოფლიოს ინტელექტუალური გონის მიერ გამომუშავებულ ტრადიციებს და ამასთანავე მაღალპროფესიონალური შეუვალობით აანალიზებდა, როგორც მის თანამედროვე მწერლებს ისე მსოფლიო ლიტერატურის მეტრებსა და მათ ქმნილებებს. მწერალი დიდ ყურარდღებას აქცევდა მწერლის პიროვნულ სრულყოფას და თვითდახვეწას. იგი მოხიბლული და აღტაცებული იყო გოეტეს ფენომენალური პიროვნებითა და ილიას ტიტანური ბუნებით.

კონსტანტინე ოროგინალური, მაღალმხატვრული შტრიხებით ქმნიდა ამა თუ იმ მწერლის პორტრეტს. შეეძლო უმნიშვნელო დეტალებით გადმოეცა პიროვნების სულიერი მხარე. მისი ესსეები ერთგვარი ფსიქოლოგიური პორტრეტებიცაა, სადაც საცნაური ხდება, როგორც მწერლების ისე მათი შემოქმედების იდუმალი და მისტიური სამყარო.

„სამი აპოკალიფსური მხედარი”
კონსტანტინე გამსახურდიას ესსეისტიკაში
(გოეთე, ნაპოლეონი და ნიცშე)

უფლის სასწაული ადამინია!

უდიდესი ნობათი უფლისგან ადამინთათვის მიძღვნილი – პიროვნება. პიროვნება კი „ის მაგისტრალური ღერძია, რომლის გარშემო თავს იყრის და მოძრაობს ყველაფერი, რასაც მისი სხივით მდინარება შეეხება” - წერდა კონსტანტინე გამსახურდია 1921 წელს „სამ აპოკალიფსურ მხედარზე”, რომლებმაც მწერლის შეფასებით შეძლეს „ადამიანურის გადაღმა, ადამიანურის ზევით” გონების თვალის მიწვდენა და თავისი უნივერსალიზმით განცვიფრებაში მოიყვანეს კულტურული კაცობრიობა.

ადამიანი-მარტოა! XX საუკუნის უდიდესი ტრაგედია გათამაშდა ამ ფრაზის ირგვლივ. დაიწყო ნიჰილიზმის ეპოქა და ძიება „ზეკაცისა”, ნიცშეანობა ლამის ახალ რელიგიად გამოცხადდა, აპოკალიფსური ისტერიის საუკუნეში, სულიერმა კრიზისმა მოიცვა პოლიტიკა, მწერლობა, ხელოვნება, ინტელექტუალური გონი. ადამიანმა გაითავისუფლა თავი და „ვინ იტყვის ასეთი გათავისუფლება უფრო მძიმეა თუ მარტოობის ტრაგედია” ? – წერდა გამსახურდია ოციან წლებში. საუკუნის მოაზროვნეები ეპოქის მწვავე ტკივილების დაძლევას ახალი იდეალებით ცდილობდნენ.

XX საუკუნის 20-იანი წლებში მწერლის ყურადღების ცენტრში ექცევა „ტიტანური ბუნების” ადამიანი, სულიერი ჰეროლდი, „ძალოვანი ვექილი”, რომელმაც შექმნა მითი თუ რეალობა-ადამინური გმირობის, აბსოლუტური სულისა. დანტეს, გოეთეს გიგანტური ენერგია განაწილდა ათას პოეტში, მაგრამ არ იშვა არც „ფაუსტი”, არც „ღვთაებრივი კომედია.” XX საუკუნეს სწორედ ამ სულიერი გადანაწილებისა და „გენიოსთა კვართის გაყოფის შედეგად” გაუჩნდა სურვილი დიდი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ხილვისა: პოეზიაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკაში - „აბსოლუტური სული კალმით ხელში”, „აბსოლიტური სული ცხენზე”, „აბსოლუტური სული პროფესორის კათედრაზე.”

1921 წელს, კონსტანტინე გამსახურდია, აქვეყნებს მისტიურ ესსეს „გოეტე, ნაპოლეონი და ნიცშე” და გვიამბობს ისტორიას ინტელექტუალური არისტოკრატების შესახებ. „კალამი და მახვილი. რა აერთებს მათ იმის გარდა, რომ ორივე ერთ საუკუნეში ცხოვრობდნენ. ერთი რომ იყო უდიდესი მახვილი

სულისა მიწაზე ამოწვდილი, მეორე უდიდესი კალამი უფლისა მიუწვდომლისა და შეუცნობის მხატვარი და ქადაგი". [13,2] ის რაც მათ აერთებდათ – იყო გმირობა, პიროვნება, ჰეროსი. რადგან „კალამი ისეთივე უტყუარია გმირობის გამოსახატავად, როგორც მახვილი". მწერლის განმარტებით კაცობრიობის ისტორია, ხომ გმირობის ისტორიაა, რომელიც „გამოუჩენია კაცს, ღმერთთან, ბუნებასთან და თავის თავთთან ბრძოლაში". ასეთი იყო მისტიური მხედარი ნაპოლეონი, რომლის პოლიტიკამ და მახვილმა ყველაფერი მის სახელს, პიროვნებას, დაუმორჩილა, ბოლოს კი საკუთარ თავთან, ღმერთთან, ვატერლოოსთან დამარცხებული ატლანტიკის შორეულ სივრცეში – „სანტა ჰელენაზე" აღესრულა.

ნაპოლეონის პოლიტიკა პარიზიდან, ახალ მსოფლიოს მეტროპოლიტიდან იწყებოდა. პარიზი კარნახობდა ვენას, ბერლინს, პეტერბურგს, ლონდონს. ვაიმარი სულიერ კულტურაში იგივე იყო, რაც პარიზი პოლიტიკაში. ვაიმარმა შვა პოეზიის მისტიური მხედარი – გოეტე. იგი გახდა უდიდესი სახიერება თანამედროვე სამყაროისა და სულობისა. გოეტეს მუდამ თან ახლდა ის, რასაც თვითონვე დემონურს უწოდებდა.

„ვინ იცის ვინ ანიჭებს გენიოსს იმ საშინელ ძალას გამოთქმისას- რომელიც ესაჭიროება მას იმ სტრიქონების გზის მისაცემად, რომელიც ანადგურებენ მის გულს?[13,3] პასუხი ცალსახაა, „არაფრის მთქმელი, მაგრამ მაინც მრავლის მეტყველი" ბედისწერა. ნაპოლეონისა და გოეთეს პიროვნება ბედისწერის იდუმალ ლაბირინთებში იყო მოქცეულიო - განმარტავს მწერალი. ნაპოლეონი ამბობდა „პოლიტიკა ბედისწერა არისო." ამ ბედისწერის ატმოსფეროში უხდებოდა ცხოვრება - გოეთესაც, ბედისწერასთან ბრძოლაში კი ორივე გამარჯვებული გამოვიდა. გენიოსთა შემოქმედებითი ძალა უფრო „გრძნეული აღმოჩნდა" ვიდრე ბედისწერის მკლავები. „ნაპოლეონმა ისე გადაიქროლა ამ ბედის საზღვარზე როგორც რუსეთიდან მომავალმა გაყინულ ბერეზინაზე გადააჭენა ცხენი. ამიტომაც ლაპარაკობდა გოეთე თავის დემონურ ელემენტებზე. ეს გოეთესებური „დემონური" თვით გენიოსის გულში დაწყებული დინამიკა იყო, მისი შემოქმედება, გამოთქმის ძალა."[13,3]

გოეთემ საკუთარი სული, შეგრძნებები და ცხოვრება, ყველაფერი შემოქმედებითი ძალის ქურაში გადაადნო. იგი იყო გენია, რომელიც თავად ამბობდა „ყველაფერი მასალის მონელებაშიაო" - სწორედ ამ ასპექტში ხედავს კ. გამსახურდია გენიოსი მწერლის სიდიადეს. რამდენმა მწერალმა

სცადა გოეთემდე ფაუსტის თქმულების მიჩემება, მაგრამ როგორც კი პოეზიის მისტიური მხედარი მას შეეხო - ყველანი დავიწყებას მიეცნენ.

გოეთე, მწერლის შეფასებით, უფრო მისანი იყო, ვიდრე პროფესიული მეცნიერი. მისი შემოქმედება არ იყო ლოგიკის საშუალებით გამონახული ჭეშმარიტება. იგი იყო მისტიკა.

გამსახურდია, გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედებას ზედმიწევნით გაეცნო ჯერ კიდევ განსწავლის პერიოდში, გოეთესადმი მიძღვნილ სემინარიებში. ხოლო პოეტის ბიოგრაფიული ქარგისათვის სარგებლობდა თვით გოეთეს ავტობიოგრაფიული თხზულებით – „პოეზია და სინამდვილე" და მისი პირადი მდივნის ეკერმანის ჩანაწერებით: „საუბრები გოეთესთან".

მწერლის მონოგრაფიული ნაშრომი „გოეტე" - პირველად ცალკე გამოცემის სახით გამოვიდა 1928 წელს, ხოლო შემდეგ ავტორმა იგი შეიტანა თავის რჩეულ თხზულებათა მეექვსე ტომში. მონოგრაფიის ავტორი, მოგვითხრობს გოეთეს ცხოვრების შესახებ და მხატვრულ ანალიზს უკეთებს მწერლის ძირითად ნაწარმოებებს. გამსახურდია იძლევა დახასიათებას იმ ეპოქისა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებისა, რომლის დროსაც მოღვაწეობდა დიდი პოეტი.

მონოგრაფია, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი პირველი და უნიკალური ნაშრომია გოეთეს შესახებ ქართულ ლიტერატურაში. კონსტანტინე გამსახურდია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ცხოვრებისა და შემოქმედების საუკეთესო მცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს. „გოეტეზე წერა ყოველთვის შეიძლება - აღნიშნავს მწერალი, რადგანაც საკმაოდ არავის ულაპარაკია მასზე, ყველა თაობა ყოველი კულტურული წრე ახალ და ახალ საუნჯეებს აღმოაჩენს ხოლმე მის შემოქმედებაში. ყოველი ახალი თაობა ახალ ჭეშმარიტებას სწავლობს მისგან." [18,338]

გენიოსი, რომელსაც დრო არ ეხება! ასეთად წარმოაჩენს მწერალი გოეთეს და მისი ცხოვრებისეული დეტალების ანალიზით, მთლიანად განიცდის მას, როგორც შემოქმედს, როგორც პიროვნებას. „ვისაც გოეტე-ფენომენის შეცნობა უნდა მან გოეტე უნდა განიცადოს, როგორც ჰარმონიული ორიგინალური მთლიანობა."(იქვე]

პოეზიის უდიდესი ქურუმი ასეთივე დიდი ენციკლოპედისტი იყო, რომელსაც არამც თუ ხელი მიუწვდებოდა თავისი დროის მეცნიერებათა

უდიდეს საუნჯეებამდის, არამედ თვითონაც შეჰქონდა მათ განვითარებაში წვლილი.

„ქრისტეს ან სვედენბორგის ბავშვობას მაგონებს მე გოეტეს ყრმობა, რადგან იგი ძლიერ ადრე შეერკინა მძიმე და დიდ საკითხებს. ბუნებისა და ადამიანობის ცხოვრებაში წამოჭრილს" – წერს გამსახურდია.[18,297] განცდილის გადმოცემის ფანტაზია გოეთეს თვითმყოფადი ნიჭიერებით აიხსნება. ამიტომაც, გამსახურდია გოეთეს შემოქმედების ანალიზზე დაყრდნობით განმარტავს: „ქვეყანა იმისთვის იტანჯება, რომ ნაგრძნობი სჭარბობს ხოლმე ნათქვამს. გენიოსი იმითაა ბედნიერი, რომ მას სწორედ ეს გამოთქმა ემარჯვება. ასეთი იყო გოეტე".[18,340]

გოეთე ერთადერთი ევროპელი გენიოსი იყო, რომელიც არ განეკუთვნებოდა არისტოკრატიულ წოდებას. მისი უნივერსალიზმი მრავალგზის გახდება კონსტანტინე გამსახურდიას კალმის შთაგონების წყარო. მწერლის დაკვირვებით, გოეთეს ცხოვრების დევიზად ჰქონდა კლასიკური „ოქროს შუალედი". ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა იგი, როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში. გოეტე მატარებელი იყო ადამიანური სიქველისა. ბერძნული კლასიციზმი, როკოკო, და რომანტიზმი ვოლტერი და კანტი, ჰერდერი და სპინოზა, მისტიკა და კათოლიციზმი – ყველაფერი გოეტეშია „მაგრამ, გოეტე არც ერთი ცალცალკე არ არის, არამედ ყველას შემცველია." მწერლის ამ შეფასებიდან ნათლად ჩანს, რომ გამსახურდია, ზედმიწევნით კარგად იცნობს ამ შემომქმედს და მისი უნივერსალიზმის შეცნობას საკუთარი დაკვირვების წყალობით აღწევს.

ავტორის დასკვნით, გოეთეს – მსოფლიო კაცის შესაცნობად აუცილებელია გავიაზროთ, მთელი მისი შემოქმედება და ცხოვრება. მისი ეროვნულობის საწყისი და გენიალურობა: „გოეტე, როგორც მსოფლიო კაცი გაუგებერი დარჩება მუდამ, თუ ჩვენ არ გავიხსენებთ, რომ გოეტეს შემოქმედების ელემენტები დაფუძნებულია არა მარტო გერმანულ-რომანულ იდეურ სამყაროზე, არამედ მისი იდეები, მისი პოეზიის შემოქმედების მოტივები აღმოცენებულია თითქმის მთელი ადამიანობის სახალხო პოეზიის ზეპირსიტყვიერების ყამირზე." [18,332]

მწერალს, გოეთე წარმოჩენილი ჰყავს, „მსოფლიო ამოცანის" შემსრულებელ შემომქმედად. ამაში გადაჭარბებული არაფერია, ვინაიდან გოეთეს „ნახევარ ღმერთსაც" უწოდებდნენ. „გოეტე ერთადერთი გერმანელია

შეიძლება ითქვას ერთადერთი წარმომადგენელი ევროპელი ადამიანობისა, რომელმაც ჰარმონიულ სრულყოფას მიაღწია, ამიტომაც განუყოფელია მისი ქმნილება და მის პიროვნება. გოეტეს ბიოგრაფიას რომ არ მოეღწია ჩვენამდის, მისი ქმნილება მაინც ნათელი იქნებოდა ჩვენთვის." [18,337] აქედან ჩანს, რომ გოეთეს შემოქმედება მისი პიროვნებისა და სულიერების ანარეკლი იყო. მის მეხსიერებაში ნანახი და განცდილი სამუდამოდ რჩებოდა. გოეთე თავადვე ამბობდა: „ეს უნარი რომ არ მოეცა ჩემვის ღმერთს, ჩემი გმირების სახისა და აღნაგობის ინდივიდუალიზებას ვერ მოვახერხებდი. ამ ბეჯითი, ზუსტი დამახსოვრების და შთაბეჭდილების ნიჭის წყალობით მე დიდხანს ვარწმუნებდი ჩემ თავს, რომ ჩემი ტალანტი მხატვრობაში ჩვეულებრივზე მეტი იქნებოდა."[18,336]

გოეთე თვალსაჩინო მაგალითია იყო იმისა, თუ როგორ ებრძვის გენიოსი, პიროვნება თავის საუკუნეს და თავის თანამედროვეობას. არ დარჩენილა არცერთი სფერო „ხელოვნური გამოთქმისა", რომლისთვისაც გოეტეს არ მიემართოს. ტრაგედია, დრამა, რომანი, პოემა - ყველგან გვაქვს ვაიმარელი ბრძენის" ნააზრევი.

„ვაიმარელ ოლიმპიელს" მისი თანამედროვენი „მარმარილოს გოეტეს" უწოდებდნენ. გამსახურდიას თქმით, „შრომაში უჯიათი, მიზნად დასახულის აღსრულებაში შეუდრეკელი" და სასტიკი მამის ბუნებას შეერწყა, სენტიმენტალური და მეოცნებე დედის სინატიფე და ამ ორმა კონტრასტმა წარმოშვა გოეტეს ბუნება! „სინათლე მეტი სინათელე"-ეს იყო მომაკვდავი გენიოსის უკანასკნელი ფრაზა. ეს იყო უკანასკნელი სურვილი იმ კაცისა რომელიც თვით სინათლის ღმერთის მოციქული იყო ამ ქვეყნად. „ახლა, ჩვენს დროში, მესამე ათასწლეულში ვიმეორებთ მის უკვდავ სიტყვებს" სინათლე, მეტი სინათლე!"

გოეთე იყო მისტიკოსი – ადამიანის შეცნობის „საიდუმლო" ხელეწიფებოდა გოეთეს და მისი შემოქმედება ამის ნათელი „დეკლარაციაა." მწერლის მოსაზრებით იგი იყო რჩეული, რჩეულთა შორის. აქ გამსახურდიას მოჰყავს ციტატები გოეთესა და ეკერმანის საუბრიდან. გოეტე აცხადებს: „იცით მე რა მგონია? რჩეულს მოცემული აქვს განსაკუთრებული დანიშნულება, როცა იგი ამას შეასრულებს, იგი უკვე აღარაა ამ აღნაგობაში საჭირო და განგებაც სხვა რაიმესთვის მოიხმარს მას. ამ ჩვენ მიწაზე ხომ ყველაფერი ბუნებრივად ხდება. ასე დაემართა ნაპოლეონს და მრავალ სხვას. მოცარტი 36 წლის

დაიღუპა, რაფაელი იმავე ჰასაკში. ყველამ საუკეთესოდ შეასრულა თავისი მოწოდება."[18,353] გოეთეს მოწოდება „მსოფლიო კაცობა" იყო და ეს შედგა. მან 60 წელი იმუშავა „ფაუსტზე" და შექმნა გენიალური ქმნილება, რომელშიც მთელი კაცობრიობის განცდათა რკალია მოცემული.

გამსახურდია, როგორც გოეთეს მცოდნე და მისი შემოქმედების უდიდესი შემფასებელი, შედევრებიდან ასახელებს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანს", „ფაუსტს" და განმარტავს: „გოეტე იყო ყოვლის შეცნობას მუდამ მოწყურებული გულმეცნიერი, მსოფლიოს უდიდეს იდუმალებათა ჩამწვდენი სული. ვერტერის ტრაგედია იგივე სენია ფაუსტს რომ აჭმუნვებდა, ჰამლეტს, რომ ახელებდა, ჩაილდ ჰაროლდს რომ დაახეტებდა მთვარეულივით მთელს ქვეყანაზე. გოეტეს გმირები შეგრძნებების პასიური ტანჯვის ტიტანებია."[იქვე]

წარუშლელი შთაგონებით წერდა გამსახურდია გერმანელ ტიტანზე და მიაჩნდა, რომ გოეთეს ნაწერებში მუდამ გაორებული სულის ტრაგედია სახიერდებოდა. „ის იყო ადამიანური მოდგმის უდიდესი ოქროპირთაგანი." ასე იხსენიებს კონსტანტინე გამსახურდია „კარგ ევროპელს" იოჰან ვოლფგან გოეთეს: „წმინდაო გონებავ, მომეცი ძალა რათა დავსტკბე სიწმინდის წყაროთი" წამოიძახა გოეტემ სავსების მწვერვალზე ასულმა. ამ სიტყვებს იტყოდა მხოლოდ ის კაცი, ბედისწერას რომ ენდობოდა ბოლომდის, კაცი, „ბედისწერისაგან განებივრებული." [18,361]

ვისაც გოეტე-ფენომენის შეცნობა უნდა „მან გოეტე უნდა განიცადოს, როგორც ჰარმონიული ორიგინალური მთლიანობა" – წერდა გამსახურდია. ამოუცნობი სულიერი მხარე, ვაიმარელი ბრძენის მისტიური ცხოვრებისა, იყო ის, რომ პოეზია გოეთესათვის იყო დემონოლოგია! ვოლფგანგ გოეტეს ზვიადი ბუნება და ზღვასავით ვრცელი შემოქმედება მუდამ აღელვებდა გამსახურდიას. გოეთეს ბიოგრაფია იყოფა „ქარიშხლისა და შეტევის", ოლიმპიური სიმშვიდის პერიოდებად. მისი წყნარი ცხოვრება ლიტერატურაში ვნებათა უდიდესი დრამატიზმით გამოიხატა.

კ. გამსახურიას „ქარიშხლისა და შეტევის" ჟამი 1916-1926 წლებში ჰქონდა(ს.სიგუა). სწორედ ამ დროს დაიწერა პირველი სტატია გოეთეზე, სადაც მისი მისტიური წაკითხვა სცადა. შემდეგ მას მიუძღვნა მონოგრაფია, საუბილეო სტატიები და რაც მთავარია ვაიმარელი ბრძენის ცხოვრების რომანი შექმნა.

„გოეტეს ცხოვრების რომანი პირველი ბოგრაფიული რომანია ჩვენს მწერლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს თხზულება მწერალს არ გამოუვიდა,

რამდენადაც ზედმეტად ბიოგრაფიულია და ნაკლებად მხატვრული, მაგრამ იგი გერმანული კულტურისადმი თქმული ღრმა სამადლობელი იყო“ (ს. სიგუა)

გოეტემ კ. გამსახურდიას პიროვნებაზე იქონია ზეგავლენა. ისიც ვაიმარელი ბრძენის დარად ცდილობდა ყოველდღიური ხმაურისაგან ყურის მორიდებას, ოდნავ განზე დგომას, ძლიერი პიროვნული ნებისა და თანამედროვეობის განცდის შენარჩუნებას.

ჟურნალ „ილონში” 1922 წელს №1 ქვეყნდება კ. გამსახურდიას წერილი „გოეტე თუ მისტიკოსი”. კ. გამსახურდიასთვის გოეტე ერთადერთი გერმანელი იყო, რომელმაც აბსოლუტურ ჰარმონიულ სრულყოფას მიაღწია. ამიტომაც განუყოფელად მიაჩნია მისი ქმნილება და მისი პიროვნება ერთიმეორისაგან. გოეთემ თავად თქვა თავის ნაწერებზე, ჩემი ქმნილებები ცოდვათა მონანიებააო. „ამაზე უფრო ძლიერი თვითკრიტიკა, ამაზე მეტი ობიექტივიზმი თავისი პიროვნებისა, თავისი ადამინური მეობის მიმართ, ჯერედ მწერალს და პოეტს არ გამუჩენიაო.”[18,338] ყოველი დიდი გენიოსი ასე გრძნობს, რომ მისი სხეულება და არსებობა ამ ქვეყანაზე წარმავალია. უკვდავია მხოლოდ მისი ქნილებები.

კონსტანტინეს შფასებით გოეთე, მისტიური ბუნებისმეტყველი იყო, ჭეშმარიტი მწერალი ცასთან და ღვთაებასთან ახლოსმდგომი, რომელიც უფრო შორს იყურებოდა, „ვიდრე ხილული სამყაროს ფარგალი სწვდება”.

გოეთე იყო მისტიკოსი და მთელი მისი მწერლობა განუწყვეტელი მითითებაა ამ დიდი მისტერიისა, რომელიც სამყაროშია დაცული. გოეთემ, მწერლის მოსაზრებით ბუნების ვრცელი მასალიდან მაღალი და ბრწყინვალე კულტურა შექმნა. სწორედ აქ ხედავს ბ-ნ კონსტანტინე გოეტეს გენიას!

„გოეტეს შემოქმედებაში, არსად არ ხდება შესვენება გარდატეხა, ასე ჰარმონიულად მდინარებს ყოველი დიდი ხელოვანის ყოველი დიდი პიროვნების განვითარების ეტლი „ჯიშიდან ზეჯიშისაკენ. არც მიქელანჯელო, არც დანტე უკვე აღარ ეტევიან იმ საერთო კატეგორიაში, რომელსაც მოდგმა-ჯიში ეწოდება. აქედან პირდაპირი გზა მიდის ჯიშის ზევით ჯიშის გაღმა, ნიცშეს ენით რომ ვთქვათ-ზეჯიშისაკენ.”[12,32] -ამიტომაც მწერალს გოეთეს შემოქმედება, მისი ყოფა, ზეჯიშისაკენ ლტოლვად ესახება. სწორედ აქ ხედავს გამსახურდია მის მარადიულ ადგილს!

რენესანსმა და თანამედროევეობამ პიროვნება დასვა სამყაროს ცენტრში! გოეტემაც მსოფლიო ცენტრში შემოქმედის მეობა მოათავსა! ბერძნებმა მსოფლიოს დიდი ჭეშმარიტებანი ღმერთებში მოათავსეს, ჩვენ მათ მცნებებში

მოვუყარეთ თავიო - გვასწავლიდა გოეთე და ცდილობდა ჰარმონიულობა დაენახა ადამიანსა და კოსმოსს შორის. გოეტე პოეტის, მისტიკის შესაცნობად საჭიროა თვალი შევასწროთ გოეთე ბუნებისმეტყველს. მაგრამ ბუნებისმეტყველი გოეთე ისევ და ისევ მისტიკოსი გოეთე რჩება - აღნიშნავს მწერალი.

გოეთე ქრისტიანული მისტიკით იწყებს და მისტიკითვე ამთავრებს. კონსტანტინე გამსახურდია ქრისტიანულ მისტიკას მიიჩნევს ძირითად ტონად არამარტო გოეთეს, არამედ ყველა დიდი ევროპელის შემოქმედებაში. „ამ ნიადაგზე წარმოიშვა დანტე და გოეტე. როგორც „პოეტურ აზრებში" ისე ფაუსტში მხსნელი მაცხოვრის სახით წამოდგენილია მარად ქალური პერსონიფიკაცია მადონა. ეს მარად ქალური ელემენტი განსახიერებაა სიყვარულისა სიბრძნისა და სათნოების, რომელმაც წარწყმედას გადაარჩენა ფაუსტის ბობოქარი სული"[12,34]

გამსახურდია მხოლოდ ფაუსტში ხედავს „ვაიმარელი ბრძენის" დემონურ ელმენტებს და მის მისტიურ ბუნებას. ფაუსტის სახით ევროპულ ლიტერატურაში პირველად წამოიჭრა ნიცშეანური ზეკაცი, რომელიც „ადამიანური ძალების ზევით, ადამიანური შესაძლებლობების გაღმა მიისწრაფვის" (სიტყვა ზეკაცი ნიცშემ გოეთესგან აიღო – განმარტავს გამსახურდია). „ფაუსტში საგრძნობი ხდება გოეტე, როგორც მისტიკოსი. აქ სრულყოფას აღწევს მისი მისტიური ბუნება."

დიდოსტატი განიხილავს გოეთეს შემოქმედების მწვერვალს – „ფაუსტს", სადაც წარმოდგენილია ბრძოლა სივრცით და დროით შეზღუდული ადამიანსა და ბუნების განუსაზღვრელობას შორის. ფაუსტი თვითონ აღიარებს, რომ „ორი სული ცხოვრობს მის გულში. ერთი ადამიანური, ფიზიოლოგიური ინსტიქტებითაა შებორკილი, „მეორე მაღალ წინაპართა მაღალ რეგიონებისაკენ მიისწრაფვის". მწერალი გოეთესა და ნიცშეს დემონურ ბუნებას შორის ავლებს პარალელებს. გოეტე ნიცშესავით ატყობდა, რომ მსოფლიო ბუნება განუსაზღვრელი ღრმა იყო. „ამიტომაც სატანას მიჰყიდის სულს, რომ ღვთაებრიობის ატრიბუტები და უპირატესობანი მოიპოვოს".

მწერლის მოსაზრებით მეფისტოფელე - ეს მეორე მხარეა გოეთეს დემონური ელემენტისა .მაგრამ იგი უფრო აქტიურია ვიდრე გოეთე და მისი ფაუსტი აბსოლუტური კოსმური ჰარმონიის წარმომადგენელია, რომელმაც ქვეყანაზე და ცხოვრებაზე, „ჰო" – უნდა თქვას. „მეფისტო კი აბსოლუტურს დისჰარმონიას წარმოადგენს, მან ცხოვრებაზე და ღვთაებაზე უარი უნდა თქვას."

გოეთეს მთელი სიბრძნე, მისტიციზმი, გამოვლინდა დოქტორ ფაუსტის სახეში. მწერალს მიაჩნია, რომ ფაუსტიც და მეფისტოფელიც პოეტის სულში ჩასახლებული ორსახოვანი დემონია.

„ფაუსტიც ამ დემონთან ბრძოლაში გამარჯვებული ზეკაცია, მას ეზიზღება მასიური სულობა, ამიტომაც იძულებულია ადამიანებს გაექცეს და დემონებთან უკეთეს განწყობაშია".[12] ფაუსტი სულია კულტურისა და ღვთაებრიობის, სათნოებისა და რელიგიისა. გოეტეს არ სწამდა შაბლონური ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ამ ბრძოლაში იგი პოლარულ რეალობათა ჭიდილს ხედავდა. დემონის დამარცხება მხოლოდ დემონს შეუძლია.

კონსტანტინე გამსახუდია ცდილობდა, ამ „მისტიური მხედრის" სულში ეპოვა ახალი დროების სიტყვა და მისანი. გამსახურდია საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვაიმარელი ბრძენის იდუმალი ძალის საწყისი – იყო მისტიკა. გოეთეს ვაგნერს ადარებდა, რომლის ჰანგებშიც სამყაროს იდუმალი ძალები პოულობდნენ სოცოცხლეს. დიდი ვაიმარელი ყოველივე ამას სიტყვის მაგიური ძალით აღწევდა.

კ. გამსახურდიას გოეთე წარმოედგინა „აბსოლიტურ სრულყოფად", რომელიც საკუთარ თავში მოიცავდა დედამიწის ყველა საიდუმლოს და შეეძლო გონების თვალის მიწვდენა „ადამიანურის გადაღმა, ადამიანურის ზევით." იგი იყო „სინათლის ღმერთის მოციქული" ამ ქვეყანაზე.

* * *

„ზეკაცი მიწის აზრია!

ადამინი თოკია ცხოველსა და ზეკაცს შორის – თოკი უფსკრულს ზედა.

ბნელნი არიან გზანი ზარატუსტრასი, სახიფათოა გაღმით ვლა, სახიფათოა გზად ყოფნა, სახიფათოა უკუმზერა, სახიფათოა კრთომა და შეჩერება” (53,16-17)

ფრიდრიხ ნიცშე ელვის მაუწყებელი იყო და ღრუბლის მძიმე წვეთი, ხოლო სახელი ამ ელვისა – ზეკაცი.

„მსურს ვასწავლო ადამიანთ აზრი თვით ყოფისა, რომელ ზეკაცია, ა დ ა მ ი ა ნ ი - ელვა ბნელი ღრუბლისა” - ფრიდრიხ ნიცშეს ამ სიტყვებმა შეძრა მთელი მსოფლიოს ინტელექტუალური გონი, გადატრიალება მოახდიინა აზროვნებაში. იქადაგა რელიგია ტრაღედიისა, ნიღბებისა თავისუფალი სულის ადამიანისა.

XIX საუკუნის დასასრულს, 1900 წელს დაიწყო ნიცშეს მისტიური გზა. გერმანელი ფილოსოფოსის – „ახალმა რელიგიამ” - დიდი გავლენა იქონია XX საუკუნის მოაზროვნეებზე. ნიცშეანური მოძღვრება გახდა ხელოვანთა შემოქმედების სტიმული. ნიცშეს იდეები ლიტერატურისათვის ძლიერ იმპულსს იძლეოდა. ყველაფერი კი სოფელ რიოკენში 1844 წელს, პროტესტანტი პასტორის ოჯახში დაიწყო. დაიბადა მსოფლიოს იდუმალი, ფილოსოფოსი „პატარა პასტორი” - ფრიდრიხ ნიცშე.

დღეს როცა ნიცშეს დაბადებიდან ერთ საუკუნეზე მეტია გასული, ისმის კითხვა, შეძლო კი XXI საუკუნის ინტელექტუალურმა სამყარომ – ნიცშეს ფენომენის ამოცნობა?! ნიცშემ იდუმალი, მაგიური საბურველით შემოსა მისი სახელი და ომი გამოუცხადა მორალურ ღირებულებებს.

ვინ იყო ფრიდრიხ ნიცშე? რა დამსახურება მიუძღვის მას კულტურული კაცობრიობის წინაშე? ამაზე პასუხი არ არის მარტივი. ფართო მასები მას იცნობენ, როგორც ფილოსოფოსს, რომელმაც მკრეხელური ფრაზა წარმოთქვა – „ღმერთი მოკვდა” და კაცობრიობას „მკვდარი ღმერთის“ ნაცვლად შესთავაზა „ზეკაცი”.

ფრიდრიხ ნიცშე იყო ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობებით აღსავსე ფილოსოფოსი მსოფლიო ისტორიაში. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი შემოქმედება იმდენად თვითმყოფადი, თავისებურია, რომ აგერ უკვე ერთი საუკუნეა, მეცნიერები ცდილობენ გაერკვიონ, თუ როგორი ფილოსოფიურ-

იდეოლოგიური პარადიგმებით არის შესაძლებელი ნიცშეს ფილოსოფიის განხილვა. ნიცშე დღემდე რჩება იდუმალ და ტრაგიკული ბედის ადამიანად. იგი მარტოსული მოაზროვნე იყო, „უკანასკნელი ფილოსოფოსი". XX საუკუნე ნიცშეში ხედავდა იმას რაც მას სურდა. ნიცშე იყო - სიმბოლისტი, ნაცისტი, ქრისტიანი, ანარქისტი, ათეისტი და ბოლშევიკიც კი.

ნიცშეს ფილოსოფიამ შვა ეგზისტენციალიზმი, ბიძგი მისცა ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის, ფილოლოგიის განვითარებას. მან ადამიანი აქცია სამყაროს ღმერთად. მიისწრაფვოდა „ზე ჯიშისაკენ." ნიცშეს " ცცეჰომო" -ძლიერების კულტის, ახალი ყოვლისშემძლე ადამინის აპოლოგია იყო. რიჰარდ ვაგნერის მუსიკაში, ნიცშე, დიონისური მსოფლშეგრძნების დაბრუნების ნიშნებს ხედავდა. ხედავდა შეუსაბამობას ადამინის ჭეშმარიტი დანიშნულებისა და თანადროულ კულტურას შორის. ნიცშეს ყველა მნიშვნელოვანი თხზულება თავისებური მოწოდებაა მკითხველისადმი: „ოციოდე შენი ცხოვრების წესი შენსავე არსებას ეწინააღმდეგება". იგი ქადაგებდა სულის „სამ ცვალებადობას" შეუძლებელს მოითხოვადა. ასე იწყებოდა ზარატუსტრას დასავალი.

„ზარატუსტრაში" განსხეულდა ნიცშეს აზროვნებისა და განცდების მთელი სიმდიდრე, წინააღმდეგობებით აღსავსე სევდიანი და ტრაგიკული გზა. ნიცშე აპოკალიფსის მხედარი იყო, რომელიც ქადაგებდა: „ჭეშმარიტად, ადამიანი ბინძური მდინარეა, ჭეშმარიტად, ზღვა უნდა იყო, ბინძური მდინარე შეირთო და არ წაიბილწო. ხედავთ *გასწავლით* ზეკაცს, იგი ზღვაა და ძალუძს შთანთქას თქვენი დიდი ზიზღი" (53,17)

საინტერესოა თუ როგორ, სად, როდის დაიწყო იდუმალი მოაზროვნის აპოკალიფსური გზა?!

XIX საუკუნეში ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმის აღსრულების შემდეგ ანტირელიგიური ტენდენცია სულ უფრო ძლიერი ხდებოდა. (*ნიცშეს განსწავლის წლებს ემთხვევა ეს პეროდი.)* ნიცშე ლაიფციგში ეცნობა შოპენჰაუერის თხზულებას „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა". შოპენჰაუერის ფილოსოფიამ დიდი ზეგავლენა იქონია ახალგაზრდა ნიცშეზე. 1872 წელს გამოდის შრომა - „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან". ნიცშემ ბერძნული ტრაგედიის წარმოშობა მეტაფიზკური კუთხით წამოაჩინა. წიგნი შეიქმნა ანტიკური სამყაროს, შოპენჰაუერისა და ვაგნერის შემოქმედებისა და პიროვნებისადმი სიყვარულით.

„ტრაგედიის დაბადებში” - ერთმანეთს ებრძვის ხელოვნების ორის სახე: აპოლონური და დიონისური, სინათლის და სიბნელის, წესრიგისა და ქაოსის სამყარო. თრაგედია, ნიცშეს გაგებით, ხელოვნების ის ფორმაა, სადაც მუსიკის სულით მთვრალი დიონისური ხელოვნება, უერთდება აპოლონურ ხელოვნებას. „ტრაგედიის დაბადება” სამყაროს ორი საწყისის აპოლონურისა და დიონისურის გამოვლენაა. აქედან დასკვნა, ადამიანი, კულტურა მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როცა მასში შერწყმულია სამყაროს ორი საწყისი. ნიცშე ტრაგედიას, ამ სრულყოფის ნიმუშად მიიჩნევს. სამყაროს ტრაგიკული განცდა – ტრაგედია, ადამინმა მოკლა განსჯისა და ლოგიკის გზით. „შმაგი დიონისე შეიწირა, „თეორეტიკოსმა სოკრატემ”. თანამედროვე ადამიანმა ცხოვრება განაგრძო დიონისურისაგან დაცლილ კულტურულ სამყაროში, სწორედ აქედან წამოიქმნა ნიცშეანური შეუსაბამობა ადამინის ჭეშმარიტ დანიშნულებასა და თანადროულ კულტურას შორის.

თამაზ ბუაჩიძის მოსაზრებით ეპოქის კრიტიკას ნიცშე აღრმავებდა ოთხ თხზულებაში: „დავით შტარუსი, როგორც აღმსარებელი და მწერალი”, „ისტორიის სიკეთე და სიავე სიცოცხლისათვის” „შოპენჰაუერი როგორც აღმზრდელი” და „რიხარდ ვაგნერი ბაიროითში” - ამ ნაწარმოებებს აერთიანებთ ერთი სათაური „არათანადროული ფიქრები”. (1872-1876) ნიცშე შენატრის ძლიერ ადამიანს და კაცობრიობის მიზნად ახალი, უმაღლესი ეგზემპლარის შექმნას მიიჩნევს. „ზარატუსტრაში“ ეს იდეა ზეკაცის შესახებ მოძღვრებად იქცევა.

1878 წელს აქვეყნებს წიგნს „ადამიანური, ერთობ ადამიანური” და ნიცშე შორდება შოპენჰაუერს, ვაგნერს, მეტაფიზიკა ცხადდება ცრუ მეცნიერებად და დიონისე ადგილს უთმოპბს – ა დ ა მ ი ა ნ ს !

ნიცშეს ყურადღების ცენტრში ექცევა ადამიანის შინაგანი სამყარო. ნიცშე ქმნის თავისებური სახის ფსიქოლოგიას. ნიცშეს იდეალი ხდება - თავისუფალი გონი, მიწიერი ადამიანური ლტოლვები. ნიცშე საბოლოოდ უპირისპირდება ტრადიციულ კულტურას. მიუხედავად ნიცშეანიზმის სირთულისა მასში გამოყოფენ ძირითად პოსტულატებს. ეს არის ნიჰილისტური ფილოსოფია.

საბოლოოდ, ვროპული კაცობრიობის წიაღში მიმდინარე კრიზისული პროცესები (ევროპული კრიზისი) ნიცშეს ფილოსოფიაში აისახა. შეიქმნა ნიჰილისტური ფილოსოფია. „მე ვიცი ჩემი ხვედრი, მე ვიცი, რომ ჩემ სახელთან დაკავშირებული იქნება საშინელი რამ, უშველებელი კრიზისი, რომლის მსგავსი

მიწას არ ენახოს. მე უარვყოფ ისე, როგორც არავინ, მიუხედავად ამისა მე კონტრასტი ვარ უარმყოფელი სულისა” [53,9] - წერდა ნიცშე.

თანამედროვე დასავლური კუტლურის ღრმა კრიზისზე ნიცშე ლაპარაკობს „ზარატუსტრას” წინაიტყვაობაში. ეს კრიზისი გადმოცემულია მოკლე მკრეხელური დებულებით; „ღმერთი მოკვდა”, ადამიანმა თვალი მოაცილა ზეცას და თრთოდა მარტოობაში. ბუნებრივია დავსვამთ კითხვას - რას ნიშავს ღმერთის სიკვდილი? „თეზისი ღმერთის სივდილი გამოხატავს იმ სიღრმისეულ პროცესს, რომელიც ხდება ნიცშეს თანადროული ევროპული კაცობრობის სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ ძველი ტრადიციული უმაღლესი ღირებულებების გაუფასურებას. მარადიულ ღირებულებათა სამყარომ, რომელიც მყარ ორიენტირებს აძლევდა ადამინს, დაჰკარგა თავისი ძალა... ადამიანი დარჩა თავისი თავის ანაბარა. მას „ზემოთ” არავის იმედი არ შეიძლება ჰქონდეს. დგება ნიჰილიზმის ეპოქა, ღმერთის სიკვდილის აღიარება ნიცშესთვის იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი არის ადამიანი და არა ღმერთი. ღმერთის სიკვდილის თემა „ზარატუსტრაში” ერთ-ერთი ძირითადი თემაა“. თამაზ ბუაჩიძე. [53,250-254]

XIX –XX საუკუნის მიჯნაზე საზოგადოებრივი აზროვნების ყველა სფერო მოიცვა სულიერმა კრიზისმა. ეს „პრობლემა” ფრიდრიხ ნიცშემ პირველმა წამოჭრა, რაც სიგიჟეში ჩამოართვეს. „მხოლოდ 50წლის შემდეგ ზოგიერთები გაიგებენ, თუ რა გავაკეთე მე” - წერდა იგი. „ამ საშინელი, ჯერ არნახული კრიზისის ბჭეებთან” დადგა XX საუკინის ახალი თაობა.

ნიცშეს „ზე კაცი” არის ახალი ბიოლოგიური სახე-სრულყოფილი არსება. გზა მისკენ მიმავალი კი რთული - „თოკი უფსკრულსა ზედა.” ნიცშესეური ზარატუსტრა „იმორალისტია” რომელიც ქადაგებს ადამიანთა ცხოვრების ახალ წესს. ზარატუსტრა შვილია ნიცშესი – აცხადებს, კონსტანტინე გამსახურდია, დაკვანძული საიდუმლოებების გახსნაა მისი პოეზია. უკანასკნელი სიტყვა „ამ კულტურით დაღალული კაცობრიობის”.

ნიცშე ხელშესახებად გვიხატავს იმას თუ როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. ამ მიზნით „ზარატუსტრას წინასტყვაობაში გამოჩნდება უკანასკნელი ადამიანი: შეხედეთ! მე გიჩვენებთ თქვენ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ა დ ა მ ი ა ნ ს

რა არის სიყვარული? რა არის ქმნილება? რა არის სურვილი? რა არის ვარსკვლავი? - ამას კითხულობს უკანასკნელი ადამიანი და თვალებს ახამხამებს.

მაშინ დედამიწა უმცროსი იქმნება და მასზედ დაჰხტის უკანასკნელი ადამიანი, მისი მოდგმა შეუმუსრავია, ვით მიწის რწყილისა: უკანასკნელი ადამიანი ყველაზე მეტსა სცოცხლობს” [53,19]

ნიცშესთვის უკანასკნელი ადამიანი ღმერთის სიკვდილის პირმშოა. ნიცშე უპირისპირებს მას ზეკაცს! და ქმნის ერთგვარ მისტერიულ რკალს „ადამიანი არის რაობა რომლის ძლევა ხამს, ადამიანი თოკია ცხოველსა და ზეკაცს შორის ადამიანმა უნდა დაძლიოს თავისი თავი „რათა შექმნას ზეკაცი”.[იქვე]

ერეკლე ტატიშვილი, ფრიდრიხ ნიცშეს რომანის მთარგმნელი და უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწე წერდა: „ნიცშეს ცხოვრება მისი საკუთარი აზროვნების ღრმა განცდაა. იგი თვითონ არის სულიერი ტრაგედიის გმირი, ჯალათი და მსხვერპლი.”[იქვე] მას უკიდურესობის ჯადოქრად მიიჩნევდა, ახალი სიტყვის მაუწყებლად, რომელიც უკვდავების წიაღში მოექცა.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს XX საუკუნის 10-20-იან წლების პერიოდულ პრესას დავინახავთ, რომ ქართული საზოგადოებია დიდ ყურადღებას და ინტერესს იჩენდა გერმანელი მოაზროვნის მიმართ... ნიცშეანობა ლამის ახალ რელიგიად გადაიქცა. ფრიდრიხ ნიცშემ დიდი პოპულარობა ჰპოვა ევროპაში, ხოლო იქიდან დაძრულმა ტალღამ საქართველოშიც შემოაღწია. გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, დავით კასრაძის, კონსტანტინე კაპანელის წყალობით – ნიცშეს ფილოსოფია, თავისებურად აირეკლა მათ შემოქმედებაში. საქართველოში ფრიდრიხ ნიცშეს თავისი მკითხველი ჰყავდა.

„გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდა ნათესაურია ჭეშმარიტი ქართველი ადამიანის მსოფლგანცდისა. ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური, ცხოვრებისა. მასში გათქვეფილი საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანისა, ქართული სულის მისწრაფებასთან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძოლით ხიფათით და რისკით აღსავსე „დიონისურ” ცხოვრებას” - წერდა თამაზ ბუაჩიძე.

თბილისში 1922 წელს ფრიდრიხ ნიცშესადმი მიძღვნილი საღამო გამართულა, სადაც სიტყვით გამოვიდნენ დ. უზნაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ტერენტი გრანელი, კ. გამსახურდია, ერეკლე ტატიშვილი. ჯერ კიდევ 1911 წელს, „სახალხო გაზეთის” ფურცლებზე გ. რობაქიძესა და დ. კასრაძეს ცხარე პოლემიკა გაუმართავთ ნიცშეს ნააზრევის ირგვლივ. კონსტანტინე გამსახურდიას რედაქტორობით გამოსული ჟურნალი „ილიონის” მთლიანი ნომერი ნიცშეს მიეძღვნა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, როცა გადაწყდა გერმანიაში ნიცშეს დაბადების დღის აღნიშვნა, დიდი ფილოსოფოსის დას - *ელიზაბედ ფორსტერ ნიცშეს* მიუმართავს ყველა ქვეყნის ნიცშეანელისათვის, დაეწერათ მოგონებები... ასეთი წერილი ერეკლე ტატიშვილმაც მიიღო, რაც ნათლად მეტყველებს მის ავტორიტეტსა და პოპულარობაზე. (მან გერმანიაში გააგზავნა - მიხო ბერიტაშვილის მიერ შესრულებული ნიცშეს პორტრეტი და აკაკი ანდრიაშვილის „დედაკაცი მათრახით – ზარატუსტრადან“.)

ქართულ სინამდვილეში, ნიცშეს რომანის თარგმანები არსებობდა. ღასაკვირველია, ერეკლე ტატიშვილის თარგმანი, „ესსე იტყოდა ზარატუსტრა”, (1884-1946) მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გვირგვინია 1915 წელს გაზეთ „სამშობლოში” ანონიმურად იბეჭდება პატარა ფრაგმენტი „ზარატუსტრადან”. 1923 წლის 1 აპრილს გაზეთ „ლომისის” ფურცლებზე გამოქვეყნდა „ზარატუსტრას წინასწარ თქმა”. მთარგმნელი აქაც არ არის მოხსენიებული. არსებობს მოსაზრება რომ იგი ეკუთვნის დავით კასრაძეს.

კონსტანტინე გამსახურდიამ XX საუკუნის 10-20-იან წლებში ფრიდრიხ ნიცშეს არაერთი ლექსი უძღვნა: „ზეკაცი” - გიმნაზიაში სწავლის პერიოდში, გამოქვეყნდა გაზ. „სახალხო საქმეში” (1911წ. №371.) კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით, ხოლო „ილიონში“ – „ფრიდრიხ ნიცშეს” (№1, 1922წ) და პოემა „მარადი გარსი” (№4, 1922წ).

„ფრიდრიხ ნიცშეს”

„იყო გოლგოთა ვაიმარი და სილს მარია,
ახალი დროის მატიანე შენ მოგინდება.
შენ გვაგრძნობინე, სინამდვილე რომ სიზმარია,
რომ ახლოვდება ძველ ღმერთების შემობინდება.
...შენ ამ სამყაროს უდუელოდ ვერ შეეთვისე,
წახვედი სოფლის ვარამისგან გულგამეხილი.
წმინდა ფრიდრიხი და ჯვარცმული ხარ დიონისე,
ჭაბუკი მუხა გრიგალისგან გულგატეხილი.
ო, შუა გზაზე რა ძნელია შემოდამება,
რომ უკვდავებით შევისყიდო ქვეყნის წამება.”

„ზეკაცი”

...აქ ჯადოს ვეძებ ზღვის ფერად ქვებით
მოვრთავ გვირგვინს, გვირგვინს ძლევისას
მიწისა შვილნო! ვერ გამომყვებით
ჰანგს ვერ გაიგებთ უკვდავ გმირისას,
თქვენ ბედისწერა კოშკის შექმნის კიბედ მოგიხმართ,
ჩემი ოცნება კი თვით შექმნის ცხოვრების სიზმარს.
ცეცხლი, რომელსაც მგოსნის მუზა მოაფრქვევს პირით,
ხე ცნობადისას მთლად შეგირყევთ, მოგითხრით ძირით.”

1922 წელს კონსტანტინე გამსახურდია ქმნის მისტიურ ესსეს „ტრაღედიის წრამოშობა მისტიკის სულიდან”, რითაც ეხმიანება გერმანელი ფილოსოფოსის შრომას, რომელიც 1872 წელს დაიწერა. კ. გამსახურდია ნიცშეს პიროვნებას- მისტიური საბურველით მოსავს. იგია უარმყოფელი თანამედროვე ევროპული კულტურისა და გზის გამკაფავი დასავლეთის ფაუსტური სულისა.

ყოველი ახალი თაობა, ხელმეორედ სთხზავს მითს ნიცშეს პიროვნების შესახებ. იგი იყო ორი საუკუნის მიჯნაზე მდგარი ფილოსოფოსი, რომელიც ატარებდა ორმაგობის ბეჭედს, ამიტომაც მის პროვნებაში კ. გამსახურდია „ორსულიან” მოსტიკოსს ხედავს. ნიცშემ თავად შექმნა მითი საკუთარ თავზე და ამ მითის წყალობთ გაიკვლია „გულმავიწყობის ოკეანე”.

გამსახურდიას ესსეისტიკაში - ნიცშე სკეპტიკოსია, წარმომადგენელი ევროპული ნიჰილიზმისა და ამავე დროს დამფუძნებელია ახალი დიდი რელიგიისა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „იგი იყო უწარჩინებულესი წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელსაც დიდი სულიერი ტკივილების მიუხედავად, „ამშვენებდა ლუციფერის სიჯიუტე და საიმაყე”. [16,401]

ესსე შედგება ოთხი მითისაგან, (მითი, გენიალოგია, მუსიკა, მისტიკა) სადაც საუბარია გერმანელი ფილოსოფოსის „ჰეროიულ ბალადაზე”. „ამ ბალადაში ჩევნი სუბიექტური ფანტაზია და სიყვარულიც უნდა იქნეს შეტანილი” [16,407] - აცხადებს მწერალი, რადგან სხვაგვარად ნიცშეს ხელმეორედ მოგონება და მისი ხატის სრულყოფა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია. ნიცშეს თან ახლდა მისტიური სიბნელე, რისკენაც თავად მიისწრაფვოდა. ნიცშე, ნაპოლეონი და გოეთე – სიბნელისა და სინათლის მისტიკოსები იყვნენ. ამიტომ მათ, მწერლის

მოსაზრებით, ჩვეულებრივი განგების გენიალოგია არ მოეპოვებათ. რაც ნიცშემ ერთხელ გაკვრით თქვა გოეთეზე, იგივე ითქმის მასზედაც. „გოეტე - ამბობდა ნიცშე - არსაიდან არ მოსულა, არც წინაპრები ჰყოლია მას, ის მაღლიდან ჩამოვარდა გერმანულ სინამდვილეში, არც მემკვიდრეები გამოსჩენია ამის შემდეგ". უბრალო საქსონელი პასტორის შვილი „ახალი ევროპის სულიერი დირიჟორი" გახდა. ასეთი იყო ნაპოლეონიც, უბრალო კორსიკელი მემამულის შვილი, ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნიცშე მის წინაპრებად ჰერაკლიტეს, სპინოზას და გოეტეს მიიჩვევდა.

„ფრიდრხ ნიცშე, რომანტიზმით შეპყრობილი დონ კიხოტი იყო - აღნიშნავს ერთგან გამსახურდია, რომელიც ქრისტიანიზმის ქარის წისქვილებს ებრძოდა ევროპაში. მწერალს ამ „ბნელთვალებიანი მისტიკოსის" - ჰიბრიდულ ბუნებაში აინტერესებს „ჰოს" მთქმელი, მისი ღვთიური ნახევარი, რადგან იგი ყველაზე გულწრფელად ამბობდა, რომ „ქრისტე ჯვარზე უზენაესი და უმშვენიერესი სიმბოლოაო"

ნიცშე ქადაგი იყო ახალი ღმერთშემოსილობის, აპოსტოლიც ახალი კულტურის რელიგიისა, ამიტომაც მწერლის მოსაზრებით, „დიონისოს ღმერთი თრობისა და შვებისა ქრისტიან ნიცშეს სხვაგვარად ვერ წარმოედგინა თუ არა ჯვარზე" [18,404]

გამსახურდია ნიცშეს პიროვნებას, გენიალოგიას და შემოქმედებას მისტიკაში, მითოსში ხედავს, რადგან ყოველი დიდი ადამიანი ადამიანობის ხსოვნაში რჩება, როგორც მითი. „მითი ისე ახელებს თანამედროვეობის ფანტაზიას, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება ემპირიულად მისი დამახსოვრება." [18.400] ასეთი იყო ნიცშე. იგი ადამიანების ხსოვნაში ლეგენდარული შარავანდედით შეიმოსა.

ესსეს მესამე თავში – „მუსიკა" – მწერალი საუბრობს ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის ირაციონალურ ენაზე - მუსიკაზე. „გუშინ თავს დამესხა მუსიკის დემონი" – წერდა ნიცშე და მხოლოდ მუსიკაში ეძლეოდა თავდავიწყებას. მუსიკის შედეგი იყო მისი ვაგნერით გატაცება და ვაგნერზე გულის აცრუებაც.

კონსტანტინე გამსახურდია მისტიკასა და მუსიკას თვლის გერმანელი მოაზროვნის, შემოქმედების უმთავრეს ელემენტებად. „მუსიკა ირაციონალური ენაა სამყაროსი, ამიტომაც ირაციონალურია უმთავრესი ელემენტი ნიცშეს ფილოსიფიისა. მუსიკა ღვთაებრივი ენაა ბნელეთს დანთქმული ეპოქისა და

წარსული დროებისა. მუსიკისა და მისტიკის კენტავრი იყო თავად ნიცშე" [18,405-406]

ნიცშეს პიროვნულ ცხოვრებაში „ენორმული როლი" მუსიკამ ითამაშა. იგი საკამოდ მუსიკალური და საკმაოდ პოეტური ადამიანი იყო. თუ შოპენჰაუერისთვის მუსიკა სამყაროს მისტერიის „უმეშველო მეტყველება" იყო ნიცშესთვის მუსიკა – გედის სიმღერაა. ნიცშეს აზროვნების ალოგიზმი სწორედ მუსიკაშია საძიებელი. მწერლის მოსაზრებით გოეთესა და ნიცშეს დაპირისპირება მოითხივს „მუსიკისა და პლასტიური ფენომენების დაპირისპირებას: „თუ, გოეტეს ცხოვრებაში კათოლიციზმის პლასტიურს კულტურას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ლუთერანიზმის მუსიკალურმა კულტურამ სიყრმნიდანვე თავისებური გეზი მისცა ნიცშეს აზროვნებას და ფილოსოფიას - განმარტავს მწერალი. [18,405]

მუსიკა იყო ნიცშეს შემოქმედების - მუზის დემონი. ეს დემონი უჩვენებდა გზას „ბნელთვალებიან მისტიკოსს". მისი პირველი ქმნილება „ტრაღედიის წარმოშობა" მუსიკიდან იშვა. მუსიკა იყო მისი სტილის „ფრთების შემსხმელი". ნიცშე წერდა: „მომავალი თაობისაგან 100-იოდე კაცმა, რომ იმდენი შეიგრძნოს მუსიკიდან, რაც მე შემიგრძვნია, მაშინ სრულიად ახალი კულტურაა (ევროპაში) მოსალოდნელი.[18,406]

ნიცშე ზიზღით იხსენებდა თავის თანამედროვე ევროპის ცივილიზაციას, როგორც ანტიმუსიკალურ ფენომენს. კონსტანტინე გამსახურდია მისტიკას ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად მიიჩნევს ნიცშეს შემოქმედებაში.

ნიცშეს ინდივიდუალიზმი თავის განვითარების უკანასკნელ ეტაპზე მისტიკაში გადაიჭრა. ზარატუსტრა წინასწარმეტყველური გაშიშვლებაა პიროვნებისა, სადაც ნიცშე ზეინდივიდუალობაში გადავიდა. ნიცშე მოითხოვდა, როგორც პიროვნება ისე კულტურა მითიური ნისლით ყოფილიყო მოსილი. მოითხოვდა უსიტყვოდ ჭვრეტას. ნიცშე იყო უდიდესი ოსტატი და ჯადოქარი სიტყვისა. ამგვარად მოხდა, გამსახურდიას შეფასებით, ნიცშეს გადასვლა ნიჰილიზმიდან და სკეპტიციზმიდან - მისტიკაში. ნიცშეს მისტერია იყო ერთგვარი მითიური რკალი, რაციონალურიდან ირაციონალურში, ლოგიურიდან ზელოგიურში. „პოემა ზარატუსტრა სხვა რაღაა თუ არა კივილი მისტიკისაკენ მიქცეული. ზარატუსტრა ქადაგია დიდ მარადიული უკუმოქცევისა, ზარატუსტრა წინასწარმეტყველია ახალი ელოიზისის, უნდა მოვიდეს ახალი ზეკაცური თაობა

ელოიზისის მისტერიებით პირგაბადრული. მაშინ ჩამოვა ზეცით თაობა ახალი” - [იქვე, 408] - აცხადებს მწერალი.

„ნიცშე შეწირულია ღმერთის დიონისოსი” და ასე დარჩება ადამიანობის ხსოვნაში, რადგან იგი - იყო „როგორც ზვარაკი, ისე თვით ტანჯვაში პირგაბადრული ღმერთი დიონისოს თავის სმარაგდის მშვენებაში გაბრწყინებული”. [იქვე, 411]

ნიცშე მართლაც მოულოდნელად, დაატყდა თავს 10-20-იანი წლების ქართულ კულტურას და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მწერლის იდუმალ სულში.

„აპოლიტიკოსის წერილები”

(ევროპული პოლიტიკა და კულტურული ნაციონალიზაცია,
მწერლის 10-20-იანი წლების კრიტიკულ წერილებში)

„ერს, როცა ენა და ტერიტორია ხელიდან გამოეცლება,
უმჯობესია იგი მაშინვე მოკვდეს”.
კონსტანტინე გამსახურდია

„წარსულში საქათველოში თვით ბერებსაც არ შეეძლოთ აპოლიტიკოსობაო” [11] – წერდა კონსტანტინე გამსახურდია ოციანი წლების საქართველოში. მისი ცხოვრებისეული ლოზუნგი იყო: „ყველაფერი საქართველოსათვის, რადგან თუ საქართველო არ იქნება ქვეყანაზე, ქვა ქვაზე ნუღარ დარჩენილაო.”[იქვე] იგი არცერთი, მთავრობის წევრი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა მიაჩნდა, რომ აპოლიტიკოსობა ქვეყნისთვის საზიანო იყო, გვერდზე განდგომა – სახიფათო, როგორც ერისთვის ისე ერისკაცისთვისაც.

მწერლის მოსაზრებით, გონიერი ერის, გონიერი პოლიტიკა, ეროვნული მსოფლმხედველობის მუდმივი განვითარებით უნდა წარმოებულიყო. რადგან ერის სიძლიერე განაპირობებდა ქვეყნის ადგილს, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

XXI საუკუნის გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ დიდი ქართველი პოლიტიკოსიც, რომლის პოლიტიკური კრედო ეფუძნებოდა ქართულ ისტორიას. საქართველოს უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში მისი ბრძნული სიტყვა ძლევამოსილებას სძენდა ქართულ საზოგადოებას: „ეროვნული თავისუფლების ერთხელ დაკარგვა შეიძლება, მაგრამ იგი ყოველ დღე ბრძოლით უნდა მოიპოვოთო.” – წერდა მწერალი.

XX საუკუნის ოციანი წლები ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიაში. კ. გამსახურდია ერის ერთსულოვნებასა და სიძლიერეში ხედავდა სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ახალგაზრდა, სევდიანი და სამშობლოს ბედზე დაფიქრებული კონსტანტინე, გერმანიაში სწავლის პერიოდში ძლიერ და წელში გამართულ სამშობლოზე ოცნებობს, სწორედ ისეთზე, როგორიც მისი მეორე სამშობლო - გერმანია იყო: „ერს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი თავისი

წარსული სიდიადე, იგი აწმყოთი ამაყობს, მომავალს თამამად უღიმის. ნეტავ ქართველი ხალხი ასე წელგამართულად იმღერებს ოდესმე? როდის გავიგონებთ მის ჯანსაღ გუგუნს სამშობლოს ველ-მინდვრებზე? განა დღეს არ მღერის იგი? მკითხავ შენ... მღერის, მაგრამ ჩვენი აკაკის არ იყოს სიმღერა მისი ნაღველშია ამოვლებული" [16,272]_საქართველო იყო მისი უმთავრესი საფიქრალი და სევდა მასზე არასოდეს ტოვებდა დიდოსტატს.

XX საუკუნის 10-20 წლებში ფართო მასშტაბებით აშუქებდა ევროპის პოლიტიკას. მწერალს მიაჩნდა, რომ გერმანია ევროპის ხერხემალი იქნებოდა მუდამ და პოლიტიკურ რუკაზე ახალ წესებს დაამყარებდა. გერმანული კულტურა, გერმანული გონი, მოაზროვნეები არაერთხელ მოექცა მწერლის ყურადღების ცენტრში. განსწავლისა და მოგზაურობის წლებში, გერმანიაში, მიღებულმა შთაბეჭდილებებმა წარუშლელი კვალი დატოვა მის მსოფლმხედველობაზე. გერმანიაში მწერალი, მწიფდებოდა არა მხოლოდ როგორც ლიტერატორი, მხატვრული სიტყვის ხელოვანი და ფილოსოფოსი არამედ, როგორც სამშობლოს მხურვალე პატრიოტი. გერმანიაში გახდა წევრი საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიისგან საქართველოს გამოხსნას.

სამყაროს ბუმბერაზ გერმანელ მოაზროვნეებს - გოეთეს, ნიცშეს, სტეფან გეორგეს თომას მანს... მწერალმა სხვადასხვა დროს ორიგინალური და მაღალმხატვრული ესსეები უძღვნა. მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მკვლევარი პრ. სოსო სიგუა აღნიშნავს, რომ ვაიმარელმა ბრძენმა გოეთემ დიდი ზეგავლენა იქონია გამსახურდიას პიროვნებაზე. მწერლის შემოქმედების სათავეებთან იდგნენ ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, რ. ვაგნერი, ბერგსონი, რითაც ყალიბდებოდა მწერლის დეკადენტურ-მოდერნისტული სტილი და მსოფლგანცდა. სავარსამიძის პირით მან გერმანია თავის „მეორე სამშობლოდ" აღიარა.

როგორც აღვნიშნეთ 20-იან წლებში გამსახურდია დიდ ინტერესს იჩენს ევროპული პოლიტიკის მიმართ. ამ პერიოდში შექმნილ საგაზეთო პუბლიკაციებში გამსახუდია პოლიტოლოგადაც გვევლინება და პირველი მსოფლიო ომის შესახებ საინტერესო დასკვნებსა და შეფასებებს აკეთებს. გერმანელთა რასაში მწერალს ხიბლავდა „ძლიერების კულტი", რომელიც ასე მკაფიოდ გამოიხატა პირველი მსოფლიო ომის დროს. მწერალი არაერთხელ

აღნიშნავდა, რომ ქვეყანაზე პატივისცემას იმსახურებდა, მხოლოდ ძლიერი, მშვენიერი ძალითა და ღონით სავსე ერი.

წერილებში, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებში იწერება: „ცოტა რამ თანამედროვე ინტერნაციონალურ პოლიტიკისათვის" (1917წ) „აპოლიტიკოსის წერილები",(1919წ) მწერალი საუბრობს პირველ მსოფლიო ომზე და აცხადებს, რომ ომის მიზეზი არ არის მარტო ეკონომიკური უთანაბრობა და ქიშპი. მისი აზრით, ომი უპირველესად „რასსათა ომია." კაცობრიობის ისტორიაში პირველი მსოფლიო ომი ყველაზე სასტიკი და ფართომასშტაბური სამხედრო კონფლიქტის სახელით შევიდა. ომმა ცხრა მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. XX საუკუნის დემონმა სისხლისაგან დაცალა ევროპისა და აზიის კონტინენტები. „არც ბერძნული ჰადესის მომგონ ფანტაზიას, არც კალიფსოს კუნძულს არც დანტეს ჯოჯოხეთში, არც მიქელანჯელოს სიქსტნის განკითხვის დღეში არ მინახავხ ასეთი ფერადები - წერდა კ. გამსახურდია პირველ მსოფლიო ომში დაღვრილ „ალისფერ სისხლზე", რომელიც ბერლინში, ომის დასრულების შემდეგ ექსპრესიონისტთა გამოფენაზე იხილა. (მეტაფიზიკოსის დღიურები) [16,360]

მსოფლოს ინტელექტუალური გონი „აპოკლიფსური, გაგიჟებული თვალებით" შესცქეროდა მასათა ისტერიას, რომელსაც დასასრული არ უჩანდა.შეუძლებელია ევროპის პოლიტიკის გვერდის ავლით შექმნილიყო XX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაში საგაზეთო სტატიები, თუ კრიტიკული წერილები. „ევროპის ცენტრი გერმანია გახლავთ - წერდა გამსახურდია 1919 წელს – როგორი იმედი საკუთარი თავისა, როგორი სიამაყე". მწერალი აღტაცებაში მოჰყავდა გერმანულ ძლიერ, მშფოთვარე რასას, რომელიც ომში დამარცხების მიუხედავად ამაყ და დაუჩოქებელ ერად დარჩა.

კონსტანტინე გამსახურდიას სწამდა, რომ გერმანიის გარეშე ევროპა დაემსგავსება მარსილიუს ფიკუნუსის აღწერილ ევროპას „სადაც ხალხი ბუჩქებში და მაღაროებში იმალავდა თავს სიცივისაგან და ადამიანები ცოტათი განირჩეოდნენ დამშეულ ნადირებისაგან" [12,312]

პირველი მსოფლიო ომის პერიოდისადმი მიძღვნილ წერილებში მჟღავნდება მწერლის სუბიექტური დამოკიდებულება და ამავდროულად დიდი პატივისცემა გერმანული კულტურის, გერმანელი ერის მიმართ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ომი, როგორც ერთგვარი „კათარზისი"- გამართლებულია. მწერალი ომს, ნიცშეს გავლენით „თაობათა მიწისძვრას" უწოდებს, რომელსაც „ახალი წყაროები უნდა წარმოეშვა." „რაგინდ პაცეფისტურად იყოს ადამიანი

განწყობილი ომების დადებით მნიშვნელობას გვერდს ვერ აუხვევს. ყველაზე აშკარად მსოფლიო ომმა დაამტკიცა, რომ თანამედროვე ომს მასების და პატარა ერების ემანსიპაცია მოჰყვება შედეგად... ყველგან გერმანია იწყებს და უმეტეს შემთხვევაში გერმანია ამთავრებს დიდ ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებს. – წერს „აპოლიტიკოსის წერილებში" და „ქუდს იხდის დიდი და ამაყი ერის წინაშე, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში „ხალხთა შორის ომის" ძეგლი ააგო. (აპოლიტიკოსის წერილები) [16,316]

1917 წელს, როცა პირველი მსოფლიო ომი უმწვავეს ფაზაში შედიოდა კ. გასახურდია აქვეყნებს წერილს სათაურით „ცოტა რამ თანამედროვე ინტერნაციონალური პოლიტიკისათვის" – წერილში ვკითხულობთ: „ეს ომი რასათა ომია!" დიდი ხანია რომანული და გერმანული რასები კბილს ილესდნენ ერთიმეორეზე, რომანელები კარგად გრძნობდნენ, რომ ისინი პირისპირ ვერ გაუმკლავდებოდნენ ყველაზე უფრო ძლიერსა და ძალოვან წარმომადგენელს ინდო-გერმანთა რასისას გერმანელებს." [16,297]

კონსტანტინე გამსახურდია – ევროპის პოლიტიკაზე საუბარს გერმანიით იწყებს. ვინც „ევროპის პოლიტიკას შეეხება, მან გერმანიით უნდა დაიწყოს, რადგან გერმანია ევროპის ხერხემალი არის და იქნება."

პირველი მსოფლიო ომის დაწყებას გერმანიაში შეხვდა. უყურებდა, თუ როგორ მოდიოდნენ „ნიბელუნგების გმირებივით" გერმანელი ამაყი რაინდები, ეს იყო 1914 წწ. ხოლო 1919 წლის გაზაფხულზე დამარცხებული გერმანელი ჯარისკაცებიც იხილა: „ასე ფრთადაკოდილი არწივი თუ შედგება სალ კლდეზე და დაბალ ქვეყანას გადმოხედავს, თვით მათხოვარს, თვით მათხოვარსაც გმირობის იერი ეტყობა." [16,310]

კ. გამსახურდია უთანაგრძნობდა დამარცხებულ გერმანიას. „ვისკისა და ტენისის გმირებმა დაფნის გვირგვინით დაიმშვენეს შუბლი, ხოლო გმირებსა და ნამდვილად გამარჯვებულებს ფანდური დააქვთ ბერლინის ქუჩებშიო". მწერლის შეფასებით ჩრდილო გერმანელებმა და ანგლო საქსებმა უორგულეს თავიანთი სისხლითა და თესლით ნათესავ გერმანელებს. რასათა ომის ბუნებრივი დაჯგუფება, ასე უნდა ყოფილიყო: გერმანია, ინგლისი, ავსტრია, ჰოლანდია, შვეიცარია და სკანდინავია, მეორე მხარეს: ფრანგები იტალიელები და სლავიანელები. არსებითათ კი „პანსლავიანიზმი ტრიუმფს იხდისო."[16,310]

მწერალი ეთანხმება ლეოპოლდ ფონ რანკეს მოსაზრებას ევროპულ ოჯახთა კლასიფიკაციაში. მან თავის მსოფლიო ისტორიაში გამოჰყო

გერმანელები, რომანები, ანგლო-საქსები სხვა დანარჩენი ერებისგან. ეს ერები, სხვადასხვა მხარეს აღმართული შტოა ერთი და იმავე ხისაო, აღნიშნავდა რანკე.

კ. გამსახურდიასთვის გერმანია დაუშრეტელი სულიერი რეზერვუარი იყო, რომლიდანაც საზრდოობდა მთელი მსოფლიო. „აპოლიტიკოსის წერილებში," ყურადღებას ამახვილებს რუსეთის პოლიტიკაზე. გერმანიის პოლიტიკის უმთავრეს მიზნად 1914 წლამდე, მონგოლურ რუსეთსა და ევროპას შორის ზღუდის გავლებას მიიჩნევს, სწორედ ამავე პოლიტიკის გამტარებლად თვლის ინგლისს 1821 წლიდან. წერილში საუბარია ალექსანდრე I და ნიკოლოზ I პოლიტიკაზე, რომლებიც ცდილობდნენ ბალკანეთზე ჰეგემონიას და ამით სამხრეთ და აღმოსავლეთ სლავიანების „კონფედერაციის მოწყობას", რომლის გამოც ინგლისს ბრძოლა ჰქონდა ნიკოლოზ პირველთან. ინგლისის მთავარ მიზნად ბალკანეთიდან რუსეთის გაძევებას მიიჩნევს, რადგან „მას თვალში ეჩხირებოდა, რომ რუსეთი საქართველოში ფეხს იდგამდაო". მწერლის მოსაზრებით XX საუკუნის 10-იან წლებში რუსეთი ევროპულ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა, მას ერთადერთი ძალა უპირისპირდებოდა – გერმანიის სახით.

1916 წელს ვაიმარში ქვეყნდება სტატია სახელწოდებით „კავკასია მსოფლიო ომში", სადაც მწერალი გერმანელ საზოგადოებას საქართველოს წარსულს აცნობს. გამსახურდიას შეფასებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, გერმანელთა ძლიერ რასას უნდა დაყრდნობოდა. მწერალი გამოდიოდა კავკასიური ერთიანობის იდეით, რაც საქართველოს თავისუფლების ერთადერთ გარანტად ესახებოდა. *(ეს სტატია ფიგურირებს სუკის მასალებში, რომელც 1924 წელს მწერლის დაპატიმრებასა და გადასახლებას ეხება.)*

„ნიცშეს ძლიერების კულტმა, ძუძუ აწოვა გერმანულ მილიტარიზმს. ნიცშეს ეწადა ახალი მაღალი ხარისხის ადამიანთა ჯიში წარმოშობილიყო, რომელიც თავისი ძლიერი ნებისყოფის წყალობით ევროპის დიდ დემოკრატიას მოიხმარდა, მთელი დედამიწის ბედის ხელში დასაჭერად. ძველმა გერმანელებმა, უანდერძეს თანამედროვე გერმანელებს ომის კულტი! მარტინ ლუთერმა, ომის რელიგიასთან მორიგებაც კი მოინდომა. „ქრისტიანიზმის ფილოსოფიით დაამტკიცა ომის აუცილებლობა." - ვკითხულობთ აპოლიტიკოსოს წერილებში.

1918 წლის ნოემბრის მარცხს, ქართველი მწერალი „კატასროფად" აფასებს, რადგან, 1914 წლის გერმანიას, გამარჯვების გაცილებით დიდი შანსი ჰქონდა. გამსახურდიას შეფასებით ბისმარკისეულ პრუსიას მოეძეოდა საკმაოდ ჯანსაღი საფუძველი – სახელმწიფოებრივი აპარატის უბადლო შენებისა და

წყობისა. ოტო ბისმარკის პოლიტიკაზე, პიროვნებაზე, მწერალი 10-იანი წლების პუბლიცისტურ წერილებში არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას.

ოტო ედუარდ ლეოპოლდ ბისმარკი, გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და რაიხკანცლერი, მსოფლიო პოლიტიკას ქმნიდა. მისი გავლენა ვრცელდებოდა მთელს ევროპაზე. იგი პოლიტიკურ ასპარეზზე 1847 წლიდან ჩანს. კ. გამსახურდიას მოსაზრებით ბისმარკისეული იმპერიის სიძლიერე აკლდა, 1918 წლის დამარცხებულ გერმანიას. ბისმარკმა უფრო მეტი შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, ვიდრე „სანსუსის ფილოსოფოსებმაო". ოტო ბისმარკი უდიდეს პოლიტიკურ კომბინატორად მიაჩნია, რადგან მან ახალი და ძველი ოსტატური ხელით შეადუღა და შეაკავშირა. ბისმარკის პოლიტიკურ შეცდომად – მისი თანამედროვე საუკუნის სულისგან დაშორებას თვლის, კერძოდ, XIX საუკუნეს თან მოჰქონდა იდეა მასების ემანსიპაციისა და პოლიტიკური გამოფხზლებისა. ბისმარკმა კი იმის მაგივრად, რომ ანგარიში გაეწა ამ მდგომარეობისათვის, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას. მწერალი არასწორ პოლიტიკად აფასებს – სახელმწიფო საქმეებიდან მასების იგნორაციას.

გამსახურდიას თვალსაზრით, 1918 წლის მიწურულს ზოგიერთმა მესაჭემ გერმანიისამ ბისმარკისეული ფატალური შეცდომა შეიგნო, სახელმწიფოს დემოკრატიზაციაზე ჩამოაგდეს სიტყვა, თუმცა გენერალი ლუდენდორფი ისევ ბისმარკის გზას გაჰყვა. გერმანიის მარცხი შიდა არასწორი პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. გამსახურდია, ახალი გერმანიის მომავალს პოლიტიკურ ძირეულ ცვლილებებში ხედავდა. უნდა მომხდარიყო სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კანონების შეთანხმება – პიროვნების ინდივიდუალურ ზნეობრივ კანონებთან.

მძლავრი გერმანული იმპერიის ნანგერვებზე აღმოცენდა არასტაბილური „ვაიმარის რესპუბლიკა"(1933-45), რომელმაც შეძლო ფერფლიდან აღდგომა და ნაცისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდა მსოფლიო მასშტაბით, რომელიც XX საუკუნის მეორე მსოფლიო ომში გადაიზარდა.

კ. გამსახურდია 1945 წელს ისევ მიუბრუნდება გერმანიის პოლიტიკას პუბლიცისტური წერილით „ფაშიზმი და მსოფლიო კულტურა". უკეთებს რა ანალიზს მსოფლიო ისტორიაში არსებულ დამპყრობლურ და „ბარბაროსულ" ომებს, მწერალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „გერმანული ფაშიზმის გაუგონარი აგრესია ემყარება ე.წ. „რასსულ თეორიას". გამსახურდიას აზრით, აგრესიული მოძღვრების დამფუძნებლები ჰიტლერი და მისი თანამზრახველები არ არიან.

„რასსული თეორიის” მამათავრებად, მწერალს უმთავრესად არაგერმანელები მიაჩნია. მისი აზრით, გერმანელი ერი არ არის ფაშიზმის მომხრე.

1967 წლის 14 ნოემბერს კი 74 წლის მწერალს, ომგამოვლილ გერმანიაში ვხედავთ. „კვლავ გერმანიაში” - ასე ეწოდება მწერლის სევდიან ბარათებს რომელიც „მეორე სამშობლოში” მოგზაურობისას დაიწერა. „ბომბებს შეუმუსრავთ ჩემი საყვარელი ბერმუხა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ამშვენებდა ბერლინის უნივერსიტეტის ეზოს. სავსებით შეუმუსრავთ ჰოჰენცოლლერნების საიმპერიო სასახლე. ამოწყდნენ ჰოჰენშტაუფენები და ჰაბსბურგელი იმპერატორები. ვილჰელმ მეორემ ვერ დაამკვიდრა მეორე რომის იმპერია. მერმე ის იყო, მოვიდა ადოლფ ჰიტლერი და მან დააპირა მესამე რომის იმპერიის აღდგენა, მრავალი ადამიანი იმსხვერპლა ამ გიჟურმა ოცნებამ.” [16,587]

სევდიანია მწერლის კალამი, რადგან გოეთეს, კანტის შოპენჰაუერის და თომას მანის სამშობლომ ბუხენვალდისა და ოსვენციმის სისხლიანი ერა შექმნა „ადოლფ ჰიტლერმა მილიონებს სახრჩობელის მარყუჟები გადააცვა კისერზე”. მწერალი იხედება სიჭაბუკის ბედნიერი დღეებისაკენ და იქ მის საოცნებო, ჯერ კიდევ ძლიერ, ამაყ გერმანიას და მის უკეთილშობილეს პირმშოს გოეთეს ხედავს: „გოეთეს სახლის კარიბჭესთან მაგონდება მისივე ლექსი:

„საუკუნენი ვერ წარხოცავენ
ჩემი აქ ყოფნის ნატერფალებსა”

ეს არ იყო უსაზმნო ქადილი - განმარტავს მწერალი - ჩვენ ვიცნობთ მსოფლიოს უდიდეს მწერალთა და მეცნიერთა ცხოვრებასა და შემოქმედებას, მაგრამ გოეტეს დარი ცხოვრება არავის უტარებია ამქვეყნად”. [16,600] გოეთეს ნატერფალებზე მიმავლ კონსტანტინეს არ ტოვებს სამშობლოზე ფიქრი. „ჩემი სამშობლო იყო ჩემი სახატე და დღესაც ვერავის დავანებებ პირველობას მისთვის ბრძოლაში. [16,595] ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გაცხადდა მწერლის ამქვეყნიური მისია, რითვისაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა. „უცნაურია ადამიანის ხვედრი და ბედი, ჩემი უსაყვარლესი მეგობრები ვინც ჩემსავით იქნევდნენ ხმალსა და კალამს უკვე აღარ არიან ჩემს სიახლოვეს და მე რატომღაც გადამარჩინა ნემიზიდამ. ხანდახან მრცხვენია კიდეც მათი ლანდებისა, ვფიქრობ ხომ არ ჰგონიათ მათ, რომ მე ვუღალატე მათ და ჩემს საფიცარ სამშობლოს?” [16,595]

მართლაც საოცარი ბედი ერგო ბ-ნ კონსტანტინეს, როგორც მწერალს სამშობლოსათვის მედგარ მებრძოლს არცერთი დღე არ ჰქონია მშვიდი. მისი გზა იყო ეკლიანი და ტანჯული, წინააღმდეგობრივი და მართალი.

არიან მწერლები, რომელთა პიროვნულობა ხშირად გაიგივებულია ერთიან ქართულ ფენომენთან. ეს მწერლები ატარებდნენ აშკარა ეროვნულ ხასიათს, რაც მათ სიდიადეზე მეტყველებს. ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალი ერის ნებას გამოხატავს ყოველგვარი ძალაუფლების გარეშე. ასეთ პიროვნებებს შესწევთ ძალა ერი ფეხზე დააყენონ და უხილავი ძაფებით წარმართონ იქითკენ, საითაც მას თავად ეროვნული ნება უბიძგებს. ასეთი შემოქმედი, პიროვნება და ერის კაცი იყო კ. გამსახურდია, რომელსაც გამოკვეთილი ჰქონდა აშკარა პოლიტიკური მრწამსი. მისი, როგორც შემოქმედისა და ერისკაცის ეროვნული პოლიტიკა გახლდათ გლობალური. მას სურდა და იბრძოდა კიდეც იმისათვის, რომ არ დაკარგულიყო ისტორიული კავშირები ახლო აღმოსავლეთთან, რომ ჩვენ კვლავ გვესუნთქა მსოფლიო სულით, როგორც სულიერად მაინც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს...

1913 წლის გერმანიაში, კ. გამსახურდია დაწერს: „ერს როცა ენა და ტერიტორია ხელიდან გამოეცლება, უმჯობესია იგი მაშინვე მოკვდეს. მწერლის მოსაზრებით ქართველი ხალხი თავისი ისტორიული ცხოვრებისაგან ნაანდერძევ ზნე-ჩვეულებებს ნელ-ნელა ხელიდან გაშვებას უპირებდა. უცხოეთში მყოფი გამსახურდია, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გრძნობდა იმ კატაკლიზმებს რაც, XX საუკუნის ოციან წლებში ქართულ სინამდვილეში ფატალური შედეგებით დამთავრდა. „ფრთხილად! ისევ შენსას ნუ დაკარგავ. სიონის მტვრიანი ბეჭების კოცნა გერჩიოს, ბაალის ბრჭყვიალა, ვითომდა ოქროს კერპების თაყვანისცემას, თორემ ინანებ! გვიან იქნება თითზე კბენანი, გინდა უყივლო შენს ერს". ჩვენი ხალხი მოწყენილია! ეს სიტყვები მუდამ თან მსდევდა, როცა უცხო ერის ცხოვრებას ვაკვირდებოდი. “ [16,268]

მამულიშვილობის განცდა, რომელიც, მისი აზრით, გერმანელ ხალხში მომეტებული სიძლიერით არსებობს, მას სურს, იხილოს ყოველ ქართველში... მწერალი პატრიოტიზმის უმთავრეს სათავეს ეროვნულ თვითცნობიერებაში ხედავს. „იშვიათად ნახავთ ახალგაზრდა გერმანელ ქალიშვილს, თუ გინდ უბრალო ხალხიდან, ჰაინეს, გოეთეს და შილლერს არ მღეროდეს, ზეპირად არ იცოდეს". გამსახურდია მიიჩნევს, რომ ერს ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი თავისი წარსულის სიდიადე, იგი აწმყოთიც უნდა ამაყობდეს და

მომავალზეც უნდა იღვწოდეს. უცხოეთის ცის ქვეშ მყოფი მწერალი ოცნებობს, გაიგონოს თავისი ხალხის ბედნიერი ეროვნული სიმღერა და ეს არ უნდა იყოს „თავჩაღუნულად მიმავალი მონის ღიღინი".

კ. გამსახურდიას, ენა და სარწმუნოება სახელმწიფოებრიობის უმთავრეს პოსტულატად მიაჩნია „და ვაი, მას ვისაც, ეს ორი სიმპტომი ხელიდან გამოეცლება, უმჯობესია იგი მაშინვე მოკვდეს, მაგრამ ვაი, რომ იგი ასე უცებ არ კვდება! მონა გადაგვარებული არავის უყვარს – ქვეყანაზე პატივისცემას იმსახურებს მხოლოდ ძლიერი, მშვენერი ძალით და ღონით სავსე არსება, რადგან მიწა ძლიერთა კერძია" [16,277]

გერმანელ ერში ბევრ ისეთ თვისებებს ხედავს, რომელიც ავტორის აზრით, ქართველი ერისთვის სანატრებელი გამხდარა. ეს არის ეროვნული თავმოყვარეობა და მოვალეობის უდიდესი განცდა. გერმანელ ერს მწერალი „უშველებელ მძლე მუხას" ადარებს და ეს მუხა მას „ძლევის სიმბოლოდ" მიაჩნია... ეროვნულ დამოუკიდებლობას, ქვეყნის უმთავრეს მონაპოვრად თვლის და თავისუფლებამოწყურებულ ერს ეთაყვანება; „ერს, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა არა აქვს, იგი მუდამ სხვისი საწველი ფური იქნება და ჩამორჩენილი იმ დიად მიზანს, რომლისკენაც მთელი კაცობრიობა და ყოველი ერი ცალ-ცალკე მიისწრაფვის". [16,278]

კ. გამსახურდიას „მხატვრული პოლიტიკით" შევყავდით ევროპულ გარემოში, რათა არ შემოვფარგლულიყავით მხოლოდ ისტორიული წარსულით და მსოფლიო მთლიანობა შეგვენარჩუნებინა სულიერად მაინც. მწერლის ღრმა პოლიტიკური ქვეტექსტები დასტრიალებდნენ მსოფლიო სტრუქტურაში შემავალ საქართველოს, რომელსაც ფანჯარა გაჭრილი ექნებოდა დასავლეთისაკენ. მისი ეროვნული თვალსაზრისი მაშტაბური იყო. მისი პოლიტიკური ხედვა საკაცობრიო, ოღონდ ქართული თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის თვალსაზრისით... აქედან მოდიოდა მწერლის დიდი ინტერესი მსოფლიო კულტურისაკენ. ეროვნული სულისა და კულტურის თავისთავადობის შენარჩუნება ამოსავალი პრინციპი იყო მისთვის...

დიდი კონსტანტინეს შემოქმედება რომანები, ნოველები, წერილები თუ ესსეები დიდ მწერლობასთან და დიდ აზროვნებასთან ერთად დიდი პოლიტიკაც გახლდათ, რომლითაც დღესაც უნდა ვისაზრდოოთ. მომავლისაკენ მიმართული პოლიტიკა ოყო, ენობრივი ფენომენისთვის, ენის სიწმინდისათვის ბრძოლა და ეს

მაშინ, როცა საბჭოთა იმპერიული სრტუქტურა ანადგურებდა საქართველოს, ართმევდა ტერიტორიებს, ენას.

მწერლის პოლიტიკური ფიგურა უპირისპირდებოდა კრემლის მზაკვრულ ზრახვებს. შემართული იყო ქართული ენის ქართული სულის გადარჩენისათვის. ამკვიდრებდა ქართული ენის დაცვის იდეას, რადგან კარგად უწყოდა, რომ ნებისმიერი ენის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებული იყო მის რეალურ არსებობაზე ყოველდღიურ ყოფაში.

პოლიტიკა გახლდათ ქართული ისტორიის სიყვარულის გაღვივებაც. ქართველ მეფეებზე, მათ მოღვაწეობაზე წერა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის საშიანაო პოლიტიკურ კურსში კონსტანტინე გამსახურდია ცხადად გამოხატავდა ქართული ეროვნული ერთიანობის იდეას. ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა აღნიშნულ პოლიტიკურ მრწამსს. პოლიტიკური კრედოს გამოხატვა და მით უმეტეს მისი პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ იმ გზით შეიძლებოდა, რომელსაც ადგა კონსტანტინე გამსახურდია. მწერლის პოლიტიკური სახე ამოსაცნობი ხდება მისავე ნაწარმოებებში, მის პუბლიცისტიკაში.

10-20-იანი წლების პოლიტიკური ხასიათის წერილებში იკითხება, რომ ერს თავისი სახელმწიფო უნდა ჰქონოდა, თავისავე ისტორიულ მიწა-წყალზე, რომ ქართველი ერი თავისი წარსულით ღირსი იყო თავისუფლებისა. მწერლის პოლიტიკური მრწამსი ამოდიოდა ქართული ისტორიული სიღრმეებიდან, სწორედ აწმყოს გამოსახსნელად, რათა ძველი აღმდგარიყო მომავალში.

გამსახურდიასთვის პოლიტიკა და პოლიტიკური მრწამსი, საშუალება გახლდათ, რათა ქართველი ერის პოლიტიკური საზრისი გამოეკვეთა და პიროვნული ცოცხალი მაგალითით სულიერად გაემაგრებინა ის ეროვნული ძირები და ტრადიციები, რომელთა გადაცემა მომავალი თაობებისათვის საარსებო მნიშვნელობის იყო. მისი პოლიტიკური კრედო ეფუძნებოდა მარადიულ ღირებულებებს...

1917 წელს, დღის წესრიგში დადგა ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. გამსახურდიას მიაჩნდა, რომ ქართული უნივერსიტეტი ქართველი ერის ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კერა უნდა გამხდარიყო. მწერლის ეს პოზიცია ურყევი იყო და მასზე, როგორც მომავალი ცოდნის ტაძარზე განუსაზღვრელ იმედებს ამყარებდა. აზრი გაიყო, თუ რომელ ენაზე უნდა ყოფილიყო სწავლება. გაზეთ „სახალხო საქმის" ფურცლებზე 1917 წელს სრულიად ახალგაზრდა მწერალი, კონსტანტინე გამსახურდია, შეიძლება ითქვას,

გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ამ საშვილიშვილო საქმესთან დაკავშირებით. მან პოლემიკაში გამოიწვია სახელგანთქმული აკადემიკოსი ნიკო მარი, რომლის მეოხებითაც ცდილობდნენ უნივერსიტეტში რუსულ ენაზე სწავლების დამკვიდრებას. ეს მიზანმიმართული და გაუგებარი აზრი შენიღბულად იყო გამოხატული. ამ საკითხის გარშემო ხმამაღლა გამოითქმებოდა ტერმინები: „კავკასიური მეცნიერება," „კავკასიური უნივერსიტეტი", „კავკასიური ორიენტაცია, ან კულტურა". გამსახურდია წერდა: „ყველასათვის ცხადია, რომ ქართველი ერის კულტურული აღორძინების წინამორბედ ცთომილად ქართული უნივერსიტეტის იდეა უნდა ჩაითვალოს. გვჯერა, რომ ქართულმა გენიამ და ჩვენმა მოწინავე თაობებმა ის კულტურულ-ისტორიული მისია უნდა განაგრძოს, რომელიც განგებასა და ისტორიულ სიტუაციას ჩვენი წიანპრებისათვის უნდა ეანდერძებინა კავაკსიაში. ჩვენთვის სავსებით ცხადია, რომ თუ ამ უნივერსიტეტში არაქართული ენა იბატონებს, ეს უნივერსიტეტი ალბათ რაღაც არაეროვნულ დაწესებულებად უნდა გადაიქცეს." [16,288]

გამსახურდია თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ასე იოლად ვერ დათმობდა. მას სავსებით გააზრებული ჰქონდა სამომავლოდ რა შედეგს მოიტანდა უნივერსიტეტში ქართული ენის განდევნა. მწერლის მოსაზრებით უნივერსიტეტს უფრო დიდი ეროვნული მისია ჰქონდა დაკისრებული ერის წინაშე, ვიდრე ეს სწავლა-განათლების დაწესებულებას ევალებოდა. თუ ქართული უნივერსიტეტი თავიდანვე არ აღიჭურვებოდა ქართულ ცნობიერებაზე დამყარებულ საგანმანათლებლო იდეებით და დაკარგავდა ეროვნულობის უმთავრეს გასაღებს – ენას, მაშინ ერის სასიცოცხლო ინტერესები კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ქართველი მწერლობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე აღმოჩნდა. ინტერნაციონალური იდეებით აღჭურვილი ცოდნის კერა სხვა დანიშნულებასა და ფუნქციას შეიძენდა სამომავლოდ. ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი უნივერსიტეტი, მწერლის მთავარი მოთხოვნა იყო. ამისთვის კი საჭირო იყო ქართულ უნივერსიტეტში სწავლება ქართულ ენაზე წარმართულიყო. „არაეროვნული უნივერსიტეტი, რომ ეგზომ სანუკველი ყოფილიყო მაშინ მერწმუნეთ ევროპელებს ჩვენ ვერ დავასწრებდით" – წერდა გამსახურდია. კავკასიაში ინტერნაციონალური უნივერსიტეტის გახსნას „ტროასეულ ცხენს" ადარებს. ასეთი უნივერსიტეტის არსებობა მწერლის აზრით, საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ქართველ ერს, არამედ საქართველოში მოსახლე

სხვა ერებსაც. ეს ინსტიტუტი საშიში „კონტრაბანდის შემოტანას” ნიშნავდა თბილისში.

ქართული უნივერსიტეტის არსებობას უდიდესი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. საბჭოთა საქართველოში ქართულ ენაზე წარმოებული საუნივერსიტეტო, სამეცნიერო საქმიანობა და კულტურული კვლევები უნივერსიტეტს ფართო ავტონომიის შესაძლებლობას აძლევდა. ეს კარგად ჰქონდა გააზრებული კონსტანტინე გამსახურდიას.

მწერალმა, 1922 წელს კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა საკუთარი კულტურული პოლიტიკა, პუბლიცისტურ წერილში „ჩვენი კულტურული პოლიტიკა.” „როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს თავის სასიცოცხლო ძალასო” - წერდა მწერალი და აქედან გამომდინარე საქართველოში კულტურული დიქტატურის გამოცხადებას მოითხოვდა. პოლიტიკა, მწერლის ბედისწერა გახლდათ. მას შემდეგ რაც გერმანიას და მის ძლიერ სულს ეზიარა, ნაციონალურმა პოლიტიკამ უფრო დიდი ადგილი დაიკავა არა მარტო მის პუბლიცისტიკაში, არამედ მის მხატვრულ შემოქმედებაში.

პოლიტიკისაკენ სწრაფვა 1925 წლიდან დაიწყო. მას გენეტიკურად გადმოეცა ყველა ტკივილი თაობათა მიერ ნაანდერძევი. გერმანული სინამდვილითა და ჰეროიკული სულისკვეთებით შთაგონებული მწერალი ევროვნულ ნაციონალურ პოლიტიკაში გამორიცხავდა კომპრომისებს.

ერის უკვდავების, ძალმოსილების ერთ-ერთ ნიშნად რასობრივი სიწმინდე მიაჩნდა. წმინდა რასობრივი პოლიტიკა გახდა მისი არაერთი პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილების უმთავრესი განსჯის საგანი. გერმანულ ძლიერ რასასთან პარალელის გავლებით, მწერალს სურდა გენის და ჯიშის სიყვარული გაეღვიძებინა ქართველი ერის გულში. მიაჩნდა, რომ ქართული სულის რენესანსი, ქართული ნაციონალური კულტურის აღდგენა, იყო საფუძველი ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისა.

კონსტანტინე გამსახურდია - ქართული სალიტერატურო ენის შესახებ

„დღე და ღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას,
როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს”

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკაში არაერთი წერილი თუ ესსე ეძღვნება ქართულ სალიტერატურო და სამეტყველო ენას. XX საუკინის 30-40-იან წლებში შექმნილი წერილები „სალიტერატურო ქართულისათვის”, „როგორ ვწერ?”, „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის”, „ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის”, „ლექსიკოლოგიური შენიშვნები” – ანალიტიკური ხასიათისაა, სადაც მწერალი ერთგვარ ენათმეცნიერულ კვლევას ატარებს ქართული ენის ფორმირებისა და განვითარების საკითხებზე. მწერლის თეორიული დებულებები ქართული სალიტერატურო ენის შესახებ დღესაც აქტუალურია.

კ. გამსახურდია დიდი მასშტაბებისა და მკაფიო ინდივიდუალობის მხატვარია. მწერლის პროზა, გამოირჩევა კომპოზიციითა და სიუჟეტის განსაკუთრებული სტრუქტურით, ენობრივი-სტილისტური თავისებურებებით.

ბ-ნ კონსტანტინეს მხატვრული ენა და მისი ბრძოლა ქართული ენის სიწმიდისათვის არაერთხელ გამხდარა კრიტიკისა და განსჯის საგანი.

კ. გამსახურდიას წინააღმდეგ დაწერილ მრავალ წერილთა შორის გვინდა გავიხსენოთ გაზეთ „კომუნისტში” 1950 წელს გამოქვეყნებული სტატია, სადაც ვკითხულობთ: „დროა საზღვარი დაედოს კონსტანტინე გამსახურდიას ყოვლად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ქართული სალიტერატურო ენისადმი”. მწერალს სალიტერატურო კრიტიკა დიდხანს უყიჟინებდა ენის სიმძიმის გამო. სერგი ჭილაია აღნიშნავდა, რომ XX საუკუნის ქართულ პროზაში არავის მოუხერხებია ისე ოსტატურად გაეერთიანებინა ხედვა და სმენა, როგორც გამსახურდიამ შეძლო.

ამ მხრივ, საინტერესოა თვით გამსახურდიას დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი. მწერალს მიაჩნდა, რომ მწერლობაში ყოველ სიტყვას, ხატოვნებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. მისთვის მწერლობა იყო – ენობრივი ფენომენი. კ. გამსახურდია ქართული ენის შემობრუნებას ცდილობდა პირველი საწყისისაკენ. „უკან დავიხიოთ გიორგი მერჩულისაკენ” - ასეთი იყო მწერლის ლოზუნგი.

ერის უმთავრესი განძი არის ენა. კონსტანტინე გამსახურდია ქართულ სალიტერატურო ენის საკითხებზე დაწერილ პუბლიკაციებში მთავარ აქცენტებს აკეთებს ენის სიწმინდესა და მის განვითარებაზე. მისი აზრით, ენა ურთულესი ფენომენია. „მრავალი საუკუნის მანძილზე იბრძვის და იღწვის ესა თუ ის ერი, რათა თავისი წარმოდგენათა კომპლექსი გააფართოვოს. იმისათვის, რომ ყველას და ყველაფერს თავისი შესაბამისი შესატყვისი გამოუძებნოს"

კონსტანტინე გამსახურდიას 1933 წელს ქუთაისში გამომავალი გაზეთის „სიტყვა და საქმის" კორესპონდენტმა ჰკითხა „როგორ წერთ?". პირველი პასუხი საოცარი იყო: „ჰმ!". ეროვნულობის „სახადით" დაავადებულ გამსახურდიას მწერლის ხელობა ბრძოლის „იარაღად" ჰქონდა შემართული, ღვთიური ნიჭით მომადლებული შემოქმედისათვის ბრძოლა მარადიულ სიცოცხლედ ქცეულიყო.

შაინტერესოა, მაინც როგორ წერდა გამსახურდია? როგორი იყო სიტყვის დიდოსტატის შემოქმედებითი არეალი? ყველა მისი გენიალური ქმნილება, წერილი, ესსე იძლევა პასუხს ამ მარადიულ შეკითხვაზე.

და მაინც, საიდუმლოდ რჩება მისი „ოლიმპის" ლაბირინთები. „მე დიდის სიყვარულით ვეთამაშები ქართულ ასოებს, გაოცებული შევსცქერი მათ".[18,397] ამ წმინდა ადამიანური პასუხიდან ნათლად ჩანს მწერლის პასუხისმგებლობა მშობლიური ენისადმი. მისი დამოკიდებულება დედაენისადმი, რომელიც ამავე წერილში „ანი"-დან „ჰოე"-მდე აკინძული ასოების მოფერებით არის გადმოცემული. ამ წერილის „ანბანთქება" ისეთივე შთაგონებით არის შექმნილი, როგორც მისი ნებისმიერი შედევრი.

ქართული „ფანტასტიური იეროგლიფები" ღვთის წყალობით გენიალური კონსტანტინე გამსახურდიას საიმედო ხელში მოხვდა და შექმნა საუკუნეთა ულმობელ ცვალებადობაზე გათვლილი შედევრები. როგორ იქმნებოდა ეს შედევრები? პასუხი გამსახურდიას ცხოვრების წესშია, მის ეროვნულობასა და თვითმყოფადობაში.

„მთვარის მოტაცებისა" და „დიონისოს ღიმილის" ავტორი ერთხელაც ხმამაღლა იტყვის: „ვწუხვარ მწერლობა პროფესიად რომ მექცა". უბელო ცხენზე გაზრდილი ოდიშელი ჭაბუკი გენშტაბის აკადემიის დამთავრებაზე ოცნებობდა; საბედნიეროდ ეს ოცნება არ აუსრულდა. მრავალი წლის განმავლობაში გამსახურდია მისი რომანების გმირთა პასაჟებით ცხოვრობდა. ქაღალდზე კი მოგვიანებით გადაჰქონდა. მისთვის წერა „შემოქმედების დარდი" იყო. ეს არის განმასხვავებელი ფაქტორი ჭეშმარიტი ხელოვანის შინაგანი სამყაროსა და

„მწიგნობართა” მედროვეობას შორის. „მე შუშის ნატეხით წანათალი ფანქრითაც მიწერია” - ამბობს მწერალი. პოლიგრაფიული წამლების სუნზე შეყვარებული გენიოსი სიყვარულითა და გატაცებით წერდა „თავთუხისფერ” მინდვრებსა და „მეწამულ” ბინდზე. „როცა წერით დავიღლები, თვალს შევავლებ ხოლმე ამ ასოებს, გაოცებული შესცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ იერიგლიფებს. თანაც მიხარია, რომ ლინგვისტები და ფილოლოგები ვერაჟამს ჩასწვდებიან მათთვის ჩათქმულ საიდუმლოებას.”[18,396]

გამსახურდიასთვის თითოეული ქართული ასო, მისტიური, უცნაური სიმბოლიკის შემცველია. იგი ჩვილი ბავშვივით ეფერება ქართულ ასოებს და ქმნის ანბანთქებას, რომლის ანალოგი XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას არ მოეპოვება: „ანი ნამგლისათვის მიუმსგავსებია ქართველ ხალხს, ბანი ყელმოღერებულ ქართულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს, განი ლაგვინებს და ქვევრებს ჰგავს, კბილიანი ასოები ღ, ყ. ლ. დ, რაღაც ქვეწარმავლებს მაგონებს, ზოგიც ხერხებს, სათლელ, სახლეჩ ან სატეხ ხელსაწყოებს. ძალიან მახარებენ ღერიანი ასოები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით წამოვლენ... განების, ყარების, დონების, ენების, ვინების, ფეხები ხრმლებს, წერაქცულებს და წათებს მიაგვანან. ინები ცხენის ნალებს. ვინ იცის ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიის ხრიოკებიდან, ომითა და ზათქით წამოსულს.”[18,396]

წერა გამსახურდიასთვის წმინდათაწმინდა რიტუალია, რომელსაც ძირითადად ნაშუაღამევს ასრულებდა. შემოქმედებითი წვის პროცესში „ქალთა სიახლოვეს” გაურბოდა. „გავოცდი, როცა სვანმა მონადირეებმა მიამბეს ერთხელ: ჯიხვზე სანადიროდ წასვლის წინ მთელი კვირა ქალს არ მივეკარებითო”. [18,399]

მწერლის ნებისყოფაზე საუბრისას გამსახურდიას ტოლსტოის, ფლობერის, ვაჟას, ჰიუგოს, რუსთაველის და გოეტეს სატანური შრომის მაგალითები მოჰყავს. „კამეჩის ენერგია სჭირია მწერალს” - ამბობს იგი – ხელოვნება, რომელიც მხოლოდ ფანტაზიით იკვებება ქაღალდზევე რჩება „ვერ წამოდგება ქაღალდიდან”. გამსახურდიასათვის უცხო იყო გამოგონილი მიზანსცენები და პერსონაჟები. ყველაფერი რეალური ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. „პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების სურნელება არ გადაჰკრავს”[18,401]. მითოლოგიისა და ხალხური წყაროების უმდიდრესი საგანძურიდან გაცოცხლებული ეპიზოდები მისი კალმის მეშვეობით

ახალ ცხოვრებას იწყებდნენ. კონსტანტინეს არც ერთი პერსონაჟი და მწერლური პასაჟი ერთმანეთს არ ჰგავს. მათი უკვდავების საიდუმლო მხოლოდ გამსახურდიამ იცის და აქ შეკითხვა „როგორ წერს კონსტანტინე?" უპასუხოდ რჩება.

მთავარი მამოძრავებელი „არტერია" გამსახურდიასთვის არის მისი უდიდებულესობა - „სიტყვა". მისივე თქმით სიტყვათა მარაგი არ ჰყოფნიდა და მათ ძველქართულსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეძებდა. მას მიაჩნდა, რომ „სიტყვებიც სცვდებიან", ამიტომ იგი ერიდებოდა ათასჯერ ნახმარ სიტყვათა კომბინაციებს. მთავარი სათქმელის გამოხატვის ფორმის ძიება მწერლისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც პერსონაჟისა და გმირების გალერეის შექმნა. „ – კრიზისებიო?

ხანდახან მაქვს, ხელი შემიჩერდება, წერაზე გული ამეყრება, წავალ, ცხენზე შევჯდები, ვინადირებ, ხან სპორტით გავერთობი... მომიგროვდება ენერგია შეწყვეტილ ხელნაწერს ისევ გადმოვიღებ მივადგები კატასტროფის ადგილს და სამშვიდობოს გავალ." [18,399]

ყველა დიდი შემოქმედის დარად გამსახურდიასაც ჰყავდა მოშურნეები და ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია: „ხელს რა მიშლიდა? უმეცართა სულმოკლეობა და მოშურნეთა სისინი." გამსახურდიასთვის დიდი და პატარა ნაწარმოები თანაბარი შემოქმედებითი წვის შედეგი იყო. პროტოტიპების ძიება და ახალი სახეების შექმნა ტიტანური შრომის შედეგად მიიღწეოდა. შემოქმედების ბედნიერების განცდა და მისით გამოწვეული სიმძიმე გამსახურდიას თანაბარ ფაქტორებად მიაჩნდა. მას შესწევდა უნარი ხილული, განაგონი, ნანახი, არსებული და არარსებული „დინამიურ სამყაროდ" ექცია. ეს შეეძლო მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას. ეს „სატანური ნებისყოფა", როგორც თავად ბრძანებს „საბრძოლო" ტაქტიკა იყო დიდი შემოქმედისათვის.

სიცოცხლის შუაგულში მებრძოლი დიდოსტატი მუდმივად სიტყვის ძიების და გამოძერწვის პროცესში იყო. ეცნობოდა ხალხის მეტყველებას, სწავლობდა მსოფლიოს ხალხთა ადაპტ-წესებს, მოგზაურობდა. ქართული სიტყვა იყო კონსტანტინეს მთავარი მამოძრავებელი ძალა: „ცუდი ქართულით მოუბართ შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ. ცუდი ქართულით დაწერილ ლიტერატურას არ, ან ვერ ვკითხულობ" - ამბობდა იგი.

მარადიულ კითხვაზე „როგორ ვწერ?” –კონსტანტინე გამსახურდია უბრალოდ პასუხობს: „დღე და ღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს”.

კონსტანტინე გამსახურდია უმთავრეს მნიშვნელობას ენის ტრადიციებსა და ენის კულტურას ანიჭებდა. ეროვნული მსოფლმხედველობის მწერალი, სათუთად უვლიდა და ეპატრონებოდა მშობლიურ ენას. ამისთვის გარჯა და დაფიქრება მას უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდა. ერის მთავარი „გასაღები”, ხომ მართლაც ენაა. სავსებით გასაგებია გამსახურდიას თავგამოდებული ბრძოლა ქართული ენისათვის. ამის ახსნას თავად დიდოსტატი იძლევა: „რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაური ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთჯერი სიცოცხლეც მოკლეა.”[17,43]

1945 წელს, კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს წერილს სათაურით „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის.” სათაურიდანვე ნათელია, რომ ზოგადად ენის თემა ამოუწურავია ავტორისათვის. როგორც თავად ამბობს, მკვდარი ენების შესწავლას სპეციალისტები მთელ სიცოცხლეს ანდომებენ, „ცოცხალი ენის შესწავლას, იგიც ისეთისა, როგორიცაა ქართული, თხუთმეტზე მეტი საუკუნის ტრადიციების მატარებლისას, უფრო მეტი სიძნელეები ახლავს.” [17,44]

მარტოოდენ წარსულის მიღწევათა დაუფლება სრულიად არასაკმარისად მიაჩნია. მისი აზრით, საჭიროა ძველის საფუძველზე ენის მუდმივი განვითარება. ზოგიერთ ევროპულ ენებზე კვლევა-დაკვირვებით ავტორი ასკვნის, რომ „დიდშტოვანი ენები”, რომელნიც დღეს მსოფლიო ბატონობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ათიოდე საუკუნის წინ „წარმოადგენდნენ უმარტივეს, განუვითარებელ, არაკეთილხმოვან ენაკავებს”. ეროვნული საგანძურისათვის, ენისათვის, თავდაუზოგავ ბრძოლას მწერლების უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს. მაგალითისთვის მოჰყავს ბალზაკის, ფლობერის, სტენდალის, ტოლსტოის, ლორდ ბაირონის და პოლ ვერლენის მოღვაწეობა ამ მიმართულებით.

„ქართული ენა უხუცესთაგანია, როგორც ევროპის, ისე წინააზიის ენათა შორის”... მწერალი აღნიშნავს, რომ ქართული ენა დიდხანს საზრდოობდა ძველბერძნული ენიდან. ამის დასტურად მოჰყავს იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა და სხვა უცნობი ავტორების

შემოქმედება. მათი შესწავლის საფუძველზე, გამსახურდია ასკვნის, რომ ამ მწერლებმა შექმნეს „მაგისტრალური ხაზი" ქართული ენისა და აქციეს იგი მწერლობისა და ფილოსოფიის ენად.

ქართულმა ენამ გამსახურდიას აზრით, „სრულასაკოვნობას" XI საუკუნეში მიაღწია. პეტრიწონელის ენას იგი „ უცნაურ გოტიკას" უწოდებს და მიაჩნია, რომ ის ჯერ კიდევ „შეუსწავლელი პლანეტაა." ქართული ენის გენიამ შექმნა „განსაცვიფრებელი რეალისტური პროზა". „ქართული ენის სიტყვიერმა ინვენტარმა" დაწერა არა მარტო „ვეფხისტყაოსანი," არამედ თარგმნა „ვისრამიანი", შექსპირის ღვთაებრივი კომედიები. მწერლის აზრით, ქართული ენის „მამამთავარნი". საკუთარი კულტურული დიალექტიდან კი არ უდგებოდნენ „სიტყვაქმედობას," არამედ ენის გამდიდრებას მისი კულტურის ამაღლებით ცდილობდნენ.

ქართული სალიტერატურო ენისადმი მიძღვნილი წერილების ციკლში ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ენისა და ნაციონალური სახელმწიფოს ურთიერთობას. გამსახურდია მიიჩნევს, რომ ერს, რომელსაც ნაციონალური სახელმწიფო არ გააჩნია, ვერ შეასრულებს „დიდ კულტურულ-ისტორიულ მისიას."

XVII–XVIII საუკუნეების მატიანეთა გადაკითხვის შედეგად მწერალი დარწმუნებით აცხადებს, რომ „გაღატაკებულია ამ პერიოდის ენა, მას აკლია ის ფოლადისებური სიბასრე, რომელიც „ვისრამიანის" მთარგმნელის, ჯუანშერ ჯუანშერიანის, ლეონტი მროველის ქრონიკებს, დავითისა და თამარის მემატიანეთა ენას ახასიათებდა." გამსახურდია მიიჩნევს, რომ ქართული სიტყვა „დაშრეტისაგან" მხოლოდ საბა ორბელიანმა, „ჭეშმარიტად მამამ სამშობლოისამ" გადაარჩინა. საბას დამსახურებას, მის წამებულ ცხოვრებას, დიდ შეფასებას აძლევს მწერალი და ამბობს: „საკუთარი ენის გაღრმავება და გაალმასება ისეთივე დიდი საქმეა, როგორც ხმალშემართულად დაცვა მამულისა."[17,46] გამსახურდიასთვის, როგორც დიდი ერისკაცისთვის, სრულიად ფასდაუდებელი საქმეა ნაციონალური ენის დაცვა. „ენააღრეული საქართველოს მწუხარე ფონზე" საბა ორბელიანმა „ხელახლა აღუძრა ქართველობას დიდი და ბრწყინვალე ქართული ენისათვის ოცნება."

ქართული ენის წინაშე არა ერთი საფრთხე იდგა. გამსახურდიას დაკვირვებით, კი მათ შორის ყველაზე მტკივნეული „გასოფლურება" იყო. „საფრთხე მოგველოდა – რუსთაველისა და მერჩულეს ენა არ გადაქცეულიყო

ორღობის ენად.” ამ საქმეში ავტორი ხედავს, ნიკო ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის უდიდეს ღვაწლს, რომელთაც ბევრი რამ გააკეთეს „დარბაისლური ქართული ენის აღდგენისათვის.” „არსებითად ილია და აკაკი იყვნენ გამაგრძელებელნი იმ მაგისტრალური ხაზისა, რომელიც მეხუთე საუკუნიდან მომდინარეობს.”[17,48] სალიტერატურო ენისადმი მიძღვნილ წერილთა ციკლში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვაჟა-ფშაველას ენას. „ვაჟა თავის პროზას, ეთნოგრაფიულსა და კრიტიკულ წერილებს გამართული, თავანკარა ქართულით სწერდა, ხოლო ლექსებს ფშაურ დიალექტზე.”[17,49] გამსახურდიას აზრით, ვაჟას პოეზია უფრო მოიგებდა კუთხური კილოს შერბილებით.

ენის საკითხებზე მსჯელობისას მწერალი კრიტიკას არ ერიდება. ენის განვითარების გზის ჩვენება მისი დასკვნით, უპირატესად შემოქმედის საქმე ყოფილა მუდამჟამს. ყველა დანარჩენ მცდელობას მწერალი „უსაზმნო მელნის ხარჯვას” უწოდებს. ენის კულტურის პროგრესზე საუბრისას, იგი მიუთითებს, რომ შემოქმედი ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ მიზნისათვის თავგანწირულ შრომას. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე სასტიკად ებრძოდა გრიგოლ ორბელიანის გეზს ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში. ავტორის აზრით, „ილია რომ იქ გაჩერებულიყო, სადაც ნიკო ბარათაშვილი და ორბელიანი შესდგნენ, ქართული ენა ჩვენამდის ვერ მოაღწევდა.” [17,50]

საკუთარი ენის „წინწაწევა” კონსტანტინე გამსახურდიას „მარტვილობის” რანგში აჰყავს. ისეთი მარტვილობის, როგორიც მიქელანჯელოს დაადგებოდა ხოლმე, როცა იგი მარმარილოს ლოდებს ებრძოდა საჭრეთლით ხელში. აქ კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, რომ „დიდოსტატის მარჯვენაში” მის „იგავურ ენას” ზოგნი ვერ მიუხვდნენ. მწერალი კვლავ იმეორებს არაერთგზის ნათქვამს – „ხელოვნება თამაში როდია: ხელოვნება ერთ რამეში ვენეციელ ვაჭარსა ჰგავს: თუ გულის არედან ამოგლეჯილი ხორცი არ შეაგდე სასწორის ფიალაზე, ეს ხელმოცარული ცდები, ან თამაში გამოვა უცილოდ.” [იქვე,50] წერილში ერის მთავარ მამოძრავებელ ძალასთან - ენასთან დაკავშირებით მარტივად სვამს კითხვას და მარტივ პასუხსაც გვაძლევს: „ენა რაღაა? ენა უმძიმესი შრომით მონახვეჭი ქვა და ღუღაბია.” [იქვე]

ქართული ენის ლექსიკის საკითხების განზოგადებისას, მიუთითებს ევროპელი ხალხების ენების სიტყვათა მარაგზე. „ეს ენათა ოჯახი ისეა

შეკრული ნათესაური არტახებით, ყოველ მათგანს შეუძლია თამამად დაესესხოს მეორეს.” [იქვე]მწერალი გულისხმობს ინგლისურ-საქსურის, გერმანულის და სლავური ენების იდიომურ ოჯახებს. რაც შეეხება ქართულ ენას, „ქართული ენა ობლად დგას კავკასიისა და წინააზიის ენათა შორის.”[17,51] ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში მწერალი დიდ ბარიერად ასახელებს მომრავლებულ ენაკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იძლევიან მდიდარ ლექსიკურ მასალას, ენაკავი მაინც გარკვეულწილად ზღუდავს ენას. სალიტერატურო ქართულში სავსებით მისაღებად მიაჩნია პარალელური სიტყვების, ომონიმების შემოღება. ოღონდ, ამ შემთხვევაში მისი დაკვირვებით, შემოქმედს ზომიერებისა და გემოვნების გრძნობამ არ უნდა უღალატოს. წარმოგვიდგენს რა ქართული სამეტყველო ენის გეოგრაფიას ქართლის, კახეთის, თუშ-ხევსურეთის, საქართველოს მთიანეთის, სამცხე-საათაბაგოს, გურიის, იმერეთის, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის პროვინციათა სახით, მიუთითებს, რომ ქართული ენის სიტყვიერი მარაგი სწორედ ამ დიალექტებიდან უნდა ვისესხოთ. ხოლო, ქართული ენის სიღრმე და მასში არსებული მდიდარი ნიუანსები მუდმივ განახლებას უნდა განიცდიდეს. ავტორი ასაბუთებს, რომ „ახლო წარსულის ქართულ პროზაში სამიათასამდე ძირეული სიტყვა ტრიალებდა.” რაც შეეხება ზოგადად ქართულ პროზას ჩვენი პროზაული გმირები საქართველოს კუთხეთა შვილები იყვნენ და სიტყვათა გამოყენების დიდ მარაგსაც არ საჭიროებდნენ. საილუსტრაციოდ ავტორი შეგვახსენებს ვაჟა-ფშაველას, რომელიც ფშაველებს ხატავდა, დავით კლდიაშვილს იმერელი პერსონაჟებით და ალექსანდრე ყაზბეგს საქართველოს მთიანეთის მოსახლეობით.

ქართველი კაცის მოქმედების ასპარეზის გაფართოებამ, საუკუნის ცხოვრების გართულებამ თავისთავად მოიტანა საერთაშორისო მოცულობის მსოფლმხედველობის საჭიროება. დადგა აუცილებლობა „ქართული ენის ლექსიკური ფარგალის” გაფართოებისა. გამსახურდია არაერთხელ გაუკრიტიკებიათ ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებს ახალი ქართული სიტყვების შემოტანის, რეკვიზიტებისა და აქსესუარების აღწერის გამო. ამას ზოგჯერ თვითონაც ერთგვარ „ცოდვად” აღიარებდა, რაც ობიექტურობით იყო განპირობებული. თუმცა, რაც შეეხება ქართულ სინტაქსს, ძირეულად მას არ შეხებია.

კონსტანტინე გამსახურდია არ არის სქემატური ფაბულის მიმდევარი. მისი აზრით, „დიდი რომანისტი პირველი გვერდებიდანვე ხელს მოსჭიდებს მკითხველს და აღარ მოეშვება.” ასეთ პრინციპზეა აგებული „დოდოსტატის მარჯვენა”, „დავით აღმაშენებელი”, „მთვარის მოტაცება” და მისი ნოველების ფაბულები. დიდოსტატი იყენებს თხრობის სხვადასხვა ხერხს, პირველ პირს, მესამე პირს, დღიურს, და სხვა.

კონსტანტინე გამსახურდიას ენას, ფერთა პალიტრის ენაც შეიძლება ვუწოდოთ. მისი შედევრები ფერთა უსასრულო გალერეაა, რამაც სრულიად განუმეორებელი სახე მისცა ქართულ პროზას. მწერალი ამბობს: „ნახეთ თვით რუსი მწერლები ლერმონტოვი, პუშკინი, ლეო ტოლსტოი როგორ მრავალფეროვნად ხატავენ საქართველოს და კავკასიის ბუნებას.” გამსახურდიას რომანის „მოტორად” ფაბულა მიაჩნდა. მისი ფაბულის სიძლიერე განაპირობებდა სახეებისა და ხასიათების სიმძაფრეს. ყოველივე კი ნაწარმოებს კითხვადობას ანიჭებდა. ამიტომაც დიდი კონსტანტინეს შემოქმედება დროს არ ცნობს და მარადიულია, „ ვითარცა ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი.”

„მწერალთაგან თუ ვინმეს არ მოსწონს ჩემი მუშაობა საქართველოს წარსულის პოეტიზირებისათვის, მე ჯერ არ მომიხდენია ქართული ქრონიკების ანექსია” – ამბობს გამსახურდია. იგი შემოქმედებითი გენიალურობის მწვერვალზე იდგა სიცოცხლეშივე და იგერიებდა კოლეგების შემოტევებს. მუდმივად აცხადებდა, რომ „ვერც ერთი მწერლობა ვერ განვითარდება ნამდვილი შემოქმედებითი ჭიდილის გარეშე.” მას სამართლიანად სწამდა, რომ ლიტერატურა მაღალ იდეურობაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. „კინკლაობა” და „კულისებში ბრძოლა” გამსახურდიასთვის მიუღებელი იყო. ის მოუწოდებდა ყველას: „ვუთხრათ ურთიერთს სიმართლე, გულდაგულ და ვაჟკაცურად, როგორც ჩვენს დიდ წინაპრებს: ილიას, ვაჟას და ორბელიანს სჩვეოდათ ხოლმე.” ლიტერატურული ბრძოლის ნაცვლად მაინც დაუსაბუთებლად აკრიტიკებდნენ. დიდოსტატმა „სალიტერატურო ქართულისთვის” დაწერილ წერილში ამის საპასუხოდ ასე ბრძანა: „დასხდნენ და თვითონ უკეთესი დაწერონ.”

თავისი არსებობის მანძილზე ქართულ ენას ბრძოლისა და კონკურენციის ატანა უხდებოდა ისეთი მაღალი კულტურის მქონე ენებთან, როგორიცაა არაბული, სპარსული ან ბერძნული. აღნიშნული ენები წარმოადგენდნენ არა მარტო სამეტყველო, არამედ სახელმწიფო ენებს. მათ გააჩნდათ უდიდესი დიაპაზონი. ისინი ევროპის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ენათა თუ

კულტურათა ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ. ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოს მეფეთა ზარაფხანებში მოჭრილ ქართულ მონეტებს ცალ მხარეზე ხან ბერძნული დევიზი ეწერა, ხანაც არაბული. ქართულმა ენამ მაინც შეძლო ამ ზეგავლენათა გაბათილება. „ქართული ენა გამარჯვებული გამოვიდა მთელი კავკასიის ტერიტორიაზე."–წერს გამსახურდია.

გამსახურდია ქართული ენის სიწმინდისათვის „დასალაშქრად" მოუწოდებს ყველას, ვისაც ამ საშვილიშვილო საქმეზე ხელი მიუწვდება. 1948 წელს მწერალი აქვეყნებს წერილს, (ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის) სადაც აღნიშნავს, რომ „ქართულმა ენამ ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე მრავალ წარმატებას მიაღწია. ქართული ასოები ამშვენებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ჩერქეზეთის მთებიდან ანისის ტაძრებამდის." მსოფლიოს ენათა შორის ერთ-ერთი უხუცესის და უმდიდრესის – ქართული ენის – სიწმინდის დაცვა უმნიშვნელოვანესი საქმეა და მას ალტერნატივა არ გააჩნია. მწერლის მოსაზრებით, მომავალმა თაობებმა ენის დასახვეწად ბევრი უნდა იმუშაონ, რომ ქართულ ენას თანამედროვეობის იერი მიეცეს. გამსახურდია განსაკუთრებულ საფრთხეს ხედავს „მეტყველების დაუდევრობაში." მან თითქოს წინასწარ განჭვრიტა, რომ XXI საუკუნეში ასე მწვავედ დადგებოდა მშობლიური ქართულის დაბინძურების საკითხი. თუ დავაკვირდებით, ჩვენი დროის ქართული ბეჭდვითი, ელექტრონული მედიის, თუ ტელეეთერის „სამეტყველო ენას" დავრწმუნდებით, რომ კონსტანტინეს შიში საფუძველს მოკლებული არ იყო. სწორედ „მეტყველების დაუდევრობა" არის „გამჯდარი" ჩვენს ყოველდღიურობაში. ჟარგონისადმი მიდრეკილების ტენდენცია, რაზეც გამსახურდია საგანგებოდ წერდა გასულ საუკუნეში, ჩვენში თვითდინებაზეა მიშვებული.

„ჟარგონის" განმარტება კონსტანტინე გამსახურდიას მიხედვით ასეთია: „ჟარგონი არის განუკითხავად მოქცევა და მოხმარა ენისა." ჟარგონის წარმოშობის მიზეზად მწერალი ცნებების ერთი ენიდან მეორეში „ყურით გადათრევას" უწოდებს. XXI საუკუნის საქართველოს დედაქალაქშიც ხომ თითქმის ყველა ნაბიჯზე შეხვდებით უცხოენოვან ელექტრო-წარწერებს, რომელსაც ქართულენოვანი თარგმანები არ ახლავს. ეს არის ახალი ენობრივი საფრთხე, რაზეც დიდი კონსტანტინე წინა საუკუნიდან გვაფრთხილებდა.

ენისადმი პატივისცემა, ერისადმი პატივისცემის ატრიბუტია. ეროვნული მსოფლმხედველობა ენის საფუძვლებიდან ყალიბდება. უცხო სიტყვათა უხეშად შემოჭრა სახელმწიფო ენას გადაგვარებით ემუქრება. ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალზე ერთგან, გამსახურდია, სამართლიანად წერს: „პაპიროსის ქაღალდზე წაწერილ „სოვეტსკაია გრუზია-ს“, ვგონებ აჯობებდა დაგვეწერა: „ქართული თამბაქო.” ენაში ეტიმოლოგიური აღრევა ნაკლებად საშიშ პროცესად მიაჩნია ვიდრე სინტაქსური აღრევა. „არც ერთი ენა მსოფლიოში აბსოლიტურად თავისთავადი არაა, მაგრამ თავისთავადობას განსაზღვრული მიჯნა აქვს.” მწერალი ენის „ნაციონალური სადენის” გაფრთხილებაზე და ჟარგონების „ალაგმვაზე” საუბრობს. ქართულ მწერლობაში ჟარგონების ტენდენციას გამსახურდია ხედავდა გიორგი ერისთავისა და ანტონოვის პიესებში. თუმცა, მიუთითებდა, რომ ქართული ენა იხსნეს ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ორბელიანმა და ბარათაშვილმა. ვაჟა-ფშაველასთან დაკავშირებით მწერალი ამბობს: „ამ გენიოსის ჯადოსნურმა ტალანტმა მაღალ ხარისხში აიყვანა ფშავებისა და ხევსურების კუთხური დიალექტი.” მეოცე საუკუნეში ვაჟა-ფშაველას ენას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. თუმცა, როგორც თავად ავტორი დასძენს, „გენიოსისათვის მიბაძვა ყოველთვის საშიშია.”

„ენა უცნაური ფენომენია” – ამბობს კონსტანტინე. ქართული ენისაგან განსხვავებით რუსული ენა არ განიცდიდა რომელიმე ენის „დამმონებელ ზეგავლენას.” რა არის ენა? დიდოსტატის განმარტებით, ენა „მეტყველების იარაღია.” მას აუცილებლად უნდა ახლდეს „იდეოლოგია და იდეური შინაარსი.” ენის ყველა კომპონენტს გამსახურდია „მწერლის ჰაბიტუსს” უწოდებს. მწერლის შემოქმედებაში სტილისტურსა და ენობრივ მომენტებს დიდი დატვირთვა აქვს. „ენის ელემენტარული ნორმები და სწორი წერა” მწერალს უმთავრეს მოთხოვნად წარმოუდგენია. ასევე მიუღებლად მიაჩნია ქართულისა და ქართველურის ურთიერთში აღრევა.

გამსახურდია არაერთ შენიშვნას აქვეყნებდა ქართული ენის სახელმძღვანელოების გამო. ენის გამდიდრების თვალსაზრისით სავსებით დასაშვები უნდა იყოს დიალექტებისა და კილოკავების წიაღიდან ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რაც მხოლოდ შეავსებს ენას. ვაჟა-ფშაველას გმირთა მეტყველებაში არსებული პარტიკულარიზმი, დიდად სასარგებლოდ მიაჩნდა. მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილებას ითხოვს მწერლობაში ნეოლოგიზმების, კომპოზიტებისა და ხალხურიდან შემოტანილი სიტყვების

მიმართ. ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნიკურ პროგრესთან ერთად ხალხის მეტყველებაც იცვლება. გამსახურდია აღიარებს „ენის ცვალებადობას.” ამ თვალსაზრისით, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ლექსიკოგრაფებს.

ქართულ ენას, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობის შემქმნელს, ბუნებრივად აქვს დადგენილი სათანადო ნორმები. ამ ნორმებიდან გადახვევის ტენდენციებს გამსახურდია ხედავს შიო არაგვისპირელის, გიორგი წერეთლის, დავით კლდიაშვილის და ეგნატე ნინოშვილის მეტყველებაში. მწერლის აზრით, ენობრივი ლაფსუსების არსებობა ჩანასახშივე უნდა მოისპოს. ეს განსაკუთრებით ეხება სასკოლო სახელმძღვანელოებს.

ქართულ ენას, მწერლის დაკვირვებით, დიდი დიაპაზონი მოეპოვება. უამრავი მკითხველი ჰყავს ქართულ წიგნს და ასიათასობით ადამიანმა მიაშურა ქართულ უნივერსიტეტს: „გლეხური გუთნეულებიდან დაძრული ასიათასებით გავსილა აუდიტორიები” – წერს 1936 წელს წერილში „სალიტერატურო ქართულისათვის.” მწერალი „წიგნის გააქტიურებაზე” უდიდეს იმედს ამყარებს. ქართულ ენაზე დაწერილი წიგნი მისი აზრით, ერის სიმდიდრეა. ამ წერილში გამსახურდია უკმაყოფილებას გამოხატავს კრიტიკოსების მიმართ, რომელთაც ენის თვალსაზრისით არ განუხილავთ შრომები. ამ საქმეში იგი საყვედურობს რედაქტორებსა და სტილისტებს. „მკითხველის თვალში უდიდესი მნიშვნელობა აქვს წიგნის ენასა და ენის სიფაქიზეს, ვინაიდან ცუდი ენით დაწერილი წიგნი მტვრიან სათვალესა ჰგავს, ხანაც მურით შეთხუპნულ მინას ფანჯრისას.” [17,31]

ქართული ენის სიწმინდის საკითხი კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ პრობლემად მიაჩნია. ენის სათუთად მოვლა მას ქართველი მწერლების მისიად წარმოუდგენია. ქართული ენის დამახინჯებაში მწერალი დიდ საშიშროებას ხედავს: „ენას რყვნიან უპირატესად ქართულის არმცოდნე მწერლები, ჟურნალისტები და მთარგმნელები. ენობრივი ლაფსუსები ჯერ კიდევ გააზრების პირველადს პროცესში ისახებიან.”[იქვე] მწერალი ენის დაბინძურების ერთ-ერთ მიზეზად ქართული ენის ეტიმოლოგიისა და სინტაქსის, ლექსიკის „უხეირო პროვინციონალიზმებითა და უცხო სიტყვებით” „ჩახერგვას” ასახელებს.

მწერალი ქართულ პროზაში დამკვიდრებულ უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს და „ენის გარყვნის” მიზეზებს კატეგორიებად ყოფს: ეს არის დიალექტი, დაუდევრობა, პროვინციული ჟარგონი: „უდიდესი მავნებლობა პროზის წიაღიდან მოდის. იმის გამო, რომ პროზას არ სჭირდება რიტმი და

მუსიკა, „უკულტურო მწერალს" ჰგონია უფლება აქვს „უცხო სიტყვა ან პროვინციონალიზმი შემოათრიოს ლიტერატურაში."[17,32] ენისადმი ასეთი სათუთი დამოკიდებულებით ქართული ეროვნული ცნობიერების ფესვებს ამყარებს და „ხალტურული კომედიებიდან" ენის გათავისუფლებისკენ მოუწოდებს მწერლებს. მისი აზრით, მწერალს არა აქვს უფლება „რეკომენდაცია გაუწიოს ამა თუ იმ სიტყვას." ენის სიწმინდის დამცველი გამსახურდია სრულიად დაუნდობელია იმათ მიმართ, ვინც ვაჟა-ფშაველას ენას „წახედა." ასეთ მწერლებს რომაულ ანდაზას შეახსენებს, „რასაც იუპიტერს აპატიებენ, იმას ხარს არავინ შეუნდობსო."

გამსახურდიას მიაჩნია, რომ ლიტერატურისა და ენის „სასიცოცხლო ენერგია" ეროვნული მწერლობის განვითარებას უნდა მოხმარდეს. ქართული ენის სიწმინდეზე ზრუნვა მწერლის თქმით, არ ნიშნავს „კარჩაკეტილობის ქადაგებას". „ყოველი ცოცხალი ენა უპირველეს ყოვლისა მახლობელი, მონათესავე ენებიდან და ენაკავებიდან სესხულობს ახალსა და ახალ მარაგს." ენის დაზიანების თავიდან ასაცილებლად მწერალი „ქართული სინტაქსის გამართლება-გაჯანსაღებას" მოითხოვს. ზოგადად ქართული ენის დახვეწისათვის მხოლოდ თეორიული მსჯელობა მწერალს საკმარისად არ მიაჩნია და განათლებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ყურადღების გაზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

***

„უკან დავიხიოთ გიორგი მერჩულისაკენ" - ამ ლოზუნგით გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდია და ახალი რითმებით აამეტყველა ქართული მრავალსაუკუნოვანი, სალიტერატურო ენა.

კონსტანტინე გამსახურდიამ შექმნა ისეთი ენობრივი ფორმები, რომელსაც შინაგანად მუსიკალური ჟღერადობის დატვირთვა გააჩნია. მწერლის რომანების სალიტერატურო ენა ქართული მხატვრული აზროვნების არაორდინალური სტრუქტურით გამოირჩევა. მწერალმა მხატვრული ენის შინაგანი დინამიური ჟღერადობა, ფრაზის ალიტერაციული გამართვით შეძლო. სიტყვიერი მასალის მოძიებასა და შერჩევას უდიდეს დროსა და ენერგიას ანდომებდა.

დიდოსტატის მხატვრული ლექსიკა, მხატვრის პალიტრასავით მრავალფეროვანია და სიტყვათა შერწყმის სრულიად ახლებური ფორმებით არის გაჯერებული. საინტერესოა გამსახურდიას სრულიად განსხვავებული სიტყვათწყობა, თხრობის თავისებური მანერა... კონსტანტინე გამსახურდიას

სიტყვათა უსასრულო მარაგი ქართული მხატვრული ენის საგანძურს მიეკუთვნება.

„საერთოდ მწერალი უნდა ერიდოს სხვისი ნათქვამის გამეორებას, ყოველ სიტყვას, ხატოვანებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ჩემთვის მწერლობა უპირველესად არის ენობრივი ფენომენი“. – წერდა დიდოსტატი

გამსახურდიას პოეტიკასა და სალიტერატურო ენას საგანგებო გამოკვლევები და მონოგრაფიები მიუძღვნეს: შ. ძიძიგურმა, გ. მერკვილაძემ, ზ. ჭუმბურიძემ, ს. სიგუამ, რ. თვარაძემ, თ. კიკაჩეიშვილმა, ნ. ლემონჯავამ და სხვებმა. მწერალი ქართული ენის ფორმებში ეძებს ხატოვან ფერებსა და მუსიკალურ ბგერებს. სიტყვათა „თამაშით” შეზავებული ლექსიკა, მწერლისთვის წერის დროს მისტიურ იარაღად გარდაიქმნება. ამიტომ არის დიდოსტატის ენა სრულიად გამორჩეული და განუმეორებელი. ფრაზების არაორდინალური შერწყმით შექმნილი მისი შედევრები საუკუნეების ცვალებადობას არ ცნობს.

უჩვეულოდ დიდია მწერლის დიაპაზონი და მხატვრული ენის ფერთა პალიტრა. პერსონაჟები, მხატვრული ტიპები – მწერლის მაგიური ენობრივი პალიტრის უჩვეულო პირმშოები არიან. მწერალი პერსონაჟთა რელიეფურად გამოსახატავად მიმართავს პორტრეტის ხერხს. ყველა პეიზაჟი არის დასრულებული ფერწერული ტილო, რომელიც დროთა მდინარებაში ბრწყინვალებას, მარადიულად ივსებს. მისი სამწერლო ენა არქაიზმებისა და ფოლკლორის საგანძურისგან იღებს საზრდოს. თუმცა, ამ გზით მოპოვებული სიტყვათა ენერგეტიკული ბალანსი, გამსახურდიას კალმის მეშვეობით, სრულიად ახლებურ, სასიცოცხლო და პირველქმნილ სახეს იღებს

მწერლის ენის ლექსიკური ფონდი, წლების მანძილზე ივსებოდა. მან გადაახალისა სინტაქსური წყობა. შეცვალა ფრაზის აგების წესები, წინადადებები. მწერალი, დროსთან შესარკინებლად ყოველ შედევრში ქმნიდა ახლებურ, ლექსიკურ ფონდს. ქართული ენის ისტორიის ფესვებიდან ამოზრდილ სიტყვას, მან ხატოვანებისა და მუსიკალურობის სული შთაბერა. ამით გააცოცხლა ძველი ქართული ენა და შექმნა ახალი ენობრივი საუნჯე. მან აღადგინა - ჲ (იოტა). ძველ ქართულ ენაში გავრცელებული ფორმები (ფუძეთუკვეცელობისა და უკუმშველობის წესები) და ისინი ახლებური სიტყვაკაზმულობით გაამდიდრა.

კ. გამსახურდიამ, რიტმი დაუმორჩილა თხრობის საერთო მდინარებას. მის ფრაზას უაღრესად გამორჩეულ ჟღერადობას აძლევს სხვათა სიტყვის „ო”. ეს

იმდენად სპეციფიკური ნიშანია, რომ მისი გადატანა სხვა მწერლის – პრაქტიკაში შეუძლებელია. მან შექმნა საკუთარი სტილი და განუმეორებელი ინდივიდუალური სამწერლობო ენა.

მწერალი მოითხოვდა ენის არქაული ლექსიკურ-სინტაქსური ფორმების აღდგენას. მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, საჭირო ოყო ენას ახალი სასიცოცხლო ძალები მოეხვეჭა.

ქართული ენათმეცნიერების დაკვირვებით დადგინდა, რომ მწერალი, ტიპის, შინაგან სულს, რეალისტური და რომანტიული მონუმენტური ხედვითი, მანერების ურთიერთშეხამებით ხსნის. მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პეიზაჟს. მისთვის პეზაჟი ნაწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო. ბუნების პეიზაჟები, ხან სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობისაა, ხან კიდევ ისეთი დეტალით მოექცევა ყურადღების ცენტრში, რომ გვეხმარება პერსონაჟის განწყობილების, მისი ბუნების გახსნაში.

ქართული სიტყვის დიდოსტატი, პერსონაჟებს ამეტყველებს ინგლისურ, გერმანულ, აფხაზურ, მეგრულ ენასა და კილოკავებზე. ამ ხერხით მწერალი ამძაფრებს პერსონაჟის მეტყველების ინდივიდუალურობას. ქმნის დაუვიწყარ სურათ-ხატებს, რომელსაც მხატვრული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი გააჩნია. მთავარი გმირების სამეტყველო ენა ისეთი მძაფრი ხატოვანებით გამოირჩევა, რომ მკითხველი მათ გამოყენებული ფრაზეოლოგიითაც იმახსოვრებს და გამოარჩევს სხვათაგან.

ისტორიული მოვლენების აღწერისას მწერალი მიმართავდა არქაულ ფორმებს, ამით შთაბეჭდილებას მატებდა ფრაზას. თუმცა, მწერლისთვის არასოდეს უღალატია ზომიერების გრძნობას.

მწერალი არ იზიარებდა თანამედროვე ქართულის ცალკეულ ორთოგრაფიულ ლექსიკურ და სინატაქსურ-ფრაზეოლოგიურ ნორმებს. ტიციან ტაბიძე კონსტანტინეს ენასთან დაკავშირებით წერდა: „მე არ ვამართლებ მის ყველა არქაიზმს, მაგრამ საერთოდ, იგი არ უხვევს ქართული ენის ბუნებას და ისე მოხდენილად იმარჯვებს მას, რომ იწვევს მკითხველის აღტაცებას.”

მწერალს თავის დროზე ბევრს უკიჟინებდნენ არქაიზმების ჭარბი გამოყენების გამო. იგი ყოველთვის შეუპოვრად იცავდა თავის ენობრივ პოზიციებს ასეთი ოპონენტებისაგან, ვინაიდან, მის ნაწარმოებში პერსონაჟთა ხასიათების ინდივიდუალიზაციისა და ისტორიული კოლორიტის წარმოსაჩენად,

არამც თუ დასაშვებად, არამედ აუცილებლად მიაჩნდა სალიტერატურო ენაში არქაიზმების ზომიერი გამოყენება.

მწერალი ორიგინალურ შემოქმედებას ყოველთვის უთანხმებდა ინტენსიურ მთარგმნელობით მუშაობას, რის შედეგედაც ქართული თარგმანით ლიტერატურა გაამდიდრა მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ძეგლით: დანტეს „ღვთაებრივი კომედია", გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი",და სხვა. თავისი მთარგმნელობითი გამოცდილება და ამ ხელოვნების პრინციპები მან განაზოგადა და გაშალა ისეთი თეორიული ხასიათის წერილებში, როგორიცაა: „დაგვიანებული ბიბლიოგრაფია", „თარგმანის ოსტატობისათვის", „თარგმანი და ენის სიწმინდე".

კ. გამსახურდიას კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების შესწავლის თვალსაზრისით მდიდარსა და საინტერესო მასალას შეიცავს მის მიერ ზოგიერთი საკუთარი რომანისათვის დართული ბოლოსიტყვაობაც.

მწერალმა ესთეტიკური, კრიტიკული აზროვნების საკმაოდ გრძელი გზა განვლო და ახალი სიტყვა თქვა ქათული ლიტერატურათმცონდეობის მრავალ სფეროში.

დასკვნა

კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული ლიტერატურული ესსე მაღალმხატვრულ იდეალებს აზიარა და აიყვანა იმ სიმაღლეზე, რომელიც ჯერჯერობით გადაულახავია. ქართულ ლიტერატურაში. ესსეის სახით შექმნა სრულიად ახალი თავისებური ლიტერატურული ჟანრი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდოსტატის კალამი, თვითმყოფადი პოეტური და მისტიურია ზოგჯერ მელანქოლიურიც. ეს ის ქიმიური ჯამია, რომელსაც გაოცებაში მოჰქყავს თანამედროვე მკითხველი. მწერლის ესსეისტიკისთვის დამახასიათებელია სახეთა სინატიფე, თხრობის იშვიათი მომხიბვლელობა, აზრის სიღრმე, მაშტაბურობა. გამსახურდიამ ქართულ ლიტერატურულ ესსეს შესძინა ახალი ესთეტობა.

მწერლის ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების შესწავლისას ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კონსტანტინე გამსახურდიას, აზროვნების სიღრმე, პუბლიკაციების დინამიურობა, კომპოზიციური შეკრულობა, სახეთა ინდივიდუალურობა და თავისთავადობა დასტურია იმისა, რომ გამსახურდიას წინ უძღვოდა დიდი სამწერლობო ტრადიციები.

ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ დიდი გზა განვლო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნეში გამსახურდიას ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური მატიანე მდიდარი ქართული ეროვნული მემკვიდრეობის ორგანული დაგვირვინება იყო. კონსტანტინეს ინტელექტუალური სამყარო, განვითარების მაღალი საფეხურია ქართულ მწერლობაში. მისი, როგორც მწერლის პუბლიცისტის, კრიტიკოსის წერის მანერა უაღრესად დახვეწილია, იგი ქმნიდა კომპოზიციურ ჰარმონიულობას.

მწერალი უნივერსალური განსწავლულობის წყალობით პოლიტიკურ, ეპოქალურ მოვლენებს, ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკას მსოფლმხედველობითი პოზიციებიდან აფასებს. უკომპრომისობას ავლენდა პრინციპულ საკითხებში. XX საუკუნის ათიანი წლებიდან მოყოლებული, მწერლის საგაზეთო სტატიები, ქართული პუბლიცისტიკისა და კრიტიკული აზროვნების ისტორიაში ახალ ფურცელს ქმნის. გამსახურდია აზრის ლაკონურად დეკლარირების უბადლო ოსტატად გვევლინება. შეიძლება ითქვას, რომ მწერლის საგაზეთო სტატიებით, რომელთა შექმნიდან ნახევარი საუკუნეა გასული, თანამედროვე ჟურნალისტიკამ, პოლიტოლოგიამ და ექსპერტებმაც კი

შეიძლება იხელმძღვანელონ. გამსახურდიას აზროვნების სტილსა და წერის მანერაში იგრძნობა დასავლური ორიენტაციაც. ნახევარი საუკუნის მანძილზე შექმნილ პუბლიცისტურ–კრიტიკულ მანტიანეში უმთავრესი თემა საქართველოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრა, გაანალიზება და სამომავლო გზების დასახვაა.

გამსახურდია გრძნობდა, რომ XX საუკუნის დასაწყისში საჭირო იყო ქართული პროზის განახლება, თემატური სიახლეები. მან შექმნა ქართული მწერლობის განვითარების „მთელი პროგრამა", რაც ნათლად იკითხება როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე მწერლის ესსეისტიკასა თუ მწერალთა ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვებში, სადაც გამოსჭვივის ნოვატორი პროფესიონალის სამომავლო იდეალები.

ნაშრომში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მწერლის ფილოსოფიური და ესტეტიკური პრინციპები. თემატური თვასაზრისით დავალაგეთ კრიტიკული აზროვნების ცალკეული ეტაპები, სადაც სრულყოფილად წარმოჩინდა მწერალი, როგორც თეორეტიკოსი და კრიტიკოსი.

XX საუკუნის მწვავე ეპოქალური მოვლენები ნათლად აისახა მწერლის პუბლიცისტიკაში. გამსახურდიას მწვავე პოლემიკური ხასიათის წერილებით ქართული საზოგადოება ეცნობოდა რეალობას.

კ. გამსახურდიას პუბლიცისტურ, კრიტიკულ და ლიტერატურულ წერილებს მისივე სიტყვებით შევაფასებთ, „მან შეძლო ურთულესის უმარტივესი საშუალებით გადმოცემა, გამოუთქმელის, უფსკრულის მიჩქმალულის სამზეოზე გამოტანა, უმაღლესის მიერ შენიშნულის უმდაბლესის გონების ლერწზე დაყვანა."

მწერალი უდიდეს მსოფლიო მოაზროვნეებზე შექმნილ ესსეებში წინა პლანზე წამოწევდა მათ პიროვნებას და მხოლოდ ამ კუთხიდან მიუდგებოდა მათი ცხოვრებისა და სტილის, შემოქმედების შესწავლას. მეცნიერულად ასაბუთებდა, რომ ყოველი ნაწარმოების გასაშიფრად ყველაზე საიმედო და მარჯვე გასაღები იყო ავტორის პირადი ცხოვრება. ამ პრინციპით შექმნა ქართული ესსეისტიკის შედევრები: „ილია ჭავჭავაძე", „გოეტე", „ანატოლ ფრანსი", „ჰენრიკ იბსენი", „საბა ორბელიანი" და სხვა... მწერლის ხატვისა და ხასიათთა გამოძერწვის თვითმყოფადმა ნიჭმა სრულყოფისაკენ მიმავალი ხანგრძლივი და შრომატევადი გზა გაიარა.

მწერლის ინტელექტუალური სამყაროს გაცნობის შედეგად დგინდება, რომ გამსახურდიასთვის მწერლობა იყო „ემანაცია კეთილშობილებისა" არისტოტელესეული კათარზისი დიდოსტატს მწერლობის მარადიულ მისიად მიაჩნდა.

ნაშრომში გავააანალიზეთ მწერლის 10-20-იანი წლების პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები, რომელიც მწერლის პროფესიონალიზმისა და უბადლო გემოვნების მაჩვენებელია. ამ პერიოდის პუბლიცისტური წერილებისთვის არ არის დამახასითებელი საზეიმო განწყობილება, სიტყვათა სიჭარბე, „ამა ქვეყნის წინაშე ქედის მოხრა". მწერლის კალამი მხოლოდ ობიექტურობაზეა ორიენტირებული და კვალიფიციური ანალიზით ასაბუთებს ქვეყნისა და პიროვნების წინაშე წამოჭრილ საკითხებს. მათემატიკური სიზუსტით გადმოსცემს სათქმელის ყოველ ელემენტს. წერილებში არსად იგრძნობა თვითდინებით წარმართული ალოგიურობა. მისი მეტყველება მუდამ კანონიერ სიმეტრიულობაშია მოქცეული.

ოციანი წლების პუბლიცისტიკაში ნათლად იკვეთება მწერლის კონფლიქტი მარიონეტულ მთავრობასთან. 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენების შედეგად დამხობილი იქნა ქვეყნის სუვერენობა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კ. გამსახურდიამ 1921 წლის 8 მაისს „ღია წერილით მიმართა ლენინს, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა „პრავდა გრუზიაში". ჩვენი აზრით, ეს წერილი ნათელი მაგალითია მწერლის პრინციპული პოზიციისა. ამ და სხვა წერილების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ მწერალი უპირისპირდებოდა „რევოლუციას" და იმ პოლიტიკას, რომელიც ფეხქვეშ თელავდა რესპუბლიკის სუვერენობას. „ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობს ტკივილები ქართველი ხალხისა" – წერდა კ. გამსახურდია ოციან წლებში და მთელი მისი პუბლიცისტურ-კრიტიკული ნააზრევი ამ სიტყვების ირგვლივ ერთიანდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერლის ეს ფრაზა 10-იანი წლებიდან მოყოლებული, საგაზეთო სტატიების, ლიტერატურული პორტრეტებისა თუ ესეების ეპიგრაფია.

გამსახურდიას პუბლიცისტურ მატიანეში არსებობენ საგაზეთო სტატიები, რომლებიც დროისა და სივრცის მიღმა რჩებიან და ჩვენი დროების საქართველოს ირეკლავენ. კ. გამსახურდიამ კრიტიკულ წერილებში მაღალპროფესიონალური ოსტატობით წარმოაჩინა აუცილებლობა იმ ოქროს შუალედის პოვნისა, რომელიც გადის ერთის მხრივ, მთავრობის და

ხელისუფლების ბრმა მორჩილებასა და მეორეს მხრივ, უკიდურეს ოპოზიციონერობას შორს. პირველს მივყავართ სრულ უინიციატივობამდე, როდესაც ხარ პოლიტიკური მოვლენების მხოლოდ სტატისტი, მეორე კი ზიანს აყენებს სუსტ და ახლადფეხადგმულ ქართულ სახელმწიფოს, ამიტომაც წერდა იგი 1918-1921 წლებში საქართველოსთან დაკავშირებით: „გადაჭარბებული ოპოზიციონერული სული ასუსტებს ერის სახელმწიფოებრივ ტრადიციას და შეგნებას, ისიც ისეთ სახელმწიფოში, როგორიცაა საქართველო, სადაც სახელმწიფოებრივი ეთოსი ეგზომ სუსტია".

მწერლის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებში ნათლად ჩანს, თუ რისი შემძლეა ის ერი, ვისი ნებელობაც აზრი და გრძნობაც თავისუფლების იმპულსითაა ნასაზრდოვები.

პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე გამსახურდია აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას ჰქონდა მიზანი: ქართული კულტურის ჰეგემონია საქართველოში. ამ პერიოდის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებში გამოვლინდა მწერლის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. დისპუტებზე თუ მწერალთა კავშირის სხდომებზე წარმოთქმულ სიტყვებში იგრძნობა მწერლის ანალიტიკური აზროვნების უნარი, უტყუარი კრიტიკული ალღო, კონცეპტუალურობა. მწერლის მიერ წარმოთქმული სიტყვები არის კონსტრუქციული გამოსვლის შესანიშნავი ნიმუში. რომელიც ორიენტირებულია საჯარო სიმართლეზე, ფაქტებზე დაყრდნობილი რეალობის ჩვენებაზე.

მწერლის კრიტიკული წერილების სიღრმისეული ანალიზიდან, სადაც ეპოქის მაჯისცემა და სასტიკი სინამდვილე იგრძნობა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XX საუკუნის 60-იან წლებამდე ქართულ რეალობაში არ წამოჭრილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც კ. გამსახურდიას კრიტიკული კალამი არ გამოხმაურებია.

ნაშრომში გავაანალიზეთ 1932 წლის საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 23 აპრილის დადგენილება და მისი შედეგები. XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში – კულტურულ, შემოქედებით მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართველ მწერლებს უნდა გაეორკეცებინათ კულტურული საქმიანობა, რადგან როგორც ბატონი კონსტანტინე ამბობდა - მოუსვენარი დემონის ეპოქაში არცერთი იარაღი არაა ისე სანდო და უცილო, როგორც კულტურული. მწერლის კრიტიკული წერილების თემათა მრავალპლანიანობა სწორედ ამისი დასტურია.

გამსახურდიას პუბლიცისტურ შემოქმედებაში გამოყოფენ ლიტერატურათმცოდნეობის თითქმის ყველა ჟანრს – ნარკვევს, ლიტერატურულ პორტრეტს ესკიზს ესსეს. თითოეულ მათგანში ერთმნიშვნელოვნად ვლინდება მწერლის ერუდიცია და ენციკლოპედიური განათლება.

თემაში განვიხილეთ მწერლის ათიანი წლების „აპოლიტიკური წერილები". სადაც ევროპულ პოლიტიკას, ევროპულ ომს, მაღალკვალიფიციურ, სიღრმისეულ ანალიზს უკეთებს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიულ პოლიტიკური თუ მწვავე დიპლომატიური ურთიერთობა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია მწერლის პუბლიცისტიკაში. ჩვენს მიერ გაანალიზებული წერილებიდან დგინდება, რომ მწერალს გასაბჭოების პირველივე დღეებიდან ჰქონდა გამოკვეთილი ეროვნული პოლიტიკური ორიენტაცია.

ადრეულ კრიტიკულ ესსეისტურ წერილებში იგრძნობა ევროპული მოდერნისტული ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრების ტენდენციები. იგი იმჟამად ლიტერატურულ პრაქტიკაში ამკვიდრებდა მოდერნიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებსა თუ ესსეებში აისახა XX საუკუნის კატაკლიზმებითა და რადიკალური ცვლილებებით აღსავსე დემონური ეპოქა.

კონსტანტინე გამსახურდია საგაზეთო წერილების დიდი ოსტატი იყო. იგი აიძულებდა მკითხველს ახლოდან დაენახა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების რეალური მხარეები, გაეანალიზებინა და დასკვნებიც თავად გამოეტანა.

მწერლის საგაზეთო წერილები პოლიტიკური გზავნილებისა და საპროტესტო ნოტების ხასიათს ატარებდა, რომელიც ანგარიშგასაწევი იყო მკითხველისათვის. მისი პუბლიცისტურ-ანალიტიკური წერილები ეპოქალური მნიშვნელობის იყო და არის. ამ პუბლიკაციების ფასეულობას უპირველესად მისი თანადროულობის ხასიათი განსაზღვრავს. ეს წერილები აქტუალობის ხარისხს XXI საუკუნის საქართველოში ისეთივე სიმძაფრით ინარჩუნებენ, როგორც XX საუკუნეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე მ. კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, მეცნიერება, 1976წ.
2. ბართაია ე. კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, ცოდნა, 1983წ
3. ბაქრაძე ა. მითოლოგიური ენგადი, თბილისი, 2000წ.
4. ბენაშვილი დიმიტრი, კრიტიკული ნარკვევები, თბილისი, 1967წ.
5. გაგნიძე ზ., კონსტანტინე გამსახურდია და ეროვნული იდეოლოგია, თბილისი, 1983წ.
6. გაზ. გრაალი, №1, 1996წ.
7. გამსახურდია კ. „ 1923", საქართველოს სამრეკლო №1, 1923წ.
8. გამსახურდია კ „აპოლიტიკოსის წერილები" გაზ. სახალხო საქმე, №635, 637
9. გამსახურდია კ „ახალი ევროპა" ჟურ. კავკასიონი, №3-4, 1924წ.
10. გამსახურდია კ. „მეტაფიზიკოსის დღიური", გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 11 მაისი, 1921წ.
11. გამსახურდია კ .გაზ. თქვენ უსწავლენი ცრუ რუსთაველნო" „სოციალისტ ფედერალისტი" № 103, 6 ივლისი 1921
12. გამსახურდია კ. „გოეთე თუ მისტიკოსი," ჟურ. „ილიონი", №1, 1922წ.
13. გამსახურდია კ. „გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე", გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, №118. 1921წ.
14. გამსახურდია კ „ველიკო რუსები და არა რუსები", გაზ. სახალხო საქმე, 3,VII №25, 1917წ.
15. გამსახურდია კ „ვინ არის შოვინისტი?!", გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 28 მაისი, 1921წ.
16. გამსახურდია კ. თხზულებათა ათტომეული, ტ. VII, თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1985წ.
17. გამსახურდია კ. თხზულებათა ათტომეული, ტ. VIII, თბილისი, „საბჭოთა საქართველო, 1985წ.
18. გამსახურდია კ. თხზულებათა ათტომეული, ტ. IX, თბილისი, „საბჭოთა საქართველო, 1985წ.
19. გამსახუდია კ. კრებული, ზეკარი, თბილისი, 2005წ.
20. გამსახურდია კ. ზ. კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 111 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე წარმოთქმული სიტყვა, გაზ. 24 საათი, № 118, 20 მაისი, 2004წ.

21. გამსახურდია კ. „კავკასიონი”, №2-4, 1924წ
22. გამსახუდია კ. „ორი ორიენტაცია”, სახალხო საქმე, 10. V. № 227, 1918წ.
23. გამსახურდია კ „ოსვალდ შპენგერი გაზ. „სახალხო საქმე” 1918წ. №214, 215
24. გამსახურდია კ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ,თბილისი, ზეკარი, 2005წ.
25. გამსახუდია კ. სიტყვები ქართველი ერისადმი, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 25.V. №70, 1921წ.
26. გამსახურდია კ. „ტროასეული ცხენი” „სახალხო საქმე” №23, 1917წ.
27. გამსახურდია კ. „უოლტ უიტმანი“, ტფილისი, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა 1926წ.
28. გამსახურდია კ. „ღია წერილი ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვს”, გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, №56, 8აპრილი, 1921წ. “პასუხი” №62, 1921წ.
29. გამსახურდია კ. შტეფან გეორგე, „ტრიბუნა” №94, №95, №98, №1921წ.
30. გამსახურდია კ. „ჩვენი კულტურული პოლიტიკა”, გაზ. „ლომისი” №6, 1922წ.
31. გამსახურდია კ. „ცოტა რამ თანამედროვე ინტერნაციონალური პოლიტიკის შესახებ, „სახალხო ფურცელი”. №842, 1917წ.
32. გამსახურდია კ. „ძმები ხართ თუ მტრები”, გაზ. სოციალისტ–ფედერალისტი, №109, 13 ივლისი, 1921წ.
33. გამსახურდია კ. „წერილები გერმანიიდან” გაზ. იმერეთი №75,79,84,86, 1913წ.
34. გუდიაშვილი ლ. „დროშა” №7, 1969წ.
35. თევზაძე დ. კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბილისი, 1996წ.
36. თოდუა ვ. კონსტანტინე გამსახურდია და საბჭოთა სინამდვილე, თბილისი, მერიდიანი, 2005წ.
37. ინჯია თ. კონსტანტინე გამსახურდიას დიდოსტატის მარჯვენის ენა და სტილი, თბილისი, თსუ, 2005წ.
38. კანკავა გ. ქართული ექსპრესიონისტული ნოველა, ალმანახი კრიტიკა, №1, 1978.

39. კიკაჩეიშვილი თ. კონსტანტინე გამსახურდიას დიდოსტატის მარჯვენის პრობლემატიკა და მწერლის მხატვრული ოსტატობის სკითხები, თბილისი, თსუ, 1974წ.
40. კიკაჩეიშვილი თ., კონსტანტინე გამსახურდიას პოეტიკა, თბილისი, თსუ, 1978წ.
41. კოტეტიშვილი ვ. „უოლტ უიტმანი", ტფილისი, სახლემწიფო გამომცემლობა, 1921წ. გვ9 დან 23
42. მიშველაძე რ. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000წ.
43. მაღრაძე ე. გულითა მართლითა, თბილისი, 1977წ.
44. მარქსი კ. ფრიდრიგ ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1956წ.
45. მძინარაშვილი დიმიტრი, კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, 1983წ.
46. ნასყიდაშვილი ნ. ფერის მხატვრული ფუნქცია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, თბილისი, საქ. ეცნიერებატა აცადემია, 2005წ.
47. მინაშვილი ლადო, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, თბილისისი უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1987წ.
48. ნიშნიანიძე რ. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 2000წ.
49. რადიანი შ. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, /საბლიტგამ/, 1958წ.
50. სანიკიძე თ. ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისისი უნივერსიტეტის გამოცემლობა, 1999წ.
51. სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი გამომც: „დიდოსტატი",თბილისი, ტ.2, 2001წ.
52. სიგუა ს. კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბილისი, 1980წ.
53. ტატიშვილი ე. „ფრიდრიხ ნიცშე" „ჟურ. ილიონი, 1922წ.
54. ტატიშვილი ე. ფრიდრიხ ნიცშე „ესე იტყოდა ზარატუსტრა" თბილისი 1993წ
55. შუშანია ე. კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლობო გზა. თბილისი, საბჭ. საქართველო, 1970წ.

56. შუშანია ე. კონსტანტინე გამსახურდიას სამწერლობო გზა, თბილისი, 1970წ. საბჭოთა საქართველო,
57. ჩხეიძე ირმა, კონსტანტინე გამსახურდია, ჟურ. ცისკარი, №1, 1967წ.
58. ჩხეიძეები პ. რ., ესსეები, თბილისი, 1988წ.
59. ცანავა ა. კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, თბილისი, თსუ, 1972წ.
60. ცვაიგი შ: რაინერ მარია რილკე,[ონ-ლაინ სტატია] მის: http:/litsakhelebi.ge
61. ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, „მეცნიერება," თბილისი, ტ.5, 1981წ.
62. ჭანია ლ. კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ პოლიტიკური მრწამსი, თბილისი, /ბედია/ 1997წ.
63. ჭილაია ს. უახლესი ქართული მწერლობა , თბილისი, 1975წ.
64. ჭუმბურიძე ზ. სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბილისი, 1962წ.
65. ხელაია მანანა, ქართული ლიტერატურული ესსე. თბილისი, 1986წ.
66. ჯაფარიძე რ. კონსტანტინე გამსახურდია, თბილისი, 1983წ.
67. ჯიბლაძე გ. კრიტიკული ეტიუდები, თბილისი ტ. VII, 1957წ.
68. ჰამსუნი კ. „ველური სიტყვების საზეიმო თამაში" „არილი", 2001, №6, გვ 22-23 (თარგმნა თ. ჩხენკელმა)
69. Бердяев Н. ТРИ ЮБИЛЕЯ (Л. Толстой, Ген. Ибсен, Н. Ф. Федоров), Путь. №11. 1928. Июн.. (Клепинина, №333) 140.
70. Будур Н. Путешествие Гамсуна в «сказочное царство» [ონ-ლაინ სტატია] http://www.norge.ru/pankratova_hamsun_og_russland)
71. Джерело: Ковалева Т.В. и др. История зарувежной литературы (Вторая половина XIX начало XX века)Минск Завираг, 1997с: 130-165. ae-lib.org.ua) 2003
72. Електроная библиотека по философии [ონ-ლაინ წიგნი] მის: http://filosof.historic.ru/
73. Зарубежная литература XX века, Подредакцией Л. Г. Андреева, Учебник для вузов[ონ-*ლაინ წიგნი მის:}* www.infoliolib.info/.../andreev/main.htm
74. ЛЕОНОВА Е, А, Литература Скандинавски стран, минск, Завираг, 1997 с 130-165
75. Монтень М. Опыты , книга I , ст 413, 1954
76. Освалд Шпенглер и Закат Европы ,киигоиздателство ; "Берег" москва 1922

77. Освалд Шпенглер Закат Европы, очерки морфологии миравой истории , Мыслъ, 1993
78. Приложение к п.21 пр. №97 от 23 апреля 1932 г.[ონ–ლაინ გვერდი] მის: http://www.hist.msu.ru/ER/Etext/USSR/1932.htm
79. Писатели России и Запада о Генрике Ибсене, Судья и строитель: ПРЕДИСЛОВИЕ СОСТАВИТЕЛЯ [ონ-ლაინ წიგნი] მის: http://www.norge.ru
80. Судебное постановление по делу Гамсуна [ონ-ლაინ სტატია] მის: http://www.norge.ru
81. Так говорил Заратустра История философии: Запад-Россия-Восток (книга третья. Философия XIX — XX в.). (Сборник) [ონ–ლაინ ბიბლიოთეკა] მის: http://filosof.historic.ru/
82. Харальд Нэсс - Последние годы жизни Гамсуна [ონ-ლაინ სტატია] http://www.norge.ru/pankratova_hamsun_og_russland)
83. Чуковский К. “Мой Уитмен, ” издателство прогрес, 1969
84. Чуковский К. “Мой Уитмен, ” [ონ-ლაინ წიგნი] მის: http://www.sky-art.com/whitman/about/chuk/chuk.htm
85. Эренбург И. - О КНУТЕ ГАМСУНЕ [ონ-ლაინ სტატია] http://www.norge.ru/pankratova_hamsun_og_russland
86. არილი, [ონ-ლაინ ჟურნალი] მის; http://arili2.blogspot.com/
87. Електроная библиотека по философии [ონ-ლაინ წიგნი] მის: http://filosof.historic.ru/
88. თენგიზ ვერულავა [ონ-ლაინ ჟურნალი] მის: http://burusi.wordpress.com/2009/05/07/
89. კონსტანტინე გამსახურდია(ონ-ლაინ გვერდი) მის: http://publish.dlf.ge/vaxtangvi/konstantine/prozissia.html
90. კონსტანტინე გამსახურდია, [ონ-ლაინ გვერდი] მის: http://lib.ge/cat_listing.php?proza
91. ლიტერატურული სახელები [ონ-ლაინ გვერდი] მის; http://litsakhelebi.ge/index.php?page=1&lang=geo
92. DUC [ონ-ლაინ გვერდი] მის: http://modusgio.blogspot.com/
93. Norge.ru [ონ-ლაინ გვერდი] მის: http://www.norge.ru
94. HOLMES[on-lain gverdi] mis: http://holmes.ge/